

აღფონს დოდე

წერილები ჩემი წისქვილიდან

გადადით ლინკზე და მოიწონეთ გვერდი

<https://www.facebook.com/eExistentialCrisisA1/>

Contents

აღფონს დოდე.....	1
წერილები ჩემი წისქვილიდან	1
დასახლება.....	3
ბოკერის დილიყანსი.....	6
მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება.....	10
ბატონი სეგენის თხა.....	15
ვარსკვლავები.....	21
არლელი ქალი.....	25
პაპის ჯორი	29
სანგინერის შუქურა	39
„სემილანტის“ სულთმობრძაობა.....	43
მებაჟეები	50
კუკუნიაანის ხუცესი	54
ბებრები	60
ბალადები პროზად	67
ბიქსიუს პორტფელი	72
ოქროსტვინიანი კაცის ლეგენდა	77
პოეტი მისტრალი	81
სამი მოკლე წირვა.....	88
ფორთოხლები.....	96
ორი სასტუმრო.....	99
კალია	102
ღირსი მამა გომეს ელექსირი	107
კამარგში	116
ყაზარმის მონატრება.....	124
ავტორისაგან.....	127

დასახლება

აკი არ განცვიფრდნენ ბაჭიები! რაკი ამდენი ხანია ისინი ხედავდნენ, რომ წისქვილის კარი ჩაკეტილი იყო, ხოლო კედლები და მოედანი ბალახით შემოსილიყო, მათ ეფიქრათ, მეწისქვილეების მოდგმა გადაშენებულაო და რადგან თან ადგილიც მოსწონებოდათ, ის ერთგვარ მთავარ შტაბად ექციათ, სტრატეგიული ოპერაციების ცენტრად: ეს იყო ჟემაპის¹¹ ბაჭიების წისქვილი... იმ ღამეს, მე რომ იქ მივედი, ტყუილი რომ არ ვთქვა, ოციოდე ბაჭია მაინც წრეში დამჯდარიყო და თათებს ითბობდა მთვარის შუქზე. ვერც კი მოვასწარი სამერცხულის გაღება, ფრრ! მთელი ბანაკი წამოიშალა და ბაჭიების კუდაპრეხილი თეთრი უკანა ტანები ტყეში მიიმალნენ. იმედი მაქვს მაინც, რომ უკან დაბრუნდებიან.

ჩემს დანახვაზე დიდად გაკვირვებული დარჩა აგრეთვე მეორე სართულის ბინადარი, ბებერი პირქუში ჭოტი, რომელსაც მოაზროვნის თავი აქვს; ის წისქვილში ცხოვრობს ოც წელიწადზე მეტია. მე ის მაღლა დამხვდა ოთახში, გარინდებული იჯდა თავხეზე, ბათქაშისა და ჩამოცვივნილი კრამიტის გროვაში. ერთი წუთით თავისი მრგვალი

თვალი მომაპყრო; შემდეგ მეტად დაბნეულმა იმის გამო, რომ ვერ მიცნო, დაიწყო ძახილი: ჰუ! ჰუ! თან მტვრისაგან განაცრისფერებულ ფრთებს აფართხალებდა გაჭირვებით. ოჰ, ეს მოაზროვნენი! არასოდეს ტანს არ იწმენდნენ... არა უშავს რა! ასეა თუ ისე, ეს წყნარი მდგმური სხვებზე მეტად მომწონს მისი მოხამხამე თვალებით და მოღუშული სახით, და მე საჩქაროდ განვუახლე ხელშეკრულება. მას წინანდებურად წისქვილის ზედა სართული რჩება, შესავალი სახურავზე აქვს; ჩემთვის ქვედა ოთახს ვიტოვებ. პატარა ოთახს, კირით თეთრად შელესილს, დაბალსა და თაღიანს მონასტრის საოსტიგნესავით.

* * *

თქვენ აქედან გწერთ; კარები მზეზე ფართოდ მაქვს გაღებული. ჩემს თვალწინ ფერდობზე სინათლით გაბრწყინებული ფიჭვნარია შეფენილი. ჰორიზონტზე ალპების მოხდენილი მწვერვალები მოჩანს... არავითარი ხმაურობა არ ისმის... მხოლოდ დროდადრო გაისმის სალამურის ხმა, ღალღის ჭუკჭუკი სუმბულში, ან

გზაზე მიმავალი ჯორების ეჟვანთა ჟღარუნი... მთელი ეს მშვენიერი პროვანსული პეიზაჟი

მხოლოდ სინათლით არის გაცხოველებული. და ახლა როგორღა გინდათ, რომ მე გული დამწყდეს თქვენს მშფოთვარე და ბნელ პარიზზე? მე ასე კარგად ვარ ჩემს წისკვილში! სწორედ ასეთ კუთხეს ვეძებდი, პატარა, სურნელოვან და თბილ კუთხეს, ათასი ლიეთი დაშორებულს გაზეთსა, ეტლებსა, ბურუსს!.. და რამდენი ლამაზი რამ არის ჩემს გარშემო. ერთ კვირასაც არ გაუვლია, რაც მე დავბინავდი და თავი უკვე სავსე მაქვს შთაბეჭდილებებითა და მოგონებებით... ყური მიგდეთ: მაგალითად, სწორედ გუშინ მე დავესწარი ფარის დაბრუნებას ფერმაში, რომელიც ფერდობის ძირში დგას და, გეფიცებით, ამ სანახაობას არ გავცვლიდი ყველა პრემიერაში, რომლებიც ამ კვირაში დაიდგებოდა პარიზში. თვით განსაჯეთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ პროვანსში ჩვეულებად აქვთ საქონელი ალპებში გარეკონ, როგორც კი სიცხეებს დაიჭერს. პირუტყვი და ადამიანი ხუთ-ექვს თვეს მთაში ატარებენ, ცის ქვეშ, ბალახში, რომელიც წელთამდე აღწევს. შემდეგ, როცა შემოდგომის პირველი თრთოლვა იწყება საზამთრო ბინაში ეშვებიან და პირუტყვი მშვიდობიანად სძოვს ბალახს პატარა ნაცრისფერ გორაკებზე, რომელთაც როზმარინის სუნი უდით... ჰოდა, გუშინ საღამოს ფარა დაბრუნდა. დილიდანვე კარიბჭის ორივე ფრთა გაღებული

იყო; ფარები სავსე იყო ახალი ჩალით. დროდადრო გაისმოდა: „ახლა ისინი ეიგიერში არიან, ახლა პარადუში.“ შემდეგ შებინდებისას უცებ ყვირილი გაისმა: „აი მოვიდნენ!“ და შორს ფარა დავინახეთ, ის მოდიოდა მტვრის შარავანდედში. თითქოს მთელი შარავნა იძროდა მასთან ერთად... თავში ბებერი ყოჩები მოაბიჯებენ, რქებაწეულნი, გაველურებულნი; მათ ცხვრები მოსდევთ, დედები, ცოტა არ იყოს, დაღლილები არიან, ბატკნები მათ ფეხებში ებლანდებიან; წითელპომპონიან^[2] ჯორებს ზურგზე გადაკიდებულ კალათებში პაწია კრავები უსხედან, ისინი მათ არწევენ სიარულის დროს; შემდეგ მოდიან ოფლში გაღვრილი ძაღლები, რომელთაც ენები მიწამდე გადმოუგდიათ, და ორი ჯიბიდან გავარდნილი მეცხვარე ჟღალი წამოსასხამით, რომლებიც მათ კოჭებამდე სწვდება ანაფორასავით.

ყოველივე ეს ჩვენს თვალწინ გაივლის მხიარულად და კარიბჭეში ინთქება ფეხების ბაკუნით, რომელიც ნიაღვრის ხმაურობას ჰგავს... უნდა ნახოთ, რა მღელვარება იწყება სახლში. დიდმა, ოქროსფრად ალივლივებულმა მწვანე ფარშავანგებმა, რომელთაც ლეჩაქისეური ბიბილოები აქვთ, ქანდრიდან იცნეს დაბრუნებულნი და საყვირის საშინელი ძახილით მიესალმნენ. საქათმე, რომელიც თვლემდა, უცებ იღვიძებს. მთელი

ქვეყანა ფეხზეა: მტრედები, იხვეები, ინდაურები, ციცრები. უკანა ეზო თითქოს გაგიჟდაო: ქათმები კრიახობენ, ღამე უძილოდ უნდა გავატაროთ... კაცი იფიქრებს, თითოეულმა ცხვარმა თავისი მატყლით ველური ალპის სურნელებასთან ერთად ცოტაოდენი მთის ჰაერი მოიტანაო, რომელიც ათრობს და ცეკვის სურვილს იწვევსო.

ამ ამბავსა და აურზაურში აღწევს ფარა თავის ბინას. არაფერი შეედრება ამ დაბინავებას. ბებერი ყოჩები გულაჩუყებული უცქერიან თავიანთ ბაგებს. სულ პაწია კრავები, რომელნიც მოგზაურობაში დაიბადნენ და არასოდეს არ ყოფილან ამ ფერმაში, გაოცებული იცქირებიან ირგვლივ.

მაგრამ ყველაზე საყურადღებო ძაღლები არიან, მწყემსის ყოჩალი ძაღლები, რომელნიც ფაციფუცობენ თავიანთი საქონლის გარშემო და მის გარდა ვერაფერს ხედავენ ფერმაში. ნაგაზი მათ ამაოდ უძახის თავისი ბუნაგიდან; ახლად ამოღებული წყლით სავსე სათლი ამაოდ ანიშნებს; მათ არაფრის დანახვა, არაფრის გაგონება არ სურთ, სანამ ცხვარი ფარეხში შევიდოდეს, პატარა გისოსიანი კარის ურდული გადაიკეტებოდეს და მწყემსები სუფრას მიუსხდებოდნენ დაბალ პალატში. მხოლოდ მაშინ თანხმდებიან ისინი თავიანთ ბუნაგში შევიდნენ, ჯამიდან წვენის სვლეპას იწყებენ და თავიანთ ამხანაგებს უამბობენ, რას შვრებოდნენ იქ, ზევით მთაში, მკაცრ ქვეყანაში, სადაც მგლები იცის და სადაც დიდი, მუქი წითელი ფუტკარას ფოთლები ცვრითაა სავსე პირთამდე.

ბოკერის დილიჯანსი

ეს მოხდა ჩემი აქ მოსვლის დღეს. მე ჩავჯექი ბოკერის^[4] დილიჯანსში, ძველ ურესორო დილიჯანსში, რომელსაც დიდი გზა არ აქვს გასაკეთებელი, სანამ შინ მივიდოდეს, მაგრამ დიდხანს დაეხეტება, რათა საღამოს ისეთი შესახედავი გახდეს, თითქოს შორიდან მოდიოდეს. ჩვენ ხუთნი ვისხედით იმპერიალზე, თუ კონდუქტორს არ მივიღებთ სათვალავში.

თავდაპირველად მოვიხსენიოთ კამარგელი^[4] დარაჯი, დაბალი, ჯმუხი, ბანჯგვლიანი მამაკაცი, რომელიც როგორღაც ველურს ჰგავდა. დიდი, ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა და ვერცხლის საყურეებს ატარებდა. შემდეგ - ორი ბოკერელი, მეპურე და მისი სიძე, ორივე ძალზე სახეწამოწითლებული, ძალზე მეშინავი, მაგრამ საუცხოო პროფილების მექონე, თითქოს ორი რომაული მედალიონიაო ვიტელიუსის^[5] გამოსახულებით. ბოლოს, წინ, კონდუქტორის მახლობლად იჯდა ერთი მამაკაცი... არა, მამაკაცი კი არა, ქუდი, ბაჭის ტყავშემოვლებული, უშველებელი ქუდი, რომელიც თითქმის ხმას არ იღებდა და სევდიანად გასცქეროდა გზას.

ეს მგზავრები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და სრულიად თავისუფლად, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ თავიანთ საქმეებზე. კამარგელი ამბობდა, ნიმიდან მოვდივარ, სასამართლოს გამომძიებლის მიერ ვარ გამოწვეული იმის გამო, რომ ორთითი ჩავეცი ერთ მწყემსსო. კამარგში ხალხს სისხლი უდუღს... ახლა ბოკერში იკითხეთ! ჩვენი ორი ბოკერელი არ იყო რომ კინალამ ერთმანეთს ყელი გამოლადრეს წმინდა ქალწულის გულისთვის! როგორც ეტყობოდა, მეპურე იმ სამრევლოდან იყო, რომელიც დიდი ხანია თაყვანს სცემს ღვთისმშობელს. ამ ღვთისმშობელს პროვანსელები კეთილ დედას უწოდებენ; მას ხელში პაწია იესო უჭირავს. მეპურის სიძე, პირიქით, ლიტანიას უგალობდა ახლად აშენებულ ეკლესიას, მიძღვნილს უბიწო შთასახვისადმი: ესაა მშვენიერი მომღიმარი ხატი, სადაც ღვთისმშობელი მკლავებდაშვებული, გასხვიოსნებული ხელებითაა წარმოდგენილი. ჩხუბი აქედან დაიწყო. უნდა გენახათ, როგორ ამკობდა ეს ორი ნაღდი კათოლიკე ერთმანეთს და თავიანთ ღვთისმშობლებს.

- კარგი იმას მოუვიდეს, კარგი ის იყოს, შენი უბიწო ქალწული!
- წაეთრიე შენი კეთილი დედიანად!
- შენსას საკმაოდ უნახავს, რაც სანახავია პალესტინაში!
- შენსას კი არა, ჰა! მახინჯი! ვინ იცის, რა არ გაუკეთებია... აბა წმინდა იოსებს ჰკითხე.

დანების პრიალის მეტი არაფერი აკლდა, რათა კაცს თავისი თავი ნეაპოლის ნავსადგურში წარმოედგინა და, მგონია, ეს მშვენიერი თეოლოგიური პაექრობა მართლაც დანებით დამთავრდებოდა, თუ საქმეში კონდუქტორი არ ჩარეულიყო.

- თავი ნუ მოგვაბეზრეთ თქვენი ღვთისმშობლებით, - უთხრა მან სიცილით ბოკერელებს; - ყოველივე ეს დედაკაცური ამბებია, მამაკაცები ამაში არ უნდა ჩაერიონ.

და მან შოლტი გაატკაცუნა სკეპტიკური სახით, რამაც ყველანი მისი თანახმა გახადა.

* * *

კამათი დასრულებული იყო, მაგრამ მეპურე სადერდელაშლილი იყო და მას აუცილებლად თავისი აღზნების დარჩენილი ნაწილი უნდა დაეხარჯა; ის მიუბრუნდა საბრალო ქუდს, რომელიც ჩუმად და სევდიანად იჯდა თავის კუთხეში, და დამცინავი სახით შეეკითხა:

- შენი ცოლი რაღას იქმს, ხარატო? ვისი სამრევლოა ის?

ამ სიტყვებში, ალბათ, ძლიერ კომიკური განზრახვა იყო დაფარული, იმიტომ რომ მთელმა იმპერიალმა გადაიხარხარა... მხოლოდ ხარატი არ იცინოდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს არც კი ესმოდა. ახლა მეპურე მე მომიბრუნდა:

- თქვენ მაგის ცოლს ვერ იცნობთ, ბატონო? ახირებული მრევლთაგანია! მისი მსგავსი ორიც არ მოიპოვება ბოკერში.

სიცილმა იმატა. ხარატი არ განძრეულა, მხოლოდ ხმადაბლა, თავის აუწევლად ჩაილაპარაკა: - გაჩუმდი, მეპურე. მაგრამ იმ ეშმაკის კერძ მეპურეს არ უნდოდა გაჩუმება და განაგრძობდა:

- რეგენი! იცით რა! ამხანაგს ჩივილი არ მართებს, რომ ასეთი ცოლი ჰყავს... კაცი ერთ წუთსაც არ მოიწყენს მასთან... აბა თვით იფიქრეთ! ლამაზი ქალი, რომელიც თავს ატაცებინებს ყოველ ექვს თვეში, ყოველთვის რამე ამბავს იპოვის, რათა უკან დაბრუნებისას მოგითხროს... საინტერესო ცოლქმრობაა!.. წარმოიდგინეთ, ბატონო ჩემო, ერთი წლის ჯვარდაწერილებიც არ იყვნენ, ტკაც! ქალი ესპანეთში გარბის შოკოლადის ვაჭართან ერთად. ქმარი მარტო რჩება შინ, ტირის, სვამს... პირდაპირ გიჟს ჰგავდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ტურფა სამშობლოში დაბრუნდა, ესპანურად ჩაცმული, პატარა, ეყვნებიანი დაირით. ჩვენ ყველანი ვეუბნებოდით: - დაიმაღე, თორემ მოგკლავს... - რის მოკვლა!.. მშვიდობიანად დაიწყეს ერთად ცხოვრება, ქალმა მას დაირის დაკვრა ასწავლა.

ხელახლა სიცილი ატყდა. ხარატმა თავისი კუთხიდან ხელახლა ჩაილაპარაკა თავაულებლად:

- გაჩუმდი, მეპურევ. მეპურემ ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:
- თქვენ შეიძლება ფიქრობთ, ბატონო, რომ ესპანეთიდან დაბრუნების შემდეგ ტურფა დამშვიდდა... სრულიადაც არა!.. მისმა ქმარმა ასე კარგად მოინელა ეს ამბავი! მას სურვილი დაებადა ყოველივე ხელახლა დაეწყო.. ესპანეთის შემდეგ ოფიცერი გაჩნდა, შემდეგ მენავე რონიდან, შემდეგ მემუსიკე, შემდეგ კიდევ... თვითონ არ ვიცი ვინ... ყველაზე უკეთესი ის არის, რომ ყოველთვის ერთი და იგივე კომედია იწყება. ქალი გარბის, ქმარი ტირის; ქალი ბრუნდება, ქმარი თავს ინუგეშებს. ყოველთვის სტაცებენ და ყოველთვის უკან იბრუნებს... როგორ გგონიათ, დიდი მოთმინება ჰქონია ამ ქმარს, არა? ისიც უნდა ითქვას, რომ ეს პატარა ხარატი ქალი ალქაჯივით ლამაზია... ნამდვილი საეპისკოპოსო ნაჭერია: ცოცხალი, ცუგრუმელა, კარგად მოყვანილი; თეთრი კანი აქვს და ნიგვზისფერი თვალები, რომელნიც მამაკაცს ყოველთვის ღიმილით უცქერიან... გეფიცებით, პარიზელო, თუ ოდესმე ბოკერში გაიაროთ...
- ოჰ, გაჩუმდი, მეპურევ, გეხვეწები... - დაიძახა საბრალო ხარატმა გულისგამგმირავი ხმით.

იმ წუთში დილიჯანსი გაჩერდა. ჩვენ ანგლორის ფერმასთან ვიყავით. იქ ორივე ბოკერელი ჩამოხტა და, გარწმუნებთ, მე ისინი არ შემიჩერებია... ეს მასხარა მეპურე! ის ფერმის ეზოში იყო, რომ მისი სიცილი კიდევ ისმოდა.

ამ ადამიანების წასვლის შემდეგ იმპერიალი თითქოს დაცარიელდა. კამარგელი კიდევ არღმ დასტოვეს. კონდუქტორი გზაზე მიაბიჯებდა თავისი ცხენების გვერდით. ჩვენ მარტო დავრჩით ზემოთ, ხარატი და მე, ჩვენ ჩვენს კუთხეში და ორივენი ვსდუმდით. ცხელოდა; ჩარდახის ტყავი გავარვარებული იყო. დროდადრო ვგრძნობდი, რომ თვალები მეხუჭებოდა და თავი მიმძიმდებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო დაძინება. თითქოს ის გულის გამგმირავი და მშვიდი სიტყვები მესმოდა: „გაჩუმდი, გეხვეწები“. არც იმ საბრალო კაცს ეძინა. უკანიდან მე ვხედავდი, როგორ თრთოდა მისი ფართო მხრები და როგორ ცახცახებდა სკამის ზურგზე მისი ხელი, - გრძელი, ფერმკრთალი და სულელური ხელი, თითქოს მოხუცის ხელი ყოფილიყო. ის ტიროდა...

- ეი, თქვენც შინ მოხვედით, პარიზელო! - დამიძახა უცებ კონდუქტორმა და თავისი შოლტის წვერით ჩემი მწვანე გორაკი დამანახა, რომელზედაც წისქვილი იჯდა დიდი პეპლის მსგავსად.

საჩქაროდ ძირს ჩამოვედი... როცა ხარატს გვერდით ჩავუარე, შევეცადე მის ქუდის ქვეშ შემეხედა; მინდოდა მისი სახე დამენახა – სანამ წავიდოდი. თითქოს ჩემი აზრი გაიგო, მკვირცხლად თავი ასწია და თვალი თვალში გამიყარა:

– კარგად შემხედეთ, მეგობარო, – მითხრა მან ყრუ ხმით, – და თუ ამ დღეებში გაიგეთ, ბოკერში უბედურება მოხდაო, თქვენ შეგეძლებათ სთქვათ, რომ იცნობთ დანის დამრტყმელს.

მას დამჭკნარი და სევდიანი სახე ჰქონდა, პატარა მიმქრალი თვალებით. თვალებში ცრემლი მორეოდა, მაგრამ ხმაში სიძულვილი ისმოდა. სიძულვილი სუსტთა გულის წყრომაა... მე რომ ხარატის ცოლის ადგილას ვყოფილიყავი, ფრთხილად ვიქნებოდი.

მეწისქვილე კორნილის საიდუმლოება

ბებერმა მედუდუკემ, ფრანსე მამაიმ, რომელიც დროდადრო ჩემთან მოდის სალამოს გასატარებლად და ერთი ჭიქა გადადუღებული ღვინის დასალევად, ერთხელ ერთი პატარა სოფლური დრამა მიაშობ, რომლის მოწმე ჩემი წისქვილი ყოფილა ამ ოციოდე წლის წინათ. ამ კეთილი მოხუცის მოთხრობამ ჩემზე ისე იმოქმედა, რომ მიინდა ვცადო ისე გადმოგცეთ, როგორც გავიგონე.

წარმოიდგინეთ ერთი წუთით, ძვირფასო მკითხველებო, რომ თქვენ სურნელოვანი ღვინის დოქთან სხედხართ და ბებერი მედუდუკე გესაუბრებათ.

ჩვენი კუთხე, ბატონო ჩემო, ყოველთვის ასეთი მკვდარი ქვეყანა არ ყოფილა, სადაც სიმღერას ვერ გაიგონებ, როგორც დღეს. წინათ აქ პურის ფქვილის ვაჭრობა ჰყვოდა და ათი ლიეს მანძილიდან ფერმერებს თავიანთი ხორბალი ჩვენთან მოჰქონდათ დასაფქვავად... სოფლის გარშემო გორაკები მთლად ქარის წისქვილებით იყო დაფარული. მარჯვნივ და მარცხნივ, ფიჭვნარის ზემოთ ჩანდა მხოლოდ წისქვილის

ფრთები, რომლებიც მისტრალზე¹ ტრიალებდნენ, და ტომრებით დატვირთული პატარა ვირები, რომელნიც ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ გზებზე. სასიამოვნო იყო მთელი კვირის განმავლობაში მაღლობებზე შოლტის ტლაშუნის, ტომრების ტკაცანის და მეწისქვილეების ძახილის გაგონება... კვირა დღეს მთელი ჩვენი გროვა წისქვილებში მიდიოდა. იქ მაღლა მეწისქვილეები მუსკატის ღვინით გვიმასპინძლებოდნენ. მეწისქვილეების ცოლები დედოფლებივით მშვენიერი იყვნენ თავიანთი მაქმანის თავსაფრებითა და ოქროს ჯვრებით. მე ჩემი დუდუკი მიმქონდა და კარგა დაღამებამდე ყველანი ფარანდოლას² ცეკვავდნენ. როგორც ხედავთ, ეს წისქვილები ჩვენი ქვეყნის სიხარულსა და სიმდიდრეს წარმოადგენდნენ.

საუბედუროდ, პარიზელ ფრანგებს აზრად მოუვიდათ, ორთქლის წისქვილი აემენებინათ ტარასკონის გზაზე. რაც ახალია, ყველაფერი კარგია. ხალხი შეეჩვია თავისი ხორბლის იქ გაგზავნას და საბრალო ქარის წისქვილები უმუშევრად დარჩნენ. ერთხანს ისინი შეეცადნენ ებრძოლათ, მაგრამ ორთქლი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და მახლას! ისინი იძულებულნი გახდნენ დაკეტილიყვნენ... აღარსად ჩანდნენ პატარა ვირები... მშვენიერმა მეწისქვილე ქალებმა თავიანთი ოქროს ჯვრები გაჰყიდეს... აღარც

მუსკატის ღვინო! აღარც ფარანდოლა!... ამოდ ჰქროდა მისტრალი, ფრთები უმოძრაოდ რჩებოდნენ... ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, სოფლის თემმა დაანგრევინა ეს ქოხმახები და მათ ადგილას ვაზი და ზეთის ხილი დარგეს.

მაგრამ ამ ნგრევაში ერთმა ქარის წისქვილმა განაგრძო ფეხზე დგომა და თავის გორაკზე მამაცად ტრიალი ფქვილის მექარხნეების ცხვირწინ. ეს იყო მოხუცი კორნილის ქარის წისქვილი, სწორედ ის, სადაც ამ საღამოს დროს მოკვლას ვაპირებთ.

* * *

კორნილი ბებერი მეწისქვილე იყო. უკვე სამოცი წელიწადი ის ფქვილში ცხოვრობდა და გაგიჟებით უყვარდა თავისი საქმე. ორთქლის წისქვილების დადგმამ ის თითქოს ჭკუაზე შეარყია; მთელი კვირის განმავლობაში სოფელში დარბოდა, ხალხს იკრებდა თავის გარშემო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიძახოდა, პროვანსის მოწამვლა უნდათ ამ ქარხნების ფქვილითო. „ნუ წახვალთ იქ, - გაიძახოდა ოსტატი, - ის ავაზაკები ხორბლის დასაფქვავად ორთქლს ხმარობენ, ხოლო ორთქლი ეშმაკის მოგონილია; მე კი მისტრალისა და ტრამონტანის¹⁸¹ დახმარებით ვმუშაობ, ისინი

თვით ჩვენი მამაღმერთის სუნთქვას წარმოადგენენ“... და ის მრავალ ასეთ მშვენიერ სიტყვას პოულობდა ქარის წისქვილების შესაქებად, მაგრამ მას არავინ არ უსმენდა.

მაშინ გააფთრებული მოხუცი თავის წისქვილში ჩაიკეტა და განმარტოებული ცხოვრება დაიწყო გარეულ მხეცივით. მან იქ არ დაიტოვა თვით პატარა შვილიშვილი ვივეტა, თხუთმეტი წლის გოგონა, რომელსაც დედ-მამის სიკვდილის შემდეგ ქვეყანაზე არავინ არ ჰყავდა, გარდა პაპისა. საბრალო გოგონა იძულებული გახდა თვით ემუშავა თავის დასარჩენად და აქა-იქ დაქირავებულიყო ფერმებში პურის მკასა, ყაჭის მოვლასა ან ზეთისხილის მოკრეფაზე. ამავე დროს კი პაპას თითქოს ძალიან უყვარდა ეს ბავშვი. ხშირად მოხდებოდა ხოლმე, პაპანაქება სიცხეში ოთხ ლიეს გაივლიდა ფეხით, რათა ვივეტა ფერმაში ენახა და, როცა მის გვერდით იყო, მთელი საათობით უცქეროდა და ტიროდა... ჩვენს სოფელში ფიქრობდნენ, მოხუცმა ვივეტა სიძუნწის გამო მოიშორაო. ეს მისთვის სასახელო არ იყო, რომ თავის პატარა შვილიშვილს ნებას აძლევდა ფერმიდან ფერმაში ეხეტიალა, აეტანა მოჯამაგირეების სიტლანქე და ყოველგვარი სხვა სიდუხჭირე, რაც ახალგაზრდა ქალებს მოსამსახურეობაში ხვდებათ. არც ის მიაჩნდათ მოსაწონად, რომ ისეთი პატივსაცემი ადამიანი, როგორც მოხუცი კორნილი

იყო, რომელსაც მანამდე დიდი ღირსებით ეჭირა თავი, ახლა ქუჩაში ნამდვილ ბოშივით დადიოდა, ფეხშიშველი, გახვრეტილი ქუდით, დაფლეთილი ტანისამოსით... საქმე იქამდე მივიდა, რომ სხვა მოხუცებს მის მაგივრად გვრცხვენოდა, როცა კვირადღეობით ის წირვაზე შემოდებოდა; კორნილი ამას კარგად გრძნობდა და ვერ ბედავდა სამრევლო სკამზე დაჯდომას, ყოველთვის

ეკლესიის შესავალში ჩერდებოდა მათხოვრებთან ერთად, აიაზმის სასხურებლის მახლობლად.

იყო რაღაც გაუგებარი ოსტატი კორნილის ცხოვრებაში. უკვე დიდი ხანია, არავის სოფლიდან ხორბალი არ მოჰქონდა მასთან, მაგრამ მისი წისქვილის ფრთები მაინც წინანდებურად ტრიალებდნენ... სადამოობით კაცი ხშირად გზაზე შეხვდებოდა ბებერ მეწისქვილეს, რომელიც მიერეკებოდა ფქვილის ტომრებით დატვირთულ ვირს.

- სადამო მშვიდობისა, ოსტატო კორნილ! - უმახოდნენ გლეხები, - მაშ წისქვილი კიდევ მუშაობს?

- კიდევ, შვილებო, - უპასუხებდა ყოჩაღად ბებერი: - მადლობა ღმერთს, სამუშაო არ გვაკლია.

თუ ხანდახან ჰკითხავდნენ, საიდან მოგდის, ეშმაკმა დალახვროს, ამდენი სამუშაო, ის ტუჩებზე თითს მიიღებდა და დიდის ამბით იტყოდა: „სსუ! მე ექსპორტისთვის ვმუშაობ“. მეტს ვერაფერს წამოაცდენინებდით.

ფიქრიც არ შეიძლებოდა იმაზე, რომ ვინმეს ცხვირი შეეყო მის წისქვილში. თვით პატარა ვივეტაც კი არ შედიოდა იქ.

თუ კაცი წისქვილს გვერდით ჩაუვლიდა, დაინახავდა, რომ კარი ყოველთვის დაკეტილი იყო; დიდი ფრთები მუდამ მოძრაობდნენ, ბებერი ვირი ბალახს სძოვდა ეზოში, ხოლო დიდი გამხდარი კატა მზეზე თბებოდა ფანჯრის რაფაზე და გაბოროტებული იცქირებოდა. ყოველივე ეს საიდუმლოებით იყო მოცული და მრავალ მითქმა-მოთქმას იწვევდა. ყველანი თავისებურად ხსნიდნენ მეწისქვილე კორნილის საიდუმლოებას, მაგრამ ერთ რამეში თანახმანი იყვნენ: ამ წისქვილში მეტია ფულით გატენილი პარკი, ვიდრე ფქვილით გატენილი ტომარაო.

* * *

ბოლოს მაინც ყოველივე გამოირკვა და აი, როგორ:

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ახალგაზრდები ჩემი დუდუკის ხმაზე ცეკვავდნენ, მე შევამჩნიე, რომ ჩემი უფროსი ვაჟი და პატარა ვივეტა შეყვარებული იყვნენ. კაცმა მართალი თქვას, მე არ მწყენია, იმიტომ რომ კორნილის სახელი, რაც უნდა ყოფილიყო, მაინც პატივსაცემად ითვლებოდა ჩვენში, ხოლო იმის ცქერა, თუ როგორ იფრთხილებდა ეს პატარა ლამაზი ჩიტუნია ვივეტა ჩემს სახლში, მე სიამოვნებას მომგვრიდა. მხოლოდ რადგან ჩვენს შეყვარებულთ ხშირად შემთხვევა ეძლეოდათ ერთად ყოფილიყვნენ, მარცხის თავიდან ასაცილებლად, გადავწყვიტე საქმე დაუყონებლივ მომეწესრიგებინა და წისქვილში ავედი, რათა ქალის პაპასთვის ჩამეკრა სიტყვა...

აჰ, ეს ბებერი ჯადოქარი! უნდა გენახათ, როგორ მიმიღო! ვერაფრით კარი ვერ გავაღებინე. როგორც იყო ჩემი მოსვლის მიზეზი ავუხსენი გასაღების ჭუჭყრუტანაში და, სანამ ვლაპარაკობდი, ის ქურდბაცაცა გამხდარი კატა ეშმაკივით თავზე დამფრუტუნებდა.

ბერიკაცმა არც კი დამამთავრებია, უზრდელად დამიყვირა, სჯობს, შენს დუდუკს დაუბრუნდეო; თუ შენი ვაჟის დაქორწინება გეჩქარება, შეგიძლია ფქვილის ქარხანაში წახვიდე და იქაურ გოგოებში აირჩიო საპატარძლოო... თქვენ მიხვდებით, რომ

ამ ბოროტი სიტყვების გაგონებაზე სისხლი ამივარდა თავში, მაგრამ ჭკუა მეყო, რათა თავი შემეკავებინა. უგუნური ბერიკაცი მის დოლაბთან დავტოვე და ბავშვებთან დავბრუნდი, რათა ჩემი მარცხის ამბავი მეთქვა... ამ საბრალო ციკნებს არც კი სჯეროდათ. მთხოვეს, ნება მოგვეცი, ორივენი ერთად ავიდეთ წისქვილში, რათა პაპას მოველაპარაკოთო... მე გამბედაობა არ მეყო, უარი მეთქვა და ფრრ! ჩემი შეყვარებულნი გაფრინდნენ. როცა ისინი იქ მივიდნენ, აღმოჩნდა, რომ ოსტატი კორნილი სადღაც წასულიყო. კარი მაგრად იყო დაკეტილი. მაგრამ მოხუცს კიბე გარეთ დაეტოვებინა, და ბავშვებს მაშინვე თავში აზრი მოსვლოდათ ფანჯრიდან გადამძვრალიყვნენ, რათა ცალი თვალით დაენახათ, რა ხდებოდა ამ ყბადაღებულ წისქვილში.

საოცარი ამბავია! დოლაბიანი ოთახი ცარიელი აღმოჩნდა... არც ერთი ტომარა, არც ერთი მარცვალი ხორბალი არ ჩანდა! არავითარი ფქვილის კვალი არ ეტყობოდა არც კედლებს, არც ობობას ქსელს... თვით იმ ახლად დაფქვილი ხორბლის სასიამოვნო თბილი სუნიც კი არ იდგა, რომლითაც გაჟღენთილია ხოლმე წისქვილები... თავზე მტვრით იყო დაფარული და ზედ გამხდარ კატას ეძინა.

ქვედა ოთახიც ისეთივე ბეჩავი და მიტოვებული ჩანდა: უხეირო საწოლი, რაღაც მონძები, პურის ნატეხი კიბის საფეხურზე, ხოლო კუთხეში სამი თუ ოთხი გახეული ტომარა, საიდანაც ღორღი და კირი ცვიოდა.

აი რა ყოფილა თურმე მოხუცი კორნილის საიდუმლოება! ეს ნაგავი ეტარებინა მას სადამოობით ქუჩაში, რათა წისქვილის ღირსება დაეცვა და ყველანი დაეჯერებინა, რომ იქ პური იფქვებო... საბრალო წისქვილი! საბრალო კორნილი! უკვე დიდი ხანია ფქვილის ქარხნებს მათთვის უკანასკნელი სამუშაო წაერთმია. ფრთები წინანდებურად ტრიალებდნენ, მაგრამ დოლაბი ტყუილად მოძრაობდა.

ბავშვები ატირებული დაბრუნდნენ და ყოველივე ნახული მიაძხეს. გული მეკუმშებოდა, როცა მათ ვუსმენდი... ერთი წუთიც არ დამიყოვნებია, მეზობლებთან გავიქეცი და საქმის ვითარება ავუხსენი ორიოდ სიტყვით; შევთანხმდით, დაუყონებლივ კორნილის წისქვილში მიგვეტანა მთელი

ხორბალი, რომელიც სახლებში მოგვეძებნებოდა. თქმა და შესრულება ერთი იყო. მთელი სოფელი გზას გაუდგა და ჩვენ ზევით ავედით ვირების მთელი ქარავანით, რომელიც ხორბლით იყო დატვირთული, მაგრამ ახლა კი ნამდვილი ხორბლით.

წისქვილის კარი ფართოდ იყო გაღებული... შესავალში კორნილი იჯდა კირის ტომარაზე, თავი ხელებზე დაედო და ტიროდა. შინ დაბრუნებისთანავე შეემჩნია, რომ მის გარეთ ყოფნის დროს წისქვილში ვიღაც შესულიყო და მისი სამწუხარო საიდუმლოება გაეგო.

– ეჰ, მე უბედური! – ამბობდა ის, – ახლა მე აღარაფერი დამრჩენია გარდა სიკვდილისა... წისქვილი პატივახდილია...

და ის გულის გამგმირავად ქვითინებდა, სხვადასხვა სახელს უწოდებდა თავის წისქვილს, მას ისე ელაპარაკებოდა, როგორც ნამდვილ ადამიანს.

ამ დროს ვირები ეზოში ავიდნენ, და ჩვენ ყვირილი დავიწყეთ როგორც ქარის წისქვილების აყვავების დროს ვიცოდით ხოლმე.

– ჰეი, წისქვილში ვინ არის? ჰეი, მია კორნილ!

და კარის წინ ტომრები გროვდება, და მიწაზე მშვენიერი ოქროსფერი ხორბალი ცვივა ყოველი მხრიდან...

მოხუცმა კორნილმა ფართოდ დააღო თვალები. მან თავის ბებერ ხელისგულზე დაიყარა ხორბალი და სიცილითა და ტირილით წამოიძახა:

– ეს ხომ ხორბალია!.. ღმერთო ჩემო!.. ნამდვილი ხორბალია... მაცალეთ, ვუცქირო. შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა:

– ოჰ, მე ვიცოდი, რომ თქვენ ჩემთან დაბრუნდებოდით... ეს, მექარხნეები ყველანი ქურდები არიან. ჩვენ გვინდოდა ის ზეიმით წაგვეყვანა სოფელში.

– არა, არა, შვილებო, ჯერ ჩემი წისქვილი უნდა დავაპურო. თვითონვე განსაჯეთ! ძალიან დიდი ხანია, რაც მას არაფერი ჩაუდვია პირში!

ყველას თვალებზე ცრემლი მოგვადგა, როცა ამ საბრალო მოხუცს ვუცქეროდით: ის ხან მარჯვნივ აწყდებოდა, ხან მარცხნივ, ხსნიდა ტომრებს, უთვალთვალედა დოლაბს იმ დროს, როცა ხორბალი იფქვოდა და პურის ფქვილის მტვერი ჭერისკენ მიჰქროდა...

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ჩვენც კარგად მოვიქცეთ: ამ დღიდან დაწყებული ჩვენ არასოდეს არ დავგიტოვებია უსაქმოდ ბებერი მეწისქვილე. შემდეგ ერთ დილას მია კორნილი მოკვდა, და ჩვენი უკანასკნელი წისქვილის ფრთებმა ტრიალი შესწყვიტეს, ახლა კი სამუდამოდ... კორნილი მოკვდა და მას

აღარავინ არ შეენაცვლა... რას იზამთ, ჩემო ბატონო! ყველაფერს დასასრული აქვს ამ ქვეყნად, და უნდა ვიფიქროთ, რომ ქარის წისქვილების დროც ისევე წავიდა, როგორც რონის ბრტყელპირიანი ნავებისა, პარლამენტებისა და ფართოყვავილებიანი ზედატანებისა.

ბატონი სეგენის თხა

ბატ. პიერ გრენგუარს, ლირიკოს პოეტს პარიზში. შენ არასოდეს არ გამოიცვლები, ჩემო საბრალო გრენგუარ!

როგორ! მექრონიკის ადგილს გთავაზობენ პარიზის დიდ გაზეთში და შენ გამბედაობა შეგწევს უარი სთქვა... ერთი შენს თავს შეხედე, საბრალო ადამიანო! შეხედე მაგ დახეულ ფლანელის პერანგს, მაგ დაძონძილ შარვალს, მაგ დალეულ სახეს, რომელიც შიმშილზე ღაღადებს. აი, სად მიგიყვანა მშვენიერი რითმების ვნებიანმა სიყვარულმა! აი, რა დაგიჯდა ათი წლის პატიოსანი სამსახური მისი უდიდებულესობის აპოლონის პაჟად... ნუთუ ბოლოს, არ გრცხვენია?

გახდი მექრონიკე, შე სულელო! მექრონიკე გახდი-მეთქი! ჯიბეში მშვენიერ ვერცხლის ფულებს ჩაიჩხრიალებ, ბრებანთან ისადილებ მუდამ, ხოლო პრემიერების დღეებში შეგეძლება ახალფრთიანი ქუდით გამოჩნდე თეატრში...

არა? შენ ეს არ გინდა? გადაწყვეტილი გაქვს თავისუფალი დარჩე ბოლომდე?.. ძალიან კარგი; მაშ მოისმინე ბატონი სეგენის თიკნის ამბავი. შენ დაინახავ, სად მივყევართ თავისუფალი ცხოვრების სურვილს.

* * *

ძია სეგენს თხებში არასოდეს ბედი არ სწყალობდა.

ის მათ ყველას ერთნაირად ჰკარგავდა: ერთ მშვენიერ დილას ისინი თოკს სწყვეტდნენ, მთაში გარბოდნენ და იქ მათ მგელი სჭამდა. არც მათი პატრონის ალერსი, არც მგლის შიში, არაფერი მათ არ აკავებდა. ეს, როგორც ეტყობა, დამოუკიდებელი ხასიათის თხები იყვნენ, რომელნიც მზად იყვნენ ყოველივე ხალვათი და თავისუფალი ცხოვრებისთვის შეეწირათ.

ძია სეგენი, რომელსაც ვერაფრით ვერ გაეგო თავისი ცხოველების ზნე, დიდად შეწუხებული იყო. ის ამბობდა:

– მორჩა და გათავდა! თხები იწყენენ ჩემსას, მე ამათ აღარ ვიყოლიებ.

ამისდა მიუხედავად, ის სასოწარკვეთილებას არ მიეცა და ერთი და იმავე გზით ექვსი თხის დაკარგვის შემდეგ, მეშვიდე იყიდა, მხოლოდ ამჟამად სრულიად ახალგაზრდა აირჩია, რათა ის უკეთ შესჩვეოდა მასთან ცხოვრებას.

აჰ, გრენგუარ, რა ლამაზი იყო მია სეგენის ეს პატარა თხა! რა ლამაზი იყო იგი თავისი მშვიდი თვალებით, უნტეროფიცრის წვერით, მბრწყინავი შავი ჩლიქებით, ზოლიანი რქებით და გრძელი თეთრი ბაღნით, რომელიც ძველებურ ფართო წამოსასხამს ჰგავდა. ის თითქმის ისევე მომხიბლავი იყო, როგორც ესმერალდას¹⁹ თიკანი, – ხომ გახსოვს, გრენგუარ? – ამასთანავე თვინიერი, ალერსიანი; წველის დროს არ გაინძრეოდა, არც ფეხებს ჩადგამდა საწველელებში, ერთი სიტყვით, მეტად საყვარელი რამ იყო ეს თხა.

მია სეგენს სახლის უკან კუნელით შემორგული ადგილი ჰქონდა. მან იქ მოათავსა თავისი ახალი პანსიონერი. მან ის პალოზე მიაბა, საუკეთესო ადგილზე მინდორში, რაც შეიძლებოდა გაუგრძელა თოკი, ამას გარდა დროგამოშვებით დასახედავად მიდიოდა, კარგად არის თუ არაო. თხა თავისთავს ბედნიერად გრძნობდა და ისე მადიანად სწიწნიდა ბალახს, რომ მია სეგენი აღტაცებული იყო.

– ძლივს არ ვიშოვე ისეთი თხა, რომელიც არ მოიწყენს ჩემს გვერდით, – ფიქრობდა საბრალო კაცი. მია სეგენი ცდებოდა, მისმა თხამ მოიწყინა.

* * *

ერთხელ მან მთას შეხედა და თავის გულში ჩაილაპარაკა:

– რა კარგი უნდა იყოს იქ, მაღლა! რა სასიამოვნოა ნეგოში ხტუნაობა, ისე რომ ყელზე ეს წყეული თოკი არ გიჭერდეს, შემოღობილში ბალახის ძოვა უფრო ვირსა და ხარს შეეფერება!.. თხებს იალაღი სჭირდებათ.

ამის შემდეგ ეზოს ბალახი მას უგემურად ეჩვენა. ის მოწყენილობამ მოიცვა. გახდა, რძე თითქმის გაუშრა. საცოდაობა იყო იმის ცქერა, როგორ ეწეოდა მთელი დღე თოკს, როგორ მიებრუნებინა თავი მთისკენ, ნესტოები გაფართოებოდა და შესაბრალისად კიკინებდა „მეე!“

მია სეგენი კარგად ამჩნევდა, რომ მის თხას რაღაც მოსდიოდა, მაგრამ კი ვერ გაეგო რა... ერთხელ დილით, როცა ის წველას ათავებდა, თხა მიბრუნდა და უთხრა თავის ჟარგონზე:

– ყური დამიგდეთ, მია სეგენ, მე დარდისაგან გული მეღევა თქვენსას, გამიშვით, მთაში წავიდე.

– აჰ, ღმერთო ჩემო!.. ესეც! – წამოიძახა ელდანაკრავმა მია სეგენმა და მოულოდნელობისაგან ხელიდან გაუვარდა საწველეელი; შემდეგ მოლზე ჩამოჯდა თხის გვერდით.

– როგორ, ბლანკეტ, შენ გინდა მიმატოვო?

და ბლანკეტმა უპასუხა:

- ჰო, ძია სეგენ.
- ბალახი ხომ არ გაკლია აქ?
- ოჰ, არა, ძია სეგენ.
- ეგებ მეტისმეტად მოკლედ ხარ მიზმული; გინდა თოკი დაგიგრძელო?
- თავის შეწუხებად არ ღირს, ძია სეგენ.
- მაშ რაღა გჭირდება? რა არის შენი სურვილი?
- მე მინდა მთაში წავიდე, ძია სეგენ.
- შე უბედურო, განა არ იცი, რომ მთაში მგელია... რას იზამ, როცა ის მოვა?
- ვურქენ, ძია სეგენ.

-მგელს სასაცილოდ არ ეყოფა შენი რქენა, მან შენზე უფრო მარქენალი თხები შემიჭამა... შენ ხომ იცნობდი საბრალო ბებერ რენოდს, რომელიც შარშან იყო აქ? საუცხოო დედალი თხა იყო, ვაცივით ღონიერი და ბოროტი. მთელი ღამე ებრძოდა მგელს... დილით მგელმა მაინც შეჭამა.

- ვაი, ვაი, საბრალო რენოდ!... მაგრამ არა უშავს რა, ძია სეგენ, გამიშვით მთაში.
- ღმერთო მოწყალეე!.. – სთქვა ძია სეგენმა; – ეს რა მოსდით ჩემს თხებს? ამასაც მგელი შემიჭამს... მაგრამ არა... მე შენ გადაგარჩენ შენი სურვილის წინააღმდეგ, შე სამაგელო! და რათა თოკი არ გაწყვიტო, ბოსელში დაგამწყვდევ და სამუდამოდ იქ დარჩები.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე ძია სეგენმა უკუნივით ბნელ ბოსელში შეიყვანა თხა და მაგრად ჩაკეტა იქ. საუბედუროდ, ფანჯრის დახურვა დაავიწყდა, და მისი წასვლა და თხის გაქცევა ერთი იყო...

შენ გეცინება, გრენგუარ? რა თქმა უნდა: შენ თხის მხარეზე ხარ, ამ კეთილი ძია სეგენის წინააღმდეგ... ვნახოთ, ცოტა ხნის შემდეგაც გაიცინებ თუ არა.

თეთრი თხის გამოჩენამ მთაში საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. ბებერ ნაძვებს არასოდეს არაფერი უნახავთ ასეთი ლამაზი. ისე მიიღეს, როგორც ახალგაზრდა დედოფალი. წაბლის ხეები მიწამდე იხრებოდნენ, რათა მას შტოების წვერებით მიეალერსებოდნენ. ოქროს შავთავები გულს იხსნიდნენ, როცა ის გზად მიდიოდა, და

სურნელებას აკმევდნენ, რამდენადაც შეეძლოთ. მთელმა მთამ დღესასწაული გაუმართა.

ადვილად წარმოიდგენ, გრენგუარ, რა ბედნიერი იყო ჩვენი თხა! არც თოკი, არც პალო... არაფერი ხელს არ უშლიდა ეკუნტრუმა და ბალახი ეძოვა, სადაც უნდოდა. ბალახი ხომ თავზე საყრელი იყო, სწორედ რქებს ზემოთ სწვდებოდა, ჩემო კარგო!.. და მერე რა ბალახი! ნოყიერი, ნაზი, დაკბილული, სულ სხვადასხვაგვარი... არ ჰგავდა ეზოს მოლს.

ახლა ყვავილებს არ იკითხავ!.. დიდი ლურჯი მაჩიტელა, გრძელჯამიანი მუქი წითელი ფუტკარა, მთელი ტყე ველური ყვავილებისა, დამათრობელი წვენიტ სავსე!..

ნახევრად მთვრალი თხა შიგ კოტრიალობდა, ფეხებს იქნევდა და ფერდობზე ეშვებოდა ჩამოცვენილ ფოთლებსა და წაბლთან ერთად... შემდეგ უცებ ერთი ნახტომით ფეხებზე დგებოდა. ჰოპ! და აი ის თავწაწეული მიჰქროდა შამბნარში და ბზის ბუჩქნარში; ხან კლდეზე ავარდებოდა, ხან ხრამში ჩახტებოდა ხოლმე... კაცი იფიქრებდა, მთაში ერთი კი არა, ძია სეგენის ათი თხა მაინც არისო. საქმე ისაა, რომ ბლანკეტს არაფრის არ ეშინოდა.

ერთი ნახტომით გადადიოდა ფართო ნაკადებს, რომელნიც მას შხეფითა და ქაფით ასველებდნენ. მაშინ, მთლად გაწუწული, სადმე ბრტყელ კლდეზე წვებოდა და მზეზე შრებოდა... ერთხელ ზეგანის ნაპირთან მივიდა ტირიფნარის ყვავილით პირში და ქვემოთ, სულ შორს, დაბლობში, ძია სეგენის სახლი დაინახა, უკან შემოღობილი ადგილით. ამან იმდენი აცინა, რომ ცრემლები წამოსცვივდა.

– რა პატარაა! – სთქვა მან, – როგორ ვეტეოდი იქ? საბრალო! რაკი ასე მაღლა წამოსკუპებულიყო, ეგონა მთელი ქვეყნის ოდენა მაინც ვარო...

ერთი სიტყვით, ეს ბედნიერი დღე იყო ძია სეგენის თხისთვის. შუადღისას, მარჯვნივ და მარცხნივ სირბილში, ის შვლების ჯოგში მოხვდა, რომელნიც მაღიანად შეექცეოდნენ უსურვავს. ჩვენმა თეთრკაბიანმა ლტოლვილმა სენსაცია მოახდინა. მას საუკეთესო ადგილი დაუთმეს ვენახში, და ყველა ამ ვაჟბატონმა დიდი თავაზიანობა გამოიჩინა... ცნობა მაქვს, – მაგრამ ეს ჩვენს შორის უნდა დარჩეს, გრენგუარ, – რომ ერთი შავბეწვიანი ახალგაზრდა შველი იმდენად ბედნიერი აღმოჩნდა, რომ მოეწონა ბლანკეტს. მიჯნურნი ერთი-ორი საათით მიიმალნენ ტყეში, და თუ გინდა იცოდე რა

უთხრეს ერთმანეთს, წადი და ლაქლაქა ნაკადულებს ჰკითხე, რომელნიც უჩინრად მირბიან ხავსის ქვეშ.

* * *

უცებ გრილმა სიომ დაჰბერა. მთა იისფერმა ნისლმა დაჰფარა; დაღამდა...

– უკვე! – სთქვა თხამ და შეჩერდა საგონებელში ჩავარდნილი.

დაბლობში ყანები ნისლში იყო გახვეული. ძია სეგენის ეზო ბურუსში გაჰქრა, ხოლო სახლიდან არაფერი ჩანდა, გარდა სახურავისა და ცოტაოდენი კვამლისა. მას მოესმა დაბრუნებული ჯოგის ზანზალაკების წკრიალი და გული სევდით აევსო. სონღული, რომელიც თავის ბუდისკენ მიფრინავდა, ფრთებით შეეხო ანაზდეულად. ტანში ჟრუანტელმა დაურბინა... შემდეგ მთაში ღმუილი გაისმა:

– ჰუუ! ჰუუ!

მგელი გაახსენდა; მთელი დღის განმავლობაში სულელს ერთხელ არ მოჰგონებია იგი... იმავე წუთში სადღაც შორს დაბლობში საყვირის ხმა გაისმა. ეს იყო კეთილი ძია სეგენი, რომელიც უკანასკნელ ღონისძიებას მიმართავდა.

– ჰუუ! ჰუუ! – ღმუოდა მგელი.

– დაბრუნდი! დაბრუნდი! – ყვიროდა სეგენი.

ბლანკეტს შინ დაბრუნება მოუნდა, მაგრამ მას გაახსენდა პალო, თოკი, შემოღობილი ეზო და გაიფიქრა, რომ ახლა ვეღარ შეეგუებოდა იმავე ცხოვრებას და უმჯობესი იყო დარჩენილიყო.

საყვირი დუმდა...

თხამ უკან ფოთლების შრიალი გაიგონა. მობრუნდა და სიბნელეში ორი მოკლე, აცქვეტილი ყური და ორი ანთებული თვალი დაინახა... ეს მგელი იყო.

* * *

უზარმაზარი, უმოძრაო, ის თავის უკანა ფეხებზე იჯდა და ისე უცქეროდა თეთრ თხას, თითქოს წინდაწინ უსინჯავს გემოსო. ის არ ჩქარობდა, რადგან იცოდა, რომ სულერთია შეჭამდა; მხოლოდ როდესაც ბლანკეტი უკან მობრუნდა, მან ბოროტად გაიცინა:

– ჰა! ჰა! ძია სეგენის პატარა თხავ! – და მან თავისი გრძელი წითელი ენა აბედის მაგვარ ტუჩებზე გაატარა.

ბლანკეტმა იფიქრა, დავილუპეო... მას გაახსენდა ბებერი რენოდის ამბავი, მისი ბრძოლა მთელი ღამის განმავლობაში, რათა დილით მგლის კერძი გამხდარიყო, და გაიფიქრა, ეგებ სჯობდეს ახლავე შევაჭმევინო თავიო; შემდეგ გადაიფიქრა, თავდაცვის პოზიცია დაიჭირა, თავი დახარა და რქები მოიმარჯვა, როგორც ძია სეგენის მამაც თხას შეეფერებოდა... იმის იმედი კი არ ჰქონდა, რომ მგელს მოვკლავო, – თხები მგელს არ ჰკლავენ, – მხოლოდ უნდოდა დარწმუნებულიყო, გაუძლებდა თუ არა იმდენ ხანს, რამდენიც რენოდმა გაუძლო... მაშინ მხეცი მიუახლოვდა, ხოლო ბლანკეტის პატარა რქები აცეკვდნენ.

აჰ, როგორ ვაჟკაცურად ჩაება ამ ბრძოლაში უშიშარი თხა! ათჯერ მაინც, – მე არ ვაჭარბებ, გრენგუარ, – მან უკან დაახევინა მგელს, რათა სული მოეთქვა. ამ წუთიერი შესვენების დროს ის მსუნაგი საჩქაროდ სწყვეტდა მისთვის ძვირფასი ბალახის ღეროს, შემდეგ ბრძოლას უბრუნდებოდა სავსე პირით... ასე გაგრძელდა მთელი ღამე. დროდადრო ძია სეგენის თხა ნათელ ცაზე ვარსკვლავების ფერხულს შესცქეროდა და თავის გულში ამბობდა:

– ოჰ, ოღონდ ალიონამდე გავძლო...

ვარსკვლავები ჩაქრნენ ერთიმეორის მიყოლებით. ბლანკეტმა რქენას უმატა, მგელმა კბენას... ჰორიზონტზე მკრთალი სინათლე გამოჩნდა... ფერმიდან მამლის ჩახლეჩილი ხმა მოისმა.

– გათავდა! – სთქვა საწყალმა ცხოველმა, რომელიც მხოლოდ გათენებას უცდიდა, რათა მომკვდარიყო. და ის მიწაზე გაიშოტა თავისი მშვენიერი თეთრი ქათიბით, რომელიც მთლად სისხლით იყო შესვრილი. მაშინ მგელი ეცა და შეჭამა ჩვენი პატარა თხა.

* * *

მშვიდობით, გრენგუარ!

ამბავი, რომელიც შენ მოისმინე, ჩემ მიერ შეთხზული ზღაპარი როდია. თუ ოდესმე პროვანსში მოხვედი, ჩვენი გლეხებისაგან ხშირად გაიგონებ ძია სეგენის თხის ამბავს, როგორ ებრძოდა ის მთელი ღამე მგელს და შემდეგ როგორ შეჭამა დილით მგელმა. ხომ გესმის ჩემი, გრენგუარ: დილით მგელმა შეჭამა.

ვარსკვლავები

პროვანსელი მწყემსის ნაამბობი

იმ ხანებში, როცა მე ფარას ვმწყემსავდი ლიუ ბერონზე, ხანდახან მთელი კვირა ისე გავიდოდა, რომ ადამიანი არ გაიჭაჭანებდა მახლობლად; მარტოდმარტო ვიყავი იალაღზე, ჩემს ძაღლს ლაბრისა და ჩემს ფარასთან ერთად. დროგამოშვებით მონდელიურის განდევილი თუ გაივლიდა სამკურნალო ბალახების საძებნელად, ან პიემონტის მენახშირეების შემურული სახეები თუ გამოჩნდებოდა; მაგრამ ეს გულუბრყვილო, მარტობისაგან ენაჩავარდნილი ადამიანები იყვნენ, რომელთაც ლაპარაკის ხალისი დაჰკარგოდათ და არაფერი იცოდნენ, თუ რა ხდებოდა ქვემოთ სოფლებსა და ქალაქებში. ამიტომ მე ჭეშმარიტად ბედნიერი ვიყავი, როცა ორ კვირაში ერთხელ მთისკენ მომავალ გზაზე ჩვენი ფერმის ჯორის ზანზალაკს გავიგონებდი; ეს ჩემთვის ორი კვირის საგზალი მოჰქონდათ; მე ვხედავდი, როგორ ჩნდებოდა თანდათან ფერდობს ზემოთ პატარა მთაროს (ფერმის ბიჭი) მკვირცხლი სახე, ან ბებერი ძაღლუა ნორადის ჟღალი თავსაკრავი. მე მათ ვაამბობინებდი ბარში მდებარე ქვეყნის ამბებს, ვინ მოინათლა, ვინ დაქორწინდა. მაგრამ ყველაზე მეტად მაინტერესებდა, რას შვრებოდა ჩვენი პატრონების ქალიშვილი სტეფანეტა, ულამაზესი გოგონა ათი ლიეს მანძილზე ირგვლივ. გულგრილი სახით, ვითომდა სხვათაშორის, მე ვკითხულობდი, ხშირად დადის თუ არა ის დღეობაში, ღამის თევაში, ახალი თავყანისმცემლები ხომ არ გაუჩნდნენ-მეთქი; ხოლო თუ ვინმე მკითხავს, რა გესაქმებოდა ყოველივე ამასთან შენ, საწყალ მომთაბარე მწყემსო, მე ვუპასუხებ, რომ მაშინ ოცი წლის ვიყავი, ხოლო სტეფანეტაზე უმშვენიერესი არავინ მენახა ოდესმე ჩემს სიცოცხლეში.

ერთხელ კვირა დღეს, როცა ნახევარი თვის სანოვაგეს ველოდი, მისი მოტანა ძლიერ დაგვიანდა. დილით ვთქვი, ალბათ, გრძელმა წირვამ შეუშალა ხელიმეთქი; შემდეგ შუადღისას დიდი ჭექა-ქუხილი ატყდა, და გავიფიქრე, ალბათ, ჯორმა ვერ იარა გზების გაფუჭების გამო-მეთქი. ბოლოს, როცა სამ საათზე ცა მოიწმინდა, ხოლო გადარეცხილი მთა გაბრწყინდა მზის შუქზე, მე ფოთლებიდან ჩამოცვენილი წვეთებისა და ადიდებული ნაკადულების ხმაურობაში ჯორის ზანზალაკის ხმა მომესმა, ისეთივე მხიარული და ცქრიალა, როგორც აღდგომის ზარების რეკა. მაგრამ ჯორი არც პატარა მთაროს მოჰყავდა, არც მოხუც ნორადს. ეს იყო... აბა გამოიცანით!.. ჩვენი ქალიშვილი,

ბიჭებო! თვით ჩვენი ქალიშვილი, წელში გამართული იჯდა ტირიფის კალათებს შუა, სახემწითლებული მთის ჰაერისა და ქარიშხლის სიგრილისაგან.

პატარა ბიჭი ავად გამხდარიყო, ძაღლუა ნორადი დასასვენებლად წასულიყო თავის შვილებთან. მშვენიერმა სტეფანეტამ ყოველივე ეს მიაგმო ჯორიდან

ჩამოხტომისთანავე; აგრეთვე მითხრა: იმიტომ დავიგვიანე, რომ გზა დამეხნაო, მაგრამ ის ისე სადღესასწაულოდ იყო გამოწყობილი, ისეთი ყვავილებიანი ლენტით მორთული კაბა და მაქმანი ჰქონდა, რომ კაცი იმას კი არ იფიქრებდა, რომ გზა არეგია სადღაც ბუჩქებში, არამედ სადმე ცეკვაზე შერჩენილაო. ოჰ, საყვარელო არსებავ! თვალები ვერ მომეშორებინა მისთვის. ესეცაა, რომ მანამდე არასოდეს მინახავს ასე ახლო. ხანდახან ზამთარში, როცა ფარა ბარში ჩადიოდა და მე ფერმაში შევდიოდი სავახშმოდ, ის დარბაზში გაივლიდა ხოლმე მკვირცხლად, ყოველთვის კარგად მოკაზმული და ოდნავ ამაყი, არასოდეს მოსამსახურეებს არ დაელაპარაკებოდა... და ახლა იგი ჩემს წინ იდგა, მხოლოდ ჩემთვის მოსულიყო. განა ეს საკმაო არ იყო თავგზის დასაკარგავად?

როცა სტეფანეტამ სანოვაგე ამოალაგა კალათიდან, მან ცნობისმოყვარეობით დაიწყო თავის გარშემო ცქერა. ცოტათი აიწია თავისი საკვირადლეო ლამაზი კაბა, რათა ის ტალახში არ დაესვარა და ბაკში შევიდა. მოისურვა ენახა ის კუთხე, სადაც ვიძინებდი, ჩალის ფარდული ცხვრის ტყავგადაფარებული საწოლით, კედელზე ჩამოკიდებული ჩემი დიდი წამოსასხამი, ჩემი კომბალი, ჩემი კაჟიანი თოფი. ყოველივე ეს მას ართობდა.

– მაშ აი სად ცხოვრობ, ჩემო საბრალო მწყემსო! ალბათ, ძალიან მოგწყინდება მუდამ მარტოდმარტო ყოფნა. რას აკეთებ? რაზე ფიქრობ?..

დიდი სურვილი მქონდა მეპასუხნა: თქვენზე ქალბატონო მეთქი, და ეს ტყუილი არ იქნებოდა; მაგრამ ისე ძლიერ ვიყავი შეშფოთებული, რომ კრინტიც ვერ დამეძრა. მგონია, მან ეს შეამჩნია და ის საძაგელი განგებ შეეცადა ჩემი შეშფოთება გაეორკეცებინა თავისი თვალთმაქცობით:

– განა შენი მეგობარი ქალი ხანდახან შენს სანახავად არ ამოდის, მწყემსო?.. ის, ალბათ, ოქროს ციკანია ან ფერია ესტერელაა, რომელიც მხოლოდ მთის მწვერვალებზე

დარბის...

თვით ის, ჩემთან საუბრის დროს, ფერია ესტერელას ჰგავდა უკან გადახრილი თავით, მშვენიერი ღიმილით და ჩქარა წასვლის სურვილით, რაიცა მის სტუმრობას ფერიის მოჩვენებას ამსგავსებდა.

– მშვიდობით, მწყემსო. – გამარჯვებით, ქალბატონო.

და ის წავიდა ცარიელი კალათებით.

როდესაც ქალი ქვევით მიმავალ ბილიკზე გაჰქრა, მომეჩვენა, თითქოს მისი ჯორის ნალების მიერ აგორებული ქვეები თითო-თითოდ გულზე მეცემოდა. იმათი ხმა დიდხანს, დიდხანს მესმოდა; და დაღამებამდე ბურანში ვიყავი ისე,

რომ განძრევასაც ვერ ვხედავდი იმის შიშით, რომ სიზმარი არ გავფანტო-მეთქი. როცა დღე და ღამე იყრებოდა, ხეობებში ლურჯი ჩრდილები ჩამოწვა, ხოლო პირუტყვი ბლავილით

ერთმანეთს მიეკრა, რათა ბაკში დაბრუნებულიყო, მომესმა, რომ ვიღაც მეძახდა დაღმართიდან; იქით გავიხედე და ჩვენი ქალიშვილი დავინახე, მაგრამ წელანდელივით მოცინარი კი არა, არამედ შიშით, სიცივითა და სინესტით აკანკალებული. როგორც გამოირკვა, მთის ძირში მიმდინარე სორგი ნიაღვრის გამო ისე ადიდებულიყო, რომ სტეფანეტა, რომელსაც მთელი თავისი ძალღონით მისი გადალახვა ეცადნა, კინაღამ დამხრჩვალყო. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ ამ სადამოს ჟამს ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ფერმაში დაბრუნებაზე: მოსავლელ გზას ის მარტო ვერასოდეს ვერ გაიგნებდა, მე კი არ შემეძლო ფარის დატოვება. ეს აზრი, რომ ღამე მთაში უნდა გავათიოო, ძალიან სტანჯავდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ შინაურებს შეეშინდებათო. მე რამდენიც შემეძლო, ვამშვიდებდი:

– ივლისში ღამეები მოკლეა, ქალბატონო... ეს ერთი უსიამოვნო წუთი იქნება და მეტი არაფერი.

მე საჩქაროდ დიდი ცეცხლი დავანთე, რათა მას ფეხები და სორგის წყალში დასველებული კაბა გაეშრო. შემდეგ წინ რძე და ცხვრის ყველი დავუდგი; მაგრამ საბრალო არც გათბობას ფიქრობდა და არც ჭამას, ხოლო როცა მე დავინახე, როგორ აევსო თვალები მსხვილი ცრემლებით, თვითონაც გული ამიტირდა.

ამასობაში მთლად დაღამდა. მთების წვერზე მხოლოდ მზის მტვერი ციმციმებდა. ეს იყო სინათლის უკანასკნელი ციაგი დასავლეთის მხრით. მე მინდოდა, რომ ჩვენი ქალიშვილი ფარეხში შესულიყო დასასვენებლად. ახალ ჩალაზე კარგი ტყავი გავუშალე, ღამენებისა ვუსურვე და გარეთ დავექეცი ფარეხის შესავალთან... ღმერთია ჩემი მოწამე, რომ სიყვარულის აღის მიუხედავად, რომელიც მწვავდა, არავითარ ცუდ აზრს არ გაუვლია ჩემს თავში; მხოლოდ რაღაც სიამაყე ვიგრძენი, როცა წარმოვიდგინე, რომ ფარეხის ერთს კუთხეში, ცხვრის ფარის გვერდით, რომელიც მას ცნობისმოყვარეობით უცქეროდა, ჩემი პატრონების ქალიშვილი ისვენებდა, როგორც ჩემს მფარველობას მინდობილი, ყველაზე ძვირფასი და ყველაზე თეთრი ბატკანი. არასოდეს ცა ასე უძირო, ვარსკვლავები ასე ბრწყინვალე არ მჩვენებია... უცებ ფარეხის კარი გაიღო და იქიდან მშვენიერი სტეფანეტა გამოვიდა. მას ვერ მოეხერხებინა დაძინება. ცხვრები ფეხით სთელავდნენ და მეტისმეტად ახმაურებდნენ ჩალას, ან ბლაოდნენ სიზმარში. ქალმა ამჯობინა ცეცხლის პირას დამჯდარიყო. მე მხრებზე ჩემი

ცხვრის ტყავი გადავაფარე, ცეცხლს შევუკეთე, და ჩვენ ერთიმეორის გვერდით დავსხედით ჩუმად. თუ თქვენ ოდესმე ღამე გაგიტარებიათ ცის ქვეშ, გეცოდინებათ, რომ იმ დროს, როცა ჩვენ გვძინავს, მთელი საიდუმლო ქვეყანა იღვიძებს მარტოობასა და დუმილში. მაშინ ნაკადულები უფრო ხმამაღლა მღერიან, ტბორებში პატარა სინათლეები ინთება, მთის სულები თავისუფლად მიმოდიან, და ჰაერში რაღაც შრიალი, რაღაც გაურკვეველი ხმაურობა დგას, თითქოს ისმოდეს, როგორ იზრდებიან ხის ტოტები, როგორ ამოდის ბალახი. დღისით არსებანი ცხოვრობენ, ღამით – საგნები. ვინც ამას შეჩვეული არ არის, იმას შეეშინდება... ამიტომაც ჩვენი ქალიშვილი განუწყვეტლივ თრთოდა და მე მეკვროდა ყოველ გაფაჩუნებაზე. აი ტბორიდან, რომელიც ქვემოთ ლივლივებდა, ხანგრძლივი, სევდიანი ხმა გაისმა და ჩვენამდე მოაღწია ჰაერის რხევით. იმავე წუთში თავზე მშვენიერმა ცისიერმა ვარსკვლავმა გადაგვისრიალა ტბორის მიმართულებით, თითქოს ჩივილის ხმა, რომელიც ის იყო იქიდან მოგვესმა, სინათლეს მოუწოდებდა თავისკენ.

– ეს რა არის? – მკითხა სტეფანეტამ ხმადაბლა.

– სული, რომელიც სამოთხეში შედის; – და მე პირჯვარი გამოვისახე.

იმანაც პირჯვარი გადაიწერა და ერთ წუთს დაფიქრებულმა შეხედა ზეცას, შემდეგ მითხრა:

– ეს მართალია, მწყემსო, რომ თქვენ ყველანი ჯადოქრები ხართ?

–სრულიადაც არა. მაგრამ აქ ჩვენ ვარსკვლავების მახლობლად ვცხოვრობთ და ბარის მცხოვრებლებზე უკეთ ვიცით, რა ხდება იქ.

ის სულ ზევით იცქირებოდა, ხელებზე თავდაყრდნობილი, ცხვრის ტყავში გახვეული პატარა ზეციერი მწყემსივით.

– ოჰ, რამდენია! რა მშვენიერები არიან! არასოდეს ამდენი არ მინახავს ერთად... იცი მათი სახელები, მწყემსო?

– როგორ არა, ბატონიშვილო.. ყური დამიგდეთ. აი, პირდაპირ ჩვენს თავზე წმინდა იაკობის გზაა (ირმის ნახტომი). ის საფრანგეთიდან პირდაპირ ესპანეთში მიდის: გალისიის წმინდა იაკობს წაუყვანია, რათა გზა ეჩვენებინა მამაცი კარლოს დიდისთვის,

როცა ის სარკინოზებს ებრძოდა^[10]. მოშორებით „სულთა ეტლს“ (დიდ ხარგუთანს) ხედავთ მისი ოთხი ბრწყინვალე ღერძით. სამი ვარსკვლავი, რომელნიც წინ მოჩანან, „სამი ცხოველია,“ ხოლო ყველაზე პატარა, მესამის მახლობლად, „მეეტლეა“. ხედავთ გარშემო ვარსკვლავების წვიმას? ეს სულები არიან, რომელთა მიღება ღმერთს არ სურს... ცოტა ქვემოთ, აი, „ფოცხია“, ანუ „სამი

მეფე“ (ორიონი). ის ჩვენ საათის მაგივრობას გვიწევს: ერთი მისი შეხედვით ვიცი, რომ ახლა შუალამე გადასულია. ცოტა უფრო ქვემოთ, სამხრეთისკენ, „ჟან მილანელი“ (სირიუსი) ბრწყინავს, ვარსკვლავთა მანათობელი. აი რას გვიამბობენ მწყემსები ამ ვარსკვლავის შესახებ: ერთხელ ღამით ჟან მილანელი სამ მეფესა და „კრუხთან“ (ხომლთან) ერთად მიწვეული იყო მეგობარი ვარსკვლავის ქორწინებაზე. კრუხს ეჩქარებოდა, ის პირველი გაუდგა გზას და ზედა გზა აირჩიაო. შეხედეთ ზემოთ, ცის სიღრმეში. სამმა მეფემ უფრო მოკლედ გადასჭრა ქვემოთ და ისინი მას დაეწივნო. ხოლო ზარმაცმა ჟან მილანელმა გვიანამდე იძინა, უკან ჩამორჩა და, რათა ისინი შეეჩერებინა, განრისხებულმა თავისი კვერთხი ესროლაო... ამიტომ სამი მეფის, აგრეთვე ჟან მილანელის კვერთხს ეძახიან... მაგრამ ყველაზე ღამაში ვარსკვლავი, ქალბატონო, ჩვენია, „მწყემსის ვარსკვლავი“, ის, რომელიც ალიონზეც გვინათებს, როცა ფარა გამოგვყავს და საღამოსაც, როცა შინ ვბრუნდებით.

ჩვენ მას აგრეთვე „მაგელონს“ ვუწოდებთ, მშვენიერ მაგელონს, რომელიც „პიერ პროვანსელს“ (სატურნს) ეაშიკება და მასზე თხოვდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ.

– რას ამბობ, მწყემსო, განა ვარსკვლავებიც ქორწინდებიან?

– ჰო, ჩემო ქალბატონო.

და როდესაც მე დავიწყე ახსნა, როგორ ხდებოდა ეს დაქორწინება, ვიგრძენი, რომ რაღაც ქორფა და ნაზი მსუბუქად დაეყრდნო ჩემს მხარს. ეს იყო ძილით დამძიმებული თავი, რომელიც ლენტების, მაქმანების და ხუჭუჭა თმის მომხიბლავი შრიალით დამაწვა. ის ასე დარჩა გაუნძრევლად იმ წუთამდე, როცა ცის მნათობებმა ფერი იცვალეს და გაჰქრნენ მოახლოებული დღის სინათლეზე. მე მას დავცქეროდი მძინარეს, ოდნავ შეშფოთებული ჩემი არსების სიღრმეში, მაგრამ წმინდად დაცული ამ ნათელი ღამის მიერ, რომელსაც ჩემთვის არასოდეს არაფერი ჩაუგონებია, გარდა მშვენიერი აზრებისა. ჩვენს გარშემო ვარსკვლავები განაგრძობდნენ თავიანთ მდუმარე მსვლელობას, თითქოს თვინიერი ცხვრის ფარა ყოფილიყო; და ხანდახან მეჩვენებოდა,

რომ ერთ-ერთ ამ ვარსკვლავს, ყველაზე უფრო ნაზს, ყველაზე უფრო ბრწყინვალეს გზა დაჰკარგოდა და ჩემს მხარზე მისვენებულიყო დასაძინებლად.

არღელი ქალი

როცა ჩემი წისქვილიდან სოფელში მიდიხართ, ერთი ფერმის წინ გაივლით; ის აშენებულია გზის მახლობლად აკაკის ხეებით შემოვლებული დიდი ეზოს სიღრმეში. ეს ნამდვილი პროვანსელი მეურნის სახლია თავისი წითელი

კრამიტით და თავისი ფართო ყავისფერი ფასადით, რომელშიც ფანჯრები უსიმეტრიოდაა გაჭრილი; სახურავზე ფლიუგერი მოჩანს, ხოლო სხვენზე – ჭოჭონაქი თივის ხორომის ასაზიდად და რამდენიმე გაჭვარტლული ბულული, რომელსაც იქიდან თავი გამოუყვია.

რად მოახდინა ამ სახლმა ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება? რად მეტკინა გული ამ დაკეტილი ჭიშკრის დანახვაზე? მე არ შემეძლო ამის ახსნა, ამავე დროს კი ეს ბინა ჟრუნტელს მგვრიდა. მეტისმეტი სიჩუმე იყო მის გარშემო... გვერდით რომ ჩაუვლიდი, ძაღლები არ დაგყეფდნენ, ხოლო ციცრები უხმოდ გარბოდნენ... შიგნით არავითარი ხმა არ ისმოდა. თვით ჯორის ექვანიც კი არ წკრიალებდა... თუ ფანჯრებზე თეთრი ფარდები არ ყოფილიყო ჩამოფარებული, თუ სახურავზე კვამლის სვეტები არ ყოფილიყო ამართული, კაცი იფიქრებდა, აქ არავინ ცხოვრობსო.

გუშინ, შუადღისას, სოფლიდან შინ ვბრუნდებოდი და ფერმის ყორეს მივსდევდი, რათა აკაკის ხეების ჩრდილში მზისგან თავი დამეფარა. ფერმის წინ გზაზე მდუმარე მუშები ფორანს ტვირთავდნენ თივით... ჭიშკარი გაღებულ იყო. გავლის დროს შიგ შევიხედე და ეზოში მაღალი, სრულიად გაჭადრაკებული ბერიკაცი დავინახე; ფართო ქვის მაგიდას დაჰყრდნობოდა და სახე ხელებით დაეფარა; მეტისმეტად მოკლე კურტაკი და დაფლეთილი შარვალი ეცვა... მე შევჩერდი. ერთ-ერთმა მუშამ ხმადაბლა მითხრა:

– სსუ! ეს ჩვენი პატრონია... ის ასეთი გახდა თავისი ვაჟის უბედურების შემდეგ.

ამ დროს შავებჩაცმულმა ქალმა და ბიჭმა ჩაგვიარეს და ფერმაში შევიდნენ; ხელში დიდი მოვარაყული ლოცვანები ეჭირათ. მუშამ დაუმატა:

– ეს დიასახლისი და უმცროსი ვაჟია, წირვიდან ბრუნდებიან. ისინი აქ ყოველდღე დადიან მას შემდეგ, რაც ყმაწვილმა კაცმა თავი მოიკლა... აჰ, ბატონო, რა მწუხარებაში

არიან! მამა დღემდე მიცვალებულის ტანისამოსს იცვამს; ვერაფრით ვერ გაახდევინეს... გასწი! ხხიო!

ფორანი დაიძრა წასასვლელად. მე მინდოდა ყველაფერი გამეგო, მეფორნეს ვთხოვე გვერდით დავესვი, და აი იქ, თივაში, მთელი ეს გულის დამწურავი ამბავი მოვისმინე...

იმას ჟანს ეძახდნენ. ეს იყო ოცი წლის საუცხოო გლეხი, ქალიშვილივით გამგონე, ჭკვიანი და სახეგამოღობილი. რადგან ძალიან ლამაზი იყო, ქალებს მასზე თვალები რჩებოდათ; მაგრამ თვითონ მხოლოდ ერთი ჩაუჯდა თავში, პატარა არღელი ქალი, სულ ხავერდსა და მაქმანში გამოწყობილი, რომელსაც ერთხელ არლის სტადიონზე შეხვედროდა. ფერმაში ამ გატაცებამ უკმაყოფილება გამოიწვია.

ქალი კოკობზიკად ითვლებოდა, მისი მშობლები კიდევ იქაურები არ იყვნენ. მაგრამ ჟანს აღარავინ უნდოდა, გარდა თავისი არლელი ქალისა; ის გაიძახოდა:

– მე მოვკვდები, თუ ის არ მომათხოვს.

მშობლები იძულებული გახდნენ დასთანხმებოდნენ. გადაწყდა, ქალ-ვაჟი მოსავლის აღების შემდეგ დაექორწინებინათ.

ერთხელ, კვირა საღამოს, ოჯახი ფერმის ეზოში იჯდა და სადილს ათავებდა. ეს თითქმის საქორწინო სადილი იყო. მართალია, საპატარძლო იქ არ იყო, მაგრამ გამუდმებით მის სადღეგრძელოს სვამდნენ... ჭიშკართან ვიღაც მამაკაცი გაჩერდა და მთრთოლვარე ხმით ესტევი მოითხოვა პირისპირ მოსალაპარაკებლად. ესტევი ადგა და ქუჩაში გავიდა.

– თქვენ გინდათ, – უთხრა მას უცნობმა, – თქვენს ვაჟს შერთოთ სამაგელი ქალი, რომელიც ჩემი საყვარელი იყო ორი წლის განმავლობაში. რასაც ვამბობ, იმის დამტკიცებაც შემიძლია: აი წერილები!.. მისმა მშობლებმა ყველაფერი იციან და ის მე აღმითქვს; მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალს თქვენი ვაჟიშვილი აეკიდა, არც მას, არც მის მშობლებს მე აღარ ვუნდივარ... მე მგონია, რომ იმის შემდეგ, რაც მოხდა, მას არ შეუძლია სხვისი ცოლი გახდეს.

– ძალიან კარგი! – უთხრა ესტევმა წერილების გადახედვის შემდეგ, – შემოდით და ერთი ჭიქა მუსკატის ღვინო დალიეთ.

უცნობმა უპასუხა:

– გმადლობთ. მე დარდი უფრო მტანჯავს, ვიდრე წყურვილი.

და წავიდა.

მამა შინ შევიდა და მშვიდად მიუჯდა მაგიდას; სადილი მხიარულად დასრულდა.

იმ საღამოს ესტევი და მისი ვაჟი ერთად წავიდნენ მინდორში. დიდხანს დარჩნენ გარეთ; როცა უკან დაბრუნდნენ, დედა კიდევ იჯდა და ელოდებოდა.

– დედაკაცო, – უთხრა ესტევმა და შვილი მასთან მიიყვანა, – აკოცე! ის უბედურია...

* * *

ჟანი კრინტს აღარ სძრავდა არლელ ქალზე, მაგრამ მაინც უყვარდა, უფრო მეტადაც მას შემდეგ, რაც ის სხვის მკერდზე მიხუტებული დაანახვეს. მხოლოდ მეტად ამაყი იყო, რომ ეს გაემხილა და ამან დალუპა საწყალი ბიჭი!.. ხანდახან მთელ დღეებს სადმე კუთხეში ატარებდა უმოძრაოდ, ზოგჯერ კი გააფთრებით ეცემოდა მიწას და

მარტოდმარტო ათი კაცის სამუშაოს ერეოდა... როცა შებინდებოდა, არლის გზას ადგებოდა და მიდიოდა, სანამ ჩამავალ მზის სხივებში ქალაქის წერწეტ სამრეკლოებს დაინახავდა. მაშინ უკან ბრუნდებოდა. არასოდეს უფრო შორს არ წასულა.

ფერმის მცხოვრებლებმა არ იცოდნენ რა ექნათ, როცა მას ასეთ სევდიანსა და განმარტოებულს ხედავდნენ. ეშინოდათ რაიმე უბედურება არ მოხდესო... ერთხელ სუფრაზე დედამ აცრემლებული თვალებით შეხედა და უთხრა:

– ყური დამიგდე, ჟან, თუ შენ მაინც გასურს, ჩვენ მას მოგიყვანთ. მამა

სირცხვილით გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

ჟანმა თავი გააქნია უარის ნიშნად და გარეთ გავიდა...

ამ დღიდან მან შეიცვალა ცხოვრების წესი: შეეცადა მხიარულად ეჩვენებინა თავი, რათა მშობლები დაემშვიდებინა. ის ჩნდებოდა საცეკვაო საღამოზე, კაბარეში, დღესასწაულებზე. ფონვილში არჩევნების დროს ის ხელმძღვანელობდა ფარანდოლას.

მამა ამბობდა: „ის განიკურნა“. დედას მუდამ შიში ჰქონდა და წინანდელზე მეტად თვალყურს ადევნებდა თავის შვილს... ჟანი უმცროს ძმასთან იძინებდა საყაჭე ოთახის მახლობლად; საწყალმა დედაბერმა თავისი ლოგინი მათი ოთახის გვერდით გაიშალა... ესაო და აბრეშუმის ჭიას ღამით დახედვა მოუნდებო.

მოვიდა მიწის მეურნეების მფარველის – წმინდა ილიას დღესასწაული.

ფერმაში დიდი მხიარულება გაიმართა. მაჭარიც, ძველი ღვინოც ყველას თავზე სასხმელად მიერთვა, შემდეგ შუშხუნებიც აისროლეს, მაშხალები ანთეს, აკაკის ხეებზე ფერადი ფანრები ჩამოჰკიდეს... გაუმარჯოს წმიდა ილიას! ფარანდოლის ცეკვაში ილაჯი გამოელიათ. უმცროს ძმას ახალი ბლუზა დაეწვა... თვით ჟანს კმაყოფილი სახე ჰქონდა; მას უნდოდა დედა ეცეკვებინა; საბრალო დედაკაცი ტიროდა ბედნიერებისაგან.

შუაღამისას დასაძინებლად წავიდნენ. ყველას მოსვენება ესაჭიროებოდა. მხოლოდ ჟანს არ ეძინა. უმცროსი ძმა შემდეგ ამბობდა, მთელი ღამე ქვითინებდაო. აჰ, მე თქვენ გეტყვით, რომ ის ძლიერ იყო დაკბენილი, საბრალო ბიჭი...

* * *

მეორე დღით, გათენებისას, დედამ ყური მოჰკრა, რომ ვიღაცამ მის ოთახში გაირბინა. გულმა რაღაც უგრძნო.

– ჟან, შენახარ? ჟანი არაფერს არ უპასუხებს; ის

უკვე კიბეზეა. დედა სასწრაფოდ წამოდგება:

– ჟან, სად მიდიხარ? ჟანი სხვენზე მიდის,

დედა უკან მისდევს:

– შვილო, ზეცას გაფიცებ! ჟანი სხვენის კარს

კეტავს და ურდულს სწევს.

– ჟან, ჩემო ჟან, ხმა ამოიღე, რას აპირებ?

თავისი ბებერი მთრთოლვარე ხელების ფათურით ის საკეტებს ეძებს... ფანჯარა იღება, ეზოს ფილაქანზე დანარცხებული სხეულის ხმა მოისმის და ყოველივე თავდება...

საცოდავ ბიჭს თავის გულში ეთქვა: „მე ის უზომოდ მიყვარს. მე მივდივარ“... აჰ, რა უბედური გულის პატრონები ვართ ადამიანები! მაგრამ ეს ხომ მაინც მეტისმეტია, რომ ზიზღს არ შეეძლოს სიყვარულის აღმოფხვრა.

იმ დილით სოფლელები კითხულობდნენ, ვინ ყვიროდა ასე საშინლად ესტევის ფერმის მხრიდანო...

ეს იყო ტანისამოსს გამარცვული დედა, რომელიც ეზოში ცვრითა და სისხლით დაფარული ქვის მაგიდის წინ იჯდა და თავის მკერდზე მისვენებულ ვაჟის გვამს დასტიროდა.

პაპის ჯორი

ყველა მშვენიერი ანდაზისა, იგავისა და მოსწრებული სიტყვისაგან, რომლებითაც პროვანსელი გლეხები ავარაყებენ თავიანთ საუბარს, მე არ ვიცი არც ერთი უფრო მხატვრული და უფრო თავისებური ვიდრე შემდეგია: თხუთმეტი ლიეს მანძილზე ჩემი წისქვილის გარშემო, როცა ვინმე შურისმგებელ, გულღრმო კაცზე ლაპარაკობენ, იტყვიან ხოლმე:

„უფრთხილდით ამ ადამიანს!... ის პაპის ჯორივითაა, რომელიც შვიდ წელიწადს ინახავს თავის წიხლის დარტყმას“.

მე დიდხანს ვეძებე, საიდან შეიძლებოდა ეს თქმა წარმომდგარიყო, რა იყო ეს პაპის ჯორი და მისი შვიდ წელიწადს შემონახული წიხლი. ვერავინ ვერ მომაწოდა ცნობები ამ საგანზე, თვით ჩემმა მედუდუკე ფრანსე მამაიმაც კი ვერა, თუმცა მან პროვანსის ყველა ლეგენდა თავისი ხუთი თითივით იცის. ფრანსე

ჩემსავით ფიქრობს, რომ აქ სარჩულად ავინიონის^[11] რაღაც ძველი ქრონიკა უნდა ედოს; მაგრამ მას მხოლოდ ეს თქმა მოუსმენია და მეტი არაფერი.

– თქვენ ამას მხოლოდ ჭრიჭინების^[12] ბიბლიოთეკაში იპოვით, – მითხრა ბებერმა მედუდუკემ სიცილით.

ეს აზრი მომეწონა და რადგან ჭრიჭინების ბიბლიოთეკა ზედ ჩემს კარზეა, მე იქ ჩავიკეტე მთელი კვირის განმავლობაში.

ეს საუცხოო ბიბლიოთეკაა, მშვენივრად შერჩეული; ის პოეტებისათვის ღიაა მთელი დღედაღამე, იქ პატარა წინწილებიანი ბიბლიოთეკარები მსახურობენ; ისინი თქვენთვის მუსიკას უკრავენ განუწყვეტლივ. მე იქ რამდენიმე მომხიბლავი დღე გავატარე და მთელი კვირის კვლევა-ძიების შემდეგ, რომელიც გულადმა წამოწოლილმა ვაწარმოვე, ბოლოს აღმოვაჩინე, რაც მინდოდა. ვიპოვე ჩემი ჯორის და შვიდ წელიწადს შემონახული წიხლის დარტყმის ამბავი. ეს ამბავი ლამაზია, თუმცა, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოცაა, და მე მინდა შევეცადო ის ისე გაიმბოთ, როგორც გუმინ დილით წავიკითხე ძველისძველ ხელნაწერში, რომელსაც გამხმარი სუმბულის წარმტაცი სუნი უდიოდა და ობობას ქსელი ჰქონდა გვერდების დასანიშნად.

ვისაც ავინიონი არ უნახავს პაპების დროს, იმას არაფერი არ უნახავს. ასეთი მხიარული, ცოცხალი, მოძრავი, ბრწყინვალე დღესასწაულების ქალაქი ჯერ არ არსებულა. აქ დილიდან საღამომდე პროცესიები, მლოცველთა ლიტანიები იმართებოდა; ქუჩები ყვავილებით იყო მოფენილი, ხალიჩებით იყო მოფარდაგული; მდინარე რონით კარდინალები მოდიოდნენ. მათი დროშები ქარზე ფრიალებდა, მათი კატარღები მორთული იყო; მოედნებზე პაპის მხედრები ლათინურად მღეროდნენ, ყველგან მოწყალების ამკრეფი ბერების სატკაცუნას ხმა გაისმოდა. სახლებში, რომელნიც ბზუილით პაპის ციხედარბაზის გარშემო ფუთფუთებდნენ, როგორც ფუტკარი სკის გარშემო, ზემოდან და ქვემოდან მანქანის დაზგების ტაკატუკი ისმოდა, ოქრომკედიან შესამოსელის საქსოვ დგამებზე მაქოები მიმორბოდნენ. ბარძიმ-ფეშხუმის მჭედავები პაწია ჩაქუჩებს უკაკუნებდნენ, ამწყობები ფისჰარმონიებს ასწორებდნენ. ფეიქარი ქალები ქსელის დახვევის დროს საგალობელს მღეროდნენ; ყოველივე ამას ერთოდა ზარების რეკა და დაირის ხმა, რომელიც სადღაც ხიდის მხრიდან მოისმოდა. როცა ჩვენში ხალხი კმაყოფილია, მან უნდა იცეკვოს, უსათუოდ უნდა იცეკვოს; ხოლო რადგან ამ დროს ქალაქის ქუჩები მეტად ვიწრო იყო ფარანდოლისთვის, მედუდუკეები და მედაირეები ავინიონის ხიდზე ჩამწკრივდებოდნენ რონის გრილ ნიაგზე, და ხალხი

დღედაღამე ცეკვავდა და ცეკვავდა... აჰ, ბედნიერი დრო! ბედნიერი ქალაქი! აფთები არავის ჩეხდნენ; სახელმწიფოს სატუსალოებში ღვინოს იძლეოდნენ მოსალონიერებლად. არც შიმშილობა იყო, არც ომი... აი როგორ მართავდნენ ხალხს საგრაფოს პაპები; აი რატომ იგონებდა ხალხი მათ ასეთი სინანულით!

* * *

განსაკუთრებით ერთი იყო მათ შორის, კეთილი მოხუცი, რომელსაც ბონიფაცი ერქვა... ოჰ, რამდენი ცრემლი დაღვარეს მისი სიკვდილის გამო ავინიონში! ის ისეთი თავაზიანი, ისეთი ყურადღებიანი ხელისუფალი იყო! ისე კარგად იცინოდა თავის ჯორზე წამომჯდარი. ხოლო, როდესაც გვერდით გაუვლიდით, – სულ ერთია თქვენ უბრალო მეენდროვე იყავით თუ ქალაქის მთავარი მსაჯული, ის თავის ლოცვა-კურთხევას გიბოძებდათ ზრდილობიანად. ნამდვილი ივეტოს¹³¹ პაპი იყო, მაგრამ პროვანსის ივეტოსი, რაღაც ნატიფი გაღიმებით, თავშავას ღეროთი ბარეტზე და უჟანეტონოდ. ერთადერთი ჟანეტონი, რომელსაც ეს კეთილი მოხუცი იცნობდა, მისი ვენახი იყო, პატარა ვენახი, მისი საკუთარი ხელით გაშენებული სამი ლიეს მანძილზე ავინიონიდან შატო-ნევის ტვიის ხეებს შორის.

ყოველ კვირა დღეს, მწუხრის შემდე, ეს ღირსეული ადამიანი იქ ადიოდა, რათა თავის ვაზს მიაღერებოდა და როცა ის მზეზე დაჯდებოდა, თავის ჯორს გვერდით დააბამდა, ხოლო კარდინალები ვაზებთან წამოწვებოდნენ, ის თავის ღვინის ბოთლს გაახსნევიანებდა, იმ ლალისფერი საუცხოო ღვინისა, რომელსაც შემდეგ პაპთა შატო-ნევი დაერქვა. ნელ-ნელა წრუპავდა და ამავე დროს თავის ვენახს უცქეროდა ნაზი გამომეტყველებით. შემდეგ, როცა ბოთლი უკვე გამოიცლებოდა და საღამოს ჟამი მოახლოვდებოდა, ის მხიარულად ბრუნდებოდა ქალაქში მთელი თავისი საკრებულოს თანხლებით და, როდესაც ის ავინიონის ხიდზე გაივლიდა დაფდაფის და ფარანდოლას ხმაურობაში, მისი ჯორი მუსიკას ფეხს აყოლებდა და თოხარიკს იწყებდა, ხოლო თვით პაპი ცეკვის ტაქტს თავისი ბარეტის ქნევით აღნიშნავდა, რაიცა დიდად სასირცხვილოდ მიაჩნდათ მის კარდინალებს, ხალხში კი ერთსულოვან მოწონებას იწვევდა: „ოჰ, კეთილი მეუფე, ოჰ, დიდებული პაპი!“

* * *

შატო-ნევის ვენახის შემდეგ პაპს ყველაზე მეტად ამ ქვეყანაზე თავისი ჯორი უყვარდა.

ის კაი კაცი ჭკუას კარგავდა ამ პირუტყვისათვის. ყოველ საღამოს დაწოლამდე ის პირადად ათვალიერებდა, კარგად იყო დაკეტილი თუ არა მისი თავლა, ხომ არაფერი აკლდა ბაგაში; არასოდეს სუფრიდან ისე არ ადგებოდა, რომ თავის თვალწინ დიდი ჯამი ღვინო არ მოემზადებინა ფრანგულ წესზე, ბევრი შაქრითა

და სანელბელით! ეს ღვინო თავისივე ხელით მიჰქონდა ჯორისთვის, კარდინალების შენიშვნების მიუხედავად... ისიც უნდა ითქვას, რომ პირუტყვი ღირდა ამ მზრუნველობად. ეს იყო ლამაზი, შავი ჯორი, წაბლისფრად დაწინწკლული, მაგარი ფეხებით, მზინავი ბეწვით, ფართო და სავსე გავით; მას ამაყად ეჭირა თავისი პატარა, გამხდარი თავი პომპონებით, ბანტებით, ვერცხლის ეჭვნებით, ფოჩებით მოკაზმული. ამასთანავე ანგელოზივით თვინიერი იყო, გულუბრყვილო თვალები ჰქონდა და ორი გრძელი ყური, რომელთაც მუდამ აპარტყუნებდა, რაიცა მას გულკეთილ იერს აძლევდა. მთელი ავინიონი მას პატივს სცემდა, და როდესაც ის ქუჩებში მიდიოდა, ხალხმა პირდაპირ არ იცოდა, როგორ მისალმებოდა, იმიტომ რომ ყველას ესმოდა, ეს საუკეთესო საშუალება იყო სასახლეში თავის მოსაწონებლად; თავისი გულუბრყვილო გარეგნობის მიუხედავად, პაპის ჯორს არა ერთი და ორი გაებედნიერებინა, რასაც ამტკიცებს თუნდაც ტისტე ვედენი და მისი გასაოცარი თავგადასავალი.

ეს ტისტე ვედენი არსებითად ურცხვი ლაწირაკი იყო; მამამისი, ოქრომჭედელი გიუი ვედენი, იძულებული გახდა ის სახლიდან გაეძევებინა, ვინაიდან მას არაფრის გაკეთება არ სურდა და შეგირდებს რყვნიდა. ექვსი თვის განმავლობაში ის ქუჩა-ქუჩა ეთრეოდა ავინიონში, განსაკუთრებით პაპის სასახლის მახლობლად, იმიტომ რომ იმ ვიგინდარას უკვე კარგა ხანია თავისი გეგმა ჰქონდა შედგენილი პაპის ჯორის შესახებ; და თქვენ დაინახავთ, რომ ეს მეტისმეტად ეშმაკური გეგმა იყო... ერთ დღეს, როცა მისი უწმინდესობა თავის ჯორზე იჯდა და მარტოდმარტო დასეირნობდა ციხის გალავნის მახლობლად, ჩვენი ტისტე მიუახლოვდა, ხელები დაიკრიფა და აღტაცებული სახით წარმოსთქვა:

– აჰ, ღმერთო ჩემო! დიდო და წმინდაო მამა, რა საუცხოო ჯორი გყოლიათ!.. ნება მომეცით ცოტა ხანს ვუცქირო... აჰ, ჩემო პაპო, მშვენიერი ჯორია!... გერმანიის იმპერატორსაც არ ჰყავს ასეთი ჯორი.

და ის პირუტყვს ეფერებოდა და ნაზად ელაპარაკებოდა, თითქოს ქალიშვილი ყოფილიყოს:

– აჲ მოდი, ჩემო სამკაულო, ჩემო საუნჯევ, ჩემო ნატიფო მარგალიტო...
გულაჩუყებული პაპი თავის გულში ამბობდა:

– რა კარგიყმაწვილია!.. როგორი თავაზიანია ჩემი ჯორის მიმართ!

და იცით რა მოხდა მეორე დღეს? ტისტე ვედენმა თავისი ძველი ყვითელი კურტაკი მშვენიერ მაქმანიან სტიქარზე გაცვალა, იისფერი აბრეშუმის მოსასხამი წამოისხა, ბალთებიანი ფეხსაცმელები ჩაიცვა და პაპის გუნდში შევიდა, სადაც

მანამდე არავის არ ღებულობდნენ, გარდა კეთილშობილთა შვილებისა და კარდინალების ძმისწულებისა თუ დისწულებისა. აი რის მიღწევა შეიძლება თურმე ინტრიგით!.. მაგრამ ტისტე ამას როდი დასჯერდა.

რაკი ერთხელ პაპის სამსახურში შევიდა, იმ თვალთმაქცმა განაგრძო ის თამაში, რომელიც ასეთი მოხერხებით დაიწყო. თუმცა ის თავხედად ექცეოდა ყველას, მაგრამ დიდად თავაზიანი და ყურადღებიანი იყო ჯორის მიმართ; მას ყოველთვის შეხვდებოდით სასახლის ერთ-ერთ ეზოში ერთი მუჭა ქერითა, ან ესპარცეტის კონით,

რომლის ვარდისფერ მტევნებს ის საამოდ აქნევდა; ამასთანავე წმინდა მამის აივნისკენ იცქირებოდა და თითქოს ამბობდა; „აბა, ვისთვის არის ეს?“ იმდენი ქნა, რომ ბოლოს კეთილმა პაპმა, რომელიც გრძნობდა, რომ სიბერე უახლოვდებოდა, მას მიანდო თავლაზე ზრუნვა და ჯორისთვის ფრანგული წესით მომზადებული ჯამი ღვინის მიტანა; ეს კი უკვე აღარ ესია მოვნივდებოდათ კარდინალებს.

* * *

ეს არც პაპის ჯორს ახარებდა... ახლა ღვინის დაღვევის დროს ის ხედავდა, როგორ მოდიოდა ხუთი თუ ექვსი ახალგაზრდა კლირიკოსი, რომელნიც მაშინვე ჩალაში ჩაიმალებოდნენ თავიანთი მოსასხამებითა და თავიანთი მაქმანებით; ერთი წუთის შემდეგ თავლას დამწვარი შაქრის და მიხაკ-დარიჩინის სასიამოვნო თბილი სურნელება ავსებდა, და ჩნდებოდა ტისტე ვედენი, რომელსაც დიდი სიფრთხილით ფრანგულ წესზე მომზადებული ღვინით სავსე ჯამი მოჰქონდა; და მაშინ საბრალო ცხოველის წამება იწყებოდა.

ეს სურნელოვანი ღვინო, რომელიც მას ასე უყვარდა, რომელიც მას ათბობდა და თითქოს ფრთებს ასხამდა, იმ შეუბრალებელ ახალგაზრდებს ბაგასთან მიჰქონდათ, რათა მას მისთვის მხოლოდ ესუნებინა; შემდეგ, როცა ნესტოები სურნელებით აევსებოდა, ფაფუ! რაც გინახავს, ვეღარ ნახავ! ვარდის და ალისფერი საუცხოო სასმელი მთლიანად ამ ძმაბიჭების ყანყრატოში გადადიოდა... კიდევ კარგი იქნებოდა, რომ მისი ღვინის მოპარვას დასჯერებოდნენ; მაგრამ ეს პატარა კლირიკოსები ქაჯებად იქცეოდნენ ხოლმე, როცა დაღვედნენ... ერთი მას ყურებს უწევდა, მეორე – კუდს; კიკე ზურგზე აჯდებოდა, ბელიუგე თავის ბარეტს აზომებდა, და არც ერთი ეს გარეწარი არ ფიქრობდა, რომ საკმაო იყო მამაც პირუტყვს თავისი ტლინქები ეყარა, რათა ისინი ყველანი პოლარულ ვარსკვლავზე და უფრო შორსაც გაესტუმრებინა... მაგრამ არა, ის ტყუილად როდი იყო პაპის ჯორი, დალოცვებისა და შეწყნარების ჯორი... რამდენიც უნდა ეცელქნათ ბიჭბუჭებს, ის არ ჯავრობდა; ის მხოლოდ ტისტე ვედენზე იყო გულმოსული... როცა, მაგალითად, ის გრძნობდა, რომ ტისტე მის უკან იყო, მას ჩლიქი ექავებოდა და ადვილი გასაგებიცაა რად. ეს

არამზადა ტისტე მას საზიზღარ ოინებს უკეთებდა! მას თავში შეუბრალებელი აზრები მოსდიოდა დალევის შემდეგ!

განა მან ერთხელ არ განიზრახა ის სამრეკლოზე აეყვანა, მაღლა, სულ მაღლა, სასახლის

მწვერვალზე... და ეს რასაც მე თქვენ გეუბნებით, ზღაპარი როდია, ეს ორასმა ათასმა პროვანსელმა დაინახა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ამ უბედური ჯორის შიშისზარი, როცა ის, მას შემდეგ რაც მთელი საათის განმავლობაში ბრმად ტრიალებდა ხრახნილ კიბეზე და არ ვიცი რამდენი საფეხური გაიარა, უცებ სინათლით გაბრწყინებულ ბანზე აღმოჩნდა და ათასი წყრთის მანძილზე ქვევით მთელი ფანტასტიკური ავინიონი დაინახა; ბაზრის ფარდულები მას კაკლისოდენად ეჩვენენ, პაპის მხედრები თავიანთი ყაზარმების წინ წითელ ჭიანჭველებს ჰგავდნენ, ხოლო ქვემოთ ვერცხლის ძაფზე გადებული იყო ერთი ციციქნა ხიდი, სადაც ცეკვავდნენ და ცეკვავდნენ... აჰ, საბრალო პირუტყვი! რა შიში განიცადა. ისე ძლიერ დაიყოყნა, რომ სასახლის ფანჯრები შეზანზარდნენ.

– რა მოხდა, რას უშვრებიან? – წამოიძახა კეთილმა პაპმა და აივანზე გამოვარდა.

ტისტე ვედენი უკვე ეზოში იყო, ისეთი სახე მიეღო, თითქოს ტიროდა და თმას იგლეჯდა.

– აჰ, დიდო წმინდაო მამაო, რალა უნდა მომხდარიყო! მოხდა ის, რომ თქვენი ჯორი...

ღმერთო ჩემო! რა გვეშველება? მოხდა ის, რომ თქვენი ჯორი სამრეკლოზე ავიდა...

– მარტოდმარტო???

– დიახ, დიდო და წმინდაო მამაო, მარტოდმარტო.... აბა ზევით აიხედეთ... ხედავთ, მისი ყურების წვერები მოჩანს?... კაცი იფიქრებს, ორი მერცხალიაო...

– ღმერთო მოწყალეო – წამოიძახა საბრალო პაპმა და თვალები ადაპყრო... გაგიჟებულა! ხომ დაილუპა... ძირს ჩამოსვლა არ გინდა, შე უბედურო?

საცოდავ ჯორს მხოლოდ ძირს ჩამოსვლა უნდოდა და მეტი არაფერი... მაგრამ რა გზით? კიბეზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა: ასეთ რამეზე ასვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩამოსვლაზე ხომ ასჯერ მაინც მოსტყდებოდა ფეხი... და საბრალო ჯორი სასოწარკვეთილი იყო, ბანზე დარბოდა ამღვრეული თვალებით და ტისტე ვედენზე ფიქრობდა:

– აჰ, ავაზაკი! თუ აქედან თავი დავალწიე... რა წიხლით გაგიმასპინძლები ხვალ დილით!

ამ აზრმა წიხლის ჩარტყმის შესახებ, ცოტა არ იყოს, გაამხნევა: უამისოდ ის თავის მდგომარეობას ვერ აიტანდა... ბოლოს მოახერხეს მისი ზემოდან ჩამოყვანა; მაგრამ ეს მთელი დავიდარაბა იყო: ამისათვის საჭირო გახდა ჯალამბარი, თოკები, საკაცე. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა თავის დამცირებაა პაპის ჯორისთვის ის გრძნობა, რომ ასე მაღლა ჰკიდია და ცარიელ სივრცეში ცურავს, თითქოს ძაფზე მიმაგრებული ხარაბუხა იყოს; და მთელი ავინიონი მას უყურებს!

საბრალო პირუტყვმა მთელი ღამე თეთრად გაათენა. მას ეჩვენებოდა, სულ იმ წყეულ ბანზე ვტრიალებ და ქვემოთ მთელი ქალაქი იცინისო. შემდეგ ის ფიქრობდა იმ უნამუსო ტისტე ვედენზე და მარჯვე წიხლის ჩარტყმაზე, რომლითაც ხვალ დილით გაუმასპინძლდებოდა. აჰ, ჩემო მეგობრებო, რა წიხლი იქნებოდა. პამპერიგუსტიდან გამოჩნდებოდა ბული... მაგრამ, როცა ჯორს მშვენიერ შეხვედრას უმზადებდნენ თავლაში, იცით რას აკეთებდა ტისტე ვედენი? ის პაპის კატარლაში იჯდა და რონაზე მისცურავდა სიმღერით კეთილშობილ ახალგაზრდებთან ერთად, რომელთაც ქალაქი ყოველ წელიწადს ნეაპოლში აგზავნიდა, დედოფალ ჟანას სასახლეში, რათა იქ დიპლომატია და მოხდენილი მიხრა-მოხრა ესწავლათ. ტისტე კეთილშობილი არ იყო, მაგრამ პაპს უნდოდა მისთვის მადლობა გადაეხადა იმ მზრუნველობისთვის, რომლითაც ის ჯორს ეპყრობოდა, ხოლო განსაკუთრებით იმ გულმოდგინებისთვის, რომელიც მისი გადარჩენის დღეს გამოიჩინა. მეორე დღეს ჯორი დიდად იმედგაცრუებული იყო!

– ჰო, ის ავაზაკი, ისა! რაღაც ეჭვი აიღო... – ფიქრობდა ჯორი, თან თავის ეჭვნებს გააფთრებით აჟღარუნებდა... – მაგრამ ეს სულერთია, შე არამზადავ! შენს ხვედრ წიხლს მიიღებ, როცა უკან დაბრუნდები... მე იმას შეგინახავ!

და მართლაც შეუნახა.

ტისტეს გამგზავრების შემდეგ პაპის ჯორმა კვლავ მოიპოვა თავისი მშვიდობიანი ცხოვრება და თავისი წინანდელი ზნე. თავლაში აღარც კიკე ჩნდებოდა, აღარც ბელიუგე. დაბრუნდა მშვენიერი დღეები ფრანგულ წესზე მომზადებული ღვინისა, ხოლო მასთან ერთად კარგი გუნება, დასვენების გრძელი საათები და პატარა გავოტი ავინიონის ხიდზე. მაგრამ ზემოთ მოთხრობილი ამბის შემდეგ მას მაინც ოდნავ

გულგრილად ეპყრობოდნენ ქალაქში. ქუჩაში ჩურჩული გაისმოდა; მოხუცები თავს აქნევდნენ, ბავშვები იცინოდნენ და სამრეკლოს უთითებდნენ. თვით კეთილი პაპი წინანდებურად აღარ ენდობოდა თავის მეგობარს და როცა ის კვირა დღეს, ვენახიდან დაბრუნებისას, მის ზურგზე თვალს ცოტა მოატყუებდა, ყოველთვის შემაშფოთებელი აზრი ჩაჰყვებოდა ხოლმე: „რა იქნება, რომ უცებ იქ,

მაღლა გავიღვიძო, კოშკის თავზე“. ჯორი ამას ხედავდა და უსიტყვოდ იტანჯებოდა, მხოლოდ როცა მის გასაგონად ტისტე ვედენის სახელს ახსენებდნენ, მისი გრძელი ყურები ათრთოლდებოდნენ და ის ფრუტუნით თავისი ნალების გალესვას იწყებდა ქვაფენილზე.

შვიდმა წელმა განვლო ამრიგად. ტისტე ვედენი დაბრუნდა ნეაპოლის სასახლიდან; მას ჯერ კიდევ იქ არ შეესრულებინა თავისი ვადა, მაგრამ გაეგო, რომ ავინიონში უცაბედად პაპის მზარეულთუხუცესის თანაშემწე, მთავარი მემდოგვე მომკვდარიყო, და რადგან ეს ადგილი ხელსაყრელად მიაჩნდა, ის საჩქაროდ დაბრუნდა და რიგში ჩადგა.

როცა ეს ოინბაზი ვედენი სასახლის დარბაზში შევიდა, წმინდა მამას გაუჭირდა მისი ცნობა, ისე გაზრდილიყო და დასრულებულიყო. ისიც უნდა ითქვას, რომ კეთილი პაპი დაბერდა და ცუდად ხედავდა უსათვალოდ.

მაგრამ ტისტე არ დაბნეულა.

– როგორ, დიდო და წმინდა მამაო, თქვენ ველარ მცნობთ? მე ვარ, ტისტე ვედენი!.. – ვედენი?..

– დიახ, ხომ გახსოვთ,... აი ის, ფრანგული ღვინო რომ მიჰქონდა თქვენი ჯორისთვის.

– აჰ, ჰო, ჰო... მახსენდება... კარგი ბიჭია ეს ტისტე ვედენი!.. ახლა რა სურს მას ჩვენგან?

– ოჰ ცოტა, რამ, დიდო და წმინდა მამაო... მე მინდოდა თქვენთვის მეთხოვა... ამ გახსენებაზე, თქვენი ჯორი კიდევ გყავთ? როგორ არის? კარგად? მით უკეთესი! მე მინდოდა თქვენთვის მთავარი მემდოგვის ადგილი მეთხოვა!

– პირველი მემდოგვის? შენა?... მაგრამ შენ ძლიერ ახალგაზრდა ხარ. რამდენი წლის ხარ?

– ოცი წლისა და ორი თვის, თქვენო უწმინდესობავ, სწორედ ხუთი წლით უფროსი ვარ თქვენს ჯორზე... აჰ, ღმერთო ჩემო, რა ძვირფასი პირუტყვია!.. თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მიყვარდა იგი!.. როგორ მენატრებოდა იტალიაში!.. ნუთუ ნებას არ მომცემთ ერთი შევხედო

– ჰო, შვილო, ნახე, – უთხრა გულაჩუყებულმა პაპმა... – და რადგან ასე გყვარებია ეგ საუცხოო ცხოველი, არ მინდა, რომ მისგან მოშორებით იცხოვრო. ამ დღიდან ჩემ კარზე გნიშნავ და მთავარი მემდოგვის თანამდებობას გაძლევ... ჩემი კარდინალები აყვირდებიან, მაგრამ ეს სულერთია! ამას შეჩვეული ვარ... ხვალ მწუხრის გამოსვლის შემდეგ ჩვენთან მოდი, ჩვენ შენი ხარისხის ნიშნებს

მოგცემთ კაპიტულის თანდასწრებით, ხოლო შემდეგ... ჯორის სანახავად წაგიყვან და ჩვენ ორივესთან ერთად ვენახში წამოხვალ... ჰე, ჰე! ახლა წადი!..

არ დამჭირდება იმის თქმა, კმაყოფილი იყო თუ არა ტისტე ვედენი, როცა დიდი დარბაზიდან გამოვიდა, და როგორ მოუთმენლობით ელოდა იგი მეორე დღის ცერემონიალს. მაგრამ სასახლეში იყო ერთი ვინმე, კიდევ უფრო კმაყოფილი და კიდევ

უფრო მოუთმენელი: ეს იყო ჯორი. ვედენის დაბრუნების წუთიდან მეორე დღის მწუხრამდე ეს საშინელი ცხოველი შვრიით იტიკნებოდა და კედელს თავს უკანა ჩლიქებს ურტყამდა. ისიც ემზადებოდა ცერემონიისათვის...

და აი, მეორე დღეს, როცა მწუხრი გამოვიდა, ტისტე ვედენი გამოცხადდა პაპის სასახლის ეზოში. მთელი უმაღლესი სამღვდელოება აქ იყო: კარდინალები წითელი მანტიებით, სატანის ადვოკატი^[14] შავს ხავერდში, მონასტრის აბატები თავიანთი პატარა მიტრებით, წმინდა აგრიკოს სამრევლოს მზრუნველები, პაპის გუნდის მგალობლები იისფერი წამოსასხამებით; შემდეგ მოდიოდნენ დაბალი სამღვდელოება, პაპის მხედრები საზეიმო ფორმით, მომნანიებელთა სამი ძმობა, ვენტუს მთის განდეგილნი თავიანთი მკაცრი სახეებით, და პატარა მორჩილი რომელიც ზანზალაკით იყო აღჭურვილი, თვითმგვემავი ძმები, წელთამდე გატიტვლებულნი, ეკლესიის სახელაჟღაჟა მოლარეები მსაჯულთა ტანისამოსით, ერთი სიტყვით, ყველანი აქ იყვნენ, თვით აიაზმის მომწოდებლები, თვით სანთლის ამნთებელიც, სანთლების ჩამქრობელიც... არავინ არ აკლდა... აჰ, აქ მშვენიერი ხელთდასხმა მზადდებოდა. ყოველივე ხელს უწყობდა: ზარები, შუშხუნები, მზე, მუსიკა და მუდამ გააფთრებული მედაირეები, რომელნიც ცეკვას ხელმძღვანელობდნენ ავინიონის ხიდზე...

როცა კრებულში ვედენი გამოჩნდა, მისმა წარმოსადგემა გარეგნობამ და ლამაზმა სახემ აღტაცების ჩურჩული გამოიწვია. ეს იყო საუცხოო პროვანსელი, მხოლოდ ქერა, გრძელი, ბოლოდახვეული თმით და პატარა გინგლა წვერით, რომელიც თითქოს იმ ძვირფასი ლითონის ნაქლიბიდან იყო გაკეთებული, რაიცა ძირს მამამისის, ოქრომჭედლის, საკვეთს დასცვენოდა. ამბობდნენ, რომ ამ ქერა წვერში ხანდახან დედოფალი ჟანა ათამაშებდა თავის თითებსო; და, მართლაც, ბატონ ვედენს იმ რჩეულთა გამარჯვებული სახე და გაფანტული გამომეტყველება ჰქონდა, რომელთაც დედოფლები ჰყვარობენ... ამ დღეს, რათა თავისი ერისთვის პატივი ეცა, მას თავისი ნეაპოლური ტანისამოსი გაეხადა და, პროვანსის მოდის მიხედვით, ვარდისფრად მოქარგული კურტაკი ჩაეცვა, ხოლო მის ქუდზე კამარგული ყაჯირის გრძელი ფრთა ირხეოდა.

შემოსვლისთანავე მთავარმა მემდოგემ თავაზიანად დაუკრა თავი საზოგადოებას და ზემო პარმალისკენ გაემართა, სადაც მას პაპი უცდიდა, რათა

მისი ხარისხის ნიშნები გადაეცა – ყვითელი ბზის კოვზი და ზაფრანისფერი სამოსელი. ჯორი კიბის ქვეშ იყო დაბმული, სრულიად შეკაზმული და ვენახში წასასვლელად გამზადებული... როცა

ტისტე ვედენმა გვერდით ჩაუარა, მას ალერსიანად გაუღიმა და შეჩერდა, რათა ორჯერ თუ სამჯერ ზურგზე მეგობრულად დაეთათუნებინა, ამასთანავე ცალი თვალით პაპისკენ გაიხედა, მიყურებს თუ არაო. პოზიცია მოხერხებული იყო... ჯორმა ძალ-ღონე მოიკრიფა.

– აჰა, მიიღე, ავაზაკო! შვიდი წელიწადია, რაც შენთვის ვინახავ!

და ისე საშინლად ჩაჰკრა თავისი ჩლიქები, რომ კვამლი თვით პამპერიგუსტიდან დაინახეს, ალისფერი კვამლი, სადაც ყაჯირის ფრთა დაფარფატებდა: ამის მეტი არაფერი დარჩენილა ბედუკუდმართ ტისტე ვედენისაგან.

ჩვეულებრივ, ჯორის წიხლი ასე გამანადგურებელი არ არის; მაგრამ ის პაპის ჯორი იყო, და შემდეგ, აბა ერთი დაფიქრდით, ის ხომ თავის მტერს ტლინკებს შვიდ წელიწადს უნახავდა... ძნელად თუ იპოვით ეკლესიური გულდრძობის უფრო მკვეთრ მაგალითს...

სანგინერის შუქურა

წუხელის მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მისტრალი გააფთრებით ჰქროდა და მისი მქუხარე ხმის გრგვინვამ თეთრად გამათენებინა. მთელი წისქვილი ჭრიალებდა; ის მძიმედ აქნევდა თავის დასახიჩრებულ ფრთებს, რომელნიც ქარის ქროლაზე გემსართავივით სტვენდნენ. მინგრეულ-მონგრეული სახურავიდან კრამიტი ცვიოდა. შორს ხშირი ფიჭვის ხეები, რომლებითაც მთელი გორაკი მჭიდროდაა დაფარული, ღელავდნენ და ხმაურობდნენ სიბნელეში. კაცი იფიქრებდა, შუა ზღვაში ვიმყოფებო.

ამან მე მომაგონა მშვენიერი უძილო ღამეები, რომლებიც სამი წლის წინათ განვიცადე, როცა სანგინერის შუქურაში ცვხოვრობდი, იქ, კორსიკის ნაპირას, აიაჩიოს ყურის შესავალთან.

ესეც მშვენიერი კუთხე იყო, რომელიც მე ვიპოვე, რათა განვმარტოებულიყავი და მეოცნება.

წარმოდგინეთ მოწითალო ფერის, ველური შეხედულების კუნძული; ერთს კლდეზე შუქურაა ამართული, მეორეზე – გენუელების ძველი კოშკი, სადაც ჩემს იქ ყოფნის დროს არწივს ჰქონდა ბუდე. ქვემოთ, ზღვის ნაპირას, დანგრეული ლაზარეთი მოჩანდა, რომელსაც ყოველი მხრიდან ბალახი მორეოდა, შემდეგ – ღარტაფები, ტევრები, უზარმაზარი კლდეები, სხვადასხვა გარეული თხები, პატარა კორსიკული ცხენები, რომელნიც ფაფარგაშლილი დანავარდობდნენ; ბოლოს ზემოთ, მაღლა, ზღვის ფრინველების გრიგალში – შუქურას კოშკი თავისი თეთრი ქვის ბაქანით, სადაც გუშაგები დადიან, თავისი თალიანი მწვანე კარით, პატარა თუჯის სვეტით, ხოლო სულ ზემოთ დიდი წახნაგოვანი ფანრით, რომელიც მზეზე ლაპლაპებს და სინათლეს იძლევა თვით დღისით... აი სანგინერის კუნძული, რომელიც წუხელ თვალწინ წარმომიდგა, როცა ფიჭვის ხეების შრიალი მესმოდა, სანამ წისქვილს შევიძენდი, ხანდახან ამ მოჯადოებულ კუნძულზე გადავიხვეწებოდი ხოლმე, როცა სუფთა ჰაერი და მარტოდ ყოფნა მომენატრებოდა. რას ვაკეთებდი იქ?

იმასვე, რასაც აქ ვაკეთებ, უფრო ნაკლებსაც. როცა მისტრალი ან ტრამონტანი არც ისე ძლიერ ჰქროდა, მე ორ კლდეს შუა ვჯდებოდი წყლის პირას, დედამთვრალეების, შაშვების და მერცხლების საზოგადოებაში და მთელი დღე იქ ვრჩებოდი იმ თავისებური გაოგნებითა და საამური ღონემიხდილობით შეპყრობილი, რასაც ზღვის ცქერა იწვევს. მთელი თქვენი არსება ჰქრება, მიფრინავს, იფანტება. თქვენ იქცევით დედამთვრალად, რომელიც წყალში ყურყუმალობს, წყლის შხეფად, რომელიც მზეზე ციმციმებს ორ ტალღას შუა, მიმავალი ხომალდის თეთრ კვამლად, იმ პატარა წითელ იალქნიან ნავად, რომელიც მარჯანს ეძებს, იმ წყლის მარგალიტად, ნისლის ქულად, ერთი

სიტყვით, ყველაფრად, გარდა საკუთარი თავისა... ოჰ, რამდენი მშვენიერი საათი გამიტარებია ჩემს კუნძულზე ძილ-ღვიძილსა და გაოგნებაში...

როცა ძლიერი ქარი ჰქროდა, წყლის პირას ჯდომა შეუძლებელი იყო; მაშინ ლაზარეთის ეზოში ჩავიკეტებოდი ხოლმე, პატარა მელანქოლიურ ეზოში, რომელიც როზმარინის და ველური აბზინდის სუნით იყო გაჟღენთილი, და იქ, ძველი კედლის ერთ კუთხეს მიყრდნობილი, მე თანდათან ვნებდებოდი უდაბურობისა და სევდის გაურკვეველ სურნელებას, რომელიც მზის სხივებთან ერთად ლივლივებდა ძველისძველი საფლავების მსგავსად ირგვლივ გაღებულ ქვის სენაკებში. ხანდახან კარის მირახუნება ან ბალახში მსუბუქი ნახტომის ხმა გაისმოდა: ეს იყო თხა, რომელიც ბალახის საძოვად

მოსულიყო ქარისაგან დაცულ ადგილას. ჩემს დანახვაზე ის შემკრთალი შეჩერდებოდა და ერთ ადგილზე გაქვავებული, თვალეზადებული და რქებაწეული, ბავშვივით შემომცქეროდა...

ხუთი საათისთვის გუშაგების საყვირი სადილად მეძახოდა. მაშინ მე ტევრში გაჭრილ ბილიკს ვადგებოდი, რომელიც ზღვაზე ცხვირწაწვდილ კლდეზე ადის და აუჩქარებლად შუქურაში ვბრუნდებოდი; ყოველი ფეხის ნაბიჯზე უკან ვიხედებოდი და თვალს ვავლებდი წყლისა და სინათლის იმ დაუსრულებელ ჰორიზონტს, რომელიც თითქოს ფართოვდებოდა, რაც უფრო ზევით ავდიოდი.

ზემოთ საუცხოო რამ იყო. თითქოს ახლაც ვხედავ იმ მშვენიერ სასადილო დარბაზს მისი ფართო ფილაქნებითა და მუხის პანელით; შუა ადგილას ნივრიან თევზის წვეს ორთქლი ადის, თეთრ ტერასზე კარი ფართოდაა გაღებული, შიგ მთელი ჩამავალი მზე იჭრება... გუშაგები უკვე იქ მიცდიდნენ, რათა სუფრაზე დავმსხდარიყავით. სულ სამნი იყვნენ, ერთი მარსელელი და ორი კორსიკელი, სამივენი ძალიან პატარა ტანისანი, წვერიანები, მზემოკიდებულები, აქერცლილი სახეებით, მეზღვაურის

ერთნაირი თხის ბეწვის წამოსასხამებით; მაგრამ მათ სრულიად სხვადასხვანაირი მიხრა-მოხრა და ხასიათი ჰქონდათ.

ამ ადამიანების ცხოვრების ყაიდაზე მაშინვე იგრძნობდით ორი ერის განსხვავებას. მარსელელი ცოცხალი და საზრიანი იყო, მუდამ მოფუსფუსე, მუდამ მოძრავი; კუნძულზე დარბოდა დილიდან საღამომდე, ხან ბაღში მუშაობდა, ხან თევზაობდა, ხან ფრინველების კვერცხებს აგროვებდა, ხან კიდევ ტყეში მიიძალეობდა, რათა გზად მიმავალი თხა მოეწველა; და მუდამ ნივრიან თევზის შეჭამანდს ან რაიმე წვნიანს ამზადებდა.

კორსიკელები თავიანთი სამსახურის გარეშე სრულიად არაფერს აკეთებდნენ; ისინი თავიანთ თავს მოხელეებად სთვლიდნენ და მთელს დღეებს

სამზარეულოში ატარებდნენ სკოპას^[15] დაუსრულებელ თამაშში, რომელსაც მხოლოდ იმისთვის სწყვეტდნენ, რათა სერიოზული სახით თავიანთი ჩიბუხები კვლავ აენტოთ ან ხელისგულზე მაკრატლით მწვანე თამბაქოს ფართო ფოთლები დაეჭრათ...

ისე კი სამივენი, მარსელელიც და კორსიკელებიც, კარგი ბიჭები იყვნენ, უბრალონი,

გულუბრყვილონი, თავაზიანნი თავიანთი სტუმრის მიმართ, თუმცა ნამდვილად ის მათ საკმაოდ უცნაურ კაცად უნდა სჩვენებოდათ...

თვით განსაჯეთ! რა აზრია, კაცი შუქურაში ჩაიკეტოს თავისი სიამოვნებისათვის!.. თვით მათ დღეები ისე გრძლად მიაჩნდათ და ისე ბედნიერები იყვნენ, როცა მოდიოდა მათი ჯერი ხმელეთზე წასვლისა... საუკეთესო სეზონში ეს დიდი ბედნიერება მათ ყოველ თვეში უწევდა. ათი დღე ხმელეთზე და ოცდაათი დღე შუქურაზე – აი როგორი იყო წესდება; მაგრამ ზამთარსა და ქარიშხლიან ამინდში ვერავითარი რეგლამენტი ვეღარ გამოდგება. ქარი ჰქრის, ტალღა აზვირთებულა, სანგინერი თეთრადაა აქაფებული, და გუშაგები მომწყვდეულნი რჩებიან ზედიზედ ორი ან სამი თვის განმავლობაში, ხანდახან საშინელ გარემოებაშიც კი.

– აი ერთხელ რა მომივიდა, ბატონო ჩემო, – მითხრა ერთხელ მოხუცმა ბარტოლიმ, როცა ჩვენ ვსადილობდით, – აი რა მომივიდა ხუთი წლის წინათ ზამთრის ასეთივე საღამოს, ამავე სუფრაზე, რომელსაც ახლა ვუსხედვართ. იმ საღამოს ჩვენ მხოლოდ ორნი ვიყავით შუქურაში, – მე და ჩემი ამხანაგი, რომელსაც ჩეკოს ეძახდნენ...

სხვები ხმელეთზე იყვნენ, ავადმყოფნი თუ შვებულებაში, კარგად აღარ მახსოვს... ჩვენ სადილს ვამთავრებდით სრულიად მშვიდობიანად... უცებ ჩემი ამხანაგი ჭამას სწყვეტს, მე შემომცქერის რაღაც უცნაური თვალებით და ზღარო! სუფრაზე ეცემა ხელებგაშვერილი. მე მას მივვარდები, ვანჯღრევ, ვეძახი:

„ჰეი, ჩე! ჰეი, ჩე!...“

გათავდა. ის მკვდარი იყო... თქვენ წარმოიდგინეთ, რა თავზარი დამეცა. მთელს საათზე მეტი გაშეშებული ვიდექი ამ გვამის წინაშე და ვცახცახებდი, შემდეგ უცებ თავში გამიელვა „შუქურა!“ ფარანზე ასვლისა და ანთების დროდა დამრჩენოდა. უკვე დაღამებულიყო... და რა ღამე იყო, ბატონო! არც ზღვას, არც ქარს აღარ ჰქონდა თავისი ბუნებრივი ხმა. ყოველ წუთში მეჩვენებოდა, თითქოს ვიღაც მეძახოდა კიბეზე. ამასთანავე ციებ-ცხელება, წყურვილი მტანჯავდა! მაგრამ ვერავინ მაიძულებდა ქვევით ჩავსულიყავი... მეტისმეტად მეშინოდა მიცვალებულისა. მაინც როცა ცოტათი ინათლა, გამბედაობა მომემატა. მე თავის

ლოგინზე დავაწვინე ჩემი ამხანაგი, ზეწარი გადავაფარე და ცოტათი ვილოცე, შემდეგ, საჩქაროდ საგანგაშო ნიშნები მივეცი.

საუბედუროდ, ზღვა მეტისმეტად ბოზოქრობდა: ბევრი ვიძახე და ვიძახე, არავინ მოვიდა.. და აი შუქურაში მარტო დავრჩი ჩემს საბრალო ჩეკოსთან ერთად, და ღმერთმა იცის რამდენი ხნით... მინდოდა, როგორმე ჩემს გვერდით შემენახა გემის მოსვლამდე, მაგრამ სამი დღის შემდეგ ეს უკვე შეუძლებელი გახდა... რა მექნა? გარეთ გამეტანა? დამემარხა? კლდე მეტისმეტად მაგარია, კუნძულზე კი იმდენი ყვავ-ყორანია, ცოდვა იყო მათთვის ამ ქრისტიანი კაცის დანებება. მაშინ მოვისაზრე ლაზარეთის ერთ-ერთ სენაკში ჩამეშვა... ამ მძიმე ბეგარამ მთელი ნაშუადღევით წამართვა და, გარწმუნებთ, რომ სიმამაცის გამოჩენა დამჭირდა. აი ახლაც, ბატონო, როცა ნაშუადღევს, ძლიერ ქარში კუნძულის ამ მხარეზე ჩავდივარ, მეჩვენება, თითქოს მიცვალებული მაწევს მხრებზე... საბრალო მოხუცი ბარტოლი! შუბლიდან ოფლი სდიოდა, როცა ამას იხსენებდა.

* * *

ჩვენი სადილი ასე თავდებოდა ხოლმე ხანგრძლივ საუბარში: შუქურა, ზღვა, ხომალდთა დაღუპვის ამბები, კორსიკელი ავაზაკების თავგადასავალი... შემდეგ დღე-ღამის გაყრისას პირველი მეოთხედის გუმაგი თავის პატარა სანათურს აანთებდა,

აიღებდა თავის ჩიბუხს, აყიროს, წითელნაწიბურიან მსხვილ პლუტარქს¹⁶¹, რომელიც სანგინერის მთელს ბიბლიოთეკას წარმოადგენდა, და ჰქერებოდა უკანა კარში. ერთი წუთის შემდეგ მთელს შუქურაში ატყდებოდა ჯაჭვების, ჭოჭონაქების მოსამართი საათების დიდი გირების ლაწუნი.

ამ დროს მე გარეთ გავდიოდი ტერასზე დასაჯდომად. მზე უკვე ძალიან დაბლა იყო, ჩქარა ეშვებოდა ზღვაში და მთელი ჰორიზონტი თან მიჰქონდა. გრილი ქარი ჰქროდა, კუნძული იისფერი ხდებოდა. ცაში ჩემს მახლობლად ვეებერთელა ფრინველი მძიმედ გადაიფრენდა ხოლმე: ეს იყო გენუელების კომპის არწივი, რომელიც შინ ბრუნდებოდა. ზღვაზე თანდათან ნისლი დგებოდა და ჩქარა აღარაფერი ჩანდა გარდა ქაფის თეთრი არშიისა კუნძულის გარშემო... უცებ ჩემს ზემოთ ნაზი სინათლის ფართო ტალღა იღვრებოდა. შუქურა ანთებული იყო. ნათელი შუქი მთელს კუნძულს სიბნელეში სტოვებდა და ფართოდ ეცემოდა გაშლილ ზღვას; მე თითქოს დაკარგული ვიდექი ღამეში, ამ დიდი ნათელი ტალღების ქვეშ, რომელნიც ოდნავ მცემდნენ შხეფებს... მაგრამ ქარი კიდევ უფრო ცივი ხდებოდა. შენობაში უნდა შევსულიყავი. ხელის ფათურით დიდ კარს ვკეტავდი და რკინის ურდულს ვუყრიდი; შემდეგ ისევე ხელის

ცეცებით ავდიოდი პატარა თუჯის კიბეზე, რომელიც ირყეოდა და ზრიალებდა ჩემს ფეხებს ქვეშ, და შუქურას თავზე გავდიოდი. აქ კი უკვე სინათლე ჭარბად იყო.

წარმოიდგინეთ კარსელის უზარმაზარი სანათური, რომელსაც ექვსი რიგი პატრუქი აქვს; ამ სანათურის გარშემო ნელ-ნელა მოძრაობს ფარნის შინაგანი კედლები, რომელთაგან ზოგიერთს ოსპისებური მინა აქვს, ხოლო სხვები გადიან დიდ უმოძრაო შუშის ხუფში, ეს ხუფი ალს იცავს ქარისაგან... ასვლისას სინათლე თვალს მჭრიდა. ეს სპილენძი და კალა, ეს თუნუქის რეფლექტორები, ეს ამოზნექილი მინის კედლები, რომელნიც დიდ ცისფერ წრეებში ტრიალებდნენ, სინათლის მთელი ეს კაშკაში და ციმციმი ერთი წუთით თავბრუს მახვევდა.

მაგრამ ნელ-ნელა ჩემი თვალები ყოველივე ამას ეჩვეოდა, და მე სანათურის ქვეშ ვჯდებოდი, გუშაგის გვერდით, რომელიც თავის პლუტარქს კითხულობდა ხმამაღლა, რათა ძილი არ მორეოდა...

გარეთ უკუნეთი და უფსკრულია. პატარა აივანზე, რომელიც გარს უვლის ფარანს, ქარი გააფთრებით ღმუის. შუქურა ჭრიალებს, ზღვა ღრიალებს კუნძულის ქიმზე ტალღები ისეთი სიძლიერით ეხეთქებიან კლდეს, თითქოს ზარბაზანი ვარდებოდეს... ხანდახან ფანჯრის მინებს უხილავი ხელი უკაკუნებს: ეს რომელიმე ღამის ფრინველია, რომელიც სინათლეს მიუზიდავს და თავს ახეთქებს შუშის კედელს... ელვარე და ცხელ ფარანში მხოლოდ ალის ტკაცანი და ზეთის წვეთების დაცემა ისმის; ამას ერთვის ჯაჭვის ჩხარაჩხური და მონოტონური ხმა, რომელიც ღიღინით დემეტრე ფალერელის^[17] ცხოვრებას კითხულობს.

* * *

შუადამისას გუშაგი დგებოდა, უკანასკნელად ათვალისებდა თავის პატრუქებს, და ჩვენ ძირს ჩავდიოდით. კიბეზე ამხანაგი გვხვდებოდა, მეორე მეოთხედის მორიგე, რომელიც ზევით ადიოდა თვალების ფშვნიტით; მას აძლევდნენ აყიროსაც და პლუტარქსაც... შემდეგ, სანამ ლოგინში ჩავწვებოდით, ერთი წუთით უკანა ოთახში შევდიოდით, სადაც მიყრილ-მოყრილი იყო ჯაჭვები, მძიმე გირები, კალის რეზერვუარები, ბაგირი, და იქ, თავისი პატარა სანათურის შუქზე, გუშაგი შუქურას მუდამ გადაშლილ დიდ წიგნში წერდა:

– შუადამე. მდეღვარე ზღვა. ქარიშხალი. გემი გაშლილ ზღვაში.

„სემილანტის“ სულთმობრძაობა

რადგან იმდამინდელმა მისტრალმა კორსიკის ნაპირას გადაგვისროლა, ნება მიბოძეთ ზღვის ერთი საშინელი ამბავი გიამბოთ, რომელსაც ადგილობრივი

მეთევზეები ხშირად იგონებენ საღამოობით და რომლის შესახებაც შემთხვევით მეტად საინტერესო ცნობები მივიღე.

... მას შემდეგ ორმა თუ სამმა წელმა განვლო.

მე სარდინიის ზღვაზე ვმოგზაურობდი შვიდი თუ რვა მეზაჟე მეზღვაურის საზოგადოებაში. მძიმე მოგზაურობა იყო გამოუცდელი კაცისათვის. მთელი მარტის თვის განმავლობაში ერთი დღეც არ გვექონდა კარგი. გააფთრებული აღმოსავლეთის ქარი გვერეკებოდა, და ზღვა განუწყვეტლივ ჯავრობდა.

ერთ საღამოს, როდესაც ქარიშხალს გავურბოდით, ჩემმა ხომალდმა თავი შეაფარა ბონიფაჩიოს სრუტის შესავალში, პატარა კუნძულთა გროვაში... მათი შეხედულება არ

ახდენდა მაინცდამაინც მიმზიდველ შთაბეჭდილებას; ფრინველებით დაფარული მაღალი სალი კლდეები, აბზინდის ორიოდე ბუჩქი, მასტიკის შამბნარი, ხოლო აქა-იქ შლამში ლპობადი ხის ნაჭრები; მაგრამ, ღმერთს გეფიცებით, ღამის გასათევად ეს კლდეები მაინც სჯობდნენ ძველი, ნახევარერდოიანი ძველი ხომალდის კაიუტას, სადაც ტალღები თავს შინაურულად გრძნობდნენ, და ჩვენ დავკმაყოფილდით ამით.

როგორც კი ნაპირზე გადავედით, მეზღვაურებმა ცეცხლის დანთება დაიწყეს თევზის ნივრიანი შეჭამანდის მოსამზადებლად. პატრონმა დამიძახა; მან მიმითითა ნისლში გახვეული თეთრი ქვისაგან გაკეთებულ პატარა გალავანზე კუნძულის ბოლოში და მითხრა:

– სასაფლაოზე ხომ არ წამოხვალთ.

– სასაფლაოზე, პატრონო ლიონეტი? განა სად ვიმყოფებით?

– ლავეცის კუნძულებზე, ბატონო. აქ არის დამარხული „სემილანტის“ ექვსასი კაცი, სწორედ იმ ადგილას, სადაც ფრეგატი დაიღუპა ათი წლის წინათ... საბრალო ხალხი!

ბევრი მნახველი არა ჰყავთ. რაკი აქა ვართ, ჩვენ მაინც წავიდეთ, ვუთხრათ – მშვიდობით-თქო.

– სულითა და გულით, პატრონო.

* * *

რა სევდიანი იყო „სემილანტის“ სასაფლაო. მე მას ახლაც ვხედავ მისი დაბალი გალავნით, ძნელად გასაღები, ჟანგიანი რკინის კარით, მდუმარე სამლოცველოთი და ბალახით დაფარული რამდენიმე ასეული შავი ჯვრით... არც ერთი გვირგვინი, არავითარი სამახსოვრო ნიშანი! არაფერი... აჰ, საბრალო

მიტოვებული მიცვალებულნი, როგორ უნდა სციოდეთ თავიანთს შემთხვევითს საფლავებში!

ჩვენ იქ ერთი წუთით შევჩერდით მუხლმოდრეკილნი. პატრონი ხმამალლა ლოცულობდა. უზარმაზარი მეთოვლიები, სასაფლაოს ერთადერთი გუშაგები, თავს დაგვტრიალებდნენ და ზღვის ოხვრას თავიანთ ხრინწიან ხმას უერთებდნენ.

ლოცვის გათავების შემდეგ დამწუხრებული დავბრუნდით კუნძულის იმ კუთხეში, სადაც ჩვენი ხომალდი იყო მიბმული. ჩვენი იქ არყოფნის დროს მეზღვაურებს დრო უქმად არ დაეკარგათ. კლდის საფარქვეშ დაგვხვდა გაჩაღებული ცეცხლი და ქვაბი, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა. წრეში დავსხედით, ფეხები ცეცხლს მივუშვირეთ, და მალე თვითუელმა ჩვენგანმა მუხლებზე წითელი თიხის ჯამი დაიდგა კარგად ჩაბუჭებული შავი პურის ნაჭრებით. ჩვენი ტრაპეზი დუმილში ჩატარდა: ჩვენ დასველებულები ვიყავით, გვშიოდა, თანაც მეზობლად სასაფლაო გვქონდა... მაგრამ, როცა ჯამები დაცარიელდა და ჩიბუხებს მოვუკიდეთ, ნელ-ნელა საუბარიც გაიბა. ლაპარაკი, რასაკვირველია, „სემილანტზე“ ჩამოვარდა.

– ბოლოს, მაინც როგორ მოხდა ეს ამბავი? – შევეკითხე პატრონს, რომელიც ხელებზე თავდაყრდნობილი აღს უყურებდა ჩაფიქრებული სახით.

– როგორ მოხდა? – მიპასუხა კეთილმა ლიონეტიმ და ღრმად ამოიოხრა, – ეჰ, ჩემო ბატონო, ამის თქმა არავის შეუძლია ქვეყანაზე. ერთადერთი რაც ვიცი, ისაა, რომ ჯარით დატვირთული „სემილანტი“ წინადლით ცუდ დარში ტულონიდან ყირიმისკენ წავიდა. ღამით დარი კიდევ უფრო გაფუჭდა, ქარი, წვიმა, აბობოქრებული ზღვა, რომლის მსგავსი არ ნახულა... დილით ქარი ცოტათი ჩადგა, მაგრამ ზღვა მაინც დრტვინავდა. ამასთანავე წყეული ნისლის გამო სანიშნო ფარანი ოთხ ნაბიჯზე არ ჩანდა... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ბატონო, რა მუხანათია ეს ნისლი... ეს კიდევ არაფერი: მე მგონია, „სემილანტს“ საჭე უნდა დაჰკარგოდა დილით, იმიტომ რომ ნისლი დიდხანს ვერ სძლებს და ავარია რომ არ მომხდარიყო, კაპიტანი არასოდეს აქ არ გამოირიყებოდა. ის გამობრძმედილი მეზღვაური იყო, მას ჩვენ ყველანი ვიცნობდით. სამი წლის განმავლობაში მართავდა კორსიკის პოსტს და თავის ნაპირს ჩემსავით კარგად იცნობდა, მე რომ ამის მეტი არაფერი ვიცი.

– რომელ საათზე უნდა დაღუპულიყო „სემილანტი“?

– ეს შუადღეზე უნდა მომხდარიყო; დიახ, ბატონო, სწორედ შუადღეზე... მაგრამ რა! ზღვის ბურუსში შუადღე არაფრით არ სჯობია უკუნეთ შუაღამეს... სანაპიროს ერთმა მეზაჟემ მიაძხო, რომ იმ დღეს თორმეტის ნახევარზე

სახლიდან გამოვედი, რათა დარაბები მიმემაგრებინაო, ქარმა ქუდი მომტაცა და, თუმცა საფრთხე მელოდა, რომ

თვით მე ზღვის ტალღა მომიტაცებდა, მაგრამ მაინც სანაპიროზე გამოვედევნე ბობღვითო. თქვენთვის გასაგებია! საბაჟოს მოხელეები მდიდრები არ არიან, ქუდი კი ძვირი ღირს. ჰოდა, თითქოს, როცა ამ კაცს თავი ზევით აუწევია, სრულიად ახლო, ნისლში დიდი აფრაჩამოგლეჯილი გემი დაუნახავს, რომელსაც ქარი ლავეცის კუნძულებისაკენ მიაქროლებდა თურმე. ეს გემი ისე ჩქარა, ისე ჩქარა მიდიოდა, რომ საბაჟოს მოხელეს თვალი ძლივს მოუკრავს. მაგრამ ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს „სემილანტი“ იყო, იმიტომ რომ ნახევარი საათის შემდეგ კუნძულის მწყემსმა ამ კლდეებზე გაიგონა... მაგრამ აი სწორედ ის მწყემსი, რომლის შესახებაც გელაპარაკებით, ჩემო ბატონო, ის თვით გაიმბობთ... გამარჯობა, პალომბო!... მოდი ცოტა გათბი; ნუ გეშინია.

ჩვენ კრთომით მოგვიახლოვდა კაპიუშონიანი^[18] მამაკაცი, რომელიც ერთი ხანია ჩვენი ცეცხლის გარშემო ტრიალებდა; მე ის ჩვენი ეკიპაჟის წევრი მეგონა, იმიტომ რომ არ ვიცოდი მწყემსი თუ არსებობდა კუნძულზე.

ეს იყო კეთროვანი ბერიკაცი, თითქმის იდიოტი, რაღაც სურავანდისებური სნეულებით დაავადებული, რის გამო ტუჩები დასიებოდა და საშინელი შესახედავი იყო. მას დიდი გაჭირვებით აუხსნეს, რაზე იყო ლაპარაკი. მაშინ ავადმყოფმა თითით ტუჩი აიწია და გვიამბო, რომ მართლაც იმ დღეს, შუადღისას ჩემს ქოხში კლდეებიდან შემზარავი ჭახანის ხმა მომესმაო. რადგან კუნძული მთლად წყლით იყო დაფარული, გარეთ გამოსვლა ვერ შევძელი და მხოლოდ მეორე დღეს, როცა კარი გავაღე, დავინახე, რომ ნაპირი გამორიყული ნამტვრევებითა და გვამებით იყო დაფარულიო. შეძრწუნებული ჩემი ნავისკენ გავიქეცი, რათა ბონიფაჩიოში მეცნობინებინა ხალხისთვის.

* * *

ამდენი ლაპარაკით დაღლილი მწყემსი დაჯდა, და პატრონმა განაგრძო:

– დიახ, ბატონო, ეს საწყალი მოხუცი მოვიდა ჩვენს შესატყობინებლად. თითქმის გაგიჟებული იყო შიშისაგან; და ამ ამბის შემდეგ მისი ტვინი დაზიანებული დარჩა. მართლაც, მიზეზი ჰქონდა... წარმოიდგინეთ ექვსასი გვამი, ერთად დაგროვილი სილაზე, არეული ხის ნატეხებსა და აფრის ნაფლეთებში... საბრალო „სემილანტი“...

ზღვას ის ერთი დარტყმით დაელეწა და ისეთ ნამცეცებად ექცია, რომ მთელს მის ნამუსრევში მწყემსმა პალომბომ დიდი გაჭირვებით შეაგროვა მასალა მესერის შემოსავლებლად თავისი ქოხის გარშემო... რაც შეეხება ადამიანებს, თითქმის ყველანი საშინლად დამახინჯებული, დასახინჩრებული იყვნენ... საცოდაობა იყო

მათი დანახვა; ისინი მტევნებივით გადასჭდობოდნენ ერთმანეთს... კაპიტანი საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილი აღმოჩნდა, მღვდელს კისერზე ოლარი ეკიდა; ერთს კუთხეში, ორ კლდეს შუა, იუნგი იწვა თვალეზღაღებულად... იფიქრებდით, ცოცხალიაო, მაგრამ არა! უკვე გითხარით, არც ერთს არ ეწერა გადარჩენა... აქ პატრონმა სიტყვა შესწყვიტა:

- ყური უგდე, ნარდი! - წამოიძახა მან, - ცეცხლი ჰქრება.

ნარდიმ ნაკვერჩხლებზე ორი თუ სამი ფისიანი ფიცარი დასდო, რომელნიც აპრიალდნენ, და ლიონეტიმ განაგრძო:

- აი რა არის ყველაზე მეტად სამწუხარო ამ ამბავში; სამი კვირით ადრე ამ უბედურებამდე, ერთი პატარა სამხედრო ხომალდი, რომელიც ყირიმში მიდიოდა „სემილანტივით“, ასევე დაიღუპა, თითქმის იმავე ადგილას; მხოლოდ მაშინ ჩვენ შევძელით ეკიპაჟისა და იმ ოცი მეალაღე ჯარისკაცის გადარჩენა, რომელნიც ხომალდის ქიმზე იმყოფებოდნენ... თქვენ წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე იქნებოდნენ ეს საბრალო მწყობრგარეშე ჯარისკაცები. ისინი ბონიფაჩიოში მოიყვანეს და ორი დღის განმავლობაში ჩვენთან დარჩნენ ფლოტში... რაკი გაშრენ და ფეხზე დადგნენ, მშვიდობით! გამარჯვებას გისურვებთ! ისინი ტულონში დაბრუნდნენ და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ყირიმისკენ მიმავალი ხომალდით გაამგზავრეს... გამოიცანით რომელი ხომალდით?.. „სემილანტი“, ბატონო ჩემო... ჩვენ ისინი ყველანი, ოცივენი, მიცვალებულთა შორის აღმოვაჩინეთ აი იმ ადგილას, სადაც ახლა ვიმყოფებით... მე თვითონ ავწიე ერთი ლამაზი, კოპწიაულვამებიანი ბრიგადირი, კოხტა პარიზელი, რომელსაც წინა დღეებში ჩემთან გავათევენივ ღამე; მან ბევრი გვაცინა თავისი მოთხრობებით... მისმა დანახვამ გული დამისერა... აჰ, წმინდაო ღვთისმშობელო...

აქ დიდად აღელვებულმა კეთილმა ლიონეტიმ ფერფლი გადაჰყარა თავისი ჩიბუხიდან, წამოსასხამში გაეხვია და ღამე ნებისა მისურვა. მეზღვაურები დაბალი ხმით

საუბრობდნენ კიდევ რამდენიმე ხნის განმავლობაში... შემდეგ ერთიმეორის მოყოლებით ჩიბუხები ჩაქრა... ხმა აღარავის ამოუღია... ბებერი მწყემსი წავიდა... და მე ჩემი ფიქრებით მარტოდმარტო დავრჩი მიძინებულ ეკიპაჟს შორის.

* * *

ახლადმოსმენილი ნაღვლიანი მოთხრობის ზეგავლენით მე შევეცადე ჩემს აზრებში აღმედგინა საბრალო მიცვალებული ხომალდი და იმ სულთმობრძაობის ამბავი, რომლის ერთადერთი მოწმენი მეთოვლიები იყვნენ. ზოგიერთმა დეტალმა, რომელმაც ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა, საზეიმო ტანისამოსში გამოწყობილმა კაპიტანმა, მღვდლის ოლარმა, ოცმა მეალაღე

ჯარისკაცმა, დახმარება გამიწიეს, რათა მთელი დრამის მოულოდნელი ცვლილებანი გამომეცნო. მე ვხედავდი ხომალდის ტულონიდან გამგზავრებას... ის ნავსადგურიდან გამოდის ზღვა შფოთავს, ქარია საშინელი; მაგრამ კაპიტანი მამაცი მეზღვაურია და ყველანი გულდამშვიდებული არიან გემზე.

დილით ზღვა ნისლით იბურება. ყველას მოუსვენრობა იპყრობს. მთელი ეკიპაჟი ზევითაა. კაპიტანი არ სტოვებს გემბანის კაიუტას. ქვემოთ სადაც ჯარისკაცები არიან ჩაკეტილი, ბნელა; ჰაერი შეხუთულია. ზოგი ავადაა და თავის პარკზე წევს. ხომალდი საშინლად ირყევა; შეუძლებელია ფეხზე გაჩერება. სხვები იატაკზე სხედან ჯგუფ-ჯგუფად, სკამებს ხელჩაჭიდებულნი და ისე საუბრობენ; უნდა იყვიროთ, რომ გაიგონონ. ზოგიერთს უკვე შიშის გრძნობა ეპარება.... კაცო, ყური დამიგდეთ! ამ ადგილებში ხშირია გემის დაღუპვა; მეალაღე ჯარისკაცები სწორედ აქ არიან და დაამოწმებენ; მათი ნაამბობი არაფერს შეიცავს დამამშვიდებელს. მათი ბრიგადირი ხომ, ეს პარიზელი, რომელიც მუდამ ოხუნჯობს, ჟრუანტელს იწვევს თავისი ლაზღანდარობით:

- გემის დაღუპვა!.. დიდი გასართობი რამაა. ჩვენ ყინულიანი აბაზანით გადავრჩებით და შემდეგ ბონიფაჩიოში წაგვიყვანენ, პატრონ ლიონეტისთან, შაშვების საჭმელად. და ჯარისკაცები იცინიან. უცებ ჭრიალი გაისმის. - რა არის? რა მოხდა?..

-საჭე მოსწყდა, - იმახის ერთი სრულიად დასველებული მეზღვაური, რომელიც ქვედა ბანს გაირბენს საჩქაროდ.

- კეთილი მგზავრობა! - ყვირის ეს გადარეული ბრიგადირი, მაგრამ ეს აღარავის აცინებს.

გემბანზე დიდი არევდარევაა. ბურუსი მეზღვაურებს ხელს უშლის ერთმანეთი დაინახონ. მეზღვაურები შეძრწუნებული მიდი-მოდინ ხელების ფათურით. საჭე აღარ არის. შეუძლებელი გახდა ხომალდის წაყვანა. „სემილანტი“ მდინარებას მიჰყვება, ქარივით მიჰქრის... ამ დროს იყო, რომ ის მეზღვაურ დაინახა; თორმეტის ნახევარია. ხომალდის წინ თითქოს ზარბაზნის სროლა გაისმის... ფურთუნი, ფურთუნი!.. ყოველივე გათავებულია, იმედი აღარ არის, გემი პირდაპირ ნაპირისკენ მიექანება... კაპიტანი თავის კაიუტაში ჩადის... ერთი წუთის შემდეგ ბანზე თავის ადგილს იჭერს საზეიმო ტანისამოსით... მას სურს სიკვდილს ლამაზად მორთული შეხვდეს.

ქვედა ნაწილში შემფოთებული ჯარისკაცები ერთმანეთს უსიტყვოდ უცქერიან... ავადმყოფები ცდილობენ ფეხზე წამოდგნენ... პატარა ბრიგადირი აღარ იცინის... ამ

დროს კარი იღება და ზღურბლზე ოლარგადაკიდებული მღვდელი ჩნდება:

– დაიჩოქეთ, შვილებო!

ყველანი ემორჩილებიან. მქუხარე ხმით მღვდელი იწყებს სულთმობრძაობის ლოცვას.

უცებ საშინელი ჭახანი და ყვირილი გაისმის, ერთადერთი ყვირილი, უზომო ყვირილი; წინგაწვდილი ხელები ერთმანეთს ეჭიდებიან, შეძრწუნებულ თვალებში სიკვდილის მოჩვენება ელვასავით გადაივლის...

ღმერთო შეგვიწყალე!..

ასე გავატარე მთელი ღამე ფიქრებში წასულმა, გამოვიწვიე რა ათი წლის მანძილიდან იმ საბრალო ხომალდის სული, რომლის ნამტვრევები გარს მეხვია... მოშორებით, სრუტეში, ქარიშხალი მძვინვარებდა; ბანაკში ალი იხრებოდა გრიგალის ქროლვაზე და მესმოდა, როგორ ტორტმანებდა და თავის ბაგირს აჭრაჭუნებდა ჩვენი ხომალდი, რომელიც კლდის პირას იყო მიბმული.

მებაჟეები

ხომალდი „ემილია“ პორტო ვეკიოდან, რომელზედაც მე ასეთი სამწუხარო გზით ვიმგზავრე ლავეცის კუნძულებისკენ, ძველი საბაჟო კაპანო იყო, მხოლოდ სანახევროდ გადახურული გემბანით. ქარისა, ტალღებისა და წვიმისაგან თავის დასაცავად იქ არაფერი იყო, გარდა გემბანის პატარა შეფისული კაიუტისა, რომელშიც ერთი მაგიდა და ორი საწოლი ძლივს ეტეოდა. ამიტომ ჩვენი მეზღვაურები უნდა გენახათ ცუდს დარში: სახეზე წყალი ჩამოსწორწურებდათ, გალუმპულ ხალათებს ოხშივარი ასდიოდა, როგორც თეთრეულს სამრეცხაოში, და შუა ზამთარში ეს საბრალონი მთელ დღეებს და თვით ღამეებს დასველებულ სკამებზე ატარებდნენ მოკრუნჩხულნი და ძაგძაგებდნენ ამ მავნებელ სინესტემში; ცეცხლის ანთება კაპანოზე არ შეიძლებოდა, ნაპირის მიღწევა კი ხშირად ძნელი იყო... მერე რა! არც ერთ ამ ადამიანს არ დაუჩივლია. უმკაცრეს დარში მე მათ იმავე სიმშვიდეს, იმავე კარგ გუნებას ვამჩნევდი. რა სევდიანია მაინც მებაჟე მეზღვაურების ცხოვრება!

თითქმის ყველანი ჯვარდაწერილები არიან, ცოლი და ბავშვები ხმელეთზე ჰყავთ,

მთელი თვეები კი გარეთ რჩებიან და ამ სახიფათო ნაპირებს უვლიან. საკვებად არაფერი აქვთ გარდა დაობებული პურისა და ტყის მცენარეების ბოლქვებისა; არც ღვინო, არც ხორცი, იმიტომ რომ ხორცი და ღვინო ძვირია, ისინი კი მხოლოდ ხუთას ფრანკს ღებულობენ წელიწადში. ხუთასი ფრანკი წელიწადში! თქვენ ადვილად წარმოიდგენთ, რა გაჭვარტლული უნდა იყოს მათი ქოხები ზღვის სანაპიროზე და ბავშვები როგორ ფეხშიშველი უნდა დარბოდნენ!... რაც გინდათ სთქვით, ეს ადამიანები კმაყოფილი ჩანდნენ. გემის უკანა ნაწილში, კაიუტის პირდაპირ წვიმის წყლით სავსე კასრი იდგა, სადაც ეკიპაჟი წყლის სასმელად მიდიოდა, და მე მახსოვს, რომ უკანასკნელი ყლუპის შემდეგ თვითთელი ბეჩავი მეზღვაური თავის კათხას გააქნევდა და „აჰს“ წამოიძახებდა რაღაც კმაყოფილების გამომეტყველებით, რომელიც ერთსა და იმავე დროს კომიკურიც იყო და გულისამაჩუყებელიც.

ყველაზე მხიარული და ყველაზე კმაყოფილი ერთი ახალგაზრდა, ჯმუხი და მზეზე დამწვარი ბონიფაჩიოელი იყო, რომელსაც პალომბოს ეძახოდნენ. სულ მღეროდა, თვით საშინელ ავდარშიც კი. როცა ზვირთი მძიმე გახდებოდა, ცა მოიღუმებოდა და ხორხომელით აივსებოდა, როცა ყველანი ყურებს სცქვეტდნენ და შკოტს ხელს არ

აშორებდნენ ქარის მოლოდინში, მთელი გემის უდიდეს დუმილსა და შემფოთებაში პალომბოს წყნარი ხმა გაისმოდა:

„ლიზეტა

რომ

ქალია,

მთელი სოფლის თვალია
 თუ თქვენს ოქროს არად სთვლის, თვით ხომ ოქროს ცალია“...

და ქარბუქს შეეძლო რამდენიც უნდა ებერა, გემსართავი ეკვნესებინა, ხომალდი ერყია და წყლით გადაელეკა, ჩვენი მეზაჟე თავისას მღეროდა. მისი სიმღერა დედამთვრალასავით ქანაობდა ტალღების ქოჩორზე. ხანდახან ქარის აკომპანიმენტი მეტისმეტად ძლიერი იყო და სიტყვები აღარ ისმოდა; მაგრამ ზღვის დარტყმასა და დარტყმას შუა, აგორებული წყლის ხმაურობაში, პატარა მისამღერი მუდამ მეორდებოდა:

„ლიზეტა რომ ქალია, მთელი სოფლის თვალია“...

მაგრამ ერთს დღეს, როცა ძლიერი ქარი ჰქროდა და კოკისპირულად წვიმდა, მე მისი სიმღერა აღარ მომესმა. ეს ისეთი არაჩვეულებრივი ამბავი იყო, რომ კაიუტიდან თავი გამოვყავი:

– ჰე, პალომბო, მაშ აღარ მღერი?

პალომბომ არაფერი არ მიპასუხა. ის უმოძრაოდ იწვა თავის სკამქვეშ. მე მივუახლოვდი. კბილები უკაწკაწებდა, მთელი სხეული ციებ-ცხელებისაგან უცახცახებდა.

– პუნტურა სჭირს, – მითხრეს მისმა ამხანაგებმა სევდიანად.

ისინი „პუნტურას“ ფერდში მჭვალის გადგომას, პლევრიტს უწოდებდნენ. ეს ფართო, ტყვიისფერი ცა, ეს დასველებული ხომალდი, ეს საბრალო, ციებცხელებიანი ავადმყოფი, გახვეული ძველ კაუჩუკის წამოსასხამში, რომელიც წვიმაში ბრჭყვიალებდა სელაპის ტყავით! მე არასოდეს არაფერი მინახავს ამაზე უფრო პირქუში. ჩქარა სიცივემ, ქარმა, ზვირთების რყევამ გააძლიერეს მისი ავადმყოფობა. მან ბოდვა დაიწყო; საჭირო გახდა ნაპირზე მიდგომა.

დიდი დროისა და ძალ-ღონის დახარჯვა მოგვინდა, სანამ სალამოს შევიდოდით პატარა, წყალმარჩხსა და მყუდრო ნავსადგურში, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე ფრინველის წრისებური ფრენა აცხოველებდა. ნაპირზე ამართული იყო მაღალი ნაპრალეები, გაუვალი შამბნარი და მუდმივ მუქი მწვანე ბუჩქნარი. დაბლა, წყლის პირას პატარა, თეთრი, ნაცრისფერდარაბებიანი სახლი იდგა: ეს საბაჟოს სადგური იყო. ამ უდაბურ ადგილას ეს სახაზინო შენობა, ფორმის ქუდივით დანომრილი, რაღაც შემზარავ შთაბეჭდილებას ახდენდა. საბრალო პალომბო იქ მიიყვანეს. სევდიანი თავშესაფარი იყო ავადმყოფისთვის. როცა ჩვენ შევედით, საბაჟოს ზედამხედველი ცეცხლის პირას სადილოობდა თავის ცოლსა და ბავშვებთან ერთად. ამ ხალხს გასავათებული, ჩაყვითლებული სახე, ციებისაგან გაფართოებული და ჩალილავებული თვალები ჰქონდა. დედას, ჯერ

ახალგაზრდა ქალს, ხელში ძუძუმწოვარი ბავშვი ეჭირა და ცახცახებდა, როცა ჩვენ გველაპარაკებოდა.

– ეს საშინელი სადგურია, – მითხრა ჩუმად ზედამხედველმა. – ჩვენ იძულებული ვართ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ შევცვალოთ ჩვენი მებაჟეები. მათ ჭაობის ციებ-ცხელება მუსრავს...

საჭირო იყო ამავე დროს ექიმის შოვნა. ის არსად იყო სარტენს აქეთ, ესე იგი ექვსი თუ რვა ლიეზე უფრო ახლო. როგორ მოვქცეულიყავით? ჩვენს მეზღვაურებს ძალ-ღონე გამოეღიათ, ხოლო ბავშვი ვერ გაიგზავნებოდა ასე შორს. ქალმა გარეთ გაიხედა და დაიძახა:

– ჩეკო... ჩეკო...

შემოვიდა კარგად მოყვანილი, მაღალი ყმაწვილი, ბრაკონიერის ან ფირალის ნამდვილი ტიპი, ყავისფერი შალის ქუდით და თხის ბეწვის წამოსასხამით. მე ის უკვე შევამჩნიე ხომალდიდან გადმოსვლის დროს: ის კართან იჯდა, პირში წითელი ჩიბუხი ჰქონდა, ხოლო ფეხებს შუა თოფი ედგა; მაგრამ არ ვიცი რად, ის გაიქცა ჩვენ მიახლოებისთანავე. შეიძლება იფიქრა, რომ ჟანდარმები გვახლდა. როცა ის შემოვიდა, ზედამხედველის ცოლი ოდნავ გაწითლდა.

– ეს ჩემი ბიძაშვილია, – გვითხრა მან. – იმედი გქონდეთ, რომ ის ტევრში არ დაიბნევა.

შემდეგ დაბალი ხმით დაუწყო ლაპარაკი, თან ავადმყოფს უთითებდა. მამაკაცმა თავი დახარა შეუპასუხებლად, გავიდა, თავის ძალს დაუსტვინა და გზას გაუდგა. მხარზე თოფი ჰქონდა გადებული, ლოდიდან ლოდზე ხტოდა თავისი გრძელი ფეხებით.

ამ ხნის განმავლობაში ბავშვები, რომელთაც, როგორც ეტყობოდა, ზედამხედველის შინ ყოფნა შიშის ზარს სცემდა, ჩქარა ათავებდნენ თავიანთ სადილს, რომელიც წაბლისა და ხაჭოსაგან შედგებოდა. მხოლოდ წყალი, მეტი არაფერი არ იდგა სუფრაზე. სასარგებლო კი იქნებოდა ამ პატარა ბავშვებისათვის თუნდ ერთი ყლუპი ღვინო. ეჰ, სიღარიბევ! ბოლოს დედამ ისინი ააყენა, რათა დაეძინებინა; მამამ თავისი ფარანი აანთო და ნაპირის დასათვალიერებლად წავიდა, ხოლო ჩვენ ცეცხლის პირას დავრჩით ჩვენი ავადმყოფის მოსავლელად, რომელიც თავის ცუდ საწოლზე ბორგავდა, თითქოს ისევ შუა ზღვაში ყოფილიყო და მღელვარე ზვირთებს ერწიოს. რათა მისი პუნტურა ცოტათი დაგვეცხრო, რიყის ქვებსა და აგურებს ვუცხელებდით და ფერდზე ვადებდით. ერთხელ თუ ორჯერ, როცა მის ლოგინს მივუახლოვდი, უბედურმა მიცნო და, რათა ჩემთვის მადლობა გადაეხადა, ხელი გამომიწოდა გაჭირვებით, დიდი

დაკოჟრებული ხელი, ისეთივე გახურებული, როგორც ცეცხლიდან ამოღებული აგურები იყო.

მწუხარე იყო ეს ღამისთევა. გარეთ ავდარი გაძლიერდა დაღამების შემდეგ, და იქიდან მხოლოდ ჭახაჭუხი, გრგვინვა, ქაფის შხაპუნი და კლდეებისა და წყლის ბრძოლის ხმა ისმოდა. დროგამოშვებით ქარი გაშლილი ზღვიდან ჩვენს ყურეში იჭრებოდა და გარს ეხვეოდა ჩვენს სახლს. ეს მაშინვე იგრძნობოდა ალის მსწრაფლ ავარდნაზე, რაც უცებ ანათებდა მეზღვაურების დაღვრემილ სახეებს; ისინი ჯგუფად ისხდნენ ბუხრის წინ და ცეცხლს უცქეროდნენ იმ მშვიდი გამომეტყველებით, რომელსაც ფართო სივრცეებისა და ფართო ჰორიზონტების შეჩვევა იძლევა. ხანდახან პალომბო წყნარად კვნესოდა. მაშინ ყველა თვალი ბნელი კუთხისაკენ იცქირებოდა, სადაც საბრალო ამხანაგი კვდებოდა, თავისიანებს დამორებული, დახმარებას მოკლებული; და მეზღვაურების მკერდიდან ღრმა ოხვრა მოისმოდა. ეს იყო და ეს; ამის მეტს ამ მომთმენ და თვინიერ ზღვის მუშებს ვერაფერს გამოსტაცებდა მათი პირადი უბედურების გრძნობა. არც ამბოხება, არც გაფიცვა! მხოლოდ ოხვრა და მეტი არაფერი... მაგრამ არა, მე ვცდები; როცა ერთმა მათგანმა გვერდით ჩამიარა, რათა ცეცხლში წნელის კონა ჩაეგდო, ოდნავ გასაგონი, შეწუხებული ხმით მითხრა:

– ხედავთ, ბატონო... ხანდახან ბევრი სატანჯველია ჩვენს ცხოვრებაში...

კუკუნიაანის ხუცესი

ყოველ წელიწადს, მირქმა დღისათვის, პროვანსელი პოეტები ავინიონში პატარა სასიამოვნო წიგნს აქვეყნებენ ხოლმე, რომელიც მთლიანად ავსებულია მშვენიერი ლექსებითა და ლამაზ-ლამაზი მოთხრობებით. ესაა წრევანდელი წიგნაკი მივიღე და იქ საუცხოო არაკი აღმოვაჩინე, რომლის გადმოთარგმნას შევეცდები ოდნავ შემოკლებით... პარიზელებო, გამოსწით თქვენი კალათები: ამჟამად თქვენ საუკეთესო ღირსების პროვანსული გამტკიცული ფქვილით გაგიმასპინძლებიან.

* * *

აბატი მარტენი მღვდელი იყო... კუკუნიაანში.

უზომოდ კეთილს, ოქროსავით ხალასს, მას როგორც მამას ისე უყვარდა თავისი კუკუნიაანელები; მისთვის მისი კუკუნიაანი ამქვეყნიური სამოთხე იქნებოდა, თუ კუკუნიაანელებს ცოტათი მეტი სიამოვნება მიენიჭებინათ მისთვის. მაგრამ ვაი, რომ მის

სააღსარებოში ობობას თავისი ქსელი გაეხა, ხოლო ბრწყინვალე აღდგომა დღეს წმინდა ნაწილნი სანაწილეს ფსკერზე რჩებოდნენ. კეთილ მღვდელს ეს გულს უკლავდა და ის მუდამ სთხოვდა ღმერთს, მოწყალეობა მოელო და ისე არ მოეკლა, რომ მისი გაფანტული სამწყსო სავანეში არ მიეყვანა. და აი თქვენ დაინახავდით, რომ ღმერთმა შეუსმინა. ერთხელ კვირა დღეს, სახარების შემდეგ, ბატონი მარტენი კათედრაზე ავიდა.

– ძმებო, – წარმოსთქვა მან, – გინდა დამიჯერეთ, გინდა არა: წუხელის მე, ცოდვილ მომაკვდავთა შორის უმცირესი, სამოთხის კარიბჭესთან აღმოვჩნდი. დავაკაკუნე: წმინდა პეტრემ გამიღო!

– ოჰო! ეს თქვენა ხართ, ჩემო პატიოსანო, ბატონო მარტენ, – მითხრა მან. – კერიას ნახშირი! რით შემძლია გემსახუროთ?

– სახელოვანო წმინდაო პეტრე! თქვენ განაგებთ მთავარ წიგნსა და გასაღებს;

შეგიძლიათ თუ არა მითხრათ, თუ ეს ჩემი მხრით დაუშვებელი ცნობისმოყვარეობა არ არის, რამდენი კუკუნიაანელი გყავთ სამოთხეში?

– მე თქვენ ვერაფერზე უარს ვერ გეტყვით, ბატონო მარტენ; დაჯექით და ეს საქმე ერთად გამოვარკვიოთ.

და წმინდა პეტრემ გადმოიღო თავისი მთავარი წიგნი, გადაშალა და სათვალე გაიკეთა.

- აბა ვნახოთ; კუკუნნიანი, ასე არ თქვით? კუ... კუ.... კუ-კუკუნნიანი... აი, აქ არის, ჩემო პატიოსანო, ბატონო მარტენ, ეს გვერდი სრულიად ცარიელია. არც ერთი სული არაა... აქ იმდენი კუკუნნიანელია, რამდენიც თევზის ფხაა ინდაურში.
- როგორ! აქ არავინ არის კუკუნნიანიდან? არც ერთი კაცი? ეს შეუძლებელია! კარგად გადაათვალიერეთ...
- არავინაა, წმინდა ადამიანო. თქვენ თვითონ ნახეთ, თუ ფიქრობთ, რომ მე ვხუმრობ.
- ვაი მე უბედური! - ფეხებს ვაბაკუნებდი, ხელემაპყრობილი ვყვიროდი და შეწყალებას ვთხოვლობდი. მაშინ წმინდა პეტრემ მითხრა:
- დამიჯერეთ, ბატონო მარტენ, გულს ნუ გადაიბრუნებთ, ვინაიდან შეიძლება დამბლა დაგეცეთ. ეს სრულიადაც თქვენი ბრალი არ არის; თქვენი კუკუნნიანელები, ალბათ, სალხინებელის¹⁹¹ კარანტინში დგანან.
- დიდებულო წმინდაო პეტრე, მოიღეთ მოწყალეობა და მომიხერხეთ მაინც, რომ ისინი ვინახულო და ვანუგეშო.
- დიდი სიამოვნებით, ჩემო მეგობარო... აჰა, ჩქარა ჩაიცვით ეს სანდლები, ვინაიდან გზები მაინცდამაინც კარგი არაა... კარგად მოგადგათ?.. ძლიერ კარგი. ახლა პირდაპირ იარეთ. იქ დაბლა მოსახვევს ხომ ხედავთ? ვერცხლის კარს მიადგებით, სრულიად მოჭედელს შავი ჯვრებით... მარჯვენა მხარეზე დააკაკუნებთ და გაგიღებენ... გამარჯვებით! იყავით ჯანსაღად და მხიარულად. მივდივარ და მივდივარ! როგორი გზა იყო! ტანში ჟრუანტელი გამივლის, როცა გამახსენდება. შაბნარში გაჭრილმა პატარა ბილიკმა, სადაც ლალები ბრჭყვიალებდა და გველები სისინებდნენ, ვერცხლის კარიბჭესთან მიმიყვანა. ტაკ, ტუკ!
- ვინ აკაკუნებს? - შემეკითხა ჩახლეჩილი და ნალვლიანი ხმა.
- ხუცესი კუკუნნიანიდან.
- საიდან?
- კუკუნნიანიდან.
- ჰოო!...შემოდით.

მე შევედი. დიდი, ლამაზი ანგელოზი, რომელსაც ღამესავით შავი ფრთები და დღესავით ბრწყინვალე სამოსელი ჰქონდა, ხოლო სარტყელზე ალმასის გასაღები

ჩამოეკიდა, წერდა, წრიპ, წრიპ, კიდევ უფრო დიდ წიგნში, ვიდრე პეტრე მოციქულის წიგნი იყო.

- ბოლოს და ბოლოს, რა გსურთ და რას თხოულობთ? – მკითხა ანგელოზმა.
 - მშვენიერო ღვთის ანგელოზო, მე მინდა გავიგო, – შეიძლება ეს გადაჭარბებული ცნობისმოყვარეობა იყოს, – კუკუნიაწელები ხომ არა გყავთ აქ.
 - ვინ?
 - კუკუნიაწელები, კუკუნიაწიდან მოსული ხალხი.... იმიტომ რომ მე მათი მოძღვარი ვარ.
 - აჰ, აბატი მარტენი, არა?
 - თქვენი მონა-მოსამსახურე, ბატონო ანგელოზო.
 - თქვენა სთქვით, კუკუნიაწიო....
- და ანგელოზი შლის და ფურცლავს თავის მთავარ წიგნს, თანაც სალოკ თითს ისველებს ნერწყვით, რათა ფურცლები უფრო ადვილად გადასრიალდეს...
- კუკუნიაწი, – სთქვა მან და ღრმად ამოიოხრა... – ბატონო მარტენ, ჩვენ სალხინებელში არავინ გყავს კუკუნიაწიდან.
 - იესო მაცხოვარო! მარიამ ღვთისმშობელო! წმინდაო იოსებ! სალხინებელში არავინაა კუკუნიაწიდან? ღმერთო დიდებულო! მაშ სად არიან ისინი?
 - ეჰ, ღვთის კაცო, ისინი სამოთხეში არიან. მაშ სად ჯანდაბაში უნდა იყვნენ?
 - ეს არის მე ახლა სამოთხიდან მოვდივარ.
 - იქიდან მოდიხართ?.. მერმე?
 - მერმე და იქ არ არიან!... აჰ, ანგელოზო მშობელო!..
 - რა გინდათ, ბატონო ხუცესო! თუ ისინი არც სამოთხეში არიან და არც სალხინებელში, სადღა იქნებიან თუ არ...
 - ძელო ცხოვრებისაო! იესოვ, ძეო დავითისაო! აი, აი, ნუთუ შესაძლებელია? ნუთუ პეტრე მოციქულმა მომატყუა?.. ჰო, მაგრამ მამლის ყვილი რომ არ გამიგონია!..^[20] აჰ, ბეჩავი თავი ჩვენი: როგორღა შევალ სამოთხეში, თუ კუკუნიაწელები იქ არ არიან?
 - ყური დამიგდეთ, ჩემო საბრალო ბატონო მარტენ! რადგან თქვენ გინდათ, რადაც უნდა დაგიჯდეთ, ამაში თვით დარწმუნდეთ და ყოველივე საკუთარი თვალით ნახოთ, ამ ბილიკს დაადექით და გაიქეცით, თუ სირბილი შეგიძლიათ... მარცხნივ დიდ კარიბჭეს მიადგებით. იქ ყოველივე ცნობას მიიღებთ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე!
- და ანგელოზმა კარი მოხურა.

* * *

ესიყო გრძელი ბილიკი, გავარვარებული ნაკვერჩხლებით მოკირწყლული. მე ვბარბაცებდი, თითქოს ნასვამი ვყოფილიყავი; ყოველ ნაბიჯზე ვბორძიკობდი; მთლად დასველებული ვიყავი, ოფლი წურწურით ჩამომდიოდა, წყურვილი მახრჩობდა... მაგრამ, გეფიცებით, წმინდა პეტრეს მიერ ნათხოვარი ფლოსტების წყალობით ფეხები არ დამწვია.

როცა მე ბაჯბაჯითა და ბორძიკით კარგა დიდი მანძილი გავიარე, მარცხნივ კარი დავინახე... არა, კარიბჭე, უზარმაზარი კარიბჭე, პირაშკმული დიდი ღუმელის მსგავსად. ოჰ, ჩემო შვილებო! რა სანახაობაა! იქ სახელსა და გვარს აღარავინ ჰკითხულობს, იქ არავითარი სიები აღარ არის. იქ კაცი პირდაპირ ღუმელითა და ღია კარით შედის, ძმებო, როგორც თქვენ კვირა დღეს სამიკიტნოში შედიხართ ხოლმე.

ოფლად ვიღვრებოდი, მაგრამ მაინც გათოშილი ვიყავი და ვკანკალებდი, თმა ყალყზე მიდგებოდა. ხრაკის, შემწვარი ხორცის სუნი მეცა, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ჩვენ კუკუნიაში ვიყნოსავთ ხოლმე, როცა ილია მჭედელი ბებერი ვირის ჩლიქს შერუჯავს, სანამ ნალს დააკრავდეს... სული შემეხუთა ამ მყრალ და გახურებულ ჰაერში; შემზარავი გოდება, გმინვა, ღმუილი, წყევლა მესმოდა.

– ეი შენ, შემოდინარ თუ არ შემოდინარ? – მკითხა რქიანმა დემონმა და თავისი ორთითი მატაკა...

– მე! მე არ შემოვდივარ. მე ღვთის კაცი ვარ.

– ღვთის კაცი ხარ? მაშ აქ რას მოძვრები, ქეციანო!

– მე მოვედი... ნულარ გამახსენებთ. ფეხებზე ძლივს ვდგავარ... მე მოვდივარ... შორი გზიდან მოვდივარ... რათა უმორჩილესად გთხოვოთ... შემთხვევით აქ ვინმე... რომელიმე კუკუნიათელი ხომ არა გყავთ?..

– აჰ, ღმერთმა დაგლახვროს! რა თავს ისულელებ, თითქოს არ იცოდე, რომ მთელი კუკუნიათი აქ არის. ერთი შეხედე, შე ბაიყუშო, და დაინახავ, როგორ დარჯაკში გყავს გამოყვანილი შენი სახელოვანი კუკუნიათელები...

* * *

და შემზარავ ქარცეცხლში მე დავინახე:

– ახმახი კოკ გალინი, – მას თქვენ ყველანი იცნობდით, ძმებო, – კოკ გალინი, რომელიც ასე ხშირად თვრებოდა და ასე ხშირად სტყეპდა ხოლმე თავის საწყალ კლერონს.

მე დავინახე კატარინე... ის პატარა მაწანწალა... თავისი აპრეხილი ცხვირით... რომელიც მარტოდმარტო წვებოდა კალოზე... ისიც გახსოვთ, თქვე არდასარჩენებო!... მაგრამ ნულარას ვიტყვით, მეტიც მომივიდა.

მე დავინახე პასკალ დუა-დე-პუა, რომელიც ზეთს ხდიდა ბატონი ჟიულენის ზეთისხილიდან.

მე დავინახე თავთავების მკრეფავი ქალი ბაბე, რომელიც ზვინებიდან ხელეურებს იტაცებდა, რათა ძნა უფრო ჩქარა შეეკრა.

მე დავინახე ოსტატი გრაპაზი, რომელიც ასე კარგად სცხებდა ზეთს თავისი ფორანის ბორბალს.

და დოფინე, რომელიც ასე ძვირად ჰყიდდა თავისი ჭის წყალს...

და ტორტილარი, რომელიც, როცა მე წმინდა ნაწილებით შევხვდებოდი, თავის გზას განაგრძობდა ქუდმოუხდელი და ნისკარტში ჩიბუხგაჩრილი, არტაბანივით ამაყად, თითქოს ძაღლს შეხვედროდეს. და კულო თავისი ზეტით და ჟაკიც, პიერიც, ტონიც...

* * *

აღელვებულმა, შიშით გაფითრებულმა აუდიტორიამ დაიკვნესა: პირდაღებულ ჯოჯოხეთში ზოგმა თავისი მამა დაინახა, ზოგმა თავისი დედა, ბებია ან ღვიძლი და...

– თქვენ კარგად გრძნობთ, ძმანო, – განაგრძო კეთილმა აბატმა მარტენმა, – თქვენ კარგად გრძნობთ, რომ შეუძლებელია ეს გაგრძელდეს. მე მაბარია მზრუნველობა ამაზე და მე მინდა გიხსნათ იმ უფსკრულიდან, სადაც თქვენ თავდაყირა ვარდებით. ხვალ საქმეს შევუდგები, დაგვიანება აღარ შეიძლება. სამუშაო კი საკმაოდ მექნება! აი, რით დავიწყებ. რათა ყოველივე კარგად დასრულდეს, წესრიგი უნდა დავიცვათ. ჩვენ მწყობრად ვივლით, როგორც ჟონკიერში ვშვრებით ცეკვის დროს.

ხვალ, ორშაბათს, ბერიკაცებსა და დედაბრებს ვათქმევინებ აღსარებას. ეს დიდი არაფერია.

სამშაბათს - ბავშვებს. ერთ წუთში მოვითავებთ.

ოთხშაბათს - ბიჭებსა და გოგოებს. ეს შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

ხუთშაბათს - მამაკაცებს. ჩქარა მოვითავებთ. პარასკევს -

დედაკაცებს. მე მათ ვეტყვი, მოკლედ მოსჭერით-მეთქი. შაბათი

მეწისქვილეს მიეძღვნება!... ერთი დღე არ ეყოფა მარტო ამას...

და თუ კვირას გავათავებთ, ბედნიერი ვიქნებით.

ხომ ხედავთ, ჩემო შვილებო, როცა ხორბალი მწიფეა, ის უნდა მოიმკას, როცა ღვინო ჩამოსხმულია, ის უნდა დაილიოს. საკმაოდ ბევრი ჭუჭყიანი სარეცხი მოგროვდა, ის უნდა გაირეცხოს და კარგადაც გაირეცხოს.

მელმერთს ვთხოვ, მოიღოს მოწყალება. ამინ.

* * *

რაც ითქვა, გაკეთდა. სარეცხი გაირეცხა.

ამ ღირსსახსოვარი კვირადღიდან კუკუნიალის სათნოებათა სურნელებას ათი ლიეს მანძილზე იგრძნობთ.

და კეთილმა მწყემსმა ბატონმა მარტენმა, ბედნიერმა და გულმხიარულმა, წუხელ სიზმარში ნახა, რომ მთელი თავისი სამწყსოს თანხლებით, ბრწყინვალე პროცესიაში ის ღვთის სავანისაკენ ადიოდა განათებული გზით, კელაპტრებითა და საკმევლის ღრუბლებით გარემოცული: და ბავშვების გუნდი Te Deum¹²¹-ს გალობდა.

ესეც კუკუნიალის ხუცესის ამბავი იმ სახით, როგორაც მიბრძანა თქვენთვის გადმომეცა იმ ახმახმა ქოსატყუილა რუმანილმა, რომელსაც თავის მხრივ ამხანაგისაგან ჰქონდა გაგონილი.

ბებრები

– წერილია მია აზან?

– დიახ, ბატონო... პარიზიდან.

ამ ჩვენ მამაც მია აზანს დიდად საამაყოდ მიაჩნდა, რომ წერილი პარიზიდან მოდიოდა... მაგრამ მე კი არა. გული მითქვამდა, რომ ეს პარიზელი სტუმარი ჟანჟაკის ქუჩიდან, რომელიც დილაადრიან ჩემს მაგიდას დაეცა მოულოდნელად, მთელ დღეს დამაკარგვინებდა. მე არ ვცდებოდი, როგორც თვითონ დაინახავთ:

„ერთი სამსახური უნდა გამიწიო, ჩემო მეგობარო... ერთი დღით შენს წისქვილს დაკეტავ და დაუყოვნებლივ ეიგიერში წახვალ... ეიგიერი დიდი დაბაა სამი თუ ოთხი ლიეს მანძილზე შენგან, – ეს გასეირნება იქნება. მისვლისთანავე ობოლთა მონასტერს იკითხავ. მონასტრის შემდეგ პირველი შენობა დაბალი, ნაცრისფერ დარაბებიანი სახლია, რომელსაც ბალი აქვს უკანა ეზოში. დაუკაკუნებლად შეხვალ, – კარი მუდამ

ღიაა, – შესვლისას ხმამაღლა დაიძახებ: „გამარჯობა პატიოსან ადამიანებს! მე მორისის მეგობარი ვარ...“ მაშინ ორ პატარა ბებერს დაინახავ, მერე რა ბებრებს, არქიბებრებს, რომელნიც ხელებს გამოგიწოდებენ თავიანთი დიდი სავარძლების სიღრმიდან, და შენ მათ გადაეხვევი ჩემს მაგიერ, მთელი სულით და გულით, თითქოს შენიანები ყოფილიყვნენ. შემდეგ საუბარს დაიწყებთ; ისინი ჩემზე ილაპარაკებენ, მხოლოდ ჩემზე; ათას სისულელეს გეტყვიან, ყოველივეს შენ გაუცინებლად მოისმენ... ხომ არ გაიცინებ, ჰე?... ისინი ჩემი ბებია და ბაბუა არიან, ორი არსება, რომელთათვის მე მთელ სიცოცხლეს შევადგენ და რომელნიც ათი წელიწადია არ მინახავს... ათი წელიწადი, ეს დიდი დროა! მაგრამ რა ვქნა? მე პარიზი მაკავებს, იმათ სიბერე... ისეთი ბებრები არიან, რომ გზაში დაიმსხვრევიან, თუ ჩემს სანახავად წამოვიდნენ... საბედნიეროდ, შენ მანდ ხარ, ჩემო ძვირფასო მეწისქვილე, და როცა ეს საბრალო ადამიანები შენ გადაგეხვევიან, იფიქრებენ, რომ მე მეხვევიან ცოტათი... მე მათთან ხშირად მილაპარაკვია ჩვენზე და იმ კარგ მეგობრობაზე, რომელიც...“

ემმაკმა წაიღოს მეგობრობა! სწორედ ამ დილით საუცხოოდ დარი იდგა, მაგრამ სრულიად შეუფერებელი შარაგზეზე სახეტილოდ: მისტრალი ჰქროდა. მზე აცხუნებდა, ნამდვილი პროვანსული დღე იყო. როცა ეს შეჩვენებული წერილი მოვიდა, მე უკვე არჩეული მქონდა ჩემი თავშესაფარი ორ ნაპრალშუა და ვოცნებობდი მთელი დღე ხვლიკივით იქ დავრჩენილიყავი, სინათლით დავმთვრალიყავი და ფიჭვების სიმღერა მომესმინა... ახლა სხვა გზა აღარ

მქონდა: წისქვილი ბუზლუნით დავკეტე, გასაღები კატების შესაძრომ ადგილას შევინახე; ჩემი ჯოხი და ჩიბუხი გადმოვიღე და გზას გავუდექი.

ეიგიერში დაახლოებით ორ საათზე მივედი. სოფელი დაცარიელებული დამხვდა, ყველა ყანაში წასულიყო სამუშაოდ. ქუჩაზე გამწკრივებულ თეთრად გამტვრიანებულ თელეებში ჭრიჭინები მღეროდნენ, როგორც კროს ველზე. მართალია, თვითმმართველობის მოედანზე ვირი იდგა, რომელიც მზის აბაზანას ღებულობდა, ხოლო შადრევანს მტრედები დაფრთხილებდნენ, მაგრამ არავინ ჩანდა, რომ ხანაგა ეჩვენებინა. საბედნიეროდ, უცებ ერთი ბებერი ფერია გამომეცხადა, რომელიც კარის კუთხეში ჩაცუცქულიყო და ძაფს ართავდა; მე ვუთხარი, რასაც ვეძებდი; და რადგან ეს ფერია ყოვლისშემძლე იყო, მან მხოლოდ თავისი ჯარა ასწია და ხანაგა მყის ჩემ თვალწინ აიმართა, თითქოს რაღაც ჯადოსნური ძალით... ეს იყო დიდი, პირქუში, შავი

შენობა, ძალიან თავმომწონე იმის გამო, რომ მისი ისრისებური კარიბჭის ზემოთ წითელი სილაქვის ძველი ჯვარი მოჩანდა ორიოდე ლათინური სიტყვით გარშემო... ამ შენობის გვერდით მეორე დავინახე, უფრო მომცრო. ნაცრისფერი დარაბები, უკან ბაღი... მაშინვე ვიცანი და დაუკაკუნებლად შევედი.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს გრძელი, გრილი და წყნარი დერეფანი, ვარდისფრად შეღებილი კედელი, პატარა ბაღი, რომლის თრთოლვა სიღრმეში ჩანდა ღია ფერის ფარდებს იქით; პანოებზე გახუნებული ყვავილების და ვილონების სახეები იყო ამოქარგული. მე მეგონა, სედენის დროს რომელიმე მოხუცი მსაჯულის ბინაში შევედი-მეთქი... დერეფნის ბოლოში მარცხნივ, ნახევრად ღია კარიდან კედლის საათის ტაკატუკი და ბავშვის ხმა მოისმოდა. სკოლის მოწაფისა, რომელიც ჩათვლით კითხულობდა: „მა.. შინ... წმინდა... ირე... ნეიმ... და... იძა... ხა... მე ვარ... ხორ... ბალი... უფლისა... ხამს... რათა... ამა... პირ... უტყვთა... ყბით... და... ვიფქვა...“ მე ფეხაკრეფით მივუახლოვდი ამ კარს და შიგ შევიხედე...

მყუდრო და ნახევრად განათებულ პატარა ოთახში წითელლოყებიან ბერიკაცს, ნაოჭებით დაფარულს თითების ფრჩხილებამდე, სავარძელში ეძინა; პირი დაღებული ჰქონდა, ხოლო ხელები მუხლებზე დაეწყო. მის ფეხებთან იჯდა გოგონა, რომელსაც ლურჯი კაბა ეცვა, ფართო პელერინით და პატარა თავსაბურით, როგორც ობლებს აცვიათ ხოლმე; ის თავისთავზე უფრო დიდ წიგნში წმინდა ირენეს ცხოვრებას კითხულობდა... ამ სასწაულებრივი ამბის კითხვას გავლენა მოეხდინა მთელს სახლზე: ბერიკაცს სავარძელში ეძინა, ბუზებს – ჭერზე, იადონებს – გალიაში ფანჯარასთან, დიდი კედლის საათიც ხვრინავდა, ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ. მთელ ოთახში არავის ეღვიძა, გარდა დიდი სინათლის ზოლისა, რომელიც პირდაპირ, თეთრად შემოჭრილიყო დახურულ დარაბებს შორის და სავსე იყო ცოცხალი ნაპერწკლებით და ვალსის მოცეკვავე

სახეებით... ამ საყოველთაო რულში ბავშვი წიგნის კითხვას განაგრძობდა სერიოზული სახით. „მყის... ორი... ლო... მი... მი... ვარდა... და შთან... თქა...“ სწორედ ამ დროს მე შევედი. ოთახში რომ წმინდა ირენეს ლომები შევარდნილიყვნენ, ჩემზე მეტ შემფოთებას ვერ გამოიწვევდნენ. ეს იყო ნამდვილი სათეატრო ეფექტი! გოგონა წამოიყვირებს, დიდი წიგნი ძირს ეცემა, იადონები და ბუზები იღვიძებენ, საათი რეკავს, ბერიკაცი ზეზე წამოხტება, სრულიად გონებადაბნეული, თვით მეც, ცოტა არ იყოს, შემკრთალი ვარ; ზღურბლზე ვჩერდები და ხმამაღლა ვყვირი:

– გამარჯობა, პატიოსანო საზოგადოებავ! მე მორისის მეგობარი ვარ.

ოჰ, ნეტავ დაგენახათ ეს საბრალო ბერიკაცი, როგორ წამოვიდა ჩემსკენ ხელებგამოწვდილი, როგორ გადამეხვია, ხელები მომიჭირა, გზააბნეულივით დაიწყო ოთახში სირბილი.

– ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! – გაიძახოდა ის.

მისი სახის თვითეული ნაოჭი იცინოდა. ის გაწითლებული იყო და ბუტბუტებდა:

– აჰ, ბატონო... აჰ, ბატონო... შემდეგ შებრუნდა და დაიძახა:

– მამეტ! დერეფნიდან კარის გაღების და თავის ცუნცულის ხმა მოისმა... ეს იყო მამეტი.

საუცხოო იყო ეს პატარა დედაბერი თავისი ბანტებიანი ჩაჩით, თალხი კაბით და მოქარგული ცხვირსახოცით, რომელიც მას ხელში დაეჭირა ძველი მოდის მიხედვით, რათა ჩემთვის პატივი ეცა... ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ გასაოცრად. საკმაო იყო ამ ბერიკაცისათვის ყვითელი, ბანტებიანი ჩაჩი დაგეხურათ და საყელო გაგეკეთებინათ, რომ იმასაც ადვილად მამეტი დარქმეოდა. მხოლოდ ნამდვილ მამეტს, ალბათ, ბევრი ეტირა თავის სიცოცხლეში და ის კიდევ უფრო დანაოჭებული იყო, ვიდრე მისი ორეული. ამ უკანასკნელივით მასაც ობოლი გოგონა ახლდა, ხანაგიდან გამოყვანილი, პატარა ლურჯპელერინიანი დარაჯი, რომელიც მას არასოდეს არ შორდებოდა; და ამ ორი ობლის მიერ დაცული ბებრები ისეთ გულისამაჩუყებელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, რომ მეტის წარმოდგენა შეუძლებელია.

შემოსვლისთანავე მამეტმა დიდი რევერანსის გაკეთება განიზრახა, მაგრამ ბერიკაცის ერთმა სიტყვამ მისი რევერანსი ორად გააპო:

– ეს მორისის მეგობარია...

მაშინვე ის ცახცახმა აიტანა, ატირდა, ცხვირსახოცი დააგდო, გაწითლდა, კიდევ უფრო

გაწითლდა, ვიდრე ბერიკაცი... დამიხედეთ ამ ბებრებს! ძარღვებში მხოლოდ ერთი წვეთი სისხლი აქვთ, მაგრამ ერთი ბეწო აღელვება ჰყოფნით, რომ ის სახეში აუვარდეთ.

– ჩქარა, ჩქარა სვამი... – უთხრა დედაბერმა თავის გოგონას.

– დარაბები გააღე. – დაუძახა ბერიკაცმა თავისას.

ორივე მხრიდან ხელი ჩამჭიდეს, ბაჯბაჯით მიმიყვანეს ფანჯარასთან, რომელიც ფართოდ გააღეს, რათა უკეთ გავესინჯეთ. შემდეგ სავარძლები მოსწიეს, მე შუაში მოვეწყვე დასაკეც სვამზე, ცისფერი გოგოები ჩვენს უკან დადგნენ და გამოკითხვა დაიწყეს.

– როგორ არის? რას აკეთებს? რად არ მოდის? კმაყოფილია თუ არა?..

და ამ მთისა, იმ ბარისა! ასე გასტანა რამდენიმე საათმა.

მე შეძლებისამებრ ყველა მათ კითხვას ვუპასუხებდი, ყველა წვრილმანს ვუამბობდი,

რაც ვიცოდი ჩემი მეგობრის შესახებ, ურცხვად ვიგონებდი, რაც არ ვიცოდი! ვცდილობდი დამემალა, რომ არასოდეს არ შემიძინებია, კარგად იკეტებოდა თუ არა მისი ფანჯარა და რა ფერის იყო მისი ოთახის შპალიერი.

– მისი ოთახის შპალიერი?.. ის ლურჯია, ქალბატონო, ღია ლურჯი, ყვავილწნულებით შემკული.

– მართლა? – ამბობდა საბრალო დედაბერი გულაჩუყებული და უმატებდა თავის ქმრისკენ პირმიბრუნებული, – რა ყოჩალი ბიჭია!

– ოჰ, ოჰ, ძალიან ყოჩალია! – უდასტურებდა ბერიკაცი დიდი აღფრთოვანებით.

და მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ მე ვლაპარაკობდი, ისინი თავს აქნევდნენ, ქვეშ-ქვეშ იღიმებოდნენ, ერთმანეთს თვალს უშვრებოდნენ საქმეში ჩახედული ადამიანების სახით; დროგამოშვებით ბერიკაცი მომიახლოვდებოდა და მეუბნებოდა:

– ხმამაღლა სთქვით.. ცოტა ყურს აკლია. დედაბერი თავის მხრივ ჩამჩურჩულებდა: – ცოტა ხმას უმატეთ, გთხოვთ!.. კარგად არ ესმის...

მაშინ მე ხმას ვიმაღლებდი, ხოლო ორივენი მადლობის ნიშნად მიღიმოდნენ; და ამ დამჭკნარ ღიმილში, რომელიც ჩემსკენ იყო მომართული და ჩემი თვალების სიღრმეში მათი მორისის სახეს ეძებდა, თვითონ მე ძლევარებით ამავე სახეს

ვპოულობდი, ბუნდოვანს, დანისლულს, თითქმის მიუწვდომელს, თითქოს ჩემი მეგობარი შორიდან მიცინოდა, ბურუსში გახვეული.

* * *

უცებ ბერიკაცი წამოიმართა თავის სავარძელში: – იცი,

რას ვფიქრობ, მამეტ... შეიძლება მას არ უსაუბმია!

შემფოთებულმა მამეტმა ხელი ალაპყრო ზეცისაკენ:

– არ უსაუბმია!.. ღმერთო დიდებულო!

მე მეგონა, საქმე ისევ მორისს შეეხებოდა და მინდოდა მეპასუხა, ეს ყმაწვილი არასოდეს შუადღეს არ გადააცილებს საუზმეს-მეთქი. მაგრამ არა, – ლაპარაკი ჩემს შესახებ ყოფილა. უნდა გენახათ, რა ვაი-უშველებელი ატყდა, როცა გამოვტყდი, რომ უჭმელი ვიყავი.

– ჩქარა სუფრა გაშალეთ, ცისფერო გოგოებო! მაგიდა შუა ოთახში დადგით, საკვირადღეო გადასაფარებელი მოიტანეთ, ყვავილებიანი თეფშები დააწყვეთ; და ამდენს ნუ ხითხითებთ, თუ შეიძლება! აბა ჩქარა! მეტი სიჩქარე აღარ შეიძლებოდა. თვალის დახამხამებაში საუზმე გაშლილი იყო.

– საუცხოო პატარა საუზმეს მოგართმევთ, – მეუბნებოდა მამეტი, როცა სუფრასთან მივყავდი: – მხოლოდ თქვენ მარტო იქნებით: ჩვენ უკვე ვისაუზმეთ ამ დილით.

საბრალო მოხუცები! რა დროსაც უნდა მიუსწროთ, ყოველთვის გეტყვიან – დილით ვისაუზმეთო.

მამეტის პატარა, საუცხოო საუზმე შედგებოდა ორი სათითური რძისა, ფინიკებისა და ერთგვარი ნამცხვრისაგან; ყოველივე ამით მისი იადონების გამოკვება შეიძლებოდა ერთი კვირის განმავლობაში მაინც... და წარმოიდგინეთ, ამ პროვიზიას მარტოდმარტომ მოვუღე ბოლო... სამაგიეროდ, როგორი აღშფოთება შეიქნა სუფრის გარშემო! ცისფერი გოგოები ჩურჩულებდნენ და ერთმანეთს მუჯლუგუნს ჰკრავდნენ, ხოლო გალიაში იადონები თითქოს გაიძახოდნენ: „ოჰ, ერთი შეხედეთ ამ ვაჟბატონს, მთელი ნამცხვარი არ შეჭამა!“ მართლაც, მთლად შემეჭამა და თითქმის არაფერი არ შემომჩნევია, იმდენად გართული ვიყავი ამ ნათელი და მყუდრო ოთახის თვალიერებაში, რომელიც გაჟღენთილი იყო სიძველის სურნელებით... განსაკუთრებით იქ ორი პატარა საწოლისათვის ვერ მომეშორებინა თვალი. ეს საწოლები, თითქმის აკვნები, მე წარმოვიდგინე დილით, გათენებისას, როცა ისინი დიდფოჩიანი ფარდებით არიან დაფარული. სამი საათი რეკს. ეს ის დროა, როცა ყველა ბებერი იღვიძებს.

- შენ გძინავს, მამეტ?
- არა, ჩემო მეგობარო.
- რას იტყვი, მორისი ხომ ყოჩალი ყმაწვილია.
- ჰო, ძალიან ყოჩალი ბავშვია.

და ამრიგად მე ამ ორი ერთიმეორის გვერდით მოთავსებული პატარა საწოლის დანახვაზე ამ ორი ბებრის საუბარი აღვადგინე.

ამ დროს ოთახის მეორე კუთხეში, კარადის წინ, საშინელი დრამა ხდებოდა. საქმე ეხებოდა სულ ზედა თაროდან ალუბალზე დაყენებული არაყის ჩამოღებას, რომელიც მორისს უცდიდა ათი წლის განმავლობაში. ახლა მის გახსნას აპირებდნენ ჩემს პატივსაცემად. მამეტის მუდარის მიუხედავად, ბერიკაცმა დაიჟინა, თვითონ მე ჩამოვიღებ ალუბლის არაყსო; სკამზე შეკორიკდა და მაღლიდან ბოთლის ჩამოღებას შეეცადა, რითაც თავისი ცოლი დიდად შეადრწუნა. უნდა გენახათ ეს სურათი! ბერიკაცი ცახცახებს, მაგრამ მაინც ცდილობს აბობლდეს, ცისფერი გოგოები მის სკამს ჩასჭიდებიან, მის უკან ხელგაწვდილი მამეტი ქაქანობს, ხოლო ყოველივე ეს

გახვეულია ფორთოხლის ნაზ სურნელებში, რომელიც ღია კარადიდან და წითელზოლებიანი თეთრეულის დასტებიდან იფრქვევა... ეს მომხიბლავი რამ იყო.

ბოლოს, რის ვაივავლახით კარადიდან ჩამოღებულ იქნა ის საიასალო ბოთლი და მასთან ერთად ნაჭედი ვერცხლის თასი, რომელიც მორისს ეკუთვნოდა, როცა ის პატარა იყო. ის პირთამდე ალუბლით ამივსეს. მორისს ძალიან უყვარდა ეს ალუბალიო! თასის ავსების დროს ბერიკაცი ყურში ჩამჩურჩულებდა მსუნაგის გამომეტყველებით:

- თქვენ ძალიან ბედნიერი ხართ, რომ ამ ალუბლის ჭამა შეგიძლიათ... ის ჩემი ცოლის მომზადებულია... თქვენ მართლაც კარგ რამეს იგემებთ.

მახლას! ის მის ცოლს მოემზადებინა, მაგრამ შიგ შაქრის ჩაყრა დავიწყებოდა. რას იზამთ! ადამიანი გონებაგაფანტული ხდება სიბერეში. თქვენი ალუბალი საშინელი სასტიკი იყო, ჩემო საწყალო მამეტ... მაგრამ ამან ხელი არ შემიშალა, ის სულ შემეჭამა წარბის შეუხრელად.

* * *

საუზმის გათავების შემდეგ ავდექი, რათა ჩემს მასპინძლებს გამოვთხოვებოდი. კიდევ სიამოვნებით დამტოვებდნენ, რათა იმ ყოჩალ ყმაწვილზე ელაპარაკნათ; მაგრამ ღამდებოდა, წისქვილი შორს იყო, უნდა წავსულიყავი. ბერიკაცი ჩემთან ერთად წამოდგა.

– მამეტი, ჩემი წამოსასხამი!.. მინდა მოედნამდე გავაცილო.

უცილობელია, თავის გულის სიღრმეში მამეტი ფიქრობდა, რა დროს მოედნამდე გაცილებს ამ სიგრილეშიო, მაგრამ გარეგნულად არაფერი შეგვამჩნევინა. მხოლოდ, როცა ის ქმარს ეხმარებოდა, ხელი გაეყარა წამოსასხამში, ესპანურ თამბაქოსფერ, სადაფის ღილებიან, ლამაზ წამოსასხამში, მომესმა, როგორ უთხრა ხმადაბლა:

– ძალიან ხომ არ დაიგვიანებ?

ბერიკაცმა ეშმაკური სახით უპასუხა:

– ჰე, ჰე!.. არ ვიცი... შეიძლება...

და აქ მათ ერთმანეთს შეხედეს სიცილით; მათი სიცილის დანახვაზე ცისფერმა გოგონებმაც სიცილი დაიწყეს, ხოლო თავიანთ კუთხეში იადონებმაც თავიანთებურად გაიცინეს... ჩვენს შორის დარჩეს, და მე მგონია, ალუბლის სუნმა ისინი, ცოტა არ იყოს, ყველანი დაათრო.

დღე და ღამე იყრებოდა, როცა ჩვენ გარეთ გამოვედით, მე და მორისის ბაბუა. ცისფერი გოგონა შორიდან მოგვდევდა, რათა ის უკან წაეყვანა; მაგრამ თვით მოხუცი მას ვერ ხედავდა და სიამაყეს გრძნობდა, რომ ხელიხელგაყრილი მომყვებოდა, როგორც მამაკაცს შეეფერება. მამეტი გაბრწყინებული სახით ამას თავისი კარის ზღურბლიდან უცქეროდა და კოხტად თავს აქნევდა, თითქოს ამბობდა: „ ასე თუ ისე ჩემი საბრალო კაცი ფეხზე კიდევ მაგრა დგას.“

ბალადები პროზად

ამ დილით, როდესაც კარი გავაღე, ჩემი წისქვილის გარშემო რთვილის დიდი ნოხი იყო დაფენილი. ბალახი ბრწყინავდა და ტკაცუნებდა შუშასავით; მთელი გორაკი სიცივისაგან ცახცახებდა... ერთი დღით ჩემი ძვირფასი პროვანსი ჩრდილოეთის ქვეყანასავით მორთულიყო; და ჭირხლის ფოჩებშემოვლებულ ფიჭვებში, სუმბულის ბუჩქებში, რომელნიც ბროლის თაიგულეზად გაშლილიყვნენ, მე ეს ორი ბალადა დავწერე, ცოტა არ იყოს, გერმანული ფანტაზიით ჩაგონებული; იმ დროს თრთვილი თავის თეთრ ნაპერწკლებს მაყრიდა, ხოლო ზემოდან, ნათელი ციდან კამარგში კვილით ეშვებოდნენ ჰაინრიხ ჰაინეს სამშობლოდან მოსული წეროების გუნდები: „ცივა... ძალიან ცივა!..“

1. უფლისწულის სიკვდილი

პატარა უფლისწული ავადაა, პატარა უფლისწული კვდება... მთელი სახელმწიფოს ეკლესიებში წმინდა ნაწილები დღისითა და ღამით გამოდგმულია, კელაპტრები ანთებულია, რათა ბატონიშვილს ჯანმრთელობა დაუბრუნდეს. ძველი სატახტო ქალაქის ქუჩები სევდითა და დუმილით არის მოცული, ზარები აღარ რეკს, ეტლები ნელი ნაბიჯით დადის... სასახლის შესავალთან ცნობისმოყვარე მოქალაქეები გისოსებში უცქერიან მუცელმოვარაყულ მეკარეებს, რომელნიც ეზოში საუბრობენ ზვიადი სახის გამომეტყველებით.

მთელი ციხე-დარბაზი აღელვებულია... დარბაზის ყრმები, სახლთუხუცესი და მისი თანაშემწეები მარმარილოს კიბეზე არბიან და ჩამორბიან... ტალანები სავსეა პაჟებითა და აბრეშუმის ტანისამოსში გამოწყობილი კარისკაცებით, რომელნიც ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიან და ახალ ამბავს კითხულობენ დაბალი ხმით... ფართო ტერასაზე ნამტირალევი მანდილოსნები ერთმანეთს ღრმა რევერანსებს უკეთებენ და თვალებს ღამაზად მოქარგული ცხვირსახოცებით იწმენდენ.

ორანჟერეაში მანტიაში გამოწყობილი მრავალი ექიმი შეკრებილა. მინებში ჩანს, როგორ არხევენ ისინი თავიანთ გრძელ, შავ სახელოებს და ბრძნულად ხრიან თავიანთ კულულებიან პარიკებს... პატარა უფლისწულის აღმზრდელი და მეჯინიბეთუხუცესი კართან დასეირნობენ და ექიმთა კრებულის გადაწყვეტილებას ელიან. მზარეულები მათ გვერდზე მიდი-მოდიან და სალამს არ აძლევენ.

ბატონი მეჯინიბეთუხუცესი იგინება როგორც წარმართი, ბატონი აღმზრდელი ჰორაციუსის ლექსებს ამბობს... ამ დროს საჯინიბოების მხრიდან ხანგრძლივი,

შესაბრალოსი ჭიხვინი ისმის. ეს პატარა უფლისწულის ქურანი კვიცია, რომელიც მეჯინიბეებს დავიწყებით და სევდიანად იძახის თავის ცარიელ ბაგასთან.

მეფე რაღას იქმს? სად არის მისი უდიდებულესობა?.. მეფე მარტოდმარტო ჩაკეტილა ოთახში. ციხე-კოშკის ბოლოში... ხელმწიფეებს არ უყვართ, რომ ისინი ვინმემ მტირალი ნახოს... აი დედოფალი კი სულ სხვა საქმეა. ის პატარა უფლისწულის სასთუმალთან ზის, მშვენიერი პირისახე ცრემლებით აქვს დასველებული, ისე ხმამაღლა ქვითინებს ყველას დასანახად, თითქოს მეფართლის ცოლი იყოს.

თვალედახუჭული უფლისწული მაქმანიან ლოგინში წევს; ის უფრო თეთრია, ვიდრე ბალიშები, რომლებზედაც ისაა მისვენებული. გეგონებათ, სძინავსო. მაგრამ არა: პატარა ბატონიშვილს როდი სძინავს... ის დედისკენ გადმობრუნდება და, რაკი მტირალს ხედავს, ეუბნება:

- დედოფალო, რად სტირით? ნუთუ მართლა გგონიათ, რომ მოკვდები? დედოფალს სურს უპასუხოს, მაგრამ ცრემლები ახრჩობს.

- ნუ სტირით რაა, დედოფალო. თქვენ გავიწყდებათ, რომ მე უფლისწული ვარ და რომ უფლისწულებს არ შეუძლიათ ასე მოკვდნენ...

დედოფალი კიდევ უფრო ხმამაღლა ქვითინებს და პატარა ბატონიშვილს შიში ეპარება.

- ჰეი, - ამბობს ის, - მე არ მინდა, რომ სიკვდილი მოვიდეს ჩემს წასაყვანად, მე შევძლებ შევეშალო ხელი, რომ არ მოაღწიოს აქამდე. ამ წუთშივე მოიყვანონ ორმოცი უღონიერესი ლანცკნეხტი, დაე ისინი დარაჯად დადგნენ ჩვენი საწოლის გარშემო... დაე ასი დიდი, პატრუქანთებული ზარბაზანი მზად იყოს ჩვენი ოთახის ფანჯრებთან! და ვაი სიკვდილს, თუ ის ჩვენთან მოახლოებას გაბედავს!

დედოფალი ნიშანს აძლევს, რათა ბატონიშვილს აამოს. მყის დიდი ზარბაზნების რახრახი გაისმის ეზოში, ოთახში შემოდის შუბ-ნაჯახით აღჭურვილი ორმოცი ახოვანი ლანცკნეხტი და კედლებთან მწკრივდება. ესენი ჭადარაულვაშებიანი, ხნიერი მებრძოლები არიან. პატარა უფლისწული ტაშს შემოჰკრავს მათ დანახვაზე. ის ერთ მათგანს იცნობს და დაუძახებს:

- ლორენ! ლორენ!

მოხუცი მეომარი ნაბიჯს გადასდგამს საწოლისაკენ:

- მე ძალიან მიყვარხარ, ჩემო ბებერო ლორენ... მოდი ერთი, შენი დიდი ხმალი დამანახე... თუ ჩემს წასაყვანად სიკვდილი მოვიდა, ის უნდა მოკვდეს, ხომ მართალია?

ლორენი უპასუხებს: –

დიახ, ხელმწიფევ...

და მის მზემოკიდებულ ლოყებზე ორი დიდი კურცხალი გადმოვარდება.

ამ დროს პატარა უფლისწულს ეზოთმოდვარი მიუახლოვდება, დიდხანს ელაპარაკება ხმადაბლა და ამასთანავე ჯვარცმას აჩვენებს. პატარა უფლისწული დიდად გაოცებული უსმენს, შემდეგ უცებ აწყვეტინებს:

– მე კარგად მესმის რასაც მეუბნებით, ბატონო აბატო; მაგრამ ნუთუ ჩემს პატარა მეგობარს ბეპოს არ შეუძლია ჩემს მაგივრად მოკვდეს, თუ მას ბევრ ფულს მისცემენ?..

ეზოთმოდვარი ხმადაბლა ლაპარაკს განაგრძობს, ხოლო პაწია ბატონიშვილს სახეზე მეტი და მეტი გაოცება ეხატება.

როცა მოძღვარი ათავებს, ბატონიშვილი ღრმად ამოიოხრებს და იტყვის:

– ყოველივე, რასაც თქვენ მეუბნებით, მეტად სამწუხაროა, ბატონო აბატო; მაგრამ მე ის მანუგებებს, რომ ზემოთ, ვარსკვლავების სამოთხეში მე ისევ უფლისწული ვიქნები... მე ვიცი, რომ კეთილი ღმერთი ჩემი ბიძაშვილია და ჩემი ღირსების შესაფერისად მომეპყრობა. შემდეგ იგი დედისკენ მიბრუნდება და დაუმატებს:

– მომიტანონ ჩემი საუკეთესო ტანსაცმელი, ჩემი თეთრი ყარყუმის წამოსასხამი და ხავერდის ფეხსაცმელი! მე მსურს ანგელოზებს მორთულ-მოკაზმული შევხვდე და სამოთხეში უფლისწულის ტანსაცმელით შევიდე.

მოძღვარი მესამეჯერ იხრება პატარა უფლისწულისაკენ და დიდხანს ელაპარაკება დაბალი ხმით... მას თავისი სიტყვა ჯერ კიდევ არ დაუსრულებია, რომ გულმოსული ბატონიშვილი აწყვეტინებს.

– ეს რას ჰგავს, – ყვირის ის, – მაშ უფლისწულობა არაფრის მაქნისი არ ყოფილა!

და უფლისწულს არაფრის გაგონება აღარ სურს, ის კედლისკენ იბრუნებს პირს და გულამოსკვნილი სტირის.

2. სუპრეფექტი ბუნების წიაღში

ბატონი სუპრეფექტი თავის სუპრეფექტურაში მოგზაურობს. წინ მეეტლე უზის, უკან – ლაქია და სუპრეფექტურის ეტლი მას საოლქო კონკურსზე მიაქანებს კომბ-ოფეში. ამ

ღირსშესანიშნავი დღისთვის ბატონმა სუპრეფექტმა თავისი მშვენიერი, მოქარგული ტანისამოსი და მოსირმული, მოჭერილი შარვალი ჩაიცვა, პატარა

საკეცი ქუდი დაიხურა და საპარადო, სადაფისვადიანი ხმალი გადაიკიდა. მუხლებზე დიდი პორტფელი უსვენია, ნატვიფრი შაგრენის ტყავისა; იგი მას სევდიანი სახით უცქერის.

ბატონი სუპრეფექტი სევდიანად უცქერის თავის ნატვიფრი შაგრენის ტყავის პორტფელს; ის ფიქრობს იმ შესანიშნავ სიტყვაზე, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ კომბ-ოფეს მცხოვრებლების წინაშე უნდა წარმოსთქვას.

– ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო...

მაგრამ რამდენსაც არ აწვალებს ის ხელით თავისი ბაკენბარდების ქერა აბრეშუმს და ოცჯერ მაინც იმეორებს, ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო, გასაგრძელებლად სიტყვას ვერ პოულობს.

სიტყვის გაგრძელება თავში არ მოდის... რა ძალიან ცხელა ამ ეტლში!.. კომბ-ოფეს გზა სამხრეთის მზის ქვეშ ამტვერიანებულია ცის დასალიერამდე... ჰაერი გავარვარებულია... და გზის პირას ჩამწკრივებული, თეთრი მტვერით დაფარული თელის ხეებიდან ჭრიჭინები ერთმანეთს ეძახიან... უცებ ბატონ სუპრეფექტს ტანში ჟრუანტელი დაუვლის. იქით, ერთი გორაკის ძირას, პატარა, მწვანე მუხნარს ხედავს, ის მას თითქოს ეპატიჟება. პატარა, მწვანე მუხნარი მას თითქოს ეპატიჟება:

– აქ მოდით, ბატონო სუპრეფექტო; თქვენთვის ბევრად უფრო ადვილი იქნება თქვენი სიტყვის შედგენა ჩემს ხეებქვეშ...

ბატონ სუპრეფექტს სულმა წასძლია. ის ჩამოხტება თავისი ეტლიდან და მსახურებს ეუბნება, აქ დამიცადეთ, პატარა, მწვანე მუხნარში მივდივარ სიტყვის შესადგენადო.

პატარა, მწვანე მუხნარში არიან ჩიტები, იები და ნორჩი მოლის ქვეშ მორაკრაკე ნაკადულები... როგორც კი ბატონ სუპრეფექტს თვალი მოჰკრეს მისი მშვენიერი შარვლითა და შაგრენის ნატვიფრი პორტფელით, ფრინველები შიშმა აიტანა და გალობა შესწყვიტეს, ნაკადულებმა ხმაურობა ველარ გაბედეს, ხოლო იებმა თავი ჩამალეს ბალახში... მთელ ამ პატარა საზოგადოებას არასოდეს არ ენახა სუპრეფექტი და ჩურჩული გაისმა, ვინ არის ეს წარჩინებული, რომელიც აქ დასეირნობს თავისი მოსირმული შარვლითო.

ფოთლებში ჩურჩულით შეკითხვა გაისმის, ვინ არის ეს წარჩინებული, მოსირმულ შარვალში გამოწყობილი... ამ დროს კი ბატონი სუპრეფექტი, ტყის დუმილითა და სიგრილით მოხიბლული, თავისი ტანისამოსის კალთებს ზევით იწევს, თავის საკეც ქუდს მოლზე სდებს და ხავსზე ჯდება ახალგაზრდა მუხის ძირში; შემდეგ მუხლებზე თავის დიდ, შაგრენის ტყავის პორტფელს ხსნის და იქიდან დიდ ფურცელ გერბიან ქალაქს იღებს.

– მსახიობია, – ამბობს კიოტა ჩიტი.

– არა, – უპასუხებს გულწითელა, – მსახიობი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ მოსირმული შარვალი აცვია; უფრო რომელიღაც თავადიშვილი უნდა იყოს.

– არც მსახიობია და არც თავადიშვილი, – აწყვეტინებს ხანში შესული ბულბული, რომელმაც მთელი ერთი სეზონი იმდერა სუპრეფექტურის ბაღებში... – მე ვიცი, ვინც არის: სუპრეფექტია! და მთელი პატარა ტყე ჩურჩულებს:

– სუპრეფექტი ყოფილა! სუპრეფექტი ყოფილა! – რა მელოტია! – შენიშნავს ერთი ქოჩრიანი ტოროლა. იები კითხულობენ: – ბოროტი ხომ არ არის?

ბოროტი ხომ არ არისო, კითხულობენ იები. ხანში

შესული ბულბული უპასუხებს.

– სრულიადაც არა.

ამ პასუხით გულდამშვიდებული ფრინველები სიმდერას იწყებენ, ნაკადულები მირბიან, იები სურნელებას აკმევენ, თითქოს ეს მამაკაცი აქ არ იყოს... ბატონი სუპრეფექტი სრულიად უგრძობლად ზის ამ საუცხოო ორომტრიალში, თავისი გულის სიღრმიდან სამიწათმოქმედო ყრილობების მუზას იწვევს და, ფანქრით აღჭურვილი, დეკლამაციას იწყებს საზეიმო ტონით:

– ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო...

– ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო, – ამბობს სუპრეფექტი საზეიმო ტონით.

მას ხარხარის ხმა აწყვეტინებს: უკან იხედება, მაგრამ ვერაფერს ხედავს, გარდა დიდი, მწვანე კოდალასი, რომელიც მის საკეც ქუდზე ჩამომჯდარა და დამცინავი სახით შესცქერის. სუპრეფექტი მხრებს აიჩქის და სიტყვის გაგრძობას დააპირებს; მაგრამ კოდალა ხელახლა გააწყვეტინებს და შორიდან დაუძახებს:

– ეს რა საჭიროა?

– როგორ თუ რა საჭიროა? – ამბობს სუპრეფექტი და სახე შეუფაკლდება; ის ხელის მოძრაობით თავიდან მოიშორებს ამ თავხედ ფრინველს და იწყებს თავიდან:

– ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო...

– ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო, – იწყებს სუპრეფექტი თავიდან. მაგრამ ახლა მისკენ იებმა დახარეს თავიანთი ღეროები და წყნარად უთხრეს: – ბატონო სუპრეფექტო, გრძნობთ თუ არა თქვენ, რაკარგ სურნელებას ვაკმევთ?

და ხავსის ქვეშ დამალული ნაკადულები ღვთაებრივ მუსიკას უმართავენ; და მის ზემოთ შტოებში კიოტა ჩიტების გუნდი თავის საუკეთესო ჰანგებს უმღერის; და მთელი პატარა ტყე შეთქმულებას აწყობს, რათა მას ხელი შეუშალოს სიტყვის შედგენაში.

სურნელებით გაბრუებული, მუსიკით დამთვრალი სუპრეფექტი ამაოდ ცდილობს

წინააღმდეგობა გაუწიოს ჯადოქრობის ახალ შემოტევას: ის იდაყვებით მოლს ეყრდნობა, თავისი ლამაზი ტანისამოსის საკინძს იხსნის, ორჯერ თუ სამჯერ კიდევ წაიბუტბუტებს:

– ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო... ბატონებო და ძვირფასნო ხელქვეითნო.. ბატონებო და ძვირფასნო...

შემდეგ ფიქრობს, ეშმაკსაც წაუღია ხელქვეითთა თავიო; და სამიწათმოქმედო ყრილობების მუზას ისღა დარჩენია, რომ პირბადე ჩამოიფაროს.

პირბადე ჩამოიფარე, ჰოი, სამიწათმოქმედო ყრილობების მუზავ!.. როცა ერთი საათის შემდეგ სუპრეფექტის მსახურები შემფოთდნენ და პატარა ტყეში შევიდნენ თავიანთი პატრონის მოსამებნად, მათ თვალწინ ისეთი სანახაობა წარმოუდგათ, რომ უკან დაიხიეს ღრმად შეძრწუნებულებმა... ბატონი სუპრეფექტი პირქვე ჩაწოლილიყო ბალახში, ბოშასავით მკერდგაღელილი...მას გაეხადა თავისი მუნდირი, იებს ღეჭავდა და ლექსებს თხზავდა...

ბიქსიუს პორტფელი

ერთხელ დილით ოქტომბრის თვეში, რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე პარიზს დავტოვებდი, – იმ დროს, როდესაც ვსაუზმობდი, – ჩემთან მოხუცი კაცი მოვიდა გაცვეთილი ტანისამოსით, ფეხმოქცეული, გატალახიანებული, წელში მოხრილი, აცახცახებული თავის გრძელ ფეხებზე, თითქოს გაპტყვნილი წვივმაღალი ფრინველი ყოფილიყოს. ეს იყო ბიქსიუ. დიახ, პარიზელებო, თქვენი ბიქსიუ, მკაცრი და მომჯადოებელი ბიქსიუ, ის დაუცხრომელი ქილიკა, რომელმაც თხუთმეტი წლის განმავლობაში ასე გაგართოთ თავისი პამფლეტებითა და კარიკატურებით... აჰ, საბრალო! როგორ დაქვეითებულა! შემოსვლის დროს რომ სახე არ დაეღმიჭა, ვერასოდეს ვერ ვიცნობდი.

ოდნავ გვერდზე გადახრილი თავი, კბილებში კლარნეტის მსგავსად ჯოხგაჩრილი, სახელოვანი და კუმტი ხუმარა მომიახლოვდა, ჩემს მაგიდას დაეჯახა და შესაბრალისი ხმით სთქვა:

– შეიწყალეთ საცოდავი უსინათლო!..

ეს ისე კარგად იყო გათამაშებული, რომ სიცილი ვერ შევიკავე. მაგრამ მან ცივად შემაჩერა:

– თქვენ გგონიათ, მე ვხუმრობ... ერთი შეხედეთ ჩემს თვალებს. და მან ორი დიდი თეთრი თვალის გუგა მომაპყრო, ხედვის უნარმოკლებული.

– მე ბრმა ვარ, ჩემო ძვირფასო, ბრმა ვარ სამუდამოდ... აი რას ნიშნავს გოგირდმჟავით წერა. მე თვალები ამოვიწვი ამ მშვენიერი ხელობით და ამოვიწვი სრულიად... შანდლის ძირამდე! – დაუმატა მან და თავისი შერუჯული ქუთუთოები მიჩვენა, სადაც წამწამის ნატამალიც კი არ ჩანდა.

მე იმდენად აღელვებული ვიყავი, რომ სიტყვა ვერ მეპოვნა მისთვის სათქმელად. ჩემმა ღუმილმა ის შეაშფოთა:

– თქვენ მუშაობთ?

– არა, ბიქსიუ, მე ვსაუზნობ. ხომ არ დამეწვევით?

არაფერი მიპასუხა, მაგრამ მისი ნესტოების თრთოლვაზე შევიტყვე, რომ მას გაგიჟებით უნდოდა ამ წინადადების მიღება. ხელი მოვკიდე და ჩემს გვერდით დავსვი.

სანამ საჭმელს მიაერთმევდნენ, საბრალო სუფრას სუნავდა ფრუტუნით.

– ყოველივე ეს საუცხოოა. მე აქ არაფერს არ დავიკლებ; უკვე დიდი ხანია, რაც აღარ ვსაუზნობ! ხუთსანტიმიანი პური ყოველ დილას და სამინისტროებში სირბილი... ხომ იცით, ახლა სამინისტროებში დავრბივარ; ესაა ჩემი ერთადერთი პროფესია. მინდა როგორმე თამბაქოს სავაჭრო გავიკრა... რას იზამთ: ოჯახი ხომ უნდა გამოიკვებოს. ხატვა აღარ შემეძლია, წერა აღარშემეძლია, კარნახი? მაგრამ რის?...თავში აღარაფერი მაქვს: ვერაფერს ვიგონებ. ჩემი ხელობა იყო პარიზის გრიმასების დანახვა და მათი ასახვა; ახლა ამის საშუალება აღარ არის... ამიტომ თამბაქოს დუქნის მიღება განვიზრახე; ბულვარებზე არა, რასაკვირველია: ამ წყალობის უფლება არა მაქვს, ვინაიდან არც მოცეკვავე ქალის დედა ვარ, არც შტაბის ოფიცრის ქვრივი. არა, მხოლოდ პატარა სავაჭროსი პროვინციაში, სადმე შორს, ვოგეზების რომელიმე კუთხეში. მსხვილი ფაიფურის ჩიბუხი მექნება, ჰანსის ან ზებედეს სახელს დავირქმევ, როგორც

ერკმან-შატრიანის^[22] გმირებს ჰქვიათ და, რაკი ვეღარ ვწერ, თავს იმით ვინუგემებ, რომ ჩემი თანამედროვეების თხზულებებიდან თამბაქოს ჰილზებს გავაკეთებ.

„ესაა და ეს, ამის მეტს არაფერს არ მოვითხოვ. დიდი არაფერია, ხომ მართალია?... ეშმაკმა დალაზვროს, მაინც რა ძნელი მისაღწევია... თუმცა თითქოს პროტექციაც

არ უნდა მაკლდეს. ერთ დროს დიდ მოწონებაში ვიყავი. მარშალთან ვსადილობდი, პრინცთან, მინისტრებთან; ამ ხალხს მე ვუნდოდი, იმიტომ რომ მას ვართობდი ან ჩემი ეშინოდა. ახლა ჩემი აღარავის ეშინია. ოჰ, ჩემო თვალებო, ჩემო საწყალო თვალებო! მე აღარსად არ მეპატიჟებიან. ეს ხომ სევდისმომგვრელი რამაა, როცა სუფრაზე ბრმის თავია წამოჩრილი. პური მომაწოდეთ, გეთაყვა... აჰ, ყაჩაღები! ძვირად დამისვამენ ამ უბადრუკ თამბაქოს სავაჭროს. ექვსი თვეა ყველა სამინისტროში დავატარებ ჩემს თხოვნას. დილით მივდივარ იმ დროს, როცა ღუმელებს ანთებენ და ეზოში, სილიან გზებზე ცოტა ხნით მისი აღმატებულების ცხენებს ატარებენ. ვბრუნდები მხოლოდ საღამოს, როცა დიდი ლამპები მოაქვთ და სამზარეულოებში კარგი სუნი დგება.

„მთელ ჩემს ცხოვრებას წინათახებში ვატარებ, ხის სკივრზე ჩამომჯდარი. ამიტომაც

მეკარები კარგად მიცნობენ, დარწმუნებული იყავით: შინაგან საქმეთა სამინისტროში „ჩვენს კარგ ბატონს“ მეძახიან. მე კი, რათა მათი კეთილგანწყობილება დავიმსახურო, ზმებს ვიგონებ, ან მათი საშრობი ქაღალდის კუთხეში ერთი მოხაზვით დიდ უღვაშებს ვხატავ, რაც მათ ძლიერ აცინებს.... აი, რას მივალწიე ოცი წლის დიდი წარმატების შემდეგ, აი, ხელოვანის ცხოვრების დასასრული!.. და წარმოიდგინეთ მხოლოდ, რომ საფრანგეთში ორმოცი ათასი ახალგაზრდა მოიპოვება, რომელთაც პირში ნერწყვი ადგებათ ჩვენი პროფესიის გახსენებაზე. წარმოიდგინეთ, რომ დეპარტამენტებიდან აქეთ ყოველდღე იძვრის ორთქლმავალი, რათა უგუნურებით სავსე ძარები მოგვიტანოს, უგუნურებით, რომელნიც დახარბებული არიან ლიტერატურასა და დაბეჭდილ დიდებას. აჰ, რომანტიკულო პროვინცია, ნეტავ ბიქსიუს სიბეჩავე გაკვეთილად გამოგადგებოდეს!

აქ მან ცხვირი თეფშში ჩაჰყო და ხარბად დაიწყო ჭამა, ისე რომ კრინტს აღარ სძრავდა... სიბრალულს იწვევდა მისი ცქერა. ყოველ წუთში ხან პური ეკარგებოდა, ხან ჩანგალი, ხან კიდევ ხელების ფათურით ჭიქის ძებნა უხდებოდა. უბედური კაცი! ჯერ კიდევ შეჩვეული არ იყო თავის მდგომარეობას.

* * *

ერთი წუთის შემდეგ მან განაგრძო:

– იცით, რა არის ყველაზე საშინელი ჩემთვის? ის, რომ გაზეთების წაკითხვა აღარ შემიძლია. საჭიროა კაცი ჩვენი ხელობისა იყოს, რათა ეს გაიგოს... ხანდახან საღამოთი, როცა შინ ვბრუნდები, რომელიმე გაზეთს ვყიდულობ მხოლოდ იმისთვის, რომ ჯერ კიდევ სველი ქაღალდისა და ახალი ამბების სურნელება შევიცნოსო... ეს ისეთი კარგი რამაა! და წამკითხავი კი არავინ მყავს! ჩემს ცოლს კარგად შეეძლო, მაგრამ არ სურს: ის ფიქრობს, რომ შემთხვევათა

განყოფილებაში საჩოთირო ამბები გვხვდება... ასეთი არიან ეს ყოფილი ხასები. რაკი გათხოვდებიან, იმათზე მიუკარებელი აღარავინ არის. მას შემდეგ, რაც ერთი მათგანი მაღამ ბიქსიუ გავხადე, მან თავი ვალდებულად წარმოიდგინა მუზმუზელად ქცეულიყო, და მერე რანაირ მუზმუზელად... გავიხედე და არ მოინდომა ჩემთვის თვალეხი სალაცის წყლით მოეხანა! შემდეგ წამოვიდა სეფისკვერი, გარზანაკის ჩამოტარება, ბაგები, ავგაროზები, რა ჩამოვთვალო... ყელთამდე ქველმოქმედებაში ვართ ჩაფლული... განა ეს კეთილი საქმე არ იქნებოდა,

ჩემთვის გაზეთები ეკითხა. არ უნდა და ეს არის... ჩემი ქალიშვილი რომ ჩემთან ყოფილიყო, ის წამიკითხავდა, მაგრამ ჩემი დაბრმავების შემდეგ ხელოვნებათა ღვთისმშობლის თავშესაფარში მივაბარე, რათა ერთი მჭამელი თავიდან მომეშორებინა...

„ერთი ისაა, რომ მასიამოვნებს, იმისმა მზემ! ცხრა წელიწადიც არაა, რაც ქვეყანაზე გაჩნდა და უკვე ყველა ავადმყოფობა გამოიარა... და ახლა როგორი ნაღვლიანია! და როგორი მახინჯია! ჩემზე უფრო მახინჯია, თუ ეს საზოგადოდ შესაძლებელია... საფრთხობელაა ნამდვილი!... რას იზამთ? მე არასოდეს არაფერი გამიკეთებია გარდა შარჟებისა... ეჰ! მეც გაიმბობთ რაღა ჩემს შინაურ ამბებს. რაში გჭირდებათ თქვენ ეს? ცოტა კიდევ დამისხით ეს არაყი. უნდა ადგილიდან დავიძრა. აქედან რომ გავალ, მინდა განათლების სამინისტროში წავიდე, იქაური მეკარეები ძნელი გასაცინებელი არიან. სულ ყოფილი მასწავლებლები არიან.

მე არაყი დავუსხი. მან წრუპვა დაუწყო გრძნობამორეული სახით... უცებ, არ ვიცი რამ მოუარა, წამოხტა, ხელში ჭიქა აიღო, ერთი გააქნია თავისი დაბრმავებული იქედნესებური თავი, თავაზიანად გაიღიმა სიტყვის წარმოსათქმელად გამზადებული ადამიანის ღიმილით და მჭექარე ხმით, თითქოს ორასი კაცის ბანკეტს მიმართავსო, წამოიძახა:

– ხელოვნებისთვის! ლიტერატურისთვის! პრესისთვის!

და მან დაიწყო სადღეგრძელო, რომელიც ათ წუთს გაგრძელდა; ეს იყო ერთერთი ყველაზე გიჟური და საოცარი იმპროვიზაცია, რომელიც ოდესმე ამ გიჟლარას ტვინში წარმოშობილა.

წარმოიდგინეთ წლიური მიმოხილვა შემდეგი სათაურით: „ლიტერატურის გზა 186 წელს“; ჩვენი ეგრეთ წოდებული ლიტერატურული კრებები, მითქმამოთქმა, კინკლაობა, ყველა უაზრო წამოწყებანი ექსცენტრიული ქვეყნისა, მოწამლული მელანი, სიდიადეს მოკლებული ჯოჯოხეთი, სადაც ერთმანეთს ახრჩობენ, ერთმანეთს გულ-ღვიძლს აცლიან, ძარცვავენ, სადაც ფულსა და მოგებაზე მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე ბურჟუაზიაში, რაც ხელს არ უშლის, რომ იქ შიმშილით

უფრო ხშირად იხოცებოდნენ, ვიდრე სხვაგან; ყველა ჩვენი სიმდაბლე, ჩვენი სიდუხჭირე ჩამოსთვალა: მოხუცი

ბარონი ტ. დელა ტამბოლა, რომელიც ტიულიერის სასახლეში წავიდა თავისი სამათხოვრო ჯამით და ღიღილოსფერი ტანსაცმლით, რათა იქ მოწყალეობა ეთხოვა; შემდეგ წრევანდელი მიცვალებულნი გაიხსენა, რეკლამიანი დასაფლავებანი, ბატონი დელეგატის სამგლოვიარო სიტყვა, რომელიც მუდამ ერთნაირი იყო: „ძვირფასად მოსაგონარო! ძვირფასო და ბედშავო!“ და მიმართული იყო უბედურისადმი, რომლის დასაფლავებისთვის ფული არ გაიმეტეს; ჩამოსთვალა თვითმკვლელნიც, ჭკუაზე შემცდარნიც. წარმოიდგინეთ, ყოველივე ეს მოთხრობილი, დეტალურად გადმოცემული და გათამაშებული გენიოს ღმეჭიას მიერ და თქვენ ბიქსიუს იმპროვიზაციის იდეას მიიღებთ.

* * *

როცა თავისი სადღეგრძელო დაასრულა და თავისი ჭიქა გამოსცალა, მკითხა, რომელი საათიაო, და წავიდა მრისხანე სახით, ისე რომ არ გამომშვიდობებია. არც ვიცი, როგორ შეხვდნენ ამ დილით მას განათლების სამინისტროს მეკარეები: მე კი ჩემს სიცოცხლეში თავი ისე სევდიანად არ მიგრძვნია, ისეთ ცუდ გუნებაზე არ დავმდგარვარ, როგორც ამ

სამინელი ბრმა კაცის წასვლის შემდეგ. ჩემი სამელნე გულს მირევდა, ჩემი კალამი შიშს მგვრიდა. მე მიწოდდა სადმე გადავკარგულიყავი, გავქცეულიყავი, ხეები დამენახა, რაიმე კარგი სურნელება შემესუნთქა... ღმერთო ჩემო, რამდენი სიძულვილია! რამდენი ნალველია! ეს რა მოთხოვნილებაა, რომ ყველაფერი ფურთხით და ჭუჭყით გაისვაროს! აჰ, ეს უბადრუკი....

და მე გააფთრებული დავდიოდი ჩემს ოთახში, მე თითქოს კიდევ ყურში მედგა ზიზღით წარმოთქმული ქირდვის სიტყვები, როდესაც ის თავის ქალიშვილზე ლაპარაკობდა.

უცებ იმ სკამის მახლობლად, სადაც ბრმა იჯდა, მე რაღაც ჩამივარდა ფეხებში. როგორც კი დავიხარე, მისი პორტფელი ვიცანი, დიდი, მბზინავი პორტფელი გადატეხილი კუთხეებით, რომელსაც ის არასოდეს არ იშორებდა და ხუმრობით თავის საწამლავის პარკს უწოდებდა. ეს პარკი ჩვენს საზოგადოებაში არა ნაკლებ სახელგანთქმული იყო, ვიდრე ბატონ დე ჟირარდენის^[23] ცნობილი საქალაქდებები. ამბობდნენ, შიგ სამინელი რამეებიაო... კარგი შემთხვევა მეძლეოდა შესამოწმებლად. ძველი პორტფელი,

მეტისმეტად გატენილი, ძირს ჩამოვარდნის დროს გაფაშულიყო და ქალაქდები ერთიანად ნოხზე ეყარა; იძულებული გავხდი სათითაოდ ამეკრიბა...

წერილების ერთი დასტა, ყვავილებიან ქალაქში დაწერილი, ერთი და იმავე სიტყვებით იწყებოდა: „ჩემო ძვირფასო მამავ“, და ხელმოწერილი იყო: „სელინა ბიქსიუ, ღვთისმშობლის თავშესაფრის ბავშვთაგანი.“

შემდეგ მოდიოდა ძველი რეცეპტები ბავშვთა ავადმყოფობისათვის: ხუნაგის, კრუნჩხვის, ქუნთრუშის, წითელის წინააღმდეგ... (საბრალო ბავშვს არც ერთი არ ასცდენია!)

ბოლოს დიდი დაბეჭდილი კონვერტი შევამჩნიე, საიდანაც, როგორც პატარა გოგონას თავსაბურავიდან, ორი თუ სამი ყვითელი, დახუჭუჭებული კულული მოჩანდა; ხოლო კონვერტზე ბრმა კაცის მსხვილი მთრთოლვარე ხელით ეწერა:

„სელინას თმა, მოკვეცილი მაისის ცამეტს, მისი იქ შესვლის დღეს.“ აი,

რა იყო ბიქსიუს პორტფელში.

აი, პარიზელებო, თქვენ ყველანი ერთნაირები ხართ. ზიზღი, ირონია, ჯოჯოხეთური სიცილი, სასტიკი დაცინვა და დასასრულ: სელინას თმა, მოკვეცილი მაისის ცამეტს.

ოქროსტვინიანი კაცის ლეგენდა

მანდილოსანს, რომელიც მხიარულ ამბებს თხოულობს.

როცა თქვენი წერილი წავიკითხე, ქალბატონო, ცოტა არ იყოს, სინდისის ქენჯნა ვიგრძენი. მე ჩემს თავს ვუსაყვედურე, რომ ჩემი პატარა ამბები სანახევროდ მუქი ფერებითაა შესრულებული და გადავწყვიტე დღეს რაიმე მხიარული, გიჟურად მხიარული მოგაწოდოთ.

რად უნდა ვიყო მწუხარე, მართლაც? მე ვცხოვრობ ათასი ლიე სიმორზე პარიზის ბურუსისაგან, გასხივოსნებულ გორაკზე, დაირებისა და მუსკატის ღვინის ქვეყანაში. ჩემს გარშემო მხოლოდ მზე და მუსიკაა. აქ არის კუდმაკრატელა მერცხლების ორკესტრები, წიწკარების გუნდები; დილით ღალღები ჭიკჭიკებენ, შუადღისას ჭრიჭინები ჭრიჭინებენ; ამას დაუმატეთ მწყემსების სალამური და ლამაზი შავგვრემანი გოგონები, რომელთა კისკისი ვენახიდან მოისმის. მართლაც, ადგილი ცუდადაა

შერჩეული, რომ ადამიანი მჭმუნვარე ფიქრებს მიეცეს; პირიქით, მე ქალებისთვის ვარდისფერი პოემები და სატრფიალო მოთხრობების სავსე კალათები უნდა გამეგზავნა.

მაგრამ არა! მე კიდევ ახლო ვარ პარიზიდან. ყოველდღე ჩემს ფიჭვებამდე მისი ნაღველის შხეფები აღწევს... თვით ამ წუთში, როცა ამ სტრიქონებს ვწერ,

საბრალო შარლ ბარბარას^[24] სიკვდილი გავიგე და მთელი ჩემი წისქვილი მგლოვიარეა. მშვიდობით, ღაღღებო და ჭრიჭინებო! ჩემი გული დახშულია ყოველი სიხარულისათვის... და ამიტომ, ქალბატონო, ჩემს მიერ აღთქმული ცელქი მოთხრობის მაგივრად, დღესაც მხოლოდ მელანქოლიურ ლეგენდას მიიღებთ.

* * *

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა: იყო ერთი კაცი, რომელსაც ბაჯადლო ოქროს ტვინი ჰქონდა. როცა ის დაიბადა, ექიმები ირწმუნებოდნენ, ეს ბავშვი ვერ იცოცხლებსო, იმდენად მძიმე თავი და უზარმაზარი თავის ქალა ჰქონდა. მაინც გადარჩა და მზეზე წამოიზარდა ზეთის ხილის მშვენიერ ხესავით; მხოლოდ დიდი

თავი მუდამ სძლევდა ხოლმე და საცოდაობა იყო იმის ცქერა, როგორ ეჯახებოდა ავეჯეულობას სიარულის დროს... ხშირად ძირს ეცემოდა. ერთხელ აივნოდან გადმოვარდა და შუბლი დაჰკრა მარმარილოს საფეხურზე, რის გამოც მისმა თავის ქალამ ლითონის ზოდით დაიწკრიალა. ეგონათ, მოკვდაო; მაგრამ, როცა ფეხზე წამოაყენეს, მხოლოდ მსუბუქი ჭრილობა აღმოაჩნდა, ორი თუ სამი შედედებული ოქროს წვეთითქერა თმაში. მშობლებმა ამნაირად გაიგეს, რომ მათ ბავშვს ოქროს ტვინი ჰქონდა.

ეს ამბავი საიდუმლოდ შეინახეს; თვით საწყალმა ბავშვმაც კი არაფერი იცოდა, ხანდახან ის კითხულობდა, რატომ აღარ მიშვებთ ბავშვებთან ერთად ქუჩაში სარბენადო.

– მოგიტაცებენ, ჩემო საუნჯევ! – უპასუხებდა დედამისი...

მაშინ ბავშვს მოტაცების შიში იპყრობდა; ის შებრუნდებოდა, მარტოდმარტო მიდიოდა სათამაშოდ და მძიმედ დახეტილობდა ოთახიდან ოთახში...

მშობლებმა მხოლოდ მაშინ გაუმხილეს მისი ბედის საშინელება, როცა ის თვრამეტი წლისა გახდა; და რადგან ისინი მას მანამდე უვლიდნენ და კვებავდნენ, ცოტადენი სანაზღაურო მოსთხოვეს მისი ოქროს მარაგიდან. ჭაბუკს ყოყმანი არ დაუწყია; იმ წუთშივე, – მაგრამ როგორ? რა საშუალებით? – ლეგენდა არას ამბობს ამის შესახებ, – მან თავის ქალიდან მოიტეხა ბაჯადლო ოქროს ერთი ნაჭერი, დაახლოებით კაკლის ოდენა, და ამაყად კალთაში ჩაუგდო თავის დედას... შემდეგ მან, სრულიად დაბრმავებულმა იმ სიმდიდრით, რასაც თავში ატარებდა, სურვილებით გაგიჟებულმა, თავისი ძლიერებით გაბრუებულმა, დედ-მამის ოჯახი დასტოვა და უსაზღვრო ქვეყანაში წავიდა; თან თავის განძს ფლანგავდა.

* * *

ვინც მის მეფურ ცხოვრებას დააკვირდებოდა, მის მიერ ოქროს უანგარიშოდ ფანტვას, იტყოდა, მისი ტვინი ულეველიაო... მაგრამ ნამდვილად კი ის თანდათან ილეოდა და ამისდა მიხედვით, მას თვალის ჩინი ჩაუბინდდა, ხოლო ღაწვები ჩაუცვინდა. ბოლოს ერთხელ, გიჟურ ღრეობაში გატარებული ღამის შემდეგ, საბრალო ახალგაზრდა,

რომელიც მართო დარჩა მეჯლისის ნამუსრევსა და დილის სინათლით გაფერმკრთალებულ ჭაღებს შორის, შეძრწუნდა, რადგან იგრძნო, თუ რა ღრმად შეენგრია თავისი მადანი: დრო იყო თავისთავი შეეჩერებინა.

ამ დღიდან მან ახალი ცხოვრება დაიწყო. ოქროსტვინიანი კაცი განმარტოვდა, მუშაობას მიჰყო ხელი, იჭვიანი და მხდალი გახდა ძუნწივით; ის ცთუნებას გაურბოდა და ცდილობდა დაევიწყებინა თავისი საბედისწერო სიმდიდრე, ხელი არ ეხლო მისთვის... სამწუხაროდ, ერთი მეგობარი თან გაჰყვა იმ განმარტოების ადგილზე, ამ მეგობარმა კი მისი საიდუმლოება იცოდა.

ერთხელ ღამით საწყალი კაცი უცებ თავის ტკივილმა გააღვიძა, საშინელმა თავის ტკივილმა; გონებადაკარგული ზეზე წამოვარდა და მთვარის შუქზე თავისი მეგობარი დაინახა, რომელიც გარბოდა და რაღაცას მალავდა თავის წამოსასხამქვეშ... კიდევ წაართვეს ცოტაოდენი ტვინი.

ამის შემდეგ რამდენიმე ხანმა განვლო და ოქროსტვინიანმა კაცმა სიყვარული იგრძნო;

ეს კი უკვე ყველაფრის დასასრული იყო. მას მთელი სულითა და გულით შეუყვარდა ერთი ახალგაზრდა, ქერა ქალი, რომელსაც თავის მხრითაც ძალიან უყვარდა, მაგრამ უფრო მეტად მაინც პომპონები და თეთრი ფრთები, აგრეთვე კოხტა ფეხსაცმელების ოქროსფრად მოლივლივე ფოჩები უყვარდა.

ამ პაწია საყვარელი არსების, ნახევრად ფრინველის, ნახევრად დედოფალას ხელში ოქროს ფული ისე სწრაფად დნებოდა, რომ პირდაპირ გესიამოვნებოდათ. ქალს ყოველგვარი ჟინი ჰქონდა, ვაჟი კი არაფერზე უარს არ ეუბნებოდა. კიდევ მეტი: მან ქალს თავისი სიმდიდრის სამწუხარო საიდუმლოებაც კი არ გაუმხილა, რადგან ეშინოდა მისთვის გული არ ეტკინა. – ჩვენ ხომ ძალიან მდიდრები ვართ, – ამბობდა ქალი.

საბრალო კაცი უპასუხებდა:

– ჰო... ძალიან მდიდრები!

და ის სიყვარულით უცინოდა პატარა ლურჯ ჩიტს, რომელიც მის ტვინს კენკავდა გულუბრყვილოდ. მაგრამ ხანდახან ამ კაცს შიში მოიცავდა და

სურვილი ებადებოდა სიძუნწე გამოეჩინა. მაშინ პატარა ქალი მასთან ხტუნვით მიიბრუნდა და ეტყოდა:

– ჩემო ეგზომ მდიდარო ქმარო, მიყიდეთ რაიმე ძალიან ძვირფასი...

და ის რაიმე ძალიან ძვირფასს ყიდულობდა.

ასე გაგრძელდა ორ წელიწადს; შემდეგ ერთ დღით პატარა ქალი მოკვდა, არავინ იცის რატომ, მოკვდა ისე, როგორც ჩიტები კვდებიან... ოქროს განძი თავდებოდა; იმ პატარა ნაშთით, რომელიც ქვრივს დარჩა, მან თავის ძვირფას ცოლს მშვენიერი დასაფლავება მოუწყო: ზარების გუგუნი, შავად შემოსილი მძიმე ეტლები, ჯიღებით მორთული ცხენები, ვერცხლის ცრემლები ხავერდის გადასაფარებელზე; ყოველივე ეს მან მცირე რამედ მიიჩნია. რაღად უნდოდა ოქრო ამის შემდეგ?.. უხვად მისცა ის ეკლესიას, კუბოს წამლებთ, ყვავილების გადამყიდველ ქალებს; ყველას შეუვაჭრებლად აძლევდა... ამრიგად, როცა სასაფლაოდან დაბრუნდა, თითქმის აღარაფერი დარჩა იმ ჯადოსნური ტვინიდან, გარდა ორიოდ ნატამალისა შიგნით თავის ქალაზე.

და ის ქუჩა-ქუჩა წავიდა გაოგნებული სახით, ხელებგაწვდილი, ბარბაცით მთვრალი ადამიანივით. საღამოს, იმ დროს, როცა მაღაზიებს ანათებენ, ის ერთი ფართო ვიტრინის წინ გაჩერდა, სადაც სინათლეზე მრავალი ქსოვილი და სამკაული ბზინავდა, და დიდხანს უცქირა გედის ბუმბულშემოვლებულ ლურჯი ატლასის მაშიებს. „მე ვიცი ერთი ვინმე, ვისაც ეს ფეხსაცმელები დიდად ასიამოვნებდა“, გაიფიქრა მანდომილით; არ გაახსენდა, რომ მისი პატარა ცოლი უკვე მკვდარი იყო და მაღაზიაში შევიდა მაშიების საყიდლად.

თავის უკანა ოთახში გამყიდველმა ქალმა საშინელი ყვირილი გაიგონა; გამოიქცა, მაგრამ შეშინებული შედგა კაცის წინაშე, რომელიც დახლს მიყრდნობოდა და მას მწუხარედ შესცქეროდა შემოილილი სახით. ერთ ხელში მას გედისბუმბულიანი ლურჯი მაშიები ეჭირა, ხოლო მეორე, სრულიად გასისხლიანებული ხელით მას ოქროს ნაფხეკებს უწვდიდა ფრჩილების წვერებზე. ასეთია, ქალბატონო, ოქროსტვინიანი კაცის ლეგენდა.

მიუხედავად თავისი ფანტასტიკური სახისა, ეს ზღაპარი თავიდან ბოლომდე მართალია... ამქვეყნად მრავლად მოიპოვებიან საბრალო ადამიანები, რომელნიც განწირულნი არიან თავიანთი ტვინის ხარჯზე იცხოვრონ; ისინი ბაჯადლო ოქროთი, მთელი თავიანთი არსების საფასურით ყიდულობენ სრულიად უბრალო საგნებს. ყოველი ახალი დღის გათენებას ახალი ტკივილი მოაქვს მათთვის; და როცა ისინი ტანჯვისაგან იღლებიან...

პოეტი მისტრალი

გასულ კვირა დღეს, დილით რომ ავდექი, მეგონა პარიზში გამომეღვიძა ფობურმონმარტრის ქუჩაზე-მეთქი. წვიმდა, ცა ჩამობნელებული იყო, წისქვილი დამწუხრებული. მე შემეშინდა ასეთი ცივი, წვიმიანი დღე შინ გამეტარებინა და უცებ სურვილი დამებადა ცოტათი გასათბობად წავსულიყავი ფრედერიკ მისტრალთან^[25], ამ დიდ პოეტთან, რომელიც სამი ლიეს მანძილზე ცხოვრობს ჩემი ფიქვებიდან, თავის პატარა სოფელ მაილანში.

თქმა და შესრულება ერთი იყო: ხელში ჩემი ტვიის ხის კომბალი და ჩემი მონტენი^[26] დავიჭირე, მხარზე საბურველი წამოვისხი და გზას გავუდექი.

ყანებში არავინ ჩანდა... ჩვენი მშვენიერი კათოლიკური პროვანსი მიწას ასვენებს კვირაობით... სახლებში მხოლოდ ძაღლები რჩებიან, ფერმები დაკეტილია. მხოლოდ დროგამოშვებით ფორანი თუ გამოჩნდება თავისი დასველებული საფარით, ან დედაბერი, დამჭკნარი ფოთლისფერ მანტიამი გახვეული; ან კიდევ კაცს ჯორები

შეგხვდებათ, სადღესასწაულოდ მორთული, წითელი პომპონით, ვერცხლის ჟღარუნათი, ლურჯ და თეთრ ზოლებიანი ასალით, მათ ჩორთით მიჰყავთ წირვაზე მიმავალი ფერმერებით სავსე ფორნები. მოშორებით კი, არხზე, ნისლში ნავი მოჩანს ფეხზე დამდგარი მეთევზით, რომელიც ბადეს ისვრის...

შეუძლებელი იყო გზაში წიგნის კითხვა ამ დღეს. კოკისპირული წვიმა მოდიოდა, ხოლო ტრამონტანი მთელ ჩაფ წყალს გასხამდათ სახეში... გზა სულმოუთქმელად გავიარე და, ბოლოს, სამი საათის სიარულის შემდეგ კვიპაროსების პატარა ტყე დავინახე, რომლის შუაგულში სოფელი მაილანი თავს იფარავს ქარისაგან.

სოფლის ქუჩებში კატაც კი არსად ჩანდა; ყველანი წირვაზე წასულიყვნენ. როცა ეკლესიას გვერდით ჩავუარე, ორლანი გუგუნებდა, ხოლო ფერად მინებში სანთლები ციმციმებდნენ.

პოეტის ბინა სოფლის ბოლოშია. ეს უკანასკნელი სახლია მარცხნივ, სენ რემისკენ მიმავალ გზაზე, ერთსართულიანი პატარა სახლი ბადით წინ ეზოში... ფეხაკრეფით შევდივარ... არავინ ჩანს! სასტუმრო ოთახის კარი დაკეტილია, მაგრამ მე მესმის, რომ იქ

ვიღაც დადის და ხმამაღლა ლაპარაკობს... მე კარგად ვიცნობ ამ ნაბიჯებსა და ხმას... ერთი წუთით პატარა, კირით შელესილ დერეფანში ვჩერდები, ხელი კარის სახელურზე მიდევს, დიდად აღელვებული ვარ, გული გამალებით მიცემს. – ის

იქ არის. მუშაობს... ხომ არ დავიცადო, სანამ ტაეპს გაათავებდეს?.. რაღას იზამ, შევიდეთ.

* * *

აჰ პარიზელებო, როცა მაილანის მგოსანი თქვენსას მოვიდა, რათა თავისი მირეილისთვის პარიზი ეჩვენებინა, და როცა თქვენს სალონებში ეს შაქტასი^[27] დაინახეთ, ქალაქურ ტანისამოსში გამოწყობილი, გახამებული საყელოთი და დიდი ქუდით, რომელიც მას ისევე აწუხებდა, როგორც მისი დიდება, თქვენ იფიქრეთ, ეს არის მისტრალიო... არა, ეს იგი არ იყო. ქვეყანაზე მხოლოდ ერთი მისტრალია, ეს ისაა, რომელსაც წარსულ კვირა დღეს დავახელე მის სოფელში; მას ფეტრის ქუდი გვერდზე მოეგდო, ქურთუკი ჩაეცვა უჟილეტოდ, წელზე წითელი კატალონიური სარტყელი შემოერთყა და ანთებული თვალებით, შთაგონების ალით ღაწვებზე, ამაყი, კეთილი ღიმილით, ელინთა მწყემსივით მოხდენილი, ჯიბეში ხელებჩაწყობილი დადიოდა დიდი ნაბიჯით და ლექსებს სთხზავდა...

– როგორ, ეს შენ ხარ! – წამოიძახა მისტრალმა და ყელზე მომეხვია! – რა კარგია, რომ დღეს მოხვედი!.. სწორედ დღეს მაილანში დღეობაა. ჩვენ მუსიკა გვეყოლება ავინიონიდან, აგრეთვე ხარები, პროცესია, ფერხული; ეს საუცხოო რამ იქნება... დედაჩემი ჩქარა დაბრუნდება წირვიდან; ვისაუზმობთ და შემდეგ ჰაიდა! წავიდეთ და ლამაზი გოგონების ცეკვას ვუცქიროთ...

სანამ ის მელაპარაკებოდა, მე აღელვებული ვუცქეროდი ღიაფერ შპალიერიან პატარა სასტუმრო ოთახს, სადაც დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ. წინათ კი მშვენიერი საათები გამიტარებია. არაფერი არ გამოცვლილა. იგივე ყვითელუჯრედიანი მატერიით გადაკრული დივანი, ორი სელის სავარძელი, უხელო ვენერა და არლის ვენერა ბუხარზე, პოეტის პორტრეტი, ჰებერის მიერ დახატული, მისივე ფოტოგრაფიული სურათი, ეტიენ კარჟთან გადაღებული, ხოლო კუთხეში, ფანჯარასთან, საწერი მაგიდა, რეგისტრატორის პატარა, ღარიბი საწერი მაგიდა, ძველი წიგნებითა და ლექსიკონებით დატვირთული. ამ საწერ მაგიდაზე მე დიდი, გადაშლილი რვეული შევამჩნიე, ეს იყო „კალენდალი“, ფრედერიკ მისტრალის ახალი პოემა, რომელიც ამ წლის ბოლოს უნდა გამოქვეყნდეს, შობა დღისათვის. შვიდი წელიწადია მისტრალი ამ პოემაზე მუშაობს და

აი უკვე ექვსი თვეა, რაც უკანასკნელი ლექსები დაწერა; ამისდა მიუხედავად, ის ვერ ბედავს მის მოშორებას. თქვენ გესმით, რომ ყოველთვის აღმოჩნდება რომელიმე გასაშალაშინებელი ტაეპი, რომელიმე უფრო კეთილხმოვანი რითმა მოსაძებნი... მართალია, მისტრალი პროვანსულად წერს, მაგრამ ისე ამუშავებს თავის ლექსებს, თითქოს მთელი ქვეყანა ამ ენაზე კითხულობდეს და მის

ოსტატობას აფასებდეს... ოჰ, რა დიდებული მგოსანია და როგორ შეეფერება მას მონტენის სიტყვები: „გაიხსენეთ რა პასუხი გასცა ერთმა ვინმემ, როცა მას ჰკითხეს, რად იღწვი ასე ხელოვნებისთვის, რომელიც არ შეიძლება გასაგები იყოს მრავალთათვისო: ჩემთვის საკმაოა რამდენიმეც, ჩემთვის საკმაოა ერთიც, მე ერთიც არ მინდა.“

* * *

მე ხელში მეჭირა „კალენდალის“ რვეული და ვფურცლავდი ძლიერ აღელვებული. უცებ ქუჩაში, ფანჯარასთან დუდუკის და დაირის ხმა გაისმა. და აი, ჩემი მისტრალი კარადასთან მირბის, იქიდან ჭიქებსა და ბოთლებს იღებს, შუაგულ ოთახში მოათრევს მაგიდას და კარს უღებს მემუსიკეებს; თან მე მეუბნება:

– ნუ იცინი... ისინი ჩემთან დილის სიმღერის სათქმელად მოვიდნენ... მე ხომ მუნიციპალური საბჭოს წევრი ვარ.

პატარა ოთახი ხალხით აივსო. დაირები სკამებზე დააწყვეს, ძველი დროშა კუთხეში მიაყუდეს; და ირგვლივ გადადუღებული ღვინო ჩამოტარდა. შემდეგ, როცა მემუსიკეებმა რამდენიმე ბოთლი დასცალეს ბატონი ფრედერიკის სადღეგრძელოდ, როცა მათ დინჯად ისაუბრეს დღეობის შესახებ, იმაზე, თუ ფერხული ისეთივე კარგი იქნება, როგორც წარსულ წელს იყო თუ არა, როგორ დაიჭერენ თავს ხარები, – ისინი წამოდგნენ და საბჭოს სხვა წევრებთან წავიდნენ დილის სიმღერის სათქმელად. ამ დროს მისტრალის დედაც შემოვიდა.

ერთი თვალის დახამხამებაზე მაგიდა უკვე გაწყობილია: მშვენიერი თეთრი სუფრა იშლება ორი ხელი ჭურჭლით. მე ვიცნობ ოჯახის ჩვეულებებს; ვიცი, რომ, როცა მისტრალის სტუმარი ჰყავს, დედამისი არ უდებია სუფრასთან... საბრალო მოხუცმა ქალმა არაფერი იცის, გარდა პროვანსულისა და თავს უხერხულად გრძნობდა, თუ ფრანგებთან მოუხდებოდა ლაპარაკი... და მერე ის სამზარეულოშია საჭირო.

ღმერთო რა კარგი საუზმე ვჭამე ამ დილით; შემწვარი ციკნის ხორცის ნაჭერი, მთის ყველი, ტკბილისკვერი, ლელვი, მუსკატის ყურძენი. და ყოველივე ეს მოირწყა პაპების საუკეთესო შატონევით, რომელსაც ასეთი მშვენიერი ვარდისფერი აქვს ჭიქებში...

დესერტის დროს ვდგები პოემის რვეულის მოსატანად და მაგიდაზე ვდებ მისტრალის წინ.

– ჩვენ ხომ სასეირნოდ ვაპირებდით წასვლას, – ამბობს პოეტი ღიმილით.

– არა, არა! კალენდალი, კალენდალი!

მისტრალი თანხმდება და თავისი მუსიკალური და ალერსიანი ხმით პირველ ქებას ამბობს, ამასთანავე ხელით თავისი ლექსების ტაქტს სცემს: „ახლა, როცა სიყვარულით გაგიჟებული ქალიშვილის სამწუხარო თავგადასავალი გიამბოვებ, თუ ღმერთმა ინება, კასიელ ბიჭს ვუმღერ, სარდალა თევზის პატარა, საწყალ მებადურს...“

გარეთ უკვე მწუხრის ზარები რეკავდა, მოედანზე შუმხუნები სკდებოდა, ქუჩაში მედუდუკეები მიმოდიოდნენ მედაირეებთან ერთად; კამარგელი ხარები, რომელნიც სარბენად მოჰყავდათ, ბლადნენ.

მე, სუფრაზე იდაყვდაყრდნობილი, თვალცრემლიანი ვუსმენდი პატარა პროვანსელი მეთევზის ისტორიას.

* * *

კალენდალი მეთევზე იყო და მეტი არაფერი; სიყვარულმა ის გმირად აქცია... რათა თავისი ნანდაურის, მშვენიერი ესტერელას გული მოინადიროს, ის საარაკო ამბებს ჩადის და ჰერკულესის თორმეტი საგმირო საქმე არაფერია მის გმირობასთან შედარებით.

რაკი ერთხელ თავში ჩაიჭედა, მდიდარი უნდა გავხდეთ, მან ვეებერთელა სათევზაო ხელსაწყო მოიგონა და ნავსადგურში მიიზიდა მთელი ზღვის თევზი. ერთხელ მან კიდევ მის ჩხუბისთავებსა და საყვარლებთან ერთად ბუნაგში შეამწყვდია ოლიულის ხეობის საშინელი ყაჩაღი, გრაფი სევერანი... რა შეუპოვარი ბიჭია ეს პატარა

კალენდალი! ერთხელ, წმინდა მირონის დღეს, ის ხვდება ერთიმეორის მოწინააღმდეგე ქარგალთა ორ წყებას, რომელნიც იქ მოსულიყვნენ, რათა დავა გადაეწყვიტათ ჩხუბით ოსტატი ჟაკის საფლაავზე; ეს ჟაკი პროვანსელი იყო და სოლომონ ბრძენის ტაძრის ხარაჩოები ააგო; კალენდალი ამ დაკა-დაკაში შეიჭრება და მარტოოდენ სიტყვით ამშვიდებს ქარგლებს...

ახლა ზეადამიანური გმირობის ამბავი მოისმინეთ... ზემოთ, ლიურის კლდეებში კედარის მიუდგომელი ტყე იყო და არასოდეს შეშის მჭრელს არ გაუბედავს იქ ასვლა. კალენდალი მაინც ადის. ის იქ სრულიად მარტოდმარტო ბინავდება მთელი თვით. მთელი თვის განმავლობაში ხალხს ესმის ხმა მისი ნაჯახისა, რომელიც ჟღერით ესობა ხეებს; ტყე ყვირის, ბებერი დევი ხეები ერთიმეორის მიყოლებით ძირს ეცემიან და უფსკრულში ვარდებიან. ხოლო როცა კალენდალი ბარში ჩამოდის, მთაზე არც ერთი კედარი აღარ რჩება...

ბოლოს, ამდენი საგრობის ასანაზღაურებლად სარდალა თევზის მეზადური ესტერელას სიყვარულს მოიპოვებს და მას კასის მცხოვრებლები კონსულად ნიშნავენ... აი

კალენდალის მთელი თავგადასავალი... მაგრამ თავიდათავი კალენდალი როდია. პოემაში, უწინარეს ყოვლისა, მოცემულია პროვანსი, ზღვის პროვანსი, მთის პროვანსი მისი ისტორიითა, ზნე-ჩვეულებითა, ლეგენდებითა და პეიზაჟებით, მთელი ეს გულუბრყვილო და თავისუფალი პროვანსელი ხალხი, რომელმაც თავისი დიდი პოეტი იპოვა, სანამ მოკვდებოდა... და ახლა გაიყვანეთ რკინიგზები, დადგით ტელეგრაფის ბოძები, სკოლებიდან განდევნეთ პროვანსული ენა! პროვანსი მაინც საუკუნოდ იცხოვრებს „მირიელსა“ და „კალენდალში“.

* * *

- კმარა პოეზია! - სთქვა მისტრალმა და თავისი რვეული დახურა: - წავიდეთ, დღეობა ვნახოთ.

ჩვენ გავედით; მთელი სოფელი ქუჩებში იყო გამოსული; ქარის ერთ ძლიერ მოქროლვას ცა გადაეწმინდა და ის მხიარულად დანათოდა წვიმით დასველებულ წითელ სახურავებს. სწორედ პროცესიის დაბრუნებას მივუსწარიტ. მთელი საათი გაგრძელდა კაპიუმონიანი თეთრი, ლურჯი, რუხი მომნანიებლების,

რიდეჩამოფარებული ქალიშვილების მსვლელობა. შემდეგ მოდიოდნენ ოქროს ყვავილებიანი ვარდისფერი ბაირაღები, ვარაყვანაცვილებული დიდი ხნის წმინდანები, რომელნიც ორ-ორ კაცს მოჰქონდა მხრებზე გადებული, ქაშანურის წმინდანი ქალები, კერპებივით შეფერადებული, დიდი თაიგულებით ხელში; შესამოსლები, ბარძიმები, მწვანე ხავერდის გავალაკები, თეთრი აბრეშუმის ჩარჩოიანი ჯვარცმები; ყოველივე ამას ქარი არხევდა კელაპტრებისა და მზის სინათლეზე, ფსალმუნებისა, ლიტანიებისა და მთელი ძალით მოგუგუნე ზარების ხმაში.

როცა პროცესია დასრულდა და წმინდანები თავიანთ სამლოცველოებში მოათავსეს, ჩვენ წავედით ხარების სანახავად; გვინდოდა გვენახა, აგრეთვე კალოზე გამართული თამაშობა, ჭიდაობა, სამი ნახტომი, ტიკჭორის თამაშობა, საერთოდ პროვანსის მთელი მშვენიერი დღეობა.. ღამდებოდა, როცა მაილანში დავბრუნდით. მოედანი პატარა ყავახანის წინ, სადაც საღამოობით მისტრალი მიდის ხოლმე თავის მეგობარ ზიდორთან ერთი ხელი ჭადრაკის სათამაშოდ, გაეჩირადნებინათ... ფერხული ეწყობოდა. ყველგან, სიბნელეში ქაღალდის ფერადი ფანრები ინთებოდა; ახალგაზრდობა ადგილს იჭერდა; და უცებ მედაირეების ერთ ნიშანზე ცეცხლის

გარშემო გიჟური, ხმაურიანი ცეკვა დაიწყო, რომელიც მთელი ღამე უნდა გაგრძელებულიყო.

* * *

ვახშმის შემდეგ ისეთი დაღლილობა ვიგრძენით, რომ სეირნობა აღარ შეგვეძლო; მისტრალის ოთახში ავედით. ეს ჩვეულებრივი გლეხური ოთახია ორი დიდი საწოლით. კედლებზე ქალაქი არაა გაკრული; ჭერის თავხეები ჩანს... ამ ოთახი წლის წინათ, როცა აკადემიამ „მირეილის“ ავტორს სამი ათასი ფრანკი ჯილდო მისცა, ქალბატონ მისტრალს თავში ერთი აზრი მოუვიდა:

– რა იქნებოდა, შენი ოთახის კედლებზე რომ ქალაქი გაგვეკრა და ჭერი შეგველესა? – ჰკითხა მან თავის ვაჟს.

– არა, არა! – უპასუხა მისტრალმა... – ეს პოეტების ფულია, მისი ხელის ხლება არ შეიძლება.

და ოთახი წინანდებურად შიშველი დარჩა. მაგრამ, სანამ პოეტების ფული არ დაილია, ყველამ, ვინც კი მისტრალს დაუკაკუნა, ნახა, რომ მისი ქისა გახსნილი იყო...

მე ოთახში შევიტანე „კალენდალის“ რვეული, რადგან მინდოდა იქიდან კიდევ რამე მომესმინა დაძინების წინ. მისტრალმა ქაშანურის ეპიზოდი აირჩია. აი ეს ეპიზოდი რამდენიმე სიტყვით.

არ ვიცი სად, დიდი მეჯლისია გამართული. სუფრაზე მუტიეს ქაშანურის საუცხოო ჭურჭელი მოაქვთ. ყოველ თეფშზე, ლურჯი ფერით მინანქარზე პროვანსული სიუჟეტია დახატული; აქ მთელი ამ ქვეყნის ისტორიაა მოთხრობილი. და უნდა ნახოთ, როგორი სიყვარულითაა აღწერილი ეს მშვენიერი ქაშანური; თითო თეფშზე თითო ტაეპი მოდის, რაც უდრის იმდენივე პატარა პოემას, გულუბრყვილოდ და ოსტატურად შესრულებულს თეოკრიტეს^[28] სურათის მსგავსად.

როცა მისტრალი თავის ლექსებს მიკითხავდა, იმ მშვენიერ, პროვანსულ ენაზე დაწერილთ, სადაც სამ მეოთხედზე მეტი ლათინურია, რომელზედაც ერთ დროს დედოფლები ლაპარაკობდნენ, დღეს კი მხოლოდ ჩვენს მწყემსებს ესმით, ჩემი გულის

სიღრმეში აღტაცებული ვიყავი ამ ადამიანით, მე წარმოვიდგინე ის რღვევის მდგომარეობა, რომელშიც მან თავისი დედაენა იპოვა და შემდეგ ის სამუშაო, რომელიც მან შეასრულა. და გამახსენდა ბორების პრინციების ერთ-ერთი ძველი კოშკი ალპილებში: მას არც სახურავი აქვს, არც რიკული მისავალთან, არც ფანჯრის მინები; კამარებში სამყურას ჩუქურთმა გატეხილია, კარიბჭეზე გერბი ხავსითაა დაფარული, მთავარ ეზოში ქათმები საკენკს დაეძებენ, გალერეის

ნატივ სვეტებქვეშ ღორები გორაობენ, სამლოცველოში, სადაც ბალახი ამოსულა, ვირი სძოვს, ხოლო დიდი ემბაზები წვიმის წყალს აუვსია და იქ მტრედები მოფრენილან წყლის სასმელად. ბოლოს ამ ნანგრევებში ორი თუ სამი გლეხის ოჯახი დასახლებულა, მათ თავიანთი ქოხები ძველი სასახლის კედლებზე მიუშენებიათ.

მაგრამ აი, ერთ მშვენიერ დღეს ერთ-ერთი ამ გლეხის ვაჟი ამ დიდებულ ნანგრევებს გაუმიჯნურდება და აღმფოთდება მისი ასეთი შებღალვის გამო; ის დაუყოვნებლივ პირუტყვს გამორეკავს მთავარი ეზოდან; და ფერიების დახმარებით ის მარტოდმარტო აღადგენს დიდ კიბეს, შეაკეთებს კედლის ხის ნაწილებს, მინებს ჩასვამს ფანჯრებში, აამაღლებს კოშკებს, მოავარაყებს სეფედარბაზს და ფეხზე დააყენებს ძველი დროის ფართო სასახლეს, სადაც ოდესღაც პაპები და დედოფლები ცხოვრობდნენ. ეს აღდგენილი სასახლე პროვანსული ენაა.

ეს გლეხის ვაჟიშვილი მისტრალია.

– სადამო მშვიდობისა, შვილებო!..

როცა ყველა სამლოცველოში შევიდა, ჩვენი მეზვრე, რომელიც ძალიან გულადი იყო, ფეხაკრეფით მივიდა ახლო და გატეხილ კარში შეიხედა. მას თვალწინ გასაოცარი სურათი წარმოუდგა. ახლად შესული მლოცველები ხოროს გარშემო მოთავსებულიყვნენ დანგრეულ თაღებს ქვეშ, თითქოს ძველი სკამები კიდევ არსებობდა. მშვენიერ მანდილოსნებს ფარჩის კაბები ეცვათ და მაქმანის თავსახურავები ეხურათ, მებატონეები ფერად ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილი, გლეხებს ჭრელი ქურტაკები ეცვათ, ჩვენი მამაპაპის მსგავსად; მაგრამ ყველას რაღაც ხნიერი, დამკვნარი, დამტვერიანებული, დაღლილი სახე ჰქონდა. დროდადრო ღამის ფრინველები, ამ სამლოცველოს ჩვეულებრივი ბინადრები, სინათლის მიერ გაღვიძებულნი, გარშემო უვლიდნენ კელაპტრებს, რომელთა ალი პირდაპირ ადიოდა, მაგრამ მკრთალად ანათებდა, თითქოს მათ დოღბანდი ჰქონოდათ აფარებული; მაგრამ გარიგი განსაკუთრებით ერთმა, ვიღაც ფოლადის სათვალთანმა მამაკაცმა გაართო, ის განუწყვეტლივ თავის შავ პარიკს აქნევდა, ამ პარიკზე კი ერთ-ერთი ფრინველი იჯდა გაშეშებული და ფრთებს სცემდა ჩუმად.

მოშორებით ბალღვით პატარა ტანის ბერიკაცი ხოროს შუაგულში იყო დაჩოქებული და სასოწარკვეთილი აქნევდა უწკარუნო და უხმო ზანზალაკს, საკურთხევლის წინ კი მღვდელი დადიოდა ოქრომკედით ნაკერი სამოსელით და ლოცვებს კითხულობდა, რომლის სიტყვები სრულიად არ ისმოდა... უეჭველია, ეს მამა ბალაგერი იყო, მესამე მოკლე წირვას ასრულებდა.

სამი მოკლე წირვა

საშობაო ზღაპარი

I

- ორი ქამასოკოიანი ინდაური, გარიგუ?
- დიახ, ღირსო მამაო, ორი საუცხოო ინდაური, ქამა სოკოთი გამოვსებული. მე რაღაც-რაღაცეები ვიცი ამის შესახებ იმიტომ, რომ თვითონ დავებმარე გამოვსებაზე. როცა ცეცხლზე იბრაწებოდნენ, ასე გეგონებოდათ კანი გაუსკდებათო, იმდენად დასჭიმოდათ.
- იესო და მარიამ ღვთისმშობელო! რა ძალიან მიყვარს ქამა სოკო!.. მომაწოდე ჩქარა ჩემი ოლარი, გარიგუ... ინდაურებს გარდა კიდევ რა შეამჩნიე სამზარეულოში?..
- ოჰ, ყოველგვარი პირის ჩასაკოკლოზინებელი... შუადღიდან ჩვენ სხვას არას ვაკეთებთ გარდა იმისა, რომ ვბრტყვნით ხობბებს, ოფოფებს, ტყის ქათმებს, როჭოებს. მათი ბუმბული ქარს გაჰქონდა და გამოჰქონდა... შემდეგ ტბიდან მოიტანეს ოქროსწინწკლებიანი კობრი, კალმახი და...
- კალმახი რამოდენაა, გარიგუ?
- აი ამოდენა, მამაო. ვეებერთელა!..
- ოჰ, ღმერთო! მგონია თვალით ვხედავ-მეთქი... ღვინო ჩამოასხი სურებში?
- დიახ, ღირსო მამაო, უკვე ჩამოვასხი. მაგრამ ის ვერ შეედრება იმ ღვინოს, რომელსაც თქვენ ნაშუადამევის წირვიდან გამოსვლის შემდეგ დალევთ. ნეტავი ციხედარბაზის სასადილო ოთახში დაგენახათ ეს მინის სურები, რომელნიც ნაირნაირი ღვინით არიან სავსენი და სხვადასხვა ფერად პრიალებენ... და ახლა ვერცხლის ჭურჭელი სთქვით, ნაჭედი ლარნაკები, ყვავილები, ხომლები!..

არასოდეს არ ნახულა ასეთი გახსნილება შობა ღამეს. ბატონმა მარკიზმა ყველა წარჩინებული მეზობელი დაპატიჟა. ორმოცი

კაცი მაინც დასხდებით სუფრაზე, მსაჯული და ნოტარიუსი რომ არ ჩავთვალოთ. აჰ, თქვენ ბედნიერი ბრძანდებით, რომ იქ იქნებით, ღირსო მამაო... იმ საუცხოო ინდაურების და ქამა სოკოს სურნელება ყველგან თან დამდევს...

- კარგი, კარგი, შვილო, თავი დავიცვათ ღორმუცელობის ცოდვისაგან, განსაკუთრებით ქრისტეს შობა ღამეს... წადი, სანთლები ანთე საჩქაროდ და წირვის პირველი ზარი დარეკე; შუალამე ახლოვდება და არ უნდა დავიგვიანოთ...

ეს საუბარი გაიმართა შობა ღამეს ათას ექვსას ამ და ამ წელს ბარნაბელთა ძმობის ყოფილ წინამძღვარს და ამჟამად ბატონ ტრენკელაჟთა კაპელან ღირს მამა ბალაგერსა და მის პატარა მნათეს გარიგუს შორის; უკეთ ვთქვათ, მას ეგონა ეს პატარა მნათე გარიგუაო, ვინაიდან, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ საღამოს ეშმაკმა ახალგაზრდა მნათეს მრგვალი სახე და გაურკვეველი ნაკვთები მიიღო, რათა ღირსი მამა უკეთ შეეყვანა ცთუნებაში და მისთვის უძღვებობის საშინელი ცოდვა ჩაედენინებინა. ამრიგად, როცა ეგრეთწოდებული გარიგუ (ჰმ! ჰმ!) საბატონო ეკლესიის ზარებს რეკდა, ღირსი მამა პატარა საეკლესიო საღაროში იმოსებოდა და, რადგან მისი სული უკვე ამღვრეული

იყო ზემორეგადმოცემული გასტრონომიული აღწერებით, ის ჩაცმის დროს თავისთვის იმეორებდა:

– შემწვარი ინდაურები... ოქროსღილიანი კობრი... ამოდენა კალმახი...

გარეთ ღამის ქარი ფანტავდა ზარების მუსიკას, ვენტუს მთის ფერდობებზე სიბნელეში აქა-იქ სინათლე ჩნდებოდა, ზევით მწვერვალზე ტრენკელაჟის ძველი კოშკები იყო ამართული. ეს მოიჯარადრე გლეხების ოჯახები იყო, რომლებიც შუაღამის წირვის მოსასმენად მიდიოდნენ ციხე-დარბაზში. ისინი ფერდობზე სიმღერით მიცოცავდნენ ჯგუფ-ჯგუფად, ხუთ-ხუთი ან ექვს-ექვსი კაცი. წინ მამა მიდიოდა, ფანრით ხელში, შემდეგ ქალები, ფართო თალხი წამოსასხამებით, რომელთა ქვეშ პაწია ბავშვები იყვნენ მიყუჟული და მიმალული. შუაღამისა და სიცივის მიუხედავად ეს ყოჩაღი ხალხი მხიარულად მიაბიჯებდა, იმ აზრით გამხნეებული, რომ წირვის გამოსვლის შემდეგ, როგორც ყოველ წელიწადს, ქვემოთ, სამზარეულოში სუფრა დახვდებოდათ გაშლილი. დროგამოშვებით მძიმე აღმართზე რომელიმე მებატონის ეტლი გამოჩნდებოდა, მას წინ მსახურები მიუძღვებოდნენ ლამპრებით, მისი მინები მთვარის შუქზე ბრწყყვიალებდა;

ან კიდევ ჯორი გაივლიდა ზანზალაკის წკარუნით; დიდი, ნისლით დაფარული ფანრის სინათლეზე ფერმერები თავიანთ მსაჯულს სცნობდნენ და საღამს აძლევდნენ:

– საღამო მშვიდობისა, ბატონო არნოტონ!

– საღამო მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა, შვილებო!

ღამე ნათელი იყო, ვარსკვლავები კიჟკიჟებდნენ ცივ სივრცეში. ქარი სახეს სუსხავდა, ფიფქი, რომელიც ტანისამოსზე ეცემოდა, მაგრამ არ ასველებდა მას, ერთგულად იცავდა თოვლით გადათეთრებული შობის ტრადიციას. გორაკის თავზე ციხე-დარბაზი სამიზნესავით მოჩანდა თავისი ვეებერთელა კოშკებით, ქონგურებით, მუქი ლურჯი ცის ჰორიზონტზე ამართული სამლოცველოს

სამრეკლოთი და უამრავი პატარა სინათლით, რომელნიც ციმციმებდნენ, მიმოდრიოდნენ, ყოველ ფანჯარაში ციალებდნენ და დამწვარი ქალაქის ფერფლში მარბენალ ნაპერწკლებს ჰგავდნენ შენობის ბნელ ფონზე... როცა ასაწევ ხიდსა და ფარულ შესავალს გაივლიდით, სანამ სამლოცველოში შეხვიდოდით, პირველი ეზო უნდა გადაგეჭრათ, ლამპრებით და სამზარეულოს ცეცხლით. ისმოდა შამფურებისა და ქვაბების ჩხარუნი და ბროლისა და ვერცხლის

ჭურჭლის წკარუნი. ყოველივე გახვეული იყო თბილ ორთქელში, რომელსაც შემწვარი ხორცისა და სუნელით შეკმაზული საწებელის საუცხოო სუნი უდიოდა და რომელიც, როგორც ფერმერებს, ისე კაპელანსა, მსაჯულსა და მთელ ხალხს ათქმევინებდა:

– რა კარგი გახსნილება გვექნება წირვის შემდეგ.

II

ძინ, ძინ, ძინ!

ეს შუაღამის წირვა იწყება. ციხე-დარბაზის სამლოცველოში, რომელიც მინიატურულ კათედრალს წარმოადგენდა, გადაჯვარედინებულ კამარებზე, მუხის პანელებზე ხალიჩები იყო აფარებული; ყველა სანთელი ანთებული იყო. და რამდენი ხალხი! და რა ტანისამოსი! აი, უწინარეს ყოვლისა, ჩუქურთმიან მერხზე, რომელიც შარიშინს უვლის გარშემო, ბატონი ტრენკელაჟი ზის ვარდისფერ მერდინის ტანისამოსში გამოწყობილი, ხოლო გვერდით მოწვეული წარჩინებულნი უსხედან, მის პირდაპირ, ხავერდგადაკრულ დაბალ სკამებზე ადგილი დაუჭერიათ მოხუც ქვრივს, მარკიზის

დედას, რომელსაც ალისფერი ფარჩის კაბა აცვია, და მარკიზის ახალგაზრდა მეუღლეს, რომელსაც თავზე, საფრანგეთის სამეფო კარზე უკანასკნელად შემოღებული მოდის მიხედვით, ნატვიფრი მაქმანის მაღალი კოშკი ახურავს. ქვემოთ მოჩანან შავ ტანისამოსში გამოწყობილი, ფართოპარიკიანი და სახეგაპარსული მსაჯული ტომას არნოტონი და ნოტარიუსი ბატონი ამბრუა; მათ ორი სერიოზული ნოტი შეაქვთ ღია ფერის აბრეშუმისა და ოქრომკედით ნაქარგი სტავრის შრიალში, შემდეგ მოდიან სასახლის მსუქანი გამგებლები, დარბაზის ყრმები, ჯილავდარები, მოურავები, მეკუჭნავე, ქალბატონი ბარბალე, ვერცხლის რგოლზე ჩამოკიდებული გასაღებებით. ბოლოში, სკამებზე დაბალი მოსამსახურეები სხედან, მოახლეები, ფერმერები თავიანთი ცოლ-შვილით; ხოლო სულ ქვემოთ, კარებთან, რომელსაც ისინი მოკრძალებით აღებენ და ხურავენ, ბატონი მზარეულები მოჩანან, ისინი ცოტათი წირვის ჰაერს ისუნთქავენ ორი საწებელის მომზადების შუა და გახსნილების სურნელება

შემოაქვთ სადღესასწაულოდ მორთულ და ამდენი სანთლით გამთბარ ეკლესიაში.

ამ მზარეულთა პატარა თეთრი ქუდების დანახვა ხომ არ იწვევს მწირველის გონებრივ

დაფანტულობას? თუ ეს გარიგუს ზანზალაკია, ეს გააფთრებული პატარა ზანზალაკია, რომელიც საკურთხევლის შესავალთან რეკს ჯოჯოხეთური სისწრაფით, თითქოს გაიძახოდეს:

– ვუჩქაროთ, ვუჩქაროთ... რაც უფრო ადრე გავათავებთ, მით უფრო ადრე დავსხდებით მაგიდასთან.

საქმე ისაა, რომ, როგორც კი ამ ეშმაკის ექვანი გაისმის, სასახლის მღვდელს ავიწყდება თავისი წირვა და მხოლოდ გახსნილებაზე ფიქრობს. მას წარმოდგენაში ესახება ალელვებული მზარეულები, ლუმელი, სადაც სამჭედლოს მსგავსად ცეცხლი ბრიალებს, ოხშივარი, რომელიც თავახდილი ქვაბებიდან ამოდის, ხოლო ამ ოხშივარში ორი დიდებული ინდაური, ჩატიკნული, შებრაწული, ქამა სოკოთი გამოვსებული...

ან კიდევ ის ხედავს დარბაზის ყრმათა წყებას, რომელსაც მაცთუნებელ ოხშივრით გარემოცული საჭმელები შემოაქვს, და მათთან ერთად ისიც შედის სადღესასწაულოდ გამზადებულ დარბაზში. ოჰ, ნეტარებავ! აი უზარმაზარი მაგიდა, მთლად დატვირთული და განათებული, ფარშევანგები თავიანთივე ფრთების ტანისამოსით,

ხოხბები, რომელთაც თავიანთი ოქროსფრად მოლივლივე ფრთები გაუშლიათ, ლალისფერი ბოთლები, ხილის პირამიდები, რომელნიც ბრწყინავენ მწვანე შტოებში, და ეს საოცარი თევზები, რომელთა შესახებ გარიგუ (დიახ, სწორედ გარიგუ!) ლაპარაკობდა და რომელთაც ქვეშ კამა უფენიათ, სადაფისქერცლიანი თევზები, თითქოს ისინი ახლახან გამოსულიყვნენ წყლიდან, სურნელოვანი მწვანილის თაიგულებით უზარმაზარ ნესტოებში. იმდენად ცხოველია ამ საოცრებათა ხილვა, რომ მამა ბალაგერს ეჩვენება, ყველა ეს სასწაულებრივი კერძი ჩემ წინაა დალაგებული საკურთხევლის ტრაპეზზე და ამჩნევს, რომ ორ-სამჯერ „უფალო შეგვიწყალოს“ მაგივრად „კურთხეულ არს“ წამოსცდა. თვინიერ ამ მსუბუქი შეცდომებისა, ეს ღირსეული ადამიანი მეტად კეთილსინდისიერად ასრულებს მღვდელმსახურებას ისე, რომ არც ერთ სტრიქონს არ სტოვებს, არც ერთი მუხლმოდრეკა არ ავიწყდება; მაგრამ ყოველივე ასე კარგად მიმდინარეობს მხოლოდ პირველი წირვის დასრულებამდე; ვინაიდან თქვენ მოგეხსენებათ, რომ შობაღამეს ერთმა და იმავე მღვდელმა სამი წირვა უნდა შეასრულოს ზედიზედ.

– ესეც ერთი! – ჩაილაპარაკა მღვდელმა და თავისუფლად ამოისუნთქა; შემდეგ, ერთი

წუთიც არ დაუკარგავს ნიშანი მისცა თავის მნათეს, ან უკეთ ვთქვათ, იმას, ვისაც თავის მნათედ სთვლიდა და...

ძინ, ძინ, ძინ! მეორე წირვა იწყება, ხოლო მასთან ერთად მამა ბალაგერის

შეცოდებაც.

– სწრაფად, სწრაფად, ვიჩქაროთ, – ეძახის მას თავისი წკრიალა ხმით გარიგუს ზანზალაკი და ახლა კი საბრალო მღვდელი, სავსებით დამორჩილებული უძლებობის დემონის მიერ, გააფთრებით მივარდება კურთხევანს და ნთქავს მის გვერდებს მთელი თავისი გაღიზიანებული მადის სიხარბით. ის გაშმაგებით ძირს იხრება, ზეზე იმართება, პირჯვარს ნაჩქარევად იწერს, მუხლს იდრეკს, ყოველ მოძრაობას ამოკლებს, რათა რაც შეიძლება ჩქარა გაათავოს... ძლივს ასწრებს ხელების გაწოდებას სახარებისაკენ, ძლივს მკერდზე ხელს იცემს Confiteor¹²⁹¹-ის დროს. მის მნათესა და მას შორის თითქოს შეჯიბრია, ვინ წაილულლულებს უფრო ჩქარა. მღვდლის სიტყვები და მნათის პასუხების წინ მისწრაფვიან, ერთმანეთს ეჯახებიან. ნახევრად წარმოუთქმელი სიტყვები, ისიც მოკუმული პირით, რადგან მისი გაღება დროს წაიღებდა, გაუგებარი ბუტბუტით მთავრდება.

Oremus ps.. ps¹³⁰¹

Mea culpa.. pa... pa.¹³¹¹

ყურძნის მწნეხელების მსგავსად, რომელნიც ყურძენს აჩქარებით სჭყლეტენ საწნეხელში, ორივენი წირვის ლათინურს ბლუკუნებენ ისე, რომ ყოველ მხრით შხეფი ცვივა.

Dom... scum!.. – ამბობს ბალაგერი..

...Stutuo!.. – უპასუხებს გარიგუს; და შეჩვენებული პატარა ზანზალაკი მათ გამუდმებით ყურში ჩასძახის იმ ეჟენების მსგავსად, რომელთაც ფოსტის ცხენებს აბამენ ხოლმე, რათა მეტი სიჩქარით გაჭენდნენ. ადვილად წარმოიდგენთ, რომ ასეთი მიმდინარეობით მოკლე წირვა ჩქარა თავდება.

– ესეც ორი! – ჩაილაპარაკა მღვდელმა ქოშინით. შემდეგ უსუნთქველად, სახეშეწითლებული, გაოფლიანებული, ის საკურთხევლის საფეხურებზე ეშვება და....

ძინ, ძინ, ძინ!

ეს უკვე მესამე წირვა იწყება. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯია დარჩენილი სასადაილო დარბაზამდე; მაგრამ, სამწუხაროდ, რაც უფრო ახლოვდება გახსნილების წუთი, მით უფრო ემორჩილება უბედური ბალაგერი მოუთმენლობისა და უძღვობის გულისთქმას. მისი ხილვა ძლიერდება; აჟ, აი აჟ არიან ოქროსდილებიანი კობრი, შემწვარი ინდაურები. ის მათ ხელით ეხება... ის მათ... ოჰ, ღმერთო ჩემო!.. საჭმელებს ორთქლი ასდის, ღვინო სურნელებას აკმევს; ზანზალაკი თავის გაცოფებულ წკარუნას ანძრევს და ეძახის:

– სწრაფად, სწრაფად, კიდევ უფრო სწრაფად!..

მაგრამ როგორღა შეიძლება უფრო სწრაფად? მისი ტუჩები ოდნავ მოძრაობენ. ის სიტყვებს აღარ წარმოსთქვამს.. ღმერთს თუ სულ გააცურებს და წირვას მოჰპარავს... ასე იქცევა ეს უბედური. ცთუნებას ცთუნება ემატება.

ის სტოვებს ჯერ ერთ სტრიქონს, მერე მეორეს, ეპისტოლე მეტისმეტად გრძელია; ის მას არ ამთავრებს, სახარებას მხოლოდ გაკვრით ეხება, „მრწამს“ ცოტა მოშორებით ჩაუვლის, „მამაოჩვენოს“ თავზე ახტება, წესის თავს შორიდან ესალმება და ამრიგად ხტომითა და სირბილით იჩეხება საუკუნო წაწყმენდაში, იმ თავისმომჭრელი გარიგუს თანხლებით, რომელიც მას ეხმარება გასაოცარი შეწყობით, შესამოსელს უსწორებს, წიგნის ფურცლებს უბრუნებს ორ-ორად, ანძრევს საწიგნეს, აქცევს საზედაშეს და დაუსვენებლად, უფრო და უფრო სწრაფად, უფრო და უფრო ძლიერ აწკრიალებს თავის პატარა ზანზალაკს.

ერთი უნდა შეხედოთ რა შემფოთებული სახეები აქვთ მლოცველებს! იძულებულნი მღვდლის მიმიკას მისდიონ, თუმცა არც ერთი სიტყვა აღარ ესმით, ზოგიერთნი ფეხზე დგებიან იმ დროს, როცა სხვები იჩოქებენ, ზოგიერთნი სკამებზე სხდებიან, როდესაც სხვები ამდგარი არიან; და ამ ახირებული მღვდელმსახურების ფაზისები მრავალ სხვადასხვა მიმოხრაში გადადის ეკლესიის სკამებზე მჯდომარე საზოგადოებაში. პატარა ბაგისკენ ზეციერი გზით მიმავალი ქრისტეს შობის ვარსკვლავი შიშით ფითრდება, როცა ამ არევიდარევას ხედავს...

– აბატი მეტისმეტად სწრაფობს... შეუძლებელია მისი მიყოლა, – ბუტბუტებს ბებერი ქვრივი და თავის თავსაბურს ანძრევს გაოცებული.

ბატონი არნოტონი, ფოლადის დიდი სათვალით ცხვირზე, თავის ლოცვანში ეძებს, რა ადგილას უნდა ვიყოთ მისული, ეშმაკმა დალახვროსო. მაგრამ ნამდვილად თავიანთი გულის სიღრმეში ყველა ეს კეთილი ადამიანები გახსნილებაზე ოცნებობენ და სრულიადაც ნაწყენი არ არიან, რომ წირვა საფოსტო ეტლის სიჩქარით მირბის; და როცა სახეგაბრწყინებული მამა ბალაგერი მლოცველებს მიუბრუნდება და მთელი ძალღონით დაიძახებს *Ite, missa est*^[32], მთელი ეკლესია ერთხმად უპასუხებს *Deo gratias*^[33], და ეს პასუხი

ისეთი მხიარულია, ისეთი წარმტაცია, რომ კაცს ეგონებოდა, ყველანი უკვე სუფრაზე სხედან და გახსნილების პირველ სადღეგრძელოს სვამენო.

III

ხუთი წუთის შემდეგ დიდკაცების საზოგადოება კაპელანთან ერთად დიდ დარბაზში დაჯდა. გაჩირაღდნებული ციხე-კოშკი გუგუნებდა სიმღერისა, ყვირილისა, სიცილისა, ჟრამულისაგან; და დიდად ღირსი მამა ბალაგერი თავის ჩანგალს ტყის ქათმის ფრთას

ურჭობდა და თავისი შეცოდებით გამოწვეული სინიდისის ქენჯნას პაპის ღვინითა და ხორცის წვენით ახშობდა. ამ საბრალო წმინდა კაცმა იმდენი სვა და ჭამა, რომ იმ ღამესვე სული განუტევა საშინელი შეტევის გამო, ისე რომ მონანიებაც კი ვერ მოასწრო; შემდეგ დილითვე ის ზეცაში ავიდა წინაღამის სადღესასწაულო ღრიანცელით გაბრუებული; თქვენთვის მომინდვია იმის გამოცნობა, თუ როგორ მიიღებდნენ იქ.

– მიმეფარე თვალთაგან, უვარგისო ქრისტიანო! – უთხრა მას უზენაესმა მსაჯულმა, ყოველთა უფალმა. შენი შეცოდება საკმაოდ მძიმეა, რათა სიქველით აღსავსე ცხოვრება გადასწონოს,.. აჰ, შენ წინაღამის ერთი წირვა მომპარე. ძალიან კარგი! სამაგიეროდ სამასჯერ მიწირავ, ხოლო სამოთხეში მხოლოდ იმის შემდეგ შემოხვალ, როცა საკუთარ სამლოცველოში ეს სამასი საშობაო წირვა გექნება შესრულებული ყველა იმ მლოცველის თანადასწრებით, რომელთაც შენი წყალობით და შენთან ერთად შესცოდეს...

...და აი მამა ბალაგერის ნამდვილი ლეგენდა, როგორც მას მოგვითხრობენ ზეთისხილის ქვეყანაში. დღეს ტრენკელაჟის ციხე-დარბაზი აღარ არსებობს, მაგრამ

სამლოცველო კიდევ ამართულია ვენტუს გორაკის მწვერვალზე, მწვანე მუხნარში. მის დაშლილ კარს ქარი აჯახუნებს, ზღურბლს ბალახი უტევს; საკურთხევლის ნიშებში და მაღალ სარკმელებში, რომელთა ფერადი მინები დიდი ხანია გაჰქრა, ფრინველებს ბუდეები გაუკეთებიათ. ამისდა მიუხედავად, ყოველ წელიწადს, შობა ღამეს, ამბობენ, ამ ნანგრევებში ზებუნებრივი სინათლე დახეტიალობს, და წირვასა და გახსნილებაზე მიმავალი გლეხები ამ სამლოცველოს აჩრდილს ხედავენ, განათებულს უხილავი კელაპტრებით, რომელნიც გაშლილ ჰაერში ანთიან თვით თოვლსა და ქარშიო. გაიცინეთ ამაზე თუ გნებავთ, მაგრამ ამ კუთხის ერთმა მეზვრემ, ერთ შობა ღამეს, როცა მე, ცოტა არ იყოს, შეზარხოშებული ვიყავი, მთაში გზა დამებნა ტრენკელაჟის მხარესო; და აი, რა ენახა მას საკუთარი თვალით... თერთმეტ საათამდე არაფერი მომხდარა. ყოველივე დუმილით იყო შუაღამისას სამრეკლოდან ზარების ხმა მოისმა, ძველი ზარების ხმა, რომელიც თითქოს ათი ლიედან მოდიოდა. ზევით

მიმავალ გზაზე გარიგმა მოციმციმე სინათლეები და გაურკვეველი აჩრდილები
დაინახა. სამლოცველოს კარიბჭესთან ვიღაცეები დადიოდნენ და
ჩურჩულებდნენ:

– სადამო მშვიდობისა, ბატონო არნოტონ!

ფორთოხლები

ფანტაზია

პარიზში ფორთოხლებს ძირს ჩამოცვენილი და ხის ქვეშ აკრეფილი ხილის სევდიანი შეხედულება აქვთ. იმ დროს, როცა ისინი ჩვენთან მოდიან, წვიმიან და ცივ ზამთარში, მათი კაშკაშა გარეკანი, მათი მძაფრი სურნელება ამ ზომიერ გემოთა ქვეყანაში მათ უცნაურ, ცოტა არ იყოს, ბოჰემურ ელფერს აძლევს. ბურუსიან საღამოებში ისინი სევდიანად მწკრივდებიან ქვაფენილების გასწვრივ. დაგროვებულნი პატარა, მოძრავ ურიკებზე, რომელთაც წითელი ქაღალდის მკრთალი ფანარი ანათებს. მათ თან დასდევს ერთფეროვანი წვრილი ხმა, რომელიც იკარგება ეტლების ხრიალში და ომნიბუსების რახრახში:

– ორ სუდ ვალენსიური!

პარიზელების სამ მეოთხედს ეს შორეულ ქვეყანაში მოწყვეტილი, ბანალურად მრგვალი ხილი, რომელზედაც მცენარემ მხოლოდ წვრილი ყლორტის მწვანე ნაშთი დასტოვა, ტკბილეული, საშაქარლამოს ნაწარმი ჰგონია. თხელი ქაღალდი, რომელშიც ის გახვეულია, დღესასწაულები, რომლებთანაც ისინი დაკავშირებული არიან, კიდევ უფრო აძლიერებენ ამ შთაბეჭდილებას. განსაკუთრებით, როცა იანვარი ახლოვდება, ქუჩებში ათასობით გაბნეული ფორთოხალი, თხრილების ტალახში ჩაყრილი ნაფცქვენები წარმოდგენას იწვევენ რაღაც უზარმაზარ შობის ხეზე, რომელსაც თითქოს პარიზზე თავისი ხელოვნური ნაყოფით დატვირთული შტოები დაუბერტყავს. ვერ ნახავთ კუთხეს, სადაც ისინი არ შეგხვდნენ: შერჩეული და შემკობილი წვანან ნათელ ვიტრინებში; სატუსალოების და საავადმყოფოების შესავალთან ბისკვიტისა და ვაშლის გროვაში არიან არეული; უხვად გვხვდებიან საცეკვაო დარბაზებისა და საკვირაო წარმოდგენების კარებთან. მათი ნატიფი სურნელება უერთდება გაზის სუნს, ვიოლინოების წრიპინს, ქანდარის სკამების მტვერს. ადამიანებს ავიწყდებათ, რომ საჭიროა ფორთოხლის ხეები ფორთოხლის მოსაყვანად, იმიტომ რომ იმ დროს, როცა ჩვენ პირდაპირ სამხრეთიდან ხილს ვღებულობთ სავსე ყუთებით, შეკრეჭილი, სახემეცვლილი, შენიღბული ხე სათბურიდან, სადაც ის ზამთარს ატარებს, მხოლოდ მოკლე ხნით ჩნდება საზოგადო ბაღების გაშლილ ჰაერზე.

ვისაც სურს ფორთოხლები კარგად გაიცნოს, ისინი მათ სამშობლოში უნდა ნახოს: ბალეარის კუნძულებზე, სარდინიაში, კორსიკაში, ალჟირში, ოქროცურვებულ ლურჯ ჰაერში, ხმელთაშუა ზღვის თბილ ატმოსფეროში. მე მახსენდება ფორთოხლის პატარა ქალაქალაქ ბლიდას მახლობლად; აი სად იყვნენ ისინი ლამაზები! მუქ, კრიალა, გალაქულ ფოთლებში ნაყოფს ფერადი მინის ელვარება ჰქონდა და ჰაერს იმ ბრწყინვალე შარავანდედით ავარაყებდა,

რომელიც ჩვეულებრივ ხასხასა ყვავილებს არტყია. აქა-იქ შტოებში პატარა ქალაქის გალავანი, მიზგითის მინარეთი, მარაბუს¹³⁴ გუმბათი მოჩანდა, ხოლო ზემოთ ატლასის მთების უზარმაზარი მასივი ამართულიყო, მწვანე ძირით და თოვლის გვირგვინით, რომელიც ალაგ-ალაგ თეთრ ხუჭუჭ ბეწვეულს, ალაგალაგ ფიფქის ლეჩაქს ჰგავდა.

ერთ ღამეს, ჩემი იქ ყოფნის დროს, რაღაც აუხსნელი მოვლენის წყალობით, რომელიც იქ არ მომხდარა ოცდაათი წლის განმავლობაში, ეს რთვილის და ზამთრის ზოლი თავს დაებერტყა მძინარე ქალაქს, და როცა ბლიდამ გამოიღვიძა, ის სახეშეცვლილი, თეთრად შეფერვლილი იყო. ალჟირის ესოდენ მსუბუქ, სუფთა ჰაერში თოვლი სადაფის მტვერს ჰგავდა. ის ლივლივებდა თეთრი ფარშავანგის ფრთებივით. ყველაზე

ლამაზი ფორთოხლის ტყე იყო. მაგარ ფოთლებს ჭირხლი პირდაპირ ეჭირათ, თითქოს გალაქულ სინებზე დადგმული შარბათის შუშები ყოფილიყოს, და რთვილში ნაყოფს ნაზი ბრწყინვალება ჰქონდა, დაწმენდილი სხივოსნება, როგორც გამჭვირვალე თეთრი ქსოვილით დაფარულ ოქროს. ეს ბუნდოვანად ჰქმნიდა საეკლესიო დღესასწაულის შთაბეჭდილებას, წითელი ანაფორებისა მაქმანის წამოსასხამქვეშ, საკურთხევლის ოქროს სამკაულისა, რომელსაც მარმაში ახვევია...

მაგრამ საუკეთესო მოგონება ფორთოხლების შესახებ შემრჩა ბარბიკაგლიიდან, აიაჩიოს მახლობლად მდებარე დიდი ბაღიდან, სადაც მე დასასვენებლად მივდიოდი დღის ცხელ საათებში. აქ ფორთოხლის ხეები უფრო მაღალიც იყვნენ და უფრო შორი-შორს დარგულიც, ვიდრე ბლიდაში; ისინი ჩადიოდნენ შარაგზამდე, რომელსაც ხერგულითა და თხრილით იყვნენ დაშორებული. იქვე ზღვა იშლებოდა, უსაზღვრო ლურჯი ზღვა. რა კარგი საათები გამიტარებია ამ ბაღში! ჩემს თავზე აყვავილებული ფორთოხლის ხეები თავიანთ სურნელებას აკმევდნენ. დროდადრო უცებ მწიფე ფორთოხალი წყდებოდა და, თითქოს სიცხით დამძიმებული, ჩემს მახლობლად ეცემოდა ნოყიერ მიწაზე ყრუ ხმაურობით. საკმაო იყო მხოლოდ ხელი გამეწოდებინა. ეს იყო საუცხოო ხილი მეწამული წითელი ფერის გულით. ის მეტად გემრიელი მეჩვენებოდა და ჰორიზონტიც ხომ უმშვენიერესი იყო. ფოთლებშუა ზღვის ბრწყინვალე ლურჯი სივრცეები გამოკრთოდა, თითქოს ნისლიან ჰაერში მოციმციმე გატეხილი მინის ნამსხვრევები ყოფილიყო. და მას ზედ ერთოდა წყლის მოქცევის ხმაური, რომელიც ატმოსფეროს აღელვებდა შორეულ მანძილზე, ეს თანაზომიერი ბუტბუტი, რომელიც თითქოს უხილავ ნავში გარწევთ, და მასთან სიცხე, ფორთოხლების სურნელება... აჰ, რა კარგი იყო ბარბიკაგლიას ბაღში ძილი.

მაგრამ ხანდახან, დასვენების საუკეთესო წუთებში, უეცრად დაფდაფის ხმა მალვიძებდა. ეს იყვნენ უბედური მედოლეები, რომელნიც ქვემოთ შარაგზაზე

გამოდრიოდნენ სავარჯიშოდ. ღობის ნახვრეტებში მე ვხედავდი დაფდაფების სპილენძს და ფართო თეთრ წინსაფრებს წითელ შარვლებზე. საბრალო ყმაწვილი კაცები ბაღის მახლობლად დგებოდნენ, ღობის მოკლე ჩრდილში, რათა ცოტათი თავი დაეცვათ თვალისმომჭრელი სინათლისაგან, რომელსაც მათ შეუბრალებლად უგზავნიდა შარავნის მტვერი. და რა გააფთრებით უტყაპუნებდნენ! და რა რიგ სცხელოდათ! მაშინ მე ძალით ვერკვეოდი ჰიპნოზური მდგომარეობიდან და თავს ვირთობდი იმით, რომ რამდენიმე ოქროსფერ, წითელ ხილს ვესროდი, რომელნიც ჩემს ხელთან ეკიდა. მიზანში ამოღებული დაფდაფი ჩერდებოდა. დგებოდა ყოყმანის წუთი, მედოლე გარშემო იცქირებოდა, რათა გაეგო, საიდან მოდიოდა ეს მშვენიერი ფორთოხალი, რომელიც მის ფეხქვეშ მიგორავდა თხრილში; შემდეგ ის მას საჩქაროდ იღებდა და ხარბად კბეჩდა გაუფცქვენელად.

მე მახსენდება აგრეთვე, რომ ბარბიკაგლიას მეზობლად, დაბალ ღობეს იქით, საკმაოდ უცნაური პატარა ბაღი იყო, რომელსაც ჩემი ადგილიდან დავცქეროდი. ეს იყო ბურჟუაზიულად დაგეგმილი პატარა მიწის ნაჭერი. ყვითელ ქვიშა მოყრილი ხეივნები, რომელთაც გასწვრივ ღია მწვანე ბზის ბუჩქები ჰქონდა შემორგული და ჭიმკართან დარგული ორი კვიპაროზი მას მარსელის აგარაკის ელფერს აძლევდა. არსად ძაფის ოდენა ჩრდილი არ ჩანდა. სიღრმეში თეთრი ქვის შენობა იდგა პატარა ფანჯრებით მიწის პირას. პირველად სააგარაკო სახლი მეგონა, მაგრამ როცა უკეთ დავაცქერდი, ზედამართული ჯვარი და ქვაზე ამოჭრილი წარწერა დავინახე, ისე კი რომ, ტექსტი ვერ გავარჩიე; მხოლოდ მაშინ გამოვიცანი, რომ ეს კორსიკული ოჯახის აკლდამა იყო. აიაჩიოს გარშემო მრავლად მოიპოვება ასეთი პატარა ეკვდერი, მათთვის საგანგებოდ გაშენებულ ბაღებში ამართული. ოჯახი იქ მიდის კვირა დღეს თავიანთ მიცვალებულთა დასახედად. ასეთ გარემოებაში სიკვდილი ნაკლებ შავბედითი ჩანს, ვიდრე სასაფლაოთა არეულობაში. დუმილს მხოლოდ მეგობართა ნაბიჯები არღვევენ.

ჩემი ადგილიდან ერთ ბერიკაცს ვხედავდი, რომელიც წყნარად მიცუნცულებდა ბაღის გზებზე. მთელი დღის განმავლობაში ის ხეებს კრეჭდა, ბარავდა, რწყავდა, დამჭკნარ ყვავილებს აცლიდა დიდი მზრუნველობით. შემდეგ, მზის ჩასვლის დროს, იმ პატარა სამლოცველოში შედიოდა, სადაც მისი ოჯახის მიცვალებულთ ეძინათ; ის ალაგებდა ბარს, ფოცხს, დიდ სარწყულებს. ყოველივე ამას მშვიდად და შეუშფოთებლად აკეთებდა სასაფლაოს მეზაღესავით. ამასთანავე ეს კეთილი მოხუცი ანგარიშიუცემლად, ერთგვარი მოკრძალებით მუშაობდა, ყოველ ხმაურობას ანელებდა და აკლდამის კარს ისე ფრთხილად კეტავდა, თითქოს ვიღაცის გაღვიძებისა ეშინოდა. ამ დიდ, გასხივოსნებულ დუმილში ამ პატარა ბაღის სიმშვიდეს ფრინველიც კი არ არღვევდა, და მისი მეზობლობა არ იყო სევდისმომგვრელი. მხოლოდ მისი წყალობით ზღვა უფრო უსაზღვრო ჩანდა, ცა უფრო მაღალი, ხოლო ამ დაუსრულებელ თვლემას თავის გარშემო,

ამაღელვებელ, სიცოცხლის ძლიერებით დამთრგუნველ ბუნებაში საუკუნო განსვენების გრძნობა შეჰქონდა.

ორი სასტუმრო

ეს მოხდა, როცა ივლისის თვის ერთ ნაშუადღევს ნიმიდან ვბრუნდებოდი. გამაოგნებელი სიცხე იდგა. სანამ თვალი გასწვდებოდა, თეთრი გზა მოჩანდა, გავარვარებული, მტვრიანი; ის ზეთისხილის ბაღებსა და ახალგაზრდა მუხებს შუა მიიკლავებოდა დიდ მქრქალ-ვერცხლისფერ მზის ქვეშ, რომელიც თითქოს მთელ ცის გუმბათს ავსებდა. არსად ხელისგულისოდენა ჩრდილი არ ჩანდა, არსაიდან ნიავი არ იძროდა. ჰაერს აღმური ასდიოდა, ჭრიჭინები გულისგამგმირავად ჭრიჭინებდნენ: ეს იყო გიჟური, გამაყრუებელი ტემპის მუსიკა, რომელიც თითქოს თვით ამ უსაზღვრო სხივოსანი თრთოლვიდან მომდინარეობდა... მე ამ უდაბნოში ვიარე უკვე ორი საათი, როცა უცებ ჩემ თვალწინ, შარაგზის მტვრის ფონზე, თეთრი სახლების ჯგუფი აიშარტა. ეს იყო, ეგრეთ წოდებული, სენ ვენსენის საფოსტო სადგური: ხუთი თუ ექვსი ფერმა, წითელსახურავიანი გრძელი კარაპანები, უწყლო აუზი მჭლე ლეღვის ხეებს ქვეშ და სოფლის ბოლოში ორი დიდი სასტუმრო, რომლებიც ერთმანეთს გაჰყურებდნენ გზის ორივე მხრიდან.

იყო რაღაც გასაოცარი ამ ორი სასტუმროს მეზობლობაში. ერთი მხრით იდგა დიდი, ახალი შენობა, სიცოცხლით და მოძრაობით აღსავსე, კარებდაღებული; მის წინ დილიჟანსი გაჩერებულიყო, გაოფლიანებულ ცხენებს ხსნიდნენ, ძირს ჩამომხტარი მოგზაურები ნაჩქარევად წყურვილს იკლავდნენ, კედლების მოკლე ჩრდილს შეფარებულნი; ეზო ჯორებითა და ფორნებით იყო სავსე; მეფორნეები ფარდულეებს ქვეშ წამოწოლილიყვნენ საღამოს სიგრილის მოლოდინში. შიგნით გაისმოდა ყვირილი, ლანძღვა, მუშტის დარტყმა მაგიდაზე, მქუხარე ხმა, რომელიც სიმღერით ფანჯრის შუშებს აზანზარებდა:

ჩვენი ლამაზი მარგოტონ,
დილაადრიან ადგება,

ვერცხლის წყაროს გზას სურასა აიღებს.
ჩაღმა ჩაჰყვება...

...მეორე მხარეზე მდგარი სასტუმრო, პირიქით, სრულიად მდუმარე და თითქო მიტოვებული იყო. კარიბჭის ზღურბლს მოლი მოჰკიდებოდა, დარაბები ჩაღეწილი იყო, კარზე დეკის პატარა შტო, სრულიად გაყვითლებული, ძველ ჯილასავით ეკიდა, ზღურბლის საფეხურებს რიყის ქვები ჰქონდა შეყენებული... ყოველივე ამას ისეთი ბეჩავი, საცოდავი იერი ჰქონდა, რომ იქ ერთი ჭიქის დასალევად შესვლა ნამდვილი ქველმოქმედება იყო.

* * *

როცა შიგ შევედი, გრძელი, ცარიელი და გულდახურული დარბაზი დავინახე, რომელსაც სამი დიდი უფარდო ფანჯრის თვალისმომჭრელი სინათლე კიდევ უფრო ნაღვლიანსა და უკაცრიელ იერს აძლევდა. იქ არაჯანსაღ და მძიმედ ჩამოწოლილ სიციხეში რამდენიმე დაკოჭლებულ მაგიდას ეძინა, რომლებზედაც გამტვერიანებული ჭიქები ეწყო; ეძინათ აგრეთვე მაუდგადამსკდარ ბილიარდს, რომელსაც თავისი ოთხი ლუზი მათხოვარივით გამოემვირა, ყვითელ დივანს და ძველ დახლს. ახლა ბუზები იკითხეთ! არასოდეს ჩემს სიცოცხლეში ამდენი არ მინახავს ერთად; ჭერზე, ფანჯრების მინებზე მიკრული, ჭიქებში, ყველგან მტევნებევით ეკიდნენ... როცა კარი შევაღე, ისეთი ბზუილი, ისეთი ფრთების შრიალი გაისმა, თითქოს სკაში შევსულიყავი.

დარბაზის სიღრმეში, ერთი ფანჯრის ნიშში ქალი იდგა და დიდი ყურადღებით გარეთ იცქირებოდა. ორჯერ დავუძახე:

– ჰეი, დიასახლისო!

ქალი აუჩქარებლად მოტრიალდა და თავისი ბეჩავი, დანაოჭებული, დახეთქილი, მიწისფერი სახე დამანახვა, გლახის დედაკაცის სახე, გარემოცული გრძლად ჩამოშვებული მაქმანით, როგორსაც ჩვენი დედაბრები ატარებენ მაგრამ ის არ იყო დედაბერი; მხოლოდ ცრემლებს ის სრულიად დაეჟკნო.

– რა გნებავთ? – მკითხა მან და თვალები მოიწმინდა.

– მინდა ერთი წუთით დავჯდე და რამე დავლიო...

მან დიდის გაოცებით შემომხედა, თითქოს ვერ გაიგო და ადგილიდან არ დაიძრა.

– განა აქ სასტუმრო არ არის?

ქალმა ამოიოხრა,

– დიახ, თუ გნებავთ, ეს სასტუმროა... მაგრამ რატომ იქ არ მიდიხართ, პირდაპირ, სხვებივით? იქ მეტი მხიარულებაა...

– ის მხიარულება ჩემთვის ძნელი ასატანია... მირჩევნია აქ დავრჩე თქვენთან. და პასუხისთვის არ დამიცდია, მაგიდასთან მოვთავსდი.

როცა დიასახლისი დარწმუნდა, რომ სერიოზულად ვლაპარაკობდი, დაიწყო წინ და უკან სიარული დიდად საქმიანი სახით, გამოაღო უჯრები, გადმოაწყო ბოთლები, გასწმინდა ჭიქები, გარეკა ბუზები... ეტყობოდა, რომ მგზავრი, რომელსაც მომსახურება სჭირდებოდა, აქ მთელი ამბავი იყო. ხანდახან ის საწყალი ჩერდებოდა და თავზე ხელს იტაცებდა სასოწარკვეთილებით, თითქოს ემინოდა, ამ საქმეს თავს ვერ გავართმევო.

შემდეგ უკანა ოთახში გავიდა; მომესმა დიდი გასაღებების და კლიტეების ჩხრიალი, ხელების ფათური პურის კიდობანში, მტვრის შებერვის და თეფშების გარეცხის ხმა. დროგამოშვებით ღრმა ოხვრა და ცუდად ჩახშობილი ქვითინი გაისმოდა...

მას შემდეგ რაც ასეთ ცოდვილობაში მეოთხედი საათი გავიდა, მაგიდაზე ჩემ წინ ერთი თეფში ქიშმიში, ქვასავით მაგარი ბოკერის პური და ბოთლი შამანი აღმოჩნდა.

– ინებეთ, – მითხრა ამ უცნაურმა არსებამ, და საჩქაროდ უკან მიბრუნდა, რათა თავისი ადგილი დაეჭირა ფანჯარასთან.

* * *

ღვინოს ვწრუპავდი და თან ვცდილობდი ამელაპარაკებინა:

– თქვენთან მუშტარი იშვიათად შემოდის, არა, ქალო?

– ოჰ, დიახ, ბატონო, არასოდეს არავინ არ შემოდის... სხვა იყო, როცა ჩვენ მარტოდმარტო ვიყავით ამ კუთხეში: აქ ხდებოდა საფოსტო ცხენების გამოცვლა, აქ ისვენებდნენ და საუზმობდნენ მონადირეები იხვზე ნადირობის დროს; მთელი წლის განმავლობაში ეტლები იდგა... მაგრამ მას აქეთ რაც აქ ჩვენი მეზობლები მოეწყვენ, ჩვენ ყველაფერი დავკარგეთ... მუშტარს იქ ურჩევნია. გვეუბნებიან, თქვენთან

მეტისმეტი მოწყენილობააო... მართლაც, ჩვენი სახლი არაა სასიამოვნო. მე ლამაზი არა ვარ, მაციებს, ჩემი ორი გოგონა გარდაიცვალა... იქ, პირიქით, მთელი დღე იცინიან. დიასახლისი არლელი ქალია, ის ლამაზია, მაქმანებითაა მორთული, ყელზე სამმაგი ოქროს ჯაჭვი ჰკიდია. კონდუქტორი მისი საყვარელია და დილიყანსი მასთან მიჰყავს. ამას დაუმატეთ რამდენიმე სანდომიანი მოსამსახურე ქალიშვილი... ამიტომ მუშტარი არ აკლიათ! მთელი ბეზუსის, რედესანის, ჟონკიერის ახალგაზრდობა მისია. მეფორნეები შორი გზით უვლიან, რათა მისას გაიარონ... მე კი აქ მარტოდმარტო ვარ მთელი დღის განმავლობაში და ნელ-ნელა ვილევი.

ის ამას გაფანტული, გულგრილი ხმით ლაპარაკობდა, იმავე დროს შუბლი სულ ფანჯრის მინაზე ჰქონდა მიყრდნობილი, ცხადი იყო, რომ მეზობელ სასტუმროში რაღაც იყო, რაც მის ყურადღებას იზიდავდა...

უცებ შარაგზის მეორე მხარეზე დიდი აურზაური დაიწყო. დილიყანსი დაიმრა და მტვრის კორიანტელი დააყენა. გაისმა შოლტის ტკაცანი, ფოსტალიონის საყვირის ხმა, კარებთან ქალიშვილებმა მიირბინეს ყვირილით:

– მშვიდობით, მშვიდობით! – და მაშინვე გაისმა წელანდელი მქუხარე ხმა, რომელიც კვლავ იმ სიმღერას განაგრძობდა:

ვერცხლის	სურასა	აიღებს,
წყაროს	გზა	ჩაჰყვება;
იქიდან სამი რაინდი	ცოტა	მანძილზე

გაჩნდება...

ამ ხმის გაგონებაზე დიასახლისს ტანში გააჟრჟოლა, ჩემსკენ მობრუნდა და ოდნავ გასაგონი ხმით მითხრა:

– გესმით? ეს ჩემი ქმარია... კარგად მღერის, არა?

მე სახტად დავრჩი.

– როგორ თუ თქვენი ქმარი!.. ისიც იქ დადის? მან შეწუხებული ხმით, მაგრამ სრულიად უწყინრად მიპასუხა:

– რას იზამთ, ბატონო? ასეთი არიან მამაკაცები, მათ არ უყვართ ტირილის ცქერა; მე კი მუდამ ვტირი ჩემი გოგონების სიკვდილის შემდეგ... და მერე, ეს დიდი ალაჩუხი, სადაც არასოდეს ერთი სულიერი არ გაივლის, მეტისმეტად სევდიანია... ამიტომ, როცა ჩემს საბრალო ჟოზეს მეტისმეტად მოსწყინდება, ის იქ მიდის დასალევად, და რადგან კარგი ხმა აქვს, არლელი ქალი ამღერებს ხოლმე... სუუ... აი ხელახლა იწყებს.

და ათრთოლებული, ხელებგამვერილი, მსხვილი ცრემლებით, რომლებიც მას კიდევ უფრო ამახინჯებდა, ის თითქოს მოჯადოებული იდგა ფანჯარასთან, რათა თავისი ჟოზეს სიმღერა მოესმინა, არლელი ქალისადმი მიძღვნილი:

პირველი ეტყვის: „ლამაზო, მუხლმოყრა ჩვენი გერგება!“

კალია

კიდევ ერთი მოგონება ალჟირზე, და შემდეგ ისევ წისქვილს დავუბრუნდეთ...

იმ ღამეს, როცა საჰელის ფერმაში მივედი, ვერ მოვახერხე დაძინება. ახალი ქვეყანა, მოგზაურობით გამოწვეული მღელვარება, ტურების ჩხავილი, ძალღონის გამომცლელი, გამოგნებელი, სულის შემხუთავი სიცხე! თითქოს მწერებისაგან დასაცავი ბადე ჰაერის ერთ ჭავლსაც კი არ უშვებდა... როცა ალიონზე ფანჯარა გავადე, ჰაერში ზაფხულის მძიმე ნისლი იყო ჩამოწოლილი, შავ და წითელ ზოლებშემოვლებული; ის ნელა მოძრაობდა, როგორც თოფისწამლის ბურუსი ბრძოლის ველზე. არც ერთი ფოთოლი არ იძროდა, და

ჩემ თვალწინ გაშენებული მშვენიერი ბაღები, ფერდობებზე გაშლილი ვენახები, რომელნიც შაქრიან ღვინოებს იძლევიან მზის გულზე, ევროპის ხეხილი, რომელიც დაჩრდილულ კუთხეშია თავშეფარებული, პატარა ფორთოხლის ხეები, გრძელ მიკროსკოპულ რიგებში ჩამწკრივებული მანდარინის ხეები, ყოველივე მოღუშული გამოიყურებოდა ფოთლების უძრაობის გამო, რომელიც ქარიშხლის მომასწავლებელია. თვით

ბანანის ხეები, ეს დიდი, ნაზი მწვანე ფერის ლერწმისებური მცენარეები, რომელთაც მსუბუქი ნიავი მუდამ ათრთოლებს და ქოჩორს უბურდავს, წყნარად და პირდაპირ იდგნენ ჯიღაშეურხეველნი.

მე ერთ წუთს შევჩერდი, რათა ამ საუცხოო პლანტაციისათვის მეცქირა, სადაც მთელი დედამიწის ხეები იყო თავმოყრილი, რომლებიც თავ-თავის დროზე ამ ახალ ადგილზე მაინც იძლეოდნენ ყვავილსა და ნაყოფს. პურის ყანებსა და საკორპე მუხნარს შუა ნაკადული ცქრიალებდა, რომლის დანახვა გამაგრილებელ შთაბეჭდილებას ახდენდა ამ სულისშემხუთავ დილას. მე აღტაცებით შევცქეროდი წესიერად და მდიდრულად მოწყობილ მიდამოს, ამ მშვენიერ ფერმას მისი მავრული თაღებით, დილის რიჟრაჟით განათებულ ტერასებს, თავლებსა, სარაიებს და ვფიქრობდი, რომ ამ ოცი წლის წინათ, როცა ეს მხნე ადამიანები დასახლდნენ საჰელის ველზე, მაშინ მათ აქ გზის დარაჯის ერთი ალაჩუხი დახვდათ და დაუმუშავებელი მიწა, ჯუჯა პალმებით და მასტიკის ხეებით აბურმგნილი. ყველაფერს შექმნა, ყველაფერს აშენება სჭირდებოდა. ყოველ წუთში არაბების აჯანყება ხდებოდა. ხალხი იძულებული იყო გუთანის ხელიდან გაეგდო და თოფ-იარაღისთვის მოეკიდა ხელი. ამას დაუმატეთ ავადმყოფობა,

თვალის ანთება, ციებ-ცხელება, ცუდი მოსავალი, გამოუცდელობა, ბრძოლა გონებაშეზღუდულ, მუდამ მერყევ ადმინისტრაციასთან. რამდენი ძალ-ღონის დახარჯვა! რამდენი შრომა! რა დაუსრულებელი მეთვალყურეობა!

აი ახლაც, იმისდა მიუხედავად, რომ მძიმე დრო გათავდა და დიდი გაჭირვებით კეთილდღეობა მიღწეულია, ცოლ-ქმარი ყველაზე ადრე ამდგარიყო ფერმაში. მე მომესმა, როგორ დადიოდნენ ისინი ამ დილაადრიან ქვედა სართულის დიდ სამზარეულოში და მუშებისათვის ყავის მომზადებას ადევნებდნენ თვალყურს. ჩქარა ზარმა დარეკა და ერთი წუთის შემდეგ მუშები გამწკრივდნენ გზაზე. აქ ყოველი ჯურის ხალხი იყო, ძნელი გასაძლოლი: ბურგონელი მევენახეები, მონტეპიანი კაბილელი მიწის მუშები, რომელთაც წითელი ქუდეები ეხურათ, ფეხშიშველი მათნელი მიწისმთხრელები, მალტელები, ლუკელები; თვითეულ მათგანს კართან მდგომარე ფერმერი დღის სამუშაოს ავალეზდა ოდნავ ტლანქი ხმით. როცა გაათავა, ამ მამაკაცმა ადამიანმა ზევით აიხედა, ცას თვალი მოავლო შეწუხებული გამომეტყველებით და, რაკი ფანჯარასთან შემამჩნია, მითხრა:

– ცუდი დღეა მუშაობისთვის... აი სიროკოც.

მართლაც, რაც უფრო მაღლა იწევდა მზე, მით უფრო მწვავე სულის შემხუთავი ცხელი ჰაერი გვიბერავდა სამხრეთიდან, როგორც უზარმაზარი ღუმელიდან, რომელიც იღება და იხურება. კაცმა არ იცოდა, სად შეეფარებინა თავი, რისთვის მოეკიდა ხელი. მთელმა დილამ ასე გაიარა. ჩვენ ყავა დავლიეთ გალერეაში, ჭილობზე, მაგრამ არც ლაპარაკის, არც მოძრაობის თავი არ გვქონია. არაქათგამოცლილი ძაღლები იატაკის ლორფინზე გამოტილიყვნენ გასაგრილებლად. საუზმემ ცოტათი მოგვალონიერა; ეს იყო უხვი და თავისებური საუზმე: ჭანარი, კალმახი, გარეული ტახის ხორცი, ზღარბი, სტაუელის კარაქი, კერშჩიის ღვინო, გუავეები, ბანანები, ერთი სიტყვით, საჭმელების მთელი ეგზოტიკა, კარგად შეხამებული იმ მრავალფეროვან ბუნებასთან, რომელიც გარს გვერტყა... ის იყო სუფრიდან ასადგომად ვემზადებოდით, უცებ შუშის კართან, რომელიც მიხურული გვქონდა, რათა თავი დაგვეცვა ქურასავით გავარვარებული ბალის სიცხისაგან, ყვირილი გაისმა: კალია, კალია!

ჩემი მასპინძელი გაფითრდა, როგორც ფითრდება ადამიანი, რომელსაც დიდ უბედურებას აუწყებენ, და ჩვენ საჩქაროდ გარეთ გავედით. ათი წუთის განმავლობაში მთელ შენობაში, რომელიც ასეთი დამშვიდებული იყო სულ ცოტა ხნის წინათ, გაისმა

აჩქარებული ნაბიჯების და გაურკვეველი ძახილის ხმა; ეს ხმა იკარგებოდა გამოფხიზლების აურზაურში. ჩრდილოვანი დერეფნებიდან, სადაც მოსამსახურეებს ჩასძინებოდათ, ისინი გარეთ გამოცვივდნენ და აახმაურეს ჯოხები, ორთითები, რკინის საცეხველები, ლითონის ყოველგვარი ჭურჭელი, რომელიც კი ხელში ხვდებოდათ, სპილენძის ჩანახები, ტაშტები და ქვაბები. მწყემსები თავიანთ ნესტებს აყვირებდნენ. სხვებს ხელში ზღვის ნიჟარები, სანადირო საყვირები ეჭირათ. ეს საშინელ არევ-დარევას და ღრიანცელს იწვევდა, რომელშიც მხოლოდ ერთი გამგმირავი ტონი გაისმოდა: მახლობელი დუარებიდან^[35] მოცვენილი არაბი ქალების „ვუი ვუი!“ ხშირად, როგორც ეტყობა, საკმაოა ხმაურობის ატეხა, ჰაერის შეზანზარება, რათა კალია განიდევნოს, მას ხელი შეეშალოს ძირს დაშვებაში.

მაგრამ სად იყვნენ ეს საშინელი ცხოველები? სიცხისაგან ათრთოლებულ ცაზე ვერაფერს ვხედავდი, გარდა ჰორიზონტიდან მომავალი სპილენძისფერი, მკვრივი ღრუბლისა, რომელიც სეტყვის ღრუბელს ჰგავდა და ისე შრიალებდა, როგორც ქარიშხალი – ტყის უთვალავ შტოში. ეს კალიები იყვნენ. ისინი ერთმანეთს აკავებდნენ თავიანთი გაშლილი ხმელი ფრთებით, გუნდებად მოდიოდნენ და, ჩვენი ყვირილისა

და მეცადინეობის მიუხედავად, წინ მოიწევდნენ ისე, რომ ველს უზარმაზარი ჩრდილი გადაეფარა. მალე ეს ღრუბელი ჩვენს თავებს ზემოთ აღმოჩნდა; მას კიდურები ერთ წუთს გაერღვა, უსწორმასწორო გაუხდა. ზოგიერთნი მოსწყდნენ გაზაფხულის სეტყვიანი წვიმის პირველი მსხვილი წვეთებივით, მხოლოდ ისინი მოწითალო ფერისანი იყვნენ; შემდეგ მთელი ღრუბელი დაიფხრიწა და მწერის ხშირი სეტყვა ძირს წამოვიდა დიდის ხმაურობით.

სადაც კი თვალი მისწვდებოდა, ველი კალიით იყო დაფარული, უზარმაზარი, ადამიანის თითისოდენა კალიით.

მაშინვე ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. ეს იყო ჭექაქვივის საზიზღარი ხმაურობა, ჩალის ლეწვის მსგავსი. ამ მოძრავ ნიადაგს ფარცხებით, ბარებით, გუთნებით ამუშავებდნენ; მაგრამ რაც მეტს ხოცავდნენ, მით უფრო მეტი რჩებოდა. ისინი გროვად ფუთფუთებდნენ, ერთმანეთში გრძელი ფეხებით გადახლართულნი; ზემოთ მოხვედრილნი სასოწარკვეთილ ნახტომებს აკეთებდნენ და ცხვირზე ახტებოდნენ ამ უცნაურ სამუშაოსათვის შებმულ ცხენებს. ფერმის და დუარების ძაღლები მინდორში გაუშვეს,

ისინი ეცნენ კალიას და გააფთრებით მუსრავდნენ მას. ამ დროს ახალმოშენეთა დასახმარებლად ტიურკოსების¹³⁶ ორი რაზმი მოვიდა მეზუკეების მეთაურობით და ხოცვა-ჟლეტამ სახე იცვალა.

იმის მაგივრად, რომ კალია ექყლიტათ, ჯარისკაცები მას სწვავდნენ გრძელ ზოლებად მოყრილი თოფისწამლით.

მე დავიღალე კალიის ხოცვით, მყრალმა სუნმა გული ამირია და შინ შევედი. ფერმაშიაც თითქმის იმდენივე აღმოჩნდა, რამდენიც გარეთ იყო. კარების, ფანჯრების ჭუჭრუტანებში, ბუხრების მილებში შესულიყვნენ; ისინი დაცოცავდნენ, ცვიოდნენ, დაფრინავდნენ მოფიცრულების ნაპირებზე, თითქმის სრულიად დაჭმულ ფარდებზე, თეთრ კედლებზე, სადაც უზარმაზარ ჩრდილს ისროდნენ, რაიცა აორკეცებდა მათ სიმახინჯეს. და ყოველგან იგივე საზიზღარი სუნი იდგა. იძულებული გავხდით სადილი უწყლოდ გვეჭამა: წყალსაცავები, ჭები, აუზები, ოჩხები სრულიად მოწამლული იყო.

იმისდა მიუხედავად, რომ ჩემს ოთახში მრავალი დაიხოცა დღისით, იქ სადამოს მაინც

დაფუთფუთებდნენ ავეჯეულობის ქვეშ, და მათი ფრთების ტკაცუნის პარკოვანი მცენარეების ტკაცატკუსს ჰგავდა სიცხიან დღეში. არც ამ ღამეს დამიხუჭავს თვალი. ასეცაა, ფერმის მახლობლად არავის სძინებია. ცეცხლის ალი ველზე დარბოდა ერთი კიდიდან მეორეზე. ტიურკოსები ხოცვას განაგრძობდნენ...

როცა მეორე დილას, როგორც წინა დღეს, ფანჯარა გავაღე, დავინახე, რომ კალია წასულიყო; მაგრამ როგორ აეოხრებია ყოველივე! არც ერთი ყვავილი, არც ერთი ბალახის ღერო! ყოველივე გაშავებული, დახრული, განაცარმტვერებული იყო. ბანანის, ჭერამის, ატმის, მანდარინის ხეების გარჩევა მხოლოდ მათი განძარცული ტოტების იერზე შეიძლებოდა; მათ აღარ ჰქონდათ ის სიცოცხლის მომხიბლაობა, რასაც მცენარეს ფოთლის შრიალი აძლევს. ხალხი წყალს სწმენდდა ტბორებში, წყალსაცავებში. ყველგან მუშები მიწას თხრიდნენ, რათა მწერის მიერ დატოვებული კვერცხები მოესპოთ, ყოველ კოლბოხს ატრიალებდნენ და ყურადღებით ფშვნიდნენ. და კაცს გული ეკუმშებოდა, როცა მრავალ თეთრ ფესვს ხედავდა, წვნიტ სავსეს, რომელიც ამ ნოყიერი მიწის თხრის დროს გამოჩნდებოდა ხოლმე.

ღირსი მამა გომეს ელექსირი

- დალიეთ ეს, მეზობელო! ვნახოთ, როგორ მოგეწონებათ.

და წვეთ-წვეთობით, ოქრომჭედლის სიფრთხილით, მარგალიტებს რომ ითვლის, გრავესონის მღვდელმა ორი სათითური მწვანე, ოქროსფრად მოლივლივე, თბილი, შუმხუნა, საუცხოო ლიქიორი დამისხა... სტომაქში თითქოს მზემ ჩამანათა.

- ესაა მამა გომეს ელექსირი, ჩვენი პროვანსის სიხარული და ჯანმრთელობა, - მითხრა პატივცემულმა მღვდელმა გამარჯვებული სახით, - მას ამზადებენ პრემონტრეს მონასტერში, ორი ლიეს მანძილზე თქვენი წისქვილიდან... ყველა შარტრებს სჯობია დედამიწის ზურგზე, არა?.. და რომ იცოდეთ, რა საინტერესოა ამ ელექსირის ამბავი! აბა ყური დამიგდეთ...

და სრულიად გულუბრყვილოდ და უემშაკოდ, აბატმა ერთი პატარა, ოდნავ სკეპტიკური და მოურიდებელი ამბავი მიაშო, ერაზმის^[37] და ასუსის^[38] მოთხრობის

მაგვარი. მიაშო ეს სამრევლო საოსტიგნეში, უმანკოსა და წყნარში, სადაც კედელზე ქრისტეს ვნებათა პატარა სურათები ეკიდა, ხოლო ფანჯრებზე კვართივით გახამებული, ლამაზი, ბაცი ფერის ფარდები ეფარა.

ოცი წლის წინათ პრემონტრელები, ანუ უკეთ თეთრი მამები, როგორც მათ ჩვენი პროვანსელები უწოდებენ, დიდ სილატაკეში ჩაცვივდნენ... თქვენ რომ იმ დროს მათი სავანე გენახათ, დიდად შეწუხდებოდით.

დიდი ზღუდე და პახომის კოშკი ინგრეოდა. მონასტერი ყოველივე მხრიდან ბალახს დაეძლია, სვეტები ირღვეოდა, ქვის წმინდანები ძირს ემხოზოდნენ თავიანთ ნიშებში. არც ერთი ფანჯარა, არც ერთი კარი არ გადარჩენილიყო დაუზიანებელი; ეზოებში, სამლოცველოებში რონის ქარი ჰქროდა, ისე როგორც კამარგში, სანთლებს აქრობდა, სარკმლების ლითონის ალთას ლეწდა, აიაზმას აქცევდა ემბაზებიდან. მაგრამ ყველაზე სევდიან შთაბეჭდილებას ცარიელ სამტრედესავით დადუმებული მონასტრის სამრევლო ახდენდა; რადგან თეთრ მამებს ფული არ გააჩნდათ ზარის საყიდლად, ისინი იძულებულნი იყვნენ ცისკრისათვის ნუშის ხის სატკაცუნა დაერეკათ.

საბრალო თეთრი მამები! ისინი თითქოს თვალწინ მიდგანან „უფლის სხეულის“^[39] სადღესასწაულო პროცესიაში. ისინი დამწუხრებულნი მიაბიჯებენ თავიანთი დაკერებული წამოსასხამებით ფერმკრთალნი, გამხდარნი, ლიმონებითა და საზამთროებით ნასაზრდოებნი, ხოლო მათ უკან ყოვლადსამღვდელოება აბატი მოჰყვება თავჩაქინდრული, დარცხვენილი იმით,

რომ თავისი ვარაყაცლილი კვერთხი და ჩრჩილით ნახევრად შეჭმული თეთრი შალის მიტრა უნდა გამოაჩინოს. ძმობაში შემავალი მანდილოსნები პირდაპირ სიბრაღის ცრემლებს ღვრიდნენ თავიანთ რიგებში, ხოლო მსხვილი მედროშეები ფარულად იკრიჭებოდნენ და საწყალ ბერებზე ანიშნებდნენ:

– შოშიას შია, როცა გუნდში დაფრინავს.

საქმე ისაა, უბედური თეთრი მამები იქამდე მივიდნენ, რომ ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ხომ არ იქნება უმჯობესი ყოველ მხარეს გავფრინდეთ და საკენკი დამოუკიდებლად ვეძებოთო.

და აი ერთ მშვენიერ დღეს როცა საკრებულოში ეს მნიშვნელოვანი საკითხი ირჩეოდა,

წინამძღვარს მოახსენეს, ძმა გოშე თხოულობს საბჭომ მომისმინოსო... უნდა მოგახსენოთ რომ ეს ძმა გოშე მონასტრის მწყემსი იყო; ეს იმას ნიშნავს, რომ ის მთელი დღის განმავლობაში მონასტრის ერთი თაღედიდან მეორეში გადადიოდა და ორ მჭლე ძროხას ერეკებოდა, რომელნიც ბალახს სწიწნიდნენ ქვაფენილის ნაპრალებში. თორმეტ წლამდე მას ერთი ბოელი შემლილი დედაბერი ჰკვებავდა, რომელსაც ძალუა ბეგონს ეძახდნენ, შემდეგ ბერებმა შეიკედლეს; მაგრამ უბედურმა მწყემსმა ვერაფერი ისწავლა, გარდა თავისი პირუტყვის საძოვრად ტარებისა და მამაოჩვენოს წარმოთქმისა, ისიც პროვანსულად, იმიტომ რომ შუბლმაგარი იყო და ტყვის ხანჯალივით ჩლუნგი გონება ჰქონდა. ამასთანავე მხურვალე ქრისტიანი იყო, თუმცა ოდნავ მეოცნებეც. სიამოვნებით იცვამდა ფლასს და თვითგვემას ეძლეოდა მტკიცე რწმენით და მაგარი მკლავებით!

როცა ეს მიამიტი და ყეყეჩი კაცი საკრებულოს დარბაზში შევიდა და ფეხის უკან გაწევით მთელ კრებულს მიესალმა, წინამძღვარმა, კანონიკებმა, მოლარემ სიცილი დაიწყეს. ასეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, სადაც უნდა გამოჩენილიყო თავისი კეთილი, შეჭადრავებული პირისახით, თხის წვერით და, ცოტა არ იყოს, გიჟური თვალებით; ამიტომაც ახლა ძმა გოშე არ შემცბარა.

– თქვენო ღირსებანო, – წარმოსთქვა მან გულკეთილი ტონით და თან ზეთისხილის კურკებიდან გაკეთებულ კრიალოსანს ათამაშებდა, – კარგადაა ნათქვამი, რომ ცარიელი კასრები საუკეთესო მაგლობლები არიანო. წარმოიდგინეთ, მე იმდენ ხანს ვჩიჩქნე ჩემი ისედაც ფუტურო თავი, რომ მგონია ჩვენი გადარჩენის საშუალება აღმოვაჩინე. და აი როგორ: თქვენ კარგად იცნობდით ძალუა ბეგონს, ამ პატოსან დედაკაცს, რომელმაც მომიარა პატარაობის დროს (ღმერთმა განუსვენოს იმ ბებერ კუდიანს! როცა გადაკრული იყო, საკმაოდ უწმაწურ სიმღერებს მღეროდა). მოგახსენებთ, თქვენო ღირსებანო, რომ ძალუა ბეგონი, როცა ის ცოცხალი იყო, უკეთ იცნობდა მთის ბალახებს,

ვიდრე ყველაზე ბებერი კორსიკელი შაშვი. თავის სიცოცხლის დასასრულს მან ხუთი-ექვსი სამკურნალო ბალახის შემწეობით, რომელთა მოსაგროვებლად ჩვენ ერთად მივდიოდით ხოლმე ალპილებში, შეუდარებელი ელექსირიც კი მოამზადა. მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ წმინდა ავგუსტინეს დახმარებით და მამა წინამძღვარის ნებადართვით – კარგი ძიების შემდეგ – აღმოვაჩენ ამ საიდუმლო ელექსირის შემადგენლობას. მაშინ ჩვენ ის მხოლოდ ბოთლებში უნდა ჩავასხათ და ცოტათი ძვირად გავყიდოთ, რაიცა მთელს ძმობას ნელ-ნელა გამდიდრების შესაძლებლობას მისცემს, ჩვენი ძმების ტრაპისტებისა და გრანდისტების მსგავსად...

მას არც კი გაათავებინეს... წინამძღვარი წამოვარდა და ყელზე გადაეხვია. კანონიკები ხელს ართმევდნენ, მოლარე, რომელიც სხვებზე უფრო აღელვებული იყო, მოწიწებით ემთხვეოდა მისი ძაძის დაფლეთილ კალთებს... შემდეგ თვითეული მათგანი თავის კათედრას დაუბრუნდა ბჭობის გასაგრძობად, და დაუყოვნებლივ კრებულმა გადაწყვიტა, ძროხები ძმა თრაზიბულისათვის მიენდოთ, რათა ძმა გომეს სავსებით თავი შეეწირა ელექსირის მომზადებისთვის.

* * *

როგორ მოახერხა ამ კეთილმა ძმამ და მიაგნო ძალუა ბეგონის რეცეპტს? რა შრომის ფასით? რა უძილო ღამეების ფასით? ისტორია ამის შესახებ სდუმს. უცილობელია მხოლოდ, რომ ექვსი თვის შემდეგ თეთრი მამების ელექსირი მეტად სახელგანთქმული იყო. მთელ საგრაფოში, მთელ არლის მხარეში არ მოიძებნებოდა არც ერთი ფერმა, არც ერთი ქოხი, რომელსაც თავის სარდაფში, ძველი ღვინის ბოთლებსა და ზეთის ხილის დერგებს შორის, პატარა ყავისფერი თიხის ბოთლი არ ჰქონოდა, პროვანსული გერბით დაბეჭდილი, სარწმუნოებრივ აღგზნებაში შესული ბერის სურათით ვერცხლის

ეტიკეტზე. თავისი ელექსირის სახელის განთქმის წყალობით პრემონტრეს მონასტერი სწრაფად გამდიდრდა. პახომის კომკი აღდგენილ იქნა. წინამძღვარმა ახალი მიტრა მიიღო, ხოლო ეკლესიამ ლამაზად მოხატული ფანჯრის მინები. ნატიფად მოჩუქურთმებულ სამრეკლოში ერთ მშვენიერ აღდგომა დღეს ზარების და ზანზალაკების მთელი ჯგუფი დასახლდა; ის გუგუნებდა და რეკდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

რაც შეეხება საბრალო ძმა გომეს, რომლის გაგრილობა წინათ მთელს საკრებულოს ამხიარულებდა, ახლა ის უკვე სულ სხვანაირად იხსენიებოდა. ამიერიდან ის ცნობილი იყო, როგორც ღირსი მამა გომე, დიდი ჭკუისა და დიდი ცოდნის ადამიანი, რომელიც სრულიად განთავისუფლებული იყო მონასტრის წვრილმანი და მრავალმხრივი სამუშაოსაგან და მთელი დღე თავის არყის

სახდელში იყო ჩაკეტილი, იმ დროს როცა მთებში ოცდაათამდე ბერი დახეტიალობდა, რათა მისთვის სურნელოვანი ბალახები მოეძებნათ... ეს არყის სახდელი, სადაც არავის, თვით წინამძღვარსაც არ ჰქონდა შესვლის უფლება, ძველ, მიტოვებულ სამლოცველოს წარმოადგენდა, კანონიკების ბალის ბოლოში აგებულს. კეთილმა მამებმა, თავიანთი გულუბრყვილობის გამო, ის რაღაც იდუმალ და საშინელ ადგილად აქციეს; თუ შემთხვევით რომელიმე გაბედული და ცნობისმოყვარე მორჩილი ვაჟს მოებლაუჭებოდა და კარიბჭის მრგვალ სარკმელამდე აცოცდებოდა, სასწრაფოდ უკანვე ჩამოცუცქდებოდა, მამა გომეს დანახვით შეშინებული, რომელიც ქურებზე დახრილი მოჩანდა თავისი ჯადოქრული წვერით და თავისი სპირტსაზომით ხელში; გარშემო კი ვარდისფერი სილაქვის ამბუხები, უზარმაზარი საარყე ქვაბები, მინის კლაკნილები ეწყო, მთელი გროვა უცნაური მოჯადოებული საგნებისა, რომელნიც ელვარებდნენ მინების წითელ შუქში...

დაღამებისას, როცა უკანასკნელი ანგელუსი⁴⁰¹ რეკდა, ამ საიდუმლო ადგილის კარი ფრთხილად იღებოდა, და ღირსი მამა ეკლესიაში მიდიოდა მწუხრის მოსასმენად. უნდა გენახათ, როგორ ხვდებოდნენ, როცა მონასტრის ეზოში მიდიოდა. ძმები ორივე მხრით მწკრივდებოდნენ. აქა-იქ გაისმოდა:

– სსუუ.. მან საიდუმლოება იცის!..

მოლარე უკან მიჰყვებოდა და თავდახრილი ელაპარაკებოდა... ამ პირფერობით გარემოცული ღირსი მამა მიაბიჯებდა და თან შუბლიდან ოფლს იწმენდდა; მისი განიერფარფლებიანი სამკუთხი ქუდი უკან იყო გადაწეული და შარავანდედით მოსავდა. ის თვითკმაყოფილებით უცქეროდა ფართო ეზოებს, სადაც ფორთოხლის ხეები იყო დარგული, ლურჯ სახურავებს, სადაც ახალი ფლიუგერები ტრიალებდა, თეთრად გაბრწყინებული მონასტრის მოხდენილ და ყვავილებით შემკულ სვეტებს, რომელთა შორის ახლებში გამოწყობილი ბერები წყვილ-წყვილად მიჰყვებოდნენ ერთიმეორეს დამშვიდებული სახეებით.

„ისინი ყოველივე ამას მე უნდა მიმადლოდნენ!“ – ამბობდა თავის გულში ღირსი მამა; და ყოველთვის ეს აზრი მასში სიამაყის გრძნობას იწვევდა.

საბრალო კაცი ამის გამო დასჯილ იქნა, ახლავე დაინახავთ როგორ...

* * *

წარმოიდგინეთ, ერთხელ საღამოს, მღვდელმსახურების დროს, ის ეკლესიაში არაჩვეულებრივად აღელვებული შევიდა: სახე წამოწითლებოდა, ქოშინებდა, კაპიუმონი გვერდზე მოჰქცეოდა და იმდენად არეული იყო, რომ როცა აიაზმას ღებულობდა, სახელოები იდაყვამდე დაისველა. თავდაპირველად იფიქრეს, დაგვიანების გამო არის შეშფოთებულიო; მაგრამ როცა მან იმის მაგივრად, რომ მთავარ საკურთხეველს მისალმებოდა, ღრმად თავი დაუკრა ორგანსა და

ხოროებს, ქარიშხალივით გადაირბინა ეკლესია, შემდეგ ხუთი წუთი კლიროსზე იხეტიალა, რათა თავისი ადგილი ეპოვნა, შემდეგ დამჯდარმა, მარჯვნივ და მარცხნივ თავის დაკვრა დაიწყო ნეტარის სახით; სამივე ნაოსში გაოცების ბუტბუტი გაისმა. ლოცვანიდან ლოცვანზე ჩურჩული გადარბოდა.

– რა მოუვიდა ჩვენს მამა გოშეს?... რა მოუვიდა ჩვენს მამა გოშეს?

მოთმინებიდან გამოსულმა წინამძღვარმა თავისი კვერთხი ორჯერ დაარტყა ლორფინს, რათა სიჩუმე დაემყარებინა... იქ, კლიროსზე, ფსალმუნის კითხვა გრძელდებოდა, მაგრამ პასუხის მიცემა უხალისო იყო...

და აი უცებ, სწორედ შუაგულ Ave verum^[41]-ში, ჩვენი მამა გოშე თავის სკამზე გადაიშლართება და მქუხარე ხმით შემოსძახებს:

პარიზში თეთრი ბერია, პატატინ, პატატან, ტარაბინ, ტარაბან...

საერთო ძრწოლა. ყველანი ფეხზე წამოვარდებიან. ყვირილი გაისმის:

– გარეთ გაიყვანეთ... მავნე დაჰპატრონებია!

ბერები პირჯვარს იწერენ. წინამძღვრის კვერთხი გააფთრებულია... მაგრამ მამა გოშე ვერაფერს ხედავს, ყურს არაფერს უგდებს; და ორი ღონიერი ბერი იძულებული ხდება ის გარეთ გაიყვანოს კლიროსის პატარა კარით; ის კი ხელებსა და ფეხებს იქნევს როგორც შეპყრობილი შელოცვის დროს და წინანდელის აღზნებით მღერის თავის „პატატინსა და ტარაბანს“.

მეორე დღეს ალიონზე ის უბედური მუხლმოდრეკილი იდგა წინამძღვრის სამლოცველოში და თავის დანაშაულს ინანიებდა ცრემლების ღვრით:

– ეს ელექსირის ბრალია, ყოვლად პატიოსანი მამაო, ელექსირმა შემაცდინა, – ამბობდა ის მკერდზე ხელის ცემით.

როცა კეთილმა წინამძღვარმა დაინახა, რომ ის ასე შეწუხებული, ასე სინანულით შეპყრობილი იყო, თვითონაც აღელდა.

– კარგი, კარგი, მამაო გოშე, დაწყნარდით, ეს ყოველივე გაჰქრება, როგორც დილის ნამი მზეზე... და მერე სირცხვილი არც ისეთი დიდი იყო, როგორც თქვენ ფიქრობთ. მართალია, თქვენი სიმღერა, ცოტა არ იყოს... ჰმ! ჰმ!.. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ მორჩილებს არ გაუგონიათ... ახლა კი მიაშბეთ, როგორ მოგივიდათ ეს საქმე... ელექსირის გასინჯვის დროს, არა? ცოტათი გადააჭარბეთ... დიახ, დიახ, მესმის... ეს ისეთივე ამბავია, როგორც შვარცს შეემთხვა, თოფისწამლის გამომგონებელს. თქვენ თქვენივე საკუთარი გამოგონების მსხვერპლი გახდით... მითხარით, ჩემო პატივცემულო მეგობარო, განა აუცილებელია, რომ თვითვე აიღოთ ამ საშინელი ელექსირის ჭაშნიკი?

- საუბედუროდ, ყოვლად ღირსო მამაო... საშინჯარი ალკოჰოლის ძალასა და გრადუსს მატყობინებს; მაგრამ თავის მოსაბმელად, ხავერდოვანების შესამოწმებლად მხოლოდ ჩემს ენას ვენდობი...
- აჰ ძალიან კარგი!.. ყური დამიგდეთ, რა გითხრათ: როდესაც ელექსირს სინჯავთ აუცილებლობის გამო, კარგად გეჩვენებათ იგი თუ არა? გრძნობთ თუ არა სიამოვნებას?...
- დიახ, დიდად ღირსო მამაო, - უპასუხა უბედურმა ბერმა და მთლად აიღეწა.. - აი ორი საღამოა, რომ მე მას სუნს, სურნელებას ვამჩნევ... უცილობელია, ეშმაკმა მიყო ეს საზიზღარი ოინი... ამიტომ გადავწყვიტე ამიერიდან მხოლოდ ჩემი საშინჯარი გამოვიყენო. რა გაეწყობა, თუ ლიქიორს ფაქიზი გემო და მარგალიტის ციმციმი არ ექნება...
- ფრთხილად იყავით, ფრთხილად! - შეაწყვეტინა წინამძღვარმა გაცხარებით. - უნდა ვერიდოთ მუშტრების უკმაყოფილებას... თავი და თავია ახლა, რაკი უკვე გაფრთხილებული ხართ, ფხიზლად ყოფნა. დაიცათ, რამდენია საჭირო, რათა სწორი წარმოდგენა იქონიოთ?.. თხუთმეტი ან ოცი წვეთი, არა? და ვთქვათ ოცი წვეთი... ეშმაკი ძლიერ მარჯვე უნდა იყოს, რომ ოც წვეთზე, დაგიჭიროთ... ამასთანავე, რათა ყოველივე უსიამოვნო შემთხვევა თავიდან ავიცილოთ, ამიერიდან გათავისუფლებთ

ეკლესიაში სიარულისაგან. თქვენ მწუხრის მღვდელმსახურებას არყის სახდელში შეასრულებთ... ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ჩემო ღირსო მამაო, და უწინარეს ყოვლისა... წვეთები კარგად დაითვალეთ...

ეჰ! საბრალო ღირს მამას რამდენიც უნდა ეთვალა თავისი წვეთები... ის ბოროტ სულს ხელში ჰყავდა და აღარ უშვებდა.

ახირებული ხასიათის მღვდელმსახურება გაისმოდა არყის სახდელში.

* * *

დღისით, ასე თუ ისე, საქმე კიდევ კარგად მიდიოდა. მამა გოშე საკმაოდ დამშვიდებული იყო: ის ამზადებდა თავის ღუმელებს, თავის არყისსახდელ ქვაბებს, დიდის მზრუნველობით ახარისხებდა თავის ბალახებს, პროვანსის ყოველგვარ ბალახს, წვრილლეროიანს, ნაცრისფერს, დაკბილულს, დამწვარს კეთილსურნელებისა და მზისაგან. მაგრამ საღამოთი, როცა სამკურნალო ბალახების ნახარში დაყენებული იყო, ხოლო ელექსირი სპილენძის დიდ წითელ ბადიებში ნელდებოდა, საბრალო ადამიანის წამება იწყებოდა.

...ჩვიდმეტი... თვრამეტი... ცხრამეტი... ოცი!..

წვეთები მილაკიდან ვერცხლის მოვარაყებულ ფიალაში ეცემოდა. ამ ოც წვეთს მამა გოშე ერთი ყლუპით სვამდა, ისე რომ სიამოვნებას ვერც კი გრძნობდა. წყურვილს მეოცდაერთე წვეთი უღვივებდა. ოჰ, ეს მეოცდაერთე წვეთი!.. მაშინ, რათა ცთუნებისათვის თავი დაეღწია, ის სამუშაო ოთახის კუთხეში იჩოქებდა და მამაოჩვენოებში იფლობოდა. მაგრამ ჯერ კიდევ თბილ ლიქიორს ნაზი სურნელოვანი ორთქლი ასდიოდა, ის მის გარშემო ვრცელდებოდა და მას ძალაუნებურად კვლავ ბადიებისკენ იზიდავდა... ლიქიორი მშვენიერი მომწვანო, ოქროსფერისა იყო... ზედდახრილი, ნესტოებგაფართოებული მამა გოშე ლიქიორს წყნარად ურევდა თავისი მილაკით და მას ეჩვენებოდა, რომ პატარა ბრწყინვალე კილიტებში, რომელნიც ზურმუხტოვან ტალღებში ციმციმებდნენ, ძალუა ბეგონის თვალებს ხედავდა, თითქოს ისინი მას უცინოდნენ და ნაპერწკლებს ესვროდნენ...

– ჰა, კიდევ ერთი წვეთი!

წვეთ-წვეთობით ის უბედური მთელს ფიალას ავსებდა პირთამდე. მაშინ, არაქათგამოცლილი, დიდ სავარძელში ვარდებოდა და სხეულმოშვებული, სანახევროდ თვალეზახუჭული ის თავის შეცოდებას აჭაშნიკებდა პატარაპატარა ყლუპებით, ამავე დროს დამატკობელი სინანულის გრძნობით ბუტბუტებდა:

– აჰ, მე სულს ვიწყმენდ... სულს ვიწყმენდ...

ყველაზე შემზარავი კი ის იყო, რომ ამ სატანური ელექსირის ფსკერზე, რაღაც ჯადოქრობის წყალობით, ძალუა ბეგონის ყველა საზიზღარ სიმღერას პოულობდა: „სამი გოგონა შეგროვდა საქეიფოდ წასასვლელად“... ან კიდევ: „ანდრიას მწყემსი ქალი ჰყავს, ტყეში მარტო ეხეტება“... და ბოლოს თეთრი მამების სახელგანთქმულ „პატატინ-პატატანს“.

ადვილად წარმოიდგენთ, როგორ დაირცხვენდა მეორე დღეს, როცა მეზობელი სენაკების ბინადრები, ეშმაკური გამომეტყველებით, ეტყოდნენ:

– ეჰ, ეჰ, მამაო გოშე, წუხელის დამინების წინ თავში ჭრიჭინები გიმღეროდნენ.

ამას მოსდევდა ცრემლთა ფრქვევა, სასოწარკვეთილება, მარხულობა, ძაძის ჩაცმა და გვემა. მაგრამ ყოველივე უძლური იყო ელექსირის დემონის წინააღმდეგ; და ყოველ საღამოს, იმავე საათზე ჯადოს გავლენა მეორდებოდა.

* * *

ამავე დროს დაკვეთები წვიმასავით თავს ესხმოდა სააბატოს. ლიქიორს იკვეთდნენ ნიმიდან, ექსიდან, ავინიონიდან, მარსელიდან... დღითი დღე მონასტერი რაღაც ქარხანას ემსგავსებოდა. აქ იყვნენ ჩამლაგებელი ძმებიც, ეტიკეტის დამკვრელებიც, აღრიცხვის მწარმოებელნიც, გადამზიდველებიც,

ამის გამო ღვთისმსახურებას აქა-იქ რამდენიმე ზარი აკლდებოდა; მაგრამ ამ კუთხის ღარიბი ხალხი ამით არაფერს ჰკარგავდა, მე თქვენ გარწმუნებთ...

და აი ერთ მშვენიერ კვირა დილას, როცა მოლარე მთელს საკრებულოს თავის წლიურ ანგარიშს უკითხავდა, ხოლო კეთილი კანონიკები მას გაბრწყინებული თვალებით და მომღიმარე ტუჩებით უსმენდნენ, შიგ შუა კარებში მამა გოშე შემოვარდა და დაიყვირა:

– გათავდა... მეტს აღარ ვამზადებ... დამიბრუნეთ ჩემი ძროხები...

–რა მოგივიდათ, მამაო გოშე? – ჰკითხა წინამძღვარმა, რომელიც ეჭვით მიმხვდარი იყო, რაც მოხდა.

– რა მომივიდა, თქვენო ყოვლადსამღვდელოებავ?... ის მომივიდა, რომ მე მშვენიერ საუკუნო ცეცხლსა და გახურებულ შანთს ვამზადებ... ის მომივიდა, რომ მე ვსვამ, ვსვამ როგორც უკანასკნელი არამზადა.

– მე ხომ გითხარით, წვეთები დაითვალეთ-მეთქი.

–ჰა, როგორ არა, წვეთები! ახლა წვეთები კი არა, ფიალებია დასათვლელი... დიახ, ყოვლად ღირსნო მამანო, აი სადამდე მივედი. სამ-სამი დიდი ჭინჭილა ყოველ საღამოს... გესმით, რომ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს... ვისაც გენებოთ, იმას გააკეთებინეთ ელექსირი... მამალმერთის ცეცხლმა დამწვას, თუ ამაში კიდევ ჩავერიო! საკრებულოს აღარ ეცინებოდა.

– მაგრამ, შე უბედურო, შენ ჩვენ გვაკოტრებ! – დაიყვირა მოლარემ და თავისი დავთარი დაუქნია.

– თქვენ გირჩევნიათ, რომ მე წავწყდე? მაშინ წინამძღვარი წამოდგა.

– ყოვლად ღირსნო მამანო, – წარმოთქვა მან და ზემოთ ალაპყრო თავისი ლამაზი თეთრი ხელი, რომელზედაც სამოდვრო ბეჭედი ბრწყინავდა, – ერთი საშუალებით ყოველივე ამის მოგვარება შეიძლება... დემონი თქვენ სადამოობით გაცთუნებთ, არა, ჩემო ძვირფასო შვილო?..

– დიახ, უფალო წინამძღვარო, უკლებლივ ყოველ საღამოს.. ამიტომ, როცა ღამდება, მე ბოდის ვიხდი ამ სიტყვისთვის, ოფლი დამასხამს ხოლმე, როგორც კაპიტუს სახედარს, როცა კურტანს ხედავდა.

– ძალიან კარგი ! გული დაიმშვიდეთ... ამიერიდან ყოველ საღამოს, მწუხრის დროს, ჩვენ თქვენი სულის სახსნელად წარმოვსთქვამთ წმინდა ავგუსტინეს ლოცვას, რომელიც ცოდვათა სრულს განტევებას შეიცავს... ამის შემდეგ, რაც უნდა მოხდეს, თქვენ დაფარული ხართ... ესაა შენდობა თვით შეცოდების დროს. – ოჰ, მაშ ძალიან კარგი! დიდი მადლობა, უფალო წინამძღვარო.

ამის შემდეგ, ულაპარაკოდ, მამა გოშე თავის არყისსახდელ ქვაბებს დაუბრუნდა, ტოროლასავით მსუბუქი.

მართლაც, იმ წუთიდან დაწყებული, ყოველ საღამოს მწუხრის შემდეგ, ღვთისმსახურების შემსრულებელი არასოდეს არ ივიწყებდა შემდეგი სიტყვების წარმოთქმას:

– ვილოცოთ ჩვენი საბრალო მამა გოშესთვის, რომელიც თავის სულს სწირავს კრებულის კეთილდღეობას... Oremus Domine^[42]...

და იმ დროს, როცა ყველა ამ თეთრ წამოსასხამს, ეკლესიის სიბნელეში განრთხმულთ, ზევიდან ლოცვა დასტრიალებდა, თოვლის ფიფქზე მოთამაშე ნიავივით, იქ, მონასტრის ბოლოში, არყის სახდელის აალებული ფანჯრების იქით მამა გოშეს ყურთასმენის წამლები სიმღერა გაისმოდა:

პარიზში		თეთრი	ბერია,
პატატენ,	პატატან,	ტარაბენ,	ტარაბან;
პარიზში		თეთრი	ბერია,
მოლოზნებს		იგი	აცეკვებს;
ტრენ,	ტრენ,	ტრენ,	ბაღში
აცეკვებს... მო...			

...აქ კეთილი მღვდელი უცებ შეჩერდა შეძრწუნებული.

– ღმერთო ჩემო, მრევლმა რომ გამიგონოს.

კამარგში

I. გამგზავრება

ციხე-კომპში დიდი ჩოჩქოლია. შიკრიკმა დარაჯისაგან ბარათი მომიტანა, ნახევრად ფრანგულად, ნახევრად პროვანსულად დაწერილი; მაუწყებენ რომ შემჩნეულია უკვე ორი-სამი საუცხოო გადაფრენა გალუქონებისა და მარლოტინებისა და წვრილ-წვრილი ფრინველიც ბლომად არისო.

„თქვენ ჩვენთან ხართ!“ – მომწერეს ჩემმა თავაზიანმა მეზობლებმა. ამ დილის ხუთს საათზე მათი დიდი ფორანი, თოფებით, ძაღლებით და სანოვაგით დატვირთული, ჩემს წასაყვანად გაჩერდა გორაკის ძირში. და აი ჩვენ ოდნავ მშრალ, ოდნავ განძარცულ არლის გზაზე მივაგორებთ ამ დეკემბრის დილას, როცა ზეთისხილის ფერმკრთალი მწვანე ძლივს ჩანს, ხოლო მუხა-კერმესის ჩაღი ფოთლები, ცოტა არ იყოს, საზამთრო და ხელოვნურ შთაბეჭდილებას ახდენს. ბოსლებში მოძრაობა იწყება. ხალხი იღვიძებს დილაადრიან, სანამ ალიონი ფერმების ფანჯრებს გაანათებდეს; მონმაჟურის სააბატოს

ნაპრალეებში ჯერ კიდევ ძილით დამძიმებული ძელქორები ფრთას ფრთას უფართხუნებენ ნანგრევებს შორის; გზაზე კი უკვე ხნიერი გლეხის დედაკაცები გვხვდებიან, რომელნიც თხრილების გასწვრივ თავიანთ ჩოჩრებს მიაჩიქჩიქებენ ბაზრისაკენ. ისინი ვილდებოდან მოდიან და კარგ ექვს ლიეს აკეთებენ, სანამ ერთი საათით წმინდა ტროფიმეს ეკლესიის საფეხურებზე დასხდებოდნენ და მთებში შეგროვილი სამკურნალო ბალახების პატარა კონებს გაჰყიდდნენ...

აი არლის გალავანიც გამოჩნდა. ესაა დაბალი და ქონგურიანი გალავანი, როგორსაც ძველ გრავიურებზე ხატავენ, სადაც შუბით აღჭურვილი მეომრები მათზე უფრო დაბალი ყორის თავზე ჩნდებიან. ჩვენ ჭენებით გავივლით ამ საუცხოო პატარა ქალაქს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე თვალწარმტაც ქალაქად ჩაითვლება საფრანგეთში; მის მრგვალ, მოჩუქურთმებულ აივნებს, რომელნიც მუშარაბიეს^[43] მსგავსად წინ წამოწეულან ვიწრო ქუჩებში, მის ძველ შავ სახლებს, რომელთაც პატარა და დაბალი მავრიტანული კამაროსანი კარიბჭეები აქვთ, გიომ მოკლევცხვირიანის^[44] და სარკინოზების ეპოქაში გადავყევართ. ამ დროს ჯერ კიდევ არავინ ჩანს გარეთ, მხოლოდ რონის სანაპირო ქუჩაა გაცოცხლებული. ორთქლის გემი, რომელიც კამარგში

მიდის, გასამგზავრებლად ემზადება. ჩვენთან ერთად ერდოზე ლაპარაკით და სიცილით მოწითალო კურტაკიანი გლეხები და ფერმაში სამუშაოდ მიმავალი ლაროკეტელი გოგოები ამოდიან. ამ უკანასკნელთ გრძელი ყავისფერი წამოსასხამები აქვთ, შეკრული დილის სიგრილის გამო, ხოლო არლურად მაღლა დავარცხნილი თმა მათ პატარა და კოხტა თავებს მომხიბლავი სითამამის იერს

ამლევს, თითქოს უნდა წამოდგნენ, იცინონ ან კიდევ უფრო მეტი ეშმაკობა ჩაიდინონო... ზარი რეკს; ჩვენ ვიძვრით. ნაპირები მიჰქრიან რონის, ტალღების მიმწოლი ხრახნისა და მისტრალის სამმაგი სისწრაფით. ერთი მხრით, მოჩანს კროს უნაყოფო და ქვიანი დაბლობი; მეორე მხრით, უფრო მწვანე კამარგი, რომელიც ზღვამდე აღწევს თავის დაბალი ბალახითა და ლერწმიანი ჭაობებით.

დროგამოშვებით გემი პონტონთან ჩერდება მარჯვნივ და მარცხნივ, იმპერიაში ან სამეფოში, როგორც საშუალო საუკუნეებში იტყოდნენ ხოლმე, არლის სამეფოს არსებობის დროს, და როგორც რონის ბებერი მეზღვაურები დღესაც ამბობენ. ყოველ პონტონთან თეთრი ფერმა და ჭალა მოჩანს. ხელსაწყოებით დატვირთული მუშები, კალათიანი დედაკაცები წელში გამართული გადიან ხიდზე. გემი თანდათან იცლება

იმპერიაში თუ სამეფოში გაჩერების დროს და, როცა ის მა-დე-ჟიროს პონტონს აღწევს, სადაც ჩვენც ჩამოვდივართ, თითქმის აღარავინ რჩება შიგ.

მა-დე-ჟირო სენიორ ბარბანტანების ძველი ფერმაა, სადაც ჩვენ შევდივართ, რათა იქ დავუცადოთ დარაჯს, რომელიც ჩვენს წასაყვანად მოვა. მაღალ სამზარეულოში ფერმის მიწის მუშები, მევენახეები, მწყემსები სუფრაზე სხედან და დინჯად, ჩუმად, აუჩქარებლად ჭამენ; მათ დედაკაცები ემსახურებიან. შემდეგ ისინი ისაუბრებენ. ჩქარა დარაჯი გამოჩნდება ოთხთვალათი. ესაა ფენიმორ კუპერის ნამდვილი ტიპი, ხმელეთის და წყლის მონადირე, ნადირობის ზედამხედველიც და თევზაობის ზედამხედველიც; ადგილობრივი მცხოვრებლები მას მორბედს უწოდებენ, იმიტომ რომ ყოველ ჟამს, ალიონის ბურუსში თუ შებინდებისას, ან ლელიანში ჩამალულს ნახავთ, ან უმოძრაოდ მდგომარეს პატარა ნავში, საიდანაც ის ტბორებსა და არხებზე ოჩხებს ადევნებს თვალყურს. შეიძლება ამ მუდმივი გზირის ხელობამ გახადა იგი ასეთი უსიტყვო, ასეთი გულისყურიანი. მაგრამ იმ დროს, როცა პატარა ოთხთვალა, თოფებითა და კალათებით დატვირთული, ჩვენ წინ მიდის, ის სამონადირო ამბებს გვიამბობს, თუ რამდენი გადაფრენა იყო, თუ სად ჩამოეშვნენ მძლევაურები. ამ საუბარში კარგა შორს წავედით.

დამუშავებული ადგილები უკვე გავიარეთ და შუაგულ ველურ კამარგში ვიმყოფებით. სანამ თვალი მისწვდება, სამოვრებზე ჭაობები და სარწყავი არხები ციმციმებენ მლაშობებს შორის. თაფლინდისა და ლერწმის ბუჩქნარები კუნძულებს ჰგვანან წყნარი ზღვის ზედაპირზე. არც ერთი მაღალი ხე არ ჩანს. ერთიანი, თვალუწვდენელი ტრამალის სწორ ზედაპირს არაფერი არღვევს. ერთიმეორის მოშორებით საქონლის ბაკების სახურავები მოჩანს, თითქმის ერთს დონეზე დედამიწასთან. გაფანტული ჯოგები, ბიცნარ ბალახში დაწოლილნი ან მოწითალო წამოსასხამიან მწყემსთან ერთად შეჯგუფულად მიმავალნი, არ ამრუდებენ დიდ ერთფეროვანს ხაზს, იმდენად პატარად მოჩანან ისინი ამ

ლურჯი ჰორიზონტების და ღია ცის დაუსრულებელ სივრცეში. როგორც ზღვის ზედაპირიდან, რომელიც მთლიანია ტალღების მიუხედავად, ამ ტრამალიდანაც მარტოობის და უსაზღვრობის გრძობა გვეუფლება, კიდევ უფრო გამლიერებული მისტრალით, რომელიც დაუბრკოლებლად, დაულალავად ჰქრის და თავისი ღონიერი სუნთქვით თითქოს აფართოებს და ათანასწორებს პეიზაჟს. ყოველივე თავს იხრის მის წინაშე. უმცირესი ბუჩქები ინარჩუნებენ მისი ქროლის გავლენის კვალს და სამხრეთისაკენ გადაღუნული, გაწოლილი რჩებიან, მუდმივი ლტოლვის პოზაში... II. ქოხში

ლერწმის სახურავი, გამხმარი და გაყვითლებული ლერწმისვე კედლები, ესაა ქოხი, ჩვენი ნადირობის შესაკრები ადგილი. ეს ქოხი, რომელიც ტიპიურ კამარგულ შენობას წარმოადგენს, ერთადერთი მაღალი, ფართო ოთახისაგან შესდგება, რომელსაც ფანჯრის მაგივრად მინის კარი აქვს; ამ კარს საღამოთი მთლიანი დარაბებით ხურავენ. ფარდახტიანი, თეთრად შელესილი კედლების გასწვრივ ჯოჯგინები დგანან და თითქოს თოფებს, სანადირო ჩანთებს, ჭაობის ჩექმებს ელიან. სიღრმეში ხუთი თუ ექვსი საწოლია შემომწკრივებული ნამდვილი ანძის გარშემო; ეს ანძა მიწაშია ჩასობილი, სახურავამდე ადის და მის დასაყრდენს წარმოადგენს. ღამით, როცა მისტრალი ჰქრის და სახლი ყოველი მხრიდან ჭრიალებს, როცა ქარი თითქოს შორეულ ზღვას აახლოებს და მის ხმას კიდევ უფრო აძლიერებს, ადამიანს ეგონება, გემის ოთახში ვწევარო.

მაგრამ ქოხი განსაკუთრებით ნაშუადღევსაა მომხიბლავი. მე ჩვენი სამხრეთის ზამთრის მშვენიერ დღეებში სიამოვნებით მარტოდ ვრჩები მაღალ ბუხართან, სადაც

თაფლინდის რამდენიმე ნაჭერი ღვივის. მისტრალის ან ტრამონტანის შემოტევის დროს კარი მიგმიგებს, ლერწამი ჭრიალებს; და მე მეჩვენება, რომ ყოველივე ეს ბიძგი მხოლოდ პატარა გამოძახილია ბუნების დიადი შეზანზარებისა ჩემს გარშემო. ზამთრის მზე, ძალოვანი გრიგალით დევნილი, ჯერ ფანტავს, შემდეგ აერთებს, შემდეგ ხელახლა ფანტავს თავის სხივებს. საუცხოო ლურჯ ცის ქვეშ დიდი ჩრდილები დარბიან. სინათლეც და ხმაურობაც გლეჯით მოდის. ჯოგის ზანზალაკები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ შემოგესმა, შემდეგ ქარში დაიკარგა და დაგავიწყდა, ხელახლა მოძიგმივე კარის წინაშე მღერის მომხიბლავად, როგორც მოძახილი... რჩეული დროა აგრეთვე საღამოს ბინდბუნდი, ცოტათი ადრე მონადირეების დაბრუნებამდე, ქარი ჩადგა. მე გარეთ გავდივარ ერთი წუთით. უზარმაზარი, წითელი, მარამ სითბოს მოკლებული მზე წყნარად ეშვება ხანძარივით აღზნებული. ღამე გაიხლოვდება და გზადაგზა თავისი შავი, სველი ფრთით გეხება. იქ, მიწის ზედაპირზე, თოფის გასროლის სინათლე გაიელვებს წითელი ვარსკვლავივით, რომელსაც გარემომცველი სიბნელე კიდევ უფრო აცხოველებს. სიცოცხლე ჩქარობს დღის

ნაშთი გამოიყენოს. იხვების გრძელი სამკუთხედი დაბლა მოფრინავს, თითქოს მიწაზე დაჯდომა უნდოდეს; მაგრამ უცებ ქოხი, სადაც ჭრაქია ანთებული, მათ აფრთხობს: გუნდის

მეთაური კისერს იგრძელებს და ზევით მიფრინავს, ხოლო მას სხვებიც მიჰყვებიან ველური ყიჟინით.

მალე გაისმის უამრავი ნაბიჯის მოახლოების ხმა, რომელიც წვიმის შრიალს წააგავს... რამდენიმე ათასი ცხვარი, რომელთაც მწყემსები ყვირილით და აქოშინებული ძაღლები სირბილით მოერეკებიან, ბაკებისკენ მოისწრაფვიან შეშინებულნი და არეულ-დარეულნი. მე გარემოცული, გატაცებული ვარ ამ ხუჭუჭა მატყლის, ამ კიკინის ნიაღვრის მიერ; ეს ნამდვილი ზღვის ფრთონაა, სადაც მწყემსებია და მათ ჩრდილებს თითქოს მოცეკვავე ტალღები ატარებენ... ცხვრის ფარის უკან ნაცნობი ნაბიჯები, მხიარული ხმები გაისმის. ქოხი ივსება, ცოცხალი და ხმაურიანი ხდება. ბუხარში გამხმარი ვაზი იწვის. რაც მეტია დადლილობა, მით მეტია სიცილიც. ეს სასიამოვნო დადლილობით გამოწვეული თავბრუდახვევაა. თოფები კუთხეშია მიყუდებული. მაღალყელიანი ჩექმები არეულ-დარეულად ჰყრია, ჩანთები დაცარიელებულია, ხოლო გვერდით მოწითალო ფერის, ოქროცურვებული, მწვანე ან ვერცხლისფერი ფრთოსნები მოჩანან, სისხლით შესვრილი სუფრა გაშლილია და თევზის გემრიელი წვნიანის ოხშივარის გარშემო დუმილი მყარდება, ჯანსაღი, მაღიანი ადამიანების დიდი დუმილი, რომელსაც მხოლოდ ძაღლების ბრაზიანი ღრენა არღვევს; ისინი სიბნელეში თავიანთ ჯამებს სვლეპენ კართან.

ფხიზლად ყოფნა დიდხანს არ გრძელდება. ჩქარა ცეცხლის პირას, რომელსაც აგრეთვე თვალები ეხუჭება, აღარავინ რჩება დარაჯსა და ჩემს გარდა. ჩვენ ვსაუბრობთ, ესე იგი დროგამომშვებით სიტყვის ნაწყვეტებს ვესვრით ერთმანეთს, როგორც გლეხებმა იციან ხოლმე; ერთმანეთს ვესვრით რაღაც, თითქმის ინდიურ შორისდებულთ, მოკლესა და სწრაფს, რომლებიც ადვილად ჰქრება როგორც დამწვარი ვაზის უკანასკნელი ნაპერწკლები. ბოლოს დარაჯი წამოდგება, ფარანს ანთებს, და მე მესმის, როგორ იკარგება მისი მძიმე ნაბიჯის ხმა ღამის წყვილიაღში.

III. საიმედოზე (საფარში)

საიმედო! რა მშვენიერი სიტყვაა საფარის გამოსახატავად; რა კარგად ახასიათებს იგი ჩასაფრებული მონადირის ლოდინს და იმ გაურკვეველ საათებს, როდესაც ყველაფერი რაღაცას ელის, იმედოვნებს, ყოყმანობს დღესა და ღამეს შორის. დილის საფარი ცოტათი ადრე მზის ამოსვლამდე და საღამოს საფარი დაისში! მე უკანასკნელი

მირჩევნია, განსაკუთრებით ამ ჭაობიან ქვეყანაში, სადაც ტბორები დიდხანს ინარჩუნებენ სინათლის ანარეკლს.

ხანდახან საფრად პატარა, ვიწრო, უხერხემლო ნავს იყენებენ, რომელიც ყირავდება უმცირესი უხერხული მოძრაობის დროს. ლერწამს მოფარებული მონადირე იხვებს უთვალთვალეებს თავისი ნავიდან, საიდანაც ამოყოფილია მხოლოდ ქუდის წინაფრა, თოფის ლულა და ძაღლის თავი, რომელიც ჰაერს იყნოსავს, მწერებს იჭერს ან კიდევ თავისი დიდი გაჭიმული თათებით იმდენად ხრის მთელ ნავს, რომ ის წყლით ივსება. ასეთი საფარი მეტისმეტად რთულია ჩემსავით გამოუცდელი მონადირისათვის. ამიტომ უფრო ხშირად მე საიმედოზე ფეხით მივდივარ და ჭაობში უზარმაზარ ჩექმებს მივაჭყაპუნებ, გამოჭრილს მთელი ტყავის სიგრძეზე. ნელა მივაბიჯებ, ფრთხილად, მეშინია არ ჩავიფლო, განზე ვწევ მომლაშო სუნით გაჟღენთილ და ბაყაყებით სავსე ლერწმებს...

ბოლოს, აი თაფლინდის კუნძული, მშრალი მიწის კუთხე, სადაც მე ვთავსდები. დარაჯმა, ჩემ პატივსაცემად, თავისი ძაღლი მე დამიტოვა; ესაა უზარმაზარი პირენის

ძაღლი, გრძელი და თეთრი ბეწვით დაფარული, პირველი ხარისხის მონადირე და მცურავი, რომლის მეზობლობა, ცოტა არ იყოს, მაკრთობს. როცა ჩემ წინ ერთი გასროლის მანძილზე წყლის ქათამი გადაფრინდება ხოლმე, ის რაღაც ირონიულად შემომხედავს და თავისი არტისტული მოძრაობით უკან გადაიგდებს ორ გრძელ დონდლო ყურს, რომლებიც მას თვალეზამდე უწევს; შემდეგ მოდის მისი ნაბულის პოზები, მისი კუდის ქიცინი, მისი მოუთმენლობის გამომეტყველი მიმიკა, თითქოს მეუბნებოდეს:

– ესროლე... ესროლე რაღა!

ვისვრი და ვაცდენ. მაშინ მთელი სხეულით მიწაზე გართხმული, ის ამთქნარებს და იზმორება, დაღლილი, იმედგაცრუებული და თავხედი იერით...

ძალიან კარგი! თანახმა ვარ, რომ ცუდი მონადირე ვარ. რა არის საფარში დგომა ჩემთვის? დაისის მოახლოება, მიმავალი სინათლე, რომელიც წყალში პოულობს უკანასკნელ თავშესაფარს, მოლაპლაპე ტბორები, რომელნიც ვერცხლისფრად ასახავენ ხოლმე დაბნელებული ცის ნაცრისფერ ტონს. მე მიყვარს ეს წყლის სუნი, მწერების

იდუმალი შრიალი ლელიანში, გრძელი მთრთოლვარე ფოთლების მსუბუქი ჩურჩული. დროდადრო ცაში სევდიანი ბგერა გაისმის, თითქოს ზღვის ნიჟარა გუგუნებდეს. თევზისმჭერი ფრინველი – წყლის ბუღა წყალში უშვებს თავის ვეებერთელა ნისკარტს. და ქმინავს... რრუუუ... წეროები თავზე დამფრენენ. მე მესმის მათი ფრთების შრიალი, ვხედავ, როგორ აფრიალებს ნიავი მათ ბუმბულს, მესმის მოღლილი პატარა ჩონჩხის ტკაცუნა. შემდეგ აღარაფერი რჩება, გარდა ღამის წყვდიადისა და ცოტაოდენი სინათლის ციაგისა წყლის ზედაპირზე...

უცებ ტანში ჟრუანტელი მივლის და რაღაც ნერვიულობას ვგრძნობ, თითქოს ჩემს უკან ვიღაც იდგეს. მოვტრიალდები და მშვენიერი ღამეების თანამგზავრს ვხედავ, მთვარეს, ფართო, მრგვალ მთვარეს, რომელიც მშვიდად ამოდის, თავდაპირველად მეტად შესამჩნევად მოძრაობს, ხოლო შემდეგ სვლას ანელებს, რაც უფრო შორდება ჰორიზონტს.

ჩემს მახლობლად უკვე პირველი სხივი ჩანს გარკვევით, შემდეგ მეორე – ცოტათი მოშორებით... ახლა მთელი ჭანჭრობი ანთებულია. უმცირესი ბალახის ღერო ჩრდილს

ისვრის. საფარში დგომა დასრულებულია, ფრინველები გვხედავენ: შინ უნდა დავბრუნდეთ. ჩვენ მივაბიჯებთ ლურჯი, მსუბუქი, მტვრიანი სინათლის ნიაღვარში; და თვითველი ჩვენი ნაბიჯის გადადგმა გუნდ-გუნდად აციმციმებს ტბორებსა და არხებში ჩაცვინულ ვარსკვლავებსა და მთვარის სხივებს, რომელნიც წყლის ღრმა ფსკერამდე აღწევენ. **IV. წითელი და თეთრი**

ჩვენს მახლობლად, ერთი თოფის გასროლის მანძილზე ჩვენი ქოხიდან, მეორე ქოხია, რომელიც მას წააგავს, მაგრამ კიდევ უფრო სოფლური ყაიდისაა. იქ ცხოვრობს ჩვენი დარაჯი თავისი ცოლითა და ორი უფროსი შვილით: ქალიშვილი ზრუნავს მამაკაცების სადილზე, სათევზაო ბადეების შეკეთებაზე; ბიჭი ოჩხების დადგმაში შველის და რაბებს მეთვალყურეობს ტბორებზე. ორი უმცროსი ბავშვი არლშია დიდედასთან; ისინი იქ დარჩებიან, სანამ წერაკითხვას ისწავლიდნენ და პირველ ზიარებას მიიღებდნენ, ვინაიდან აქ ეკლესიაც და სკოლაც შორსაა, და ამას გარდა კამარგის ჰაერი არ უხდებოდა ამ პატარებს. საქმე ისაა, რომ როცა ზაფხული დგება, ჭაობები შრება და არხების თეთრი ლამი სკდება პაპანაქება სიცხეში, კუნძულზე სწორედ რომ არ იდგომება.

მე ის ერთხელ აგვისტოს თვეში ვნახე, გარეულ იხვეებზე სანადიროდ რომ მოვედი, და არასოდეს არ დამავიწყდება ამ ცეცხლოვანი პეიზაჟის სევდიანი და მკაცრი სახე. აქა-იქ მზეზე გუბურებს ოხშივარი ასდიოდა, როგორც უზარმაზარ ქვაბებს; სიცოცხლის ნაშთი მხოლოდ მათს ფსკერზე შერჩენილიყო. აქ ჯოჯოები, ობობები, წყლის მწერები ფუთფუთებდნენ; ისინი სველ კუთხეს ეძებდნენ. ჰაერი დახამშული იყო, დედამიწაზე მძიმედ ირხეოდა ხრწნადი სხეულების ანაორთქლის ბურუსი, რომელსაც კიდევ უფრო ამძიმებდა ურიცხვი ქინქლის ქარაშოტი. დარაჯის ოჯახში ყველას აკანკალებდა, ყველას ციებ-ცხელება ჰქონდა; საცოდაობა იყო ამ გაყვითლებული, დაგრძელებული, თვალგაფართოებული და თვალმჩაღამებული უბედური ადამიანების ცქერა, რომელნიც განწირულნი იყვნენ, სამი თვის განმავლობაში სიცოცხლე ეჩანჩალებინათ ამ ულმობელი მზის ქვეშ, რომელიც ციებ-ცხელებიანებს სწვავს, მაგრამ არ ათბობს. მწუხარებით აღსავსე და მძიმეა ნადირობის მეთვალყურის

ცხოვრება კამარგში. ამას მაინც ცოლი და ბავშვები ჰყავს გვერდით; ორი ლიეს მანძილზე კი მისგან, ჭაობში

ცხენების დარაჯია დასახლებული, რომელიც სრულიად განმარტოებულია და ნამდვილი რობინზონივით ცხოვრობს. მის მიერვე აშენებულ ლერწმის ქოხში არ არის არც ერთი ხელსაწყო ან ავეჯი, რომელიც მისი ნახელავი არ იყოს, ტირიფის დაწნული ჰამაკისა, კერასთან შემოწყობილი სამი შავი ქვისა, თაფლინდის ხისგან გამოჭრილი მერხებიდან დაწყებული თეთრი ხის ბოქლომსა და გასაღებამდე, რომელნიც ამ უცნაურ ბინას კეტავენ.

თვით ეს ადამიანი არა ნაკლებ უცნაურია, ვიდრე მისი სადგომი. ესაა განდეგილივით მდუმარე ფილოსოფოსი, რომელიც გლახურად უნდობელ გამოხედვას ფარავს სქელი წარბების ტევრს ქვეშ. როცა ის საძოვარზე არ არის, თავის ქოხის კართან ზის და ბავშვური გულმოდგინებით, ჩათვლით კითხულობს ერთ-ერთ პატარა ვარდისფერ, ლურჯ ან ყვითელ ბროშურას, რომელიც მისი ცხენების წამლის შუშებს აქვს შემოხვეული, როცა ისინი აფთიაქიდან მოაქვთ. ამ საბრალოს სხვა გასართობი არ გააჩნია, გარდა კითხვისა, საკითხავად კი მხოლოდ ეს ბროშურები აქვს. ჩვენი დარაჯი და ის არასოდეს ერთმანეთს არ ხვდებიან, თუმცა მათი ქოხები მეზობლად არიან. ერთმანეთს კიდეც გაურბიან. ერთხელ, როცა ჩვენს „მორბედს“ ვკითხე, რით აიხსნება ეს თქვენი ურთიერთ სიძულვილი-მეტეჟი, მან სერიოზული სახით მიპასუხა:

– რწმენის მიზეზით... ის წითელია, მე კი თეთრი ვარ.

ამრიგად, ამ უდაბნოში, სადაც მარტოობას ისინი თითქოს ერთმანეთისათვის უნდა დაეახლოვებინა, ეს ორი ველური, ერთნაირად უმეცარი და გულუბრყვილო, ეს თეოკრიტეს ორი მეჯოგე, რომელნიც ქალაქში წელიწადში ერთხელ ძლივს მოხვდებიან და რომელთაც არლის პატარა ყავახანები მათი ვარაყითა და სარკეებით პტოლომეების^[45] სასახლესავით აოცებენ, თავიანთ პოლიტიკურ მრწამსში საშუალებას პოულობენ ერთმანეთის შესაძულებლად.

V. ვაკარესი

კამარგში არაფერია ვაკარესზე უფრო მშვენიერი. ხშირად ნადირობას თავს ვანებებ და ამ მლაშე ტბის ნაპირას ვჯდები, ამ პატარა ზღვის ნაპირას, რომელიც თითქოს დიდის ნაჭერია, ხმელეთით არის გარემოცული და მოშინაურებულია თავისი ტყვეობის გამო. გამოფიტულობის და უნაყოფობის მაგივრად, რომელნიც ჩვეულებრივ ამ ადგილებს სევდიან სახეს აძლევენ, ვაკარესი თავის ცოტათი მომაღლო ნაპირზე, ნაზი ხავერდოვანი მოლით ამწვანებულზე, თავისებურ და მომხიბლავ მცენარეულობას

გვთავაზობს: ასისტავას, წყლის სამყურას, ჩანტიანს და ლამაზ სალადელებს, რომელნიც ლურჯი არიან ზამთარში და წითელი ზაფხულში, ფერს იცვლიან

ატმოსფეროს ცვალებადობის მიხედვით და, განუწყვეტლივ აყვავილებულნი, სეზონებს აღნიშნავენ კოლორიტის სხვადასხვაობით.

სადამოს ხუთ საათზე, როცა მზე გადაიწვერება, ეს სამი მილის სიგრძე წყლის აუზი, სადაც არც ერთი ნავი, არც ერთი იალქანი არ ჩანს, რათა მისი სივრცე განსაზღვროს ან შესცვალოს, საუცხოო სანახავია. ეს უკვე არ არის ამ ტბორების არხების ინტიმური მომხიბლაობა, რომელნიც აქა-იქ ჩანან თიხა-კირიანი ნიადაგის ნაოჭებში და რომელთა ქვეშ ყველგან წყლის ქვენაკადს გრძნობთ, პირველსავე ფეხის დაჭირებაზე ამოსახეთქად გამზადებულს. აქ შთაბეჭდილება ფართოა და დიადი.

ტალღების ეს ციმციმი შორიდან იზიდავს შავი იხვების, ყანჩების, წყლის ბუღების, თეთრძვერდიანი და ვარდისფერფრთებიანი ფლამინგოების გუნდებს, რომელნიც ნაპირზე მწკრივდებიან სათევზაოდ, ისე რომ მათი სხვადასხვა ფერი ერთ გრძელ ზოლს ჰქმნის; შემდეგ მოდიან იბისები, ნამდვილი ეგვიპტური იბისები, რომელნიც თავიანთ თავს შინ გრძნობენ ამ ბრწყინვალე მზის ქვეშ და ამ მდუმარე ბუნებაში. მართლაც, ჩემი ადგილიდან არაფერი მესმის, გარდა წყლის შხაპუნისა და დარაჯის ხმისა, რომელიც ტბის ნაპირზე გაფანტულ ცხენებს უძახის. ამათ მეტად კეთილხმოვანი სახელები აქვთ: ციფერი (ლუციფერი).. ესტელო! ესტურნელო!.. თავისი სახელის გაგონებაზე ცხოველი ფაფარგამილილი მორბის და შვრიას სჭამს დარაჯის ხელიდან.

ცოტა მოშორებით, იმავე ნაპირზე, ხარების დიდი ჯოგი სძოვს ცხენებივით, თავისუფლად. დროდადრო თაფლინდების ქოჩორს ზემოთ მათ დახრილი ქედები და მათი ახალ მთვარესავით მოღუნული რქები მოჩანს. კამარგის ხარებს, უმეტეს ნაწილად, ფ ე რ რ ა დ ე ბ ზ ე, ე ი. სოფლის დღეობაზე შესაჯიბრებლად ზრდიან; და ზოგიერთ მათგანს უკვე სახელი აქვს მოხვეჭილი პროვანსის და ლანგედოკის ცირკებში. ერთ მეზობელ ჯოგში, სხვათა შორის, იმყოფება საშიში მებრძოლი, სახელად რომაელი, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი ადამიანი და ცხენი გაუფატრავს არლის, ნიმისა და ტარასკონის შეჯიბრებებზე, ამიტომ მის ამხანაგებს ის ბელადად აურჩევიათ; ამ უცნაურ ჯოგებში ცხოველები თვითონ მართავენ თავიანთ თავს და ჯგუფდებიან ამა

თუ იმ ხნიერი ხარის გარშემო, რომელსაც თავიანთ წინამძღოლად ირჩევენ. როცა კამარგს ქარიშხალი გადაუვლის, მით უფრო საშინელი, რომ მას ხელს არაფერი არ უშლის და არაფერი არ აჩერებს, თქვენ უნდა ნახოთ, როგორ ირაზმებიან ხარები თავიანთი ბელადის უკან, როგორ ხრიან თავებს და როგორ უშვერენ ქარს ფართო შუბლებს, რომლებშიც მთელი მათი ძალაა თავმოყრილი. ჩვენი პროვანსული მწყემსები ამას „რქის ქარისაკენ მიშვერას“ ეძახიან; და ვაი იმ ჯოგს, რომელიც ასე არ იქცევა. წვიმით დაბრმავებული, ქარიშხლით გატაცებული ჯოგი ტრიალებს, იბნევა, იფანტება, და თავგზადაკარგული ხარები, რომელნიც

გარბიან, რათა ქარიშხალს თავი დააღწიონ, რონაში, ვაკარესში ან ზღვაში ვარდებიან.

ყაზარმის მონატრება

ამ დილით, გარიჟრაჟზე, უცებ დოლის საშინელმა გრიალმა გამაღვიძა: დიპლიპიტომ, დიპლი-პიტომ... დოლი ამ დროს ჩემს ფიჭვებში!.. აი მართლაც რომ საოცარი ამბავი! საჩქაროდ წამოვხტები ლოგინიდან და კარის გასაღებად მივრბივარ.

არავინაა! ხმაურობა შეწყდა. ნამიანი ველური ვენახიდან ორი თუ სამი ღალღა გაფრინდა ფრთების ფარფატიტ... ნელი სიო მღერის ხეებს შორის... აღმოსავლეთისაკენ, ალპილების მახვილ თხემზე, ოქროს მტვერი გროვდება, საიდანაც მზე ამოდის ნელ-ნელა... პირველი სხივი უკვე ეხება წისქვილის სახურავს. იმავე წუთში ველებზე ხელახლა უხილავი დოლის ცემა გაისმის მოფარებული ადგილიდან: დიპლი-პიტომ! დიპლი-პიტომ!

ემმაკსაც წაუღია ეს ვირის ტყავი! მე ის დამავიწყდა კიდევ. მაგრამ ვინ არის ეს ველური, რომელიც განთიადს ტყიდან დოლით აძლევს ალამს... ყურადღებით ვიცქირები, მაგრამ ვერაფერს ვხედავ... ვერაფერს, გარდა სუმბულის ჩირგვებისა და ფიჭვებისა, რომელნიც გზის პირამდე ჩამორბიან... შეიძლება იქ, ტევრში, რომელიმე ჭინკაა დამალული, რათა სასაცილოდ ამიგდოს... ეს უეჭველად არიელი ან ოსტატი პუკია^[46]. იმ ტაკიმასხარამ შეიძლება გულში გაიფიქრა ჩემი წისქვილის წინ გავლის დროს:

– ეს პარიზელი კაცი მეტისმეტად წყნარად ცხოვრობს აქ; მოდი ერთი ალბას ვუმღერებ^[47].

და მაშინვე დიდი დოლი აიღო და დიპლი-პიტომ! დიპლი-პიტომ დადუმდები თუ არა, შე გიჟო პუკო! ჩემს ჭრიჭინებს გამიღვიძებ. ეს არ იყო პუკი.

ეს იყო გუგე ფრანსუა, სახელწოდებით პისტოლე, 31-ე ათასეულის მედოლე, ამჟამად

შვებულებაში მყოფი მთელი ნახევარი წლით. პისტოლე მოწყენილია სოფელში, ის სევდას შეუპყრია დოლის გამო, და თუ თემის საკრავი ათხოვეს, მელანქოლიურად ტყეში მიდის მის დასაკრავად და თან პრინცი ევგენის ყაზარმაზე ოცნებობს.

დღეს ჩემ პატარა მწვანე გორაკზე მოსულა საოცნებოდ... ის იქ დგას, ფიჭვის ხეს მიყრდნობილი, ფეხებს შუა დოლი გაუჩრია და გულს იჯერებს დაკვრით...

შეშინებული გნოლები ფეხებში უფრინდებიან, ის მათ ვერც კი ამჩნევს; მის გარშემო ტყის ყვავილები სურნელებას აკმევენ, ის ვერაფერს გრძნობს.

ვერ ხედავს ვერც ობობას ნაზ ქსელს, რომელიც მზეზე თრთის ხის შტოებს შორის, ვერც ფიჭვის წიწვს, რომელიც მის დოღზე ცეკვავს. სავსებით თავის ოცნებასა და თავის მუსიკაში წასული, ის სიყვარულით უცქერის, როგორ ხტიან მისი პატარა ჯობები, და მისი ფართო ყეყეჩი სახე სიამოვნებით იბადრება, იმლება ყოველ დარტყმაზე. დიპლი-პიტომ! დიპლი-პიტომ!

„ოჰ, წკრიალა კიბეები, კირით შელესილი დერეფნები, ჯარისკაცის ოთახების თავისებური სუნი, გაპრიალებული ყაბიწი, პურის საჭრელი ფიცარი, ზუმბურხეთის კოლოფი, რკინის საწოლი და ნაცრისფერი საბანი, ჯოჯგინად დაწყობილი გაკრიალებული თოფები!“ დიპლი-პიტომ! დიპლი-პიტომ!

ოჰ, გუშაგად დგომის მშვენიერი დღეები, ბანქოს ქაღალდი, რომელიც თითებს ეწებება, დაღრეჯილი ყვავის ქალი, კალმით მიხატულ-მოხატული, ძველი, გაშლილი პიგო ლებრენი¹⁴⁸¹, რომელიც სამხედრო საწოლზე აგდია.“ დიპლი-პიტომ! დიპლი-პიტომ!

„ოჰ, ყარაულობის გრძელი ღამეები სამინისტროების კარებთან, ძველი ჯიხური, სადაც წვიმა უმზაპუნებს! გაცივებული ფეხები!.. ბრწყინვალე ეტლები, რომელნიც ტალახს გასხამენ გავლის დროს!.. ოჰ, ზედმეტი ჯაფა, სასჯელის დღეები, მყრალი გოვზაკი, ხის კუნძი ბალიშის მაგივრად, ბუკის ხმა ცივი წვიმიანი დღის ალიონზე, სადამოს ბუკი ბურუსიან დღეებში, როცა გაზი ინთება; ღამის გამოძახება, რომელზედაც აქომინებული მირბიხარ!“ დიპლი-პიტომ! დიპლი-პიტომ!

„ოჰ, ვენსენის ტყე, მსხვილად დართული ბამბის ხელთათმანები, ციხესიმაგრეებზე გასეირნება... ოჰ, სკოლის ბარიერი, ჯარისკაცების გოგონები, მიზანში სროლა, მდარე თეატრებში აზზინდის არაყის გადაკვრა, გულახდილი საუბარი, რომელსაც დროდადრო სლოკინი სწყვეტს, ამოწვდილი მახვილი, სანტიმენტალური რომანსი, რომელიც გულზე ხელდადებული იმღერება!“...

* * *

იოცნებე, იოცნებე, საბრალო ადამიანო! მე შენ ხელს არ შეგიშლი... თამამად ურტყი შენს დოღს, ურტყი, რაც ძალა და ღონე გაქვს: მე უფლება არა მაქვს შენ სასაცილოდ ჩაგთვალო.

თუ შენ შენი ყაზარმა გენატრება, განა მე კი ჩემი არ მენატრება?

ჩემი პარიზი თან მსდევს, როგორც შენ – შენი პარიზი. შენ დოღს უკრავ ფიჭვის ხეებს

ქვეშ; მე კი აქ ვწერ... აჰ, კარგი პროვანსელები ვართ, რა სალაპარაკოა! იქ, პარიზის ყაზარმებში, ჩვენ სინანულით ვიგონებთ ჩვენს ლურჯ ალპილებს და სუმბულის ველურ სურნელებას; აქ, შუაგულ პროვანსში, ყაზარმა გვენატრება, და ყოველივე, რაც მას გვაგონებს, ჩვენთვის ძვირფასია...

* * *

სოფელში რვა საათი დარეკა. პისტოლე შინ ბრუნდება, მაგრამ პატარა ჯოხებს არ ეშვება... კარგად ისმის, როგორ ჩამოდის ის ტყიდან დოლის თამაშით... და მე, მოლზე წამოწოლილს, ნატვრით დაავადებულს, მეჩვენება, რომ მთელი ჩემი პარიზი ჩემს თვალწინ გაივლის ფიჭვის ხეებს შორის მიმავალი დოლის ხმაზე... აჰ, პარიზი! პარიზი!.. მუდამ პარიზი!

ავტორისაგან

პამპერიგუსის ნოტარიუსის ბატონი ჰონორა გრაპაზის წინაშე წარსდგა: ბატონი გასპარ მიტიფიო, ქმარი ვივეტა კორნილისა, ფერმერი, სიგალიერად წოდებული დაბიდან და იქვე მცხოვრები, რომელმაც ამა საბუთით მიჰყიდა და იურიდიულ და ფაქტიურ მფლობელობაში გადასცა ბატონ ალფონს დოდეს, პოეტს, მცხოვრებს პარიზში, აქ დამსწრეს და ამის თანახმას, ყოველი ვალებისა და პრივილეგიებისა და ჰიპოთეკებისაგან თავისუფალი ქარის წისქვილი, მდებარე რონის ხეობაში, პროვანსის შუაგულში, ფიჭვებითა და მუდმივ მწვანე მუხებით დაფარულ ფერდობზე; რომელი წისქვილიც უკვე ოც წელზე მეტია მიტოვებულია და გამოუსადეგი სამუშაოდ, რაც ჩანს იქიდან, რომ ტყიური ვაზი, ხავსი, როზმარინი და სხვა სარეველა მცენარეები მას ეხვევიან ფრთების ბოლოებამდე.

ამისდა მიუხედავად, ბატონი დოდე აცხადებს, რომ აღნიშნული წისქვილი, როგორც ის არის და რა მდგომარეობაშიაც იმყოფება თავისი დიდი გატეხილი ბორბლით და თავისი ხავსმოსილი აგურის ბანით, მას შესაფერისად და გამოსადეგად მიაჩნია

თავისი პოეტური სამუშაოებისთვის და ის ყიდულობს მას და კისრულობს ყოველივე ზარალს, ისე, რომ ყოფილ მფლობელს არ მოსთხოვს ანაზღაურებას, რაც მის შეკეთებას შეიძლება დასჭირდეს.

ეს შესყიდვა მოხდა ნარდად, სათანადო ფასის გადახდით, რომელიც ბატონმა დოდემ, პოეტმა, შეიტანა კანტორაში ახლანდელი კურსის მიხედვით და რომელიც სრულად გადაეცა ბატონ მიტიფიოს ქვემოთ ხელისმომწერი ნოტარიუსებისა და მოწმეების თანდასწრებით. ეს ნასყიდობის აქტი შედგენილია პამპერიგუსტში, ჰონორას კანტორაში, თანდასწრებით მედუდუკე ფრანსე მამაისა და თეთრმომნანიებელთა მედროშის, ქვიქედ წოდებული ლუიზესი, რომელთაც წაკითხვის შემდეგ ხელი მოაწერეს მხარეებსა და ნოტარიუსთან ერთად...

[1] ჟემაპი-ქალაქია ბელგიაში, სადაც 1792 წ. საფრანგეთის რევოლუციურმა ჯარებმა ავსტრიელები დაამარცხეს

[2] პომპონი- ბურთის მსგავსი სამკაული ქუდსა ან მუზარადზე, ამ შემთხვევაში კი ცხოველის თავზე გასაკეთებლად.

[3] ბოკერი - ქალაქი რონის მარჯვენა ნაპირას, ქალაქ ტარასკონის პირდაპირ.

[4] კამარგი - კუნძული რონის დელტაში.

- [51] ვიტელიუსი - რომაელი იმპერატორი, ცნობილი მფლანგველობითა და უძღვებობით.
- [61] მისტრალი ცივ და მშრალ ქარს ეწოდება სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში.
- [71] ფარანდოლა- ჩქარტემპიანი პროვანსული ფერხული.
- [81] ტრამონტანი - ჩრდილოეთის ქარი პროვანსში.
- [91] ესმერალდა - ვიქტორ ჰიუგოს რომანის „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ერთ-ერთი გმირი, მშვენიერი ბოშის ქალიშვილი, რომელსაც მუდამ თან დაჰყავდა მოვარაყებულრქებიანი თიკანი - ჯალი.
- [101] ყველა ეს პოპულარული ასტრონომიული დეტალი ამოღებულია „პროვანსული აღმანახიდან“, რომელიც ავინიონში იბეჭდება - ავტ.
- [111] ავინიონი - ქალაქი რონის ნაპირას; პაპათა რეზიდენცია ე.წ. ავინიონის ტყვეობის დროს (1309-1377 წლ.)
- [121] თუმცა პროვანსში მართლა არსებობს პროვანსელი პოეტების მიერ დაარსებული „ჭრიჭინათა საზოგადოების“ ბიბლიოთეკა, მაგრამ აქ ავტორი ირონიულად ლაპარაკობს და ნამდვილად ბუნებას გულსხმობს.
- [131] ივეტო - დაბა ჩრდილო საფრანგეთში, რომელსაც გადმოცემით შუა საუკუნეებში ჰყავდა მეფე, განსაკუთრებით სახელგანთქმული თავისი უბრალოებით და გულკეთილობით. ჟანეტონი მისი სატრფო იყო. ბერანჟემ ამ თემაზე დაწერა თავისი ცნობილი სიმღერა, მიმართული ნაპოლეონ პირველის წინააღმდეგ.
- [141] სატანის ადვოკატი ეწოდებოდა იურისტს, რომელიც ამა თუ იმ გარდაცვალებულის წმინდანის კანონიზაციის დროს ეჭვს გამოთქვამდა მის მიერ ჩადენილ სასწაულმოქმედებათა შესახებ.
- [151] სკოპა - ბანქოს თამაში.
- [161] პლუტარქი (1 საუკ. ქრ. შემ.) - გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, რომელმაც სახელგანთქმულ ბერძენთა და რომაელთა ბიოგრაფიები დაწერა.
- [171] დემეტრე ფალერელი (345-283 ქრ.წ.) - ბერძენი ფილოსოფოსი, ათინის მმართველი ათი წლის განმავლობაში; დიდი მონაწილეობა მიიღო ალექსანდრიის წიგნთსაცავის

დაარსებაში; მისი ისტორიული, ფილოსოფიური და გრამატიკული ნაწერები დაკარგულია.

- [18] კაპიუშონი - წოწოლა თავსაბურავი, რომელიც, ჩვეულებრივ, წამოსასხამის ზედა ნაწილს წარმოადგენს.
- [19] კათოლიკების რწმენით ზოგიერთი მიცვალებულის სულმა რამდენიმე ხანი ე.წ. სალხინებელში უნდა დაჰყოს, რათა იქიდან სრულიად განწმენდილი სამოთხეში გადავიდეს.
- [20] სახარების მოთხრობის მიხედვით, პეტრე მოციქულმა იესო ქრისტეს დაჭერის ღამეს მამლის ყივილამდე სამჯერ უარჰყო, რომ ის მისი მოწაფე იყო.
- [21] შენ უფალო.
- [22] ერკმანი (1822-1899) და შატრიანი (1826-1890) - ფრანგი მწერლები ხალხოსნური მიმართულებისა, „გლეხი კაცის ისტორიის“ ავტორები.
- [23] ემილ ჟირარდენი (1806-1881) - ოპორტუნისტი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი; იაფფასიანი, რეკლამებზე დაყრდნობილი პრესის შემქმნელი.
- [24] შარლ ბარბარა (1822-1866) - ფრანგი მწერალი, მრავალი რომანისა და ნოველების კრებულის - „ცხოვრების ქარიშხლების“ ავტორი.
- [25] ფ. მისტრალი (1830-1914) - გამოჩენილი პროვანსელი პოეტი; მისი პოემებიდან ყველაზე მეტად ცნობილია „მირეილი“ (1858) და „კალენდალი“ (1864).
- [26] მიშელ მონტენი (1533-1592) - დიდი ფრანგი მწერალი, სკეპტიკოსი მოაზროვნე, ავტორი სახელგანთქმული „ცდებისა“.
- [27] შაქტასი - ამერიკელ წითელკანიანთა ერთი ტომის მამასახლისი, შატობრიანის მოთხრობების გმირი.
- [28] თეოკრიტე (მესამე საუკუნის პირველი ნახევარი ძველი წელთაღრიცხვით) - ბერძენი პოეტი, ავტორი „იდილიებისა“ და „ეპიგრამებისა“, პასტორალური ჟანრის ოსტატი.
- [29] აღსარება
- [30] ვილოცოთ
- [31] ჩემი შეცოდება
- [32] განვედით, წირვა დასრულებულია.

- [33] მადლობა უფალს.
- [34] მარაბუ - მაჰმადიან განდევილთა სავანე.
- [35] დუარი - არაბების კარავი.
- [36] ტიურკოსები - ალჟირელი მსროლელები ფრანგულ ჯარში.
- [37] ერაზმ როტერდამელი (1466-1536) - სახელგანთქმული ჰუმანისტი. მეფეების და პაპების მეგობარი. ავტორი სქოლასტიკის წინააღმდეგ მიმართული „სისულელის ხოტბისა“.
- [38] ასუსი (1604-1679) - ფრანგი პოეტი, პაროდების ავტორი, სკარონის მიმბაძველი.
- [39] ეგრეთ წოდებული წმინდა ნაწილის დღესასწაული, დაწესებული 1264 წ. პაპი ურბან IV მიერ.
- [40] ანგელუსი - ღვთისმშობლის ლოცვა და მისი მაუწყებელი ზარი კათოლიკურ ქვეყნებში.
- [41] კურთხეულ არს ჭემმარიტად.
- [42] უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- [43] მუშარაბიე - ხის მჭიდრო გისოსი ფანჯრისათვის აღმოსავლეთში.
- [44] იგულისხმება გიომ ორანჟელი, მოკლევცვირიანად წოდებული, რადგან მას ცხვირის წვერი ჩამოათაღეს ბრძოლის დროს; ნახევრად ისტორიული პიროვნება, კარლოს დიდის ვასალი; მრავალი ფრანგული რაინდული პოემის გმირია.
- [45] პტოლომეები - ბერძნულ-მაკედონური წარმოშობის დინასტია, რომელმაც მეოთხე საუკუნეში ჩ.წ. ბრწყინვალე მონარქია დააარსა ეგვიპტეში. მათი სატახტო ქალაქი ალექსანდრია აყვავებული კულტურის ცენტრად იქცა.
- [46] არიელი წყლის სულია, ხოლო პუკი - კერის გენია ევროპელი ერების დემონოლოგიაში.
- [47] ალბა - დილის სიმღერა ტრუბადურების პოეზიაში.
- [48] პიგო ლებრენი (1753-1851) - ფრანგი რომანისტი; ლაპარაკია მის რომელიმე წიგნზე.
- [1] ჟემაპი-ქალაქია ბელგიაში, სადაც 1792 წ. საფრანგეთის რევოლუციურმა ჯარებმა ავსტრიელები დაამარცხეს

- [12] პომპონი- ბურთის მსგავსისამკაული ქუდსა ან მუზარადზე, ამ შემთხვევაში კი ცხოველის თავზე გასაკეთებლად.
- [13] ბოკერი - ქალაქი რონის მარჯვენა ნაპირას, ქალაქ ტარასკონის პირდაპირ.
- [14] კამარგი - კუნძული რონის დელტაში.
- [15] ვიტელიუსი - რომაელი იმპერატორი, ცნობილი მფლანგველობითა და უძღვებობით.
- [16] მისტრალი ცივ და მშრალ ქარს ეწოდება სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთში.
- [17] ფარანდოლა- ჩქარტემპიანი პროვანსული ფერხული.
- [18] ტრამონტანი - ჩრდილოეთის ქარი პროვანსში.
- [19] ესმერალდა - ვიქტორ ჰიუგოს რომანის „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ერთ-ერთი გმირი, მშვენიერი ბოშის ქალიშვილი, რომელსაც მუდამ თან დაჰყავდა მოვარაყებულრქებიანი თიკანი - ჯალი.
- [100] ყველა ეს პოპულარული ასტრონომიული დეტალი ამოღებულია „პროვანსული აღმანახიდან“, რომელიც ავინიონში იბეჭდება - ავტ.
- [111] ავინიონი - ქალაქი რონის ნაპირას; პაპათა რეზიდენცია ე.წ. ავინიონის ტყვეობის დროს (1309-1377 წლ.)
- [121] თუმცა პროვანსში მართლა არსებობს პროვანსელი პოეტების მიერ დაარსებული „ქრიჭინათა საზოგადოების“ ბიბლიოთეკა, მაგრამ აქ ავტორი ირონიულად ლაპარაკობს და ნამდვილად ბუნებას გულისხმობს.
- [131] ივეტო - დაბა ჩრდილო საფრანგეთში, რომელსაც გადმოცემით შუა საუკუნეებში ჰყავდა მეფე, განსაკუთრებით სახელგანთქმული თავისი უბრალოებით და გულკეთილობით. ჟანეტონი მისი სატრფო იყო. ბერანჟემ ამ თემაზე დაწერა თავისი ცნობილი სიმღერა, მიმართული ნაპოლეონ პირველის წინააღმდეგ.
- [141] სატანის ადვოკატი ეწოდებოდა იურისტს, რომელიც ამა თუ იმ გარდაცვალებულის წმინდანის კანონიზაციის დროს ეჭვს გამოთქვამდა მის მიერ ჩადენილ სასწაულმოქმედებათა შესახებ.
- [151] სკოპა - ბანქოს თამაში.
- [161] პლუტარქი (1 საუკ. ქრ. შემ.) - გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, რომელმაც სახელგანთქმულ ბერძენთა და რომაელთა ბიოგრაფიები დაწერა.

- [17] დემეტრე ფალერელი (345-283 ქრ.წ.) - ბერძენი ფილოსოფოსი, ათინის მმართველი ათი წლის განმავლობაში; დიდი მონაწილეობა მიიღო ალექსანდრიის წიგნთსაცავის დაარსებაში; მისი ისტორიული, ფილოსოფიური და გრამატიკული ნაწერები დაკარგულია.
- [18] კაპიუმონი - წოწოლა თავსაბურავი, რომელიც, ჩვეულებრივ, წამოსასხამის ზედა ნაწილს წარმოადგენს.
- [19] კათოლიკების რწმენით ზოგიერთი მიცვალებულის სულმა რამდენიმე ხანი ე.წ. სალხინებელში უნდა დაჰყოს, რათა იქიდან სრულიად განწმენდილი სამოთხეში გადავიდეს.
- [20] სახარების მოთხრობის მიხედვით, პეტრე მოციქულმა იესო ქრისტეს დაჭერის დამეს მამლის ყვილამდე სამჯერ უარჰყო, რომ ის მისი მოწაფე იყო.
- [21] შენ უფალო.
- [22] ერკმანი (1822-1899) და შატრიანი (1826-1890) - ფრანგი მწერლები ხალხოსნური მიმართულებისა, „გლეხი კაცის ისტორიის“ ავტორები.
- [23] ემილ ჟირარდენი (1806-1881) - ოპორტუნისტი პოლიტიკოსი და ჟურნალისტი; იაფფასიანი, რეკლამებზე დაყრდნობილი პრესის შემქმნელი.
- [24] შარლ ბარბარა (1822-1866) - ფრანგი მწერალი, მრავალი რომანისა და ნოველების კრებულის - „ცხოვრების ქარიშხლების“ ავტორი.
- [25] ფ. მისტრალი (1830-1914) - გამოჩენილი პროვანსელი პოეტი; მისი პოემებიდან ყველაზე მეტად ცნობილია „მირეილი“ (1858) და „კალენდალი“ (1864).
- [26] მიშელ მონტენი (1533-1592) - დიდი ფრანგი მწერალი, სკეპტიკოსი მოაზროვნე, ავტორი სახელგანთქმული „ცდებისა“.
- [27] შაქტასი - ამერიკელ წითელკანიანთა ერთი ტომის მამასახლისი, შატობრიანის მოთხრობების გმირი.
- [28] თეოკრიტე (მესამე საუკუნის პირველი ნახევარი ძველი წელთაღრიცხვით) - ბერძენი პოეტი, ავტორი „იდილიებისა“ და „ეპიგრამებისა“, პასტორალური ჟანრის ოსტატი.
- [29] აღსარება
- [30] ვილოცოთ

- [31] ჩემი შეცოდება
- [32] განვედით, წირვა დასრულებულია.
- [33] მაღლობა უფალს.
- [34] მარაბუ - მაჰმადიან განდევილთა სავანე.
- [35] დუარი - არაბების კარავი.
- [36] ტიურკოსები - ალჟირელი მსროლელები ფრანგულ ჯარში.
- [37] ერაზმ როტერდამელი (1466-1536) - სახელგანთქმული ჰუმანისტი. მეფეების და პაპების მეგობარი. ავტორი სქოლასტიკის წინააღმდეგ მიმართული „სისულელის ხოტბისა“.
- [38] ასუსი (1604-1679) - ფრანგი პოეტი, პაროდების ავტორი, სკარონის მიმბაძველი.
- [39] ეგრეთ წოდებული წმინდა ნაწილის დღესასწაული, დაწესებული 1264 წ. პაპი ურბან IV მიერ.
- [40] ანგელუსი - ღვთისმშობლის ლოცვა და მისი მაუწყებელი ზარი კათოლიკურ ქვეყნებში.
- [41] კურთხეულ არს ჭემმარიტად.
- [42] უფლისა მიმართ ვილოცოთ.
- [43] მუშარაბიე - ხის მჭიდრო გისოსი ფანჯრისათვის აღმოსავლეთში.
- [44] იგულისხმება გიომ ორანჟელი, მოკლევცხვირიანად წოდებული, რადგან მას ცხვირის წვერი ჩამოათაღეს ბრძოლის დროს; ნახევრად ისტორიული პიროვნება, კარლოს დიდის ვასალი; მრავალი ფრანგული რაინდული პოემის გმირია.
- [45] პტოლომეები - ბერძნულ-მაკედონური წარმოშობის დინასტია, რომელმაც მეოთხე საუკუნეში ჩ.წ. ბრწყინვალე მონარქია დააარსა ეგვიპტეში. მათი სატახტო ქალაქი ალექსანდრია აყვავებული კულტურის ცენტრად იქცა.
- [46] არიელი წყლის სულია, ხოლო პუკი - კერის გენია ევროპელი ერების დემონოლოგიაში.
- [47] ალბა - დილის სიმღერა ტრუბადურების პოეზიაში.
- [48] პიგო ლებრენი (1753-1851) - ფრანგი რომანისტი; ლაპარაკია მის რომელიმე წიგნზე.

-
-
-

- COPY
- SHARE
- NOTE

-